



საქართველოს
ანტიკვნიტობის

ბუნების

7

1970

გნეოტოპი



ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფულიწადი 46-მ

№ 7

თბილისი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

111

შ ი ნ ე ა რ ს ი

გიორგი შატბერაშვილი — ახოს წამების ათი ღმერთი. ნაწყვეტები რომანიდან	3
კაკლო ქალაქი — შიქრები. პოემა	21
დავით კვიციანი — მშვიდობით, უსიერო ტყეებო!, რომანი, ვაგრძელუბა	45
ლია ასათიანი — ლექსები	68
გიორგი გიგაური — ლექსი	71
კლიმენტი გომიანი — ილიაობა, ბიოგრაფიული რომანი, ვაგრძელუბა	72

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ჯიბლაძე — იაკობ გომიანიშვილი — ახალი ქართული კლასიციზმის მანა	98 ✓
ლევან ასათიანი — საზოგადოებრივი მხარის მომხრე	127 ✓
ნათელა მანუშვილი — მამულაშვილის სიტყვა	134
ოთარ ბაგინია — ნიკოლოზოვი უკრაინაში	140
მონღო კარბოჭია — ქართული ფილოსოფიური აზრი სოციალისტური რევოლუციის პირველ ეტაპზე	150
ვილჰელმ ვიგნერი — ესთეტიკურის ცნების განსაზღვრისათვის. ვაგრძელუბა	157
ილია მაისურაძე — მიხეილ ბეთანოვილი	165
ნიკოლოზ კილაძე — ნიკოლოზ მანუშვილის უცნობი წიგნები	171

ხ ე ლ ტ ვ ნ ე ბ ა

წიგნი მისი, ელიზბარ მაისურაძე — ოპონს მარჯვენა

საქ. სსრ კ. მწერთა
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



საქართველოს კავშირის კავშირის კავშირის

შეატვაბი, მოგონებანი



ოთარ ჩაბიძე — გიორგი შატბერაშვილი
იულონ ლომოური — მოგონებაზიდან...
დავით ქორიძე — ცნობაბი თინათინე ცინას ცხოვრებაზი

წიგნებაბის მიმონხილვა

ჯ. შარაშენიძე — ძველი შუაგონინაბათის კოეზიანი 191



შთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეზიანი:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეზანიძე, ბ. ქლემიძე, ა. სულაია-
რი, ა. ქუთათალი, ე. ჟივინანი (პ/შე, შლეინი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგულაია, ვ. წულუ-
აძიძე, ო. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ჩაქვაბაძე

რედაქციის შინაშართი: თბილისი,
რუსთაველის პარსპექტი № 12.

ბელაფონები: რედაქტორის — 93-55-11-
პ/შე, შლეინის — 93-55-13, განყოფილებე-
ბის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწეობად 21/V-70 წ., ხელმოწერა-
ლია დასაბეჭდად 25/VII-70 წ., ასაწეობის ზომა
7¹/₄ X 12, ქალაღის ფორმატი 70 X 106¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი — ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16.8.
№ 02139. ტირაჟი 12.200. შეკვ. № 1627.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



აგოს წამების ათი დღე

ბარი პინჰელი

დღე პირველი

მუხათვერდელმა შიომ ერთხელ კიდევ ამოიგმინა რალაც ურმულის მსგავსი და უცებ გაჩუმდა... წინ, ალბათ, თბილისისკენ მიმავალი ორი კაცი გაარჩია სიბნელეში.

არა, შიში აბა რა სათქმელია... შიშს რა ხანია წუთისოფლის თავდაღმართზე დაშვებული ლომკაცის გულში აღარ გაუფანჯნია. შიში კი არა, წამით ანაზღი და განუცდელი ეჭვი აიძრა მის გულში. უნებურად კოფოზე შებრუნდა, ურმის უბეში მძიმედ ჩაწოლილ მუხის მორგებს გადახედა, მერე ისევ წინ, წყვილიადში მტრედისფრად შეცურებულ ხარების ზურგებს მიაყოლა თვალი. ღამის სიჩუმეში უფრო მკაზმად გაისმოდა ურმის ხმაური... მეურმე აღარ ღიღინებდა, საკუთარი გულის გმინვით აღარ აბზობდა გაუსაპნავი ღერძის კრიალს და ალბათ ამიტომაც მოეჩვენა ასე. ნებაზე მიშვებული ხარები ზანტად მიაბიჯებდნენ გზაზე.

შიომ ხელი ასწია, მხარი ოდნავ შეათამაშა, მაგრამ სახრე არ დაუქარებია

ვაშვეანებთ ნაწყვეტებს გიორგი შატბერაშვილის დაუმთავრებელი ისტორიული რომანადან. რედ.

ხარებისათვის. ხარები უმაღლ, ჰაერისა თუ კოფოს მოძრაობით გრძნობდნენ მეურმის სურვილს და ფეხს აჩქარებდნენ. ასე იყო ყოველთვის. ახლაც ააჩქარეს ფეხი. შიო წინ გადახარა, თვალები მოწყურა. ჯერ ურემი კარგად არ მიახლოვებოდა უცნობებს, ისინი კი უკვე გზის პირას მიმდგარიყვნენ. ხომ შეეძლოთ მცირე ხანს კიდევ ევლოთ და მერე მიეცათ გზა. რატომ გადაგნენ ასე ადრე განზე?

ორში ერთია: ან დაღლილები არიან, ურემზე დასხდომა უნდათ, ან... თუ დაღლილები არიან, მცხეთიდან არ მოდიან. მცხეთიდან მომავალი მგზავრი ასე მოიქნაცებოდა... ან... რა? სხვა რა უნდა ჰქონდეთ გულში? რა თავში იხლიან ამ ურემს ან მუხის მორგებს, ან შიოს ბებერ ძვლებს... ხარები?

თუ სარკინოზნი არიან, რას ერჩიან, განა შიო მათს სამსახურში არ არი. პო, რახანია შიო მათს სამსახურშია... მისი უმცროსი ძმაც ამ ურჯულოების კაცია.

სწორედ ზევთან შეჩერდნენ... აქ დეკემბრის სუსხის წყლის ნადენი მოუყინავს და ხარებს ფრთხილად უნდა ჩაუძლევს თავდაღმართზე.

შიო კოფოდან ჩამობობდა, ხარებს წინ წაუდგა.

— ხი... მამ!... ხი... მამ.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს!

— ხი, ნისლა!... ხი, ირმა!

ურემი შეჩერდა. შიო ისევ კოფოზე აფოფხდა, უცნობებს ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი და სახრე ასწია. ურემი ზანტად დაიძრა.

უცნობებს შავი ჩოხები აცვიათ. ქართველები უნდა იყვნენ, იერზე ეტყობათ. იერზე, თორემ ქართულ სალამს ბევრი იტყვის. კაცი სალამით არ გამოიცნობა. შიოს უმცროს ძმას ქუცნა უკანბერიძესაც ქართული ჩოხა აცვია მაგრამ ურჯულოების კაცია. საქმე ის არის, ჩოხის ქილებქვეშ რა გული უცემს კაცსა... რაღაც შემკრთალნი დგანან ეს მგზავრები გზის პირას.

ტანად კარგი ჭაბუკები ჩანან. ერთი მალალია, ახოვანი. მეორე თუმცა უფრო მომცროა, ბეჭადგმული და ღონიერი ჩანს.

— ხომ არ დაუსხდებით, ვაეებო?

— კარგი იქნება.

— ხიი. მამ... ხიი გეტყვით, თქვე კაი... ხიიი, მამ!

უცნობები ურემის უბეში დალაგებულ მორებზე გადასხდნენ. მხედრებივით ჩაკიდეს მუხლისთავები მსხვილ მორებშუა. გალოპრილი მორები ურემის ჯახჯახზე კორიკობს, ჭანაობს, წუხდებიან მგზავრები... უბირი კაცები არ უნდა იყვნენ. ურემის ჭალსა და ჭალს შუა — ზეწარზე ჯდომას რა სჯობს, აი, ახლავე უკანა კოფოს ახსნის და...

მეურმემ ურემი გააჩერა.

— ეწვალებით, ვანა?

— არა, რა ბრძანებაა, ნუ სწუხდები.

— იპ, ამის მეტი შეწუხება... აბა, მიიწ-მოიწით, ეს უკანა კოფო ამ შუა ჭალებს ჩამოგავოთ. პო, პოო, აი, ასე... კარგად გაიმართა. ორივე მოთავსდებით. მხარიმხარ.

უფრო გამართულად, ლაღად წავიდა ურემი, მკიდროდ შეიკრა, შუა

წელს მძიმედ, ღონიერად დააწვა. ღერძიც თითქოს წელანდელივით აბარ ქრიალებს.

— აი, აგაშენა, ძია კაცო!

— იიპ, ესეც თუ არ... მამ რისთვისა ვართ.

შავგვრემანი, მალალი მგზავრი მეურმის ზურგსუკან, მარჯვენა მხარეს ზის და ხმას არ იღებს, ორივე ხელით ჩასკიდებია ჭალს და ჩაფიქრებულა. თავი დაუხრია და თავის მუხლებს დაჰუერებს, ღმერთო, შეგცოდე და... წელან ქართულად ეჩვენა, ახლა კი რაღაც უცხოვად გამოიყურება და თვალსაც არიდებს.

— საით გაგიწევიათ?

— თბილისს...

ისევ ტანდაბალმა, ქერა მგზავრმა უპასუხა და თითქოს შეეშინდა, სხვა არაფერი მკითხოსო, თვითონვე შეეკითხა:

— შენ სადღა გამგზავრებულხარ, სად მიგაქვს ეს მუხები, ძია კაცო?

— „ეპ, საკუბოვედ გაეთალოს, ვისთვისაც მიმაქვს“, გაიფიქრა მეურმემ და თქმაც დააპირა, მაგრამ შავგვრემანი მგზავრის ნაკვერცხლებივით მწველი თვალები რომ გაახსენდა, ენას კბილი დააქირა და ისე გამოსტრა:

— ახალ სადილეგოს აშენებენ თბილისს, ძველის გვერდით. ხის მასალა მუხათგვერდს აკუთვნეს. საკუთარი ხელით გვაჩენინებენ მუხნარს. რახანა ასე დაედივართ აღმა-დაღმა. დილაღამიან გაეწვე თბილისს, ჩავიტან, მივაქვავებ და ისევ შემოვუდგები ამ გზასა...

მეურმემ თავი ჩაჭინდრა.

— ვინ მისაწავლა თქვენი მუხნარი?

— თვითონაც კარგა ხედავენ და ახლა ჩვენი თვალებიც გამოისხეს...

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ უცებ დაიდუნა, კოფოზე შებრუნდა და მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თვალი მოსაუბრეს.

„სულ ეს ქერა ბიჭი მესიტყვება და მეხშიანება, ის კი...“

— თქვენი თვალები როგორღა გა-

მოისხეს? — შეეკითხა ისევ ქერა ჭაბუკი..

— როგორ და... — გაჭაერებით ამოიძახა მეურმემ და სახრე მალლა ასწია, — შეინიღამ ვტყდებით და ვჩანავდებით!

ტყე შეთხელელებული მოჩანდა გზის პირას. შუქს ემატა. მეურმე ახლა უკვე გარკვევით არჩევდა უცნობთა სახეებს, როცა კისერს იბრუნებდა ორიოდ სიტყვის სათქმელად.

„აბა, ესენი უბირი კაცები არ არიან... შეხე, შეხე, რა დიდკაცურად აცვიათ.. მერე რად მოდიან ქვეითად ამ შორ გზაზე. თბილისს მოდიან?.. ვინ არიან?“

უცებ შორეული თქარათქური მისწვდა მეურმის ყურს. მგზავრებმა უკან უბრუნეს პირი, დააყურადეს, მერე ერთმანეთს თვალთ თითქოს რაღაც უთხრეს. ცხენის ფეხის ხმა მტკვრის გადმიდან შემოიჭრა განთიადის სიჩუმეში და მგზავრებსაც ყური იქით ჰქონდათ მიქცეული..

„ეს ჭაბუკი ქერა კი არ ყოფილა, აღრეული ჭალარა მოსძაღლებია და წაბლისფერი თმის ფერი თეთრად უცვლია... ეს რადაა? ოპო, ცალყურა ყოფილა. თითქოს ბასრი სატყეარი ჩამოეკრათ, ისე აქვს მარჯვენა ყური ჩამოთლილი. ხელსაც იმიტომ იფარებს დროდადრო... დაჩვეულა, თმაც, ალბათ, იმიტომ გაუშვია ბერივით.“

— ქართველნი ხართ? — უცებ შეეკითხა მეურმე... ორივეს შეეკითხა, მაგრამ ცალყურასთვის არც შეუხედავს. მეურმე ახლა მთელი ტანით იყო შებრუნებული ურმის კოფოზე და შავგვრემანი მგზავრისთვის დაეშტერებინა კროლა, მცდელი თვალები.

— მე... — ამოიძახა შავგვრემანმა და უმაღლვე ხმა ჩაუწყდა. ურმის თვალი ოღრო-ოღროში ჩავარდა, მგზავრები შეარყია. შავგვრემანმა ველარ დაასრულა სათქმელი... თუ აღარ დაასრულა?

„აკი ვთქვი... აკი ვთქვი...“

მეურმემ გზას გახედა, სახრე მალლა ასწია და ნისლა ხარს მარცხნიდან ფრთხილად მოუთათუნა.

— ძია კაცო, ემანდ ხევში არ გადაგვყარო... ქართველნი ვართ, მაშ ვინ ვიქნებით! — მიაძახა მეურმის წარმცხადებელმა ცალყურამ და შიომ იგრძნო, ჰო, ვაერის მოძრაობით თუ ჩოხის შარიშურით მიხვდა, მის ზურგს უკან ერთმა მეორეს მხარზე ხელი გადახვია, უსიტყვოდ მიიზიდა.

„ოპ, ეს ეკვიანი თვალი და გული... რა იცი, აბა, რა იცი ვინ რას მალავს, ვინ ქართველია, ვინ საჩქინოზი... ვინ ვის გადახვია ხელი, ან რადა, რადა?“

— მოი, მოი... მოიში, ხარო!

მერე მეურმის ზურგს უკან ვიდაცამ ღრმად, ძალიან ღრმად და გაბედულად ამოიხზრა... მეურმე უკან აღარ იხედებოდა, მაგრამ თვალის კილოებში გაპარებული მზერით ბუნდოვნად ხედავდა. შავგვრემანს თავი მალლა ჰქონდა აწეული. მაგრამ ცას არ შესცქეროდა, თვალეზი მოხუცული ჰქონდა.

უცებ ახლოს, ისევ მარცხენა მხრიდან, განთიადის დუმილში კვლავ შემოიჭრა გაქენებული ცხენების თქარათქური, ახლა ეს თქარათქური ისე მკაფიოდ ისმოდა, თითქოს მხედრები გაყინული მტკვრის სანაპიროზე მოაქენებდნენ ცხენებს.

მეურმემ მიხედვაც ვერ მოასწრო, ურემს სეტყვასავით ჩაუქროლა რამდენიმე ცხენოსანმა. ცხენოსნებმა თავი მოიბრუნეს, მეურმეს თუ ურემზე მსხდომთ თითქოს რაღაც იღუმალი ნიშანი მისცეს და თეთრად ჩამოწოლილ ნისლში აჩრდილებით გაჰქროლეს. შიომ თვალეზი დააცეცა, გულმა რაღაც უაზრა... აბა, მისთვის ვის რა უნდა ენიშნებინა? მის ზურგს უკან მსხდომნი კი აწრიალდნენ, ერთმანეთს ხელი თუ მხარი გაჰკრეს, მეურმემ ესეც იგრძნო, ხმამალლა კი ამოიძახა:

— ჰე, რა წყვეტებით მიჰქრიან... ხედავთ, ორი შეკახმული ცხენი მარქაფად მიჰყავთ, ჰა, დაინახეთ?

— თავისი თვითონ იციან...

„ჰმ, თავისი... ვინ იყვნენ ის ცხენოსნები, ან ესენი ვინ არიან? ორი მარქაფა“

ცხენი... ორი, ესენიც ორნი არიან, ის ცხენები ამითია, ამითი! მერე თუ ამითია, რატომ არ გადასხდნენ... ჩემი შეეშინდათ?"

ხარები დინჯი, აწყობილი ნაბიჯით მიდიოდნენ.

— ძია შიო... — უცებ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა მეურმის ზურგს უკან ცალყურა მგზავრმა და უმაღვე დადუმდა.

რაო, შიოო?..

მეურმე სწრაფად შებრუნდა კოფოზე და გაოცებით დააშტერდა მთქმელს.

— ვაჟო, საიდან იცი... საიდან გეცნობი? აბა, ჩემი სახელი?

— შენი სახელი... დაიბნა ცალყურა. დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია, ხელი ანაზღვეულად წაიღო შეთეთრებული საფეთქლისკენ და დაამთავრა: — შენი სახელი წელან შენვე არ გეითხარ?

„აბა, დიდება შენდა, ღმერთო, — ახლა უფრო გაოცდა შიო, — როდის ვახსენე ჩემი სახელი? შარსა მდებენ, რალაცას ოინაზობენ... ვინ არიან, საიდან მცნობენ? მართლაც ნაცნობი იერი კი აქვს ამ აღრე გათეთრებულსა, მაგრამ ეს ცალი ყური? არა, ცალყურას არავის ვიცნობ... არც ნაცნობის თვალი და ხსოვნა დამიკარგავს.“

მაინც, ვინა ხართო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ არაფერი თქვა, „რა ჩემი საქმეა, რა ჩემი საქმეა“, — გაიფიქრა და ხარები ააჩქარა. უკან აღარ იხედებოდა, აღარ უნდოდა იმ მეორე მგზავრის ნაკვერჩხლებივით მოელვარე ნაღვლიან თვალებს წასწყდომოდა.

სუსხმა იმატა. მეურმე ტანში იშმუშნებოდა. ალბათ, მგზავრებსაც სციოდათ... მეურმე ისევე გზას გასცქეროდა, ახლა უფრო ხშირად სწევდა მალა მარჯვენას, სახრეს იქნევდა, ემუქრებოდა, აჩქარებდა ხარებს, რომლებიც ჩამოწოლილ ნისლში ტივივით მიაცურებდნენ ურემს.

თბილისის სანახებს რომ მიუახლოვდნენ, მგზავრები ურმიდან ჩამოხდნენ. უკვე დილა იყო, მცირეხანს ფეხდაფეხ

გაპყვენენ ურემს, ურემი გააჩერებინეს და მადლობა გადაუხადეს მეურმეს.

— მთა მთას არ შეხედება, თორემ... — თქვა მეურმემ და ქაბუკები მოთხელ კიდევ შეათვალიერა.

— ჰო, იქნებ ჩვენ შევხვდეთ, ძია კაცო... — ღიმილით უბასუხა ტანდაბალმა და დაკმეუპნული ჩოხის კალთა ჩაისწორა.

მზე ამოდიოდა. მალალს დაღლილი ჰქონდა სახე, მაგრამ მკაცრი გამოხედვა, დიდრონი თვალები...

— გამარჯვებით გვევლოს... — თქვა მალალმა და შიოს ხელი ჩამოართვა ძლიერი ხელი ჰქონდა.

— თქვენც გაგიმარჯვოსთ ღმერთმა... კეთილ საქმეზე ამგზავრებულხართ, გატყობთ...

— მაინც რაზე გვატყობ?.. გაიღიმა ტანდაბალმა.

— გატყობთ და რა ვქნა... თუ ის მარქაფა ცხენები თქვენი არ იყო, და მცხეთას დღესვე აპირებთ დაბრუნებას, სადილეგოსთან შევხვდეთ. ჩემი თავი შემოგვევლოთ. იქნებ კიდევ გამოგადგეთ ჩემი ურემი.

გაიციანა მეურმემ. — ვინ იცის, იქნებ კიდევ გამოგვადგეს შენი ურემი... — ვინ იცის, იქნებ კიდევ გამოგვადგეს შენი ურემი...

გაიციანა მალალმა და თვალი დააყოლა დაძრულ ურემს.

მუხატოვერდელი

ურემმა მეტების ზიდისკენ გაუხვია. გამოჩნდა გაღმა მხარეს აღმართული ჯვარი... ჰა, საცა ხარები ზიდზე შედგებიან და ურემი სადილეგოს დაუბრუნდა. პირდება, ზიდს გაივლის, მცირე ხნის შემდეგ ქალაქის კარსაც გასცდება და გაივავებს.

დილას აქეთ ეს მერამდენედ აუარჩაუარა შიომ თავისი ურემით ამ ადგილებს, ხან პირისპირ, ხან გვერდიდან შეხედა სადილეგოს პირქუშ კედლებს

და ერთხელაც არ გახსენებია წუხანდელი მგზავრები. ალბათ არ დასჭირდათ შიოს ურემი... ანკი რად დასჭირდებოდათ, ის ორი კობტად აღჯახული მარქაფა ცხენი წინწინ გამოისტუმრეს თბილისს და შიოს დანჯღრეული ურემი რაღად უნდათ. ნამდვილად ასე იქნება... შიოს გაცრუება არც ისე ადვილია. აბა მამ რატომ ჩაიღიმილა თხელ ულვაშებში იმ მაღალ-მაღალმა ქაბუქმა, როცა უთხრა, იქნებ კიდევ გამოვადგეთ ჩემი ურემიო.

„ჰო, ამ დაღლილი მზის მაღლმა მართლა ჩაიღიმილა“.

შიომ უნებურად უკან მიიბრუნა კისერი, რომ სამხრეთით დამვეებული უსიციოცხლო მზისთვის გაეშტერებინა თვალი, და სახტად დარჩა. უკან მომავალ მგზავრთა შორის ანაზხად იმათ მოჰკრა თვალი, ვისაც ეს-ეს არის ახსენებდა. ჰერ ახოვანი, შავგვრემანი ქაბუკი იცნო, მერე სწრაფი, გაფრენილი ნაბიჯით მის წინ მომავალსაც დააკვირდა. წინ მომავალს თავი ჩაელუნა და შუბლზე ხელი აეფარებინა. მერე უკანამ გამოუსწრო წინას, შიოს ურემისკენ გამოეშურა, თან უკან-უკან იხედებოდა, თითქოს ვილაძის თვალს უფრთხის და ემალებაო.

— ხიი, ხარო, ხიი! — უნებურად წამოსცდა შიოს, მაგრამ არც ისე ხმა-მაღლა უთქვამს, რომ ურემი გაჩერებულ იყო. შავგვრემანი ქაბუკი ურემთან მოიჭრა.

— საღამო მშვიდობისა, ძია კაცო... მიცანი?

ჩურჩულვით თქვა ქაბუქმა და მარჯვენა ხელით უკანა კოფოს მოეჭიდა, ურემს ნაბიჯ-ნაბიჯ გამოჰყვავა:

— წუხელ გავიცანი, შარშან ხომ არა... რა გავიჭირდა ვაჟო?

— დაგვირდა შენი ურემი, ძია შიო... — ქაბუქმა ურემის უბეში გაშლილ თივას გადახედა და საჩქაროდ დაუმატა:

— ძალიან დაგვირდა!

— რახან ჩემი ურემი... ერთი ნახვაცნობაა, ორი ნახვა ძმობა, დაუფექ... ჰო,

დაუსხედით! ხი, ხარო, ხიი! — ღიმილით თქვა შიომ და უმაღლეს მგზავრისკენ გაეჭკა თვალი.

— მოგვდევენ, ძია კაცო, შავგვრემან... ქრისტეს გულისთვის, ეს ყმაწვილი როგორმე უნდა გაიყვანო სამშვიდობოს. დანარჩენს მერე ვაივებ.

„რატომ, რისთვის... რათ მოგვდევენ... ვინა ხარ შენ?“ — უნდოდა ეკითხა, მაგრამ ახლა სხვა ეჭვმა წაიღო მისი ფიქრი.

არა, ეს ის ცალყურა ყმაწვილი არ არის, წუხელ მის ზურგს უკან, ამ შავგვრემანის გვერდით რომ იჯდა. ეს ვილაძე სხვაა. სამოსი კი მისი ჩაუცვამს... ჩოხა, ქუდი... ჰო, ქრისტეს მაღლმა, იმისი აცვია. ნამდვილად სხვაა, მაგრამ ამასაც ნაცნობი სახე აქვს. სად უნახავს ეს თვალები, გულის გამჭვალავი ბრიალა თვალები, ლამაზი წაბლისფერი ულვაში. იქ, მცხეთაში, თუ?..

ამ ფიქრმა შიოს გული შეუქანა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. ვინც უნდა იყოს, რახან ქრისტე ახსენეს, ალბათ მართლა საჩქაროზნი მოსდევნენ...

— დაუსხედით ურემსა... წაწეკით და თივა წაიყარეთ, სანამ შორს არიან. — ხმადაბლა თქვა შიომ. ისე თქვა, უკან არ მიუხედავს.

უცნობი ყმაწვილი ურემის ქალებს მოეჭიდა, უკანა კოფოს ქვეშ გაძვრა, ურემის უბეში პირქვე გაწვა და თივა წაიყარა. მაღალი, შავგვრემანი მგზავრ უკან მოსდევდა ურემს, თან ფეხებზე თივას აყრიდა ამხანავს.

— შენა, შენ რატომღა ითრევ ფეხსა? — უკანმოუხედავად თქვა მეურმემ, — არ ამოხვალ?

— მე... — თქვა შავგვრემანმა და უკან მიიხედა.

— არ ამოხვალ და...

შიო უღელს გადაეცლო და ხარებს წინ დაუდგა.

— შენა, ქრისტიანი ხარ თუ არა? — წყენით წამოიძახა და შეხედა... შეხედა და გაქვავდა. უცნობის თვალებში რაღაც უცნაური ცეცხლი, შექი თუ

ცრემლი ბრწყინავდა. მწუხრის ბინდში მეურმემ კარგად ვერ გაარჩია და რატომღაც თვალი სწრაფად მოაჩინა.

— უკან უნდა გავბრუნდე, მღვეარი უნდა შევაჩერო...

— ვინა ხარ-მეთქი, კაცო?!

— გაიგებ... — თქვა შავგვრემანმა ჰაბუკმა და უკან გაბრუნდა. ბინდში ისევ გაიღვია იმ შუქმა თუ ცრემლმა. შიო ისევ კოფოზე აბობლდა, ხელი მალა ასწია და ურემი დასძრა.

უკან, ჯერ ისევ შორს, ყრუ გადაძახილი, ჩოჩქოლი და აჩქარებული ნაბიჯის ხმა ისმოდა...

ხარებმა ხილზე შეაბიჯეს. მეურმემ გაღმა აღმართულ ჯვარს შეაფეთა თვალი და პირჯვარი გადაისახა, მერე შემკრთალმა მიმოიხედა... აბა, მალე ხილსაც გაივლის, იმ დაწყევლილ სადილეგოს და ჩაბნელებულ საგოღებელსაც გასცდება და სამშვიდობოს იქნება... მის ფეხთით ურემის კოფოს ქვეშ თავშერგული ჰაბუკის ქმენა და ოხვრა ისმის. მალე ისიც სამშვიდობოს იქნება. მაგრამ ის... ის მეორე?

უკან მიხედვა დააპირა და ახლა წინიდან შემოესმა უჩვეულო გადაძახილი და ხმაური.

სადილეგოს მხრიდან რამდენიმე შუბოსანი მორბოდა ხილისაკენ. შიო შეკრთა და ურემი ააჩქარა. შუბოსნებმა ქაჩანით და იარაღით გაუარეს ურემს. მეურმისათვის არც შეუხედავთ. არც შიოს შეუხედავს მათთვის, თვალები მოჭუტული ჰქონდა, ხედავდა კიდევ და ვერც ხედავდა, ურემი უკვე ხილზე გადიოდა. შიომ შვებით ამოიხევენეშა.

— გააჩერე, ურემი გააჩერე, კაცო! — შემოესმა შიოს. შემოესმა, მაგრამ რა იცინა, გაიგო თუ არა... ურემი მიდიოდა.

— კაცო, შიო არა ხარ შენა? —

— ჰოო... — შიო ბურანიდან გამოვიდა — ხიი!

— მოიცა-მეთქი, სად გარბი, შენ ხომ არ მოგდევნენ, გააჩერე!

— ოპ, შენა? შენა ხარ? შენ ვილას მისდევ?

— მე ამ ხილის შეკვრას ვაპირებ. შიოს მწარედ, ძალიან მწარედ გაელიმა, ურემი გააჩერა. არაბი შუბოსნები შორიახლო იდგნენ. ურემის გვერდით, სწორედ იმ მხარეს, საიდანაც წელან ის შავგვრემანი ჰაბუკი ჩურჩულით ემუდარებოდა, ახლა მხარბეჭიანი და რიხიანი ვაჟაკი ქუცნა უკანბერიძე იდგა და უფროს ძმას შეჰყურებდა.

— ჰა, ბებერო, — ღიმილით უთხრა უმცროსმა უფროსს და ურემი შეათვალიერა, — ორი გამოქცეული კაცისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავს ამ ახლომახლოში?

— აბა, მე რა თქვენი მოენე მნახე. რათ გეტყვი, რა ენახე და ვინა ენახე. — ღიმილითვე უპასუხა შიომ და უნებურად ათახთახებულ მუხლებქვეშ ჩაიხედა. — ვინ არიან; რათ გაიქცნენ?

— ორგულნი და მოლაღატენი...

— ვისი?

— ვისი და ვისი. არ იცი, ვისიცა?!

— ჰა, ხომ იცი?

— მე რა ვი...

— ერთ არაბს დავეჭებო. სიკვდილი

არ ასცდება, თუ ხელში ჩაიგდეს. შიოს შავგვრემანი ჰაბუკის თვალები დაუდგა თვალწინ, გული შეუქანდა. და ჩაწყვეტილი ხმით იკითხა:

— რა დააშავა იმ არაბმა?

— მძევალი გააპარა, ერისმთავარის შვილი... ზვალ-ზეგ თბილისის ამირა იმ მძევალს ბაღდადს უბრებდა გაგზავნას.

შიოს ტანში ძრკოლამ დაურბინა. მაღლა აიხედა.

„დიდება შენდა ღმერთო, ეს რა დაგოყისრებია ჩემთვის! შენვე შემიწიე და გამოყვანე ამ აღიღებულ მდინარეში“.

დიღხანს, დიდხანს უმზირა თალხად ჩამოქუფრულ ცას და განცვიფრებით ამოიძახა:

— არაბმა? სარკინოზმა არაბმა გააპარა, კაცო?

— ჰო... ნერსე ერისმთავრის გავრდი-

ლი და ერთგული ყოფილა, ბაღდადი-
დან გამოჰყოლია. მერე ნერსე ხელახლა
რომ შერისხეს, ხაზარეთს გაჰყოლია.
იქიდან აფხაზეთს...

— წავალ, კაცო...

— მოიცა, მე მაინც ამ ხილზე უნდა
ველოდო... — მერე, ნერსე რომ შეიწყ-
ნარეს, ერთად გადმოსულან თბილისს.

— მერე მძევალი როგორღა გაუპარე-
ბია, ჰა? რათა... როდის?

— უფლისწული ძველ სასახლეში
ჰყავდათ საპატიო მძევლად. მნახველებს
უშვებდნენ, მაგრამ თვალი ეჭირათ. ამ
დღილით ეგ არაბი და ერთი ჰაბუკი მი-
სულან, ნათესავები ვართო. უთქვამთ...
გადაცემულები ყოფილან. სათვალავით
შეუშვიათ და სათვალავით გამოუშვიათ.
იმ ჰაბუკის ნაცვლად უფლისწული გა-
მოსულა სასახლიდან, ისიც გადაცემული.

— ისა, ის ჰაბუკი?

— ვინა, კაცო?

— ვინც უფლისწულის მაგივრად და-
რჩა სასახლეში.

— მაგდენი აღარ ვიცი.

„ღმერთო, გამიყვანე ამ აღიდებულ
წყალში“.

მუხლებში მოდებული თახთახი ახ-
ლა მთელ სხეულს ურბენდა. მეურმე
კოფოზე ირყეოდა. სახრე მალა ასწია,
უნდოდა ხარებს დახმინებოდა, ხმა
ჩაუვარდა, ხელი გაუშეშდა.

— მოიცა, კაცო... ამაღამ ჩემი სტუმარ-
ი უნდა იყო.

— იპ, სტუმრობისათვის სადა მცა-
ლია.

— დაასვენე ძვლები, კაცო. დავლი-
ოთ, მტკერის ცოცხალი მაჭეს, სანათ-
ლილებოდ იჭერენ და...

— ქრისტეს გადაუღდე და ნათლილე-
ბას მაინც არ იყლებ?

— არ მაწყენს, ნუ გეშინია... აი, პა-
ტარას მივიხედ-მოვიხედავ და...

— შენ უკვე გადაგიყარავს.

— ჰა, და ჰა, ცოტა... შენთან ლაპა-
რაქს დავნატრულდი, ძმაო... ამათ
ხელში.

— სუ... — ჩუმაღ თქვა შიომ და შუ-
ბოსნებისკენ გაიხედა.

— ამათ ყურს ღრმა ქაშაღლას...
სკრის... დარჩი.

— ჰე, მე ცოცხალს შევეპტე და მუ-
ხათგვერდს ხშიაღიც არ ავუტანო? ცო-
ტა რაღაც მიმაქვს, — თქვა შიომ და
უმაღ ენაზე იკბინა, თვალი შიშით გა-
დაავლო ურმის უბეს.

— რო არაფერი გიჩანს? — თქვა ლი-
მილით უმცროსმა უკანბერიძემ და
გრძელი შუბი ურმის უბეში აზვინულ
თივას აძგერა.

— მოიცა, ბიჭო! ამოიგვინა შიომ, კო-
ფოდან გადმოიხარა და ძმას შუბის ტარ-
ზე ხელი უტაცა.

უმცროსი ძმა ექვითა და გაოცებით
შეჰყურებდა შეშფოთებულ შიოს და
შუბის ტარს თავისკენ ეწეოდა.

— ლენო ხომ არ მიგაქვს, ჰა? რაღაც
რბილად მოხვდა შუბის წვერსა... ერთი
ენახო, რუმბს ხომ არ წავატაკე, ოჯახი
ხომ არ დაგიქციე!

— არა, კაცო, თავი ანებე მა თივასა,
ლენო არა, და!

შიო ურმიდან ჩამოხტა და ძმას წინ
დაუდგა.

ქუცნა უკანბერიძე თვალსა და ყურს
არ უჭერებდა. ურმიდან ჯერ შეგუბე-
ბული კენესა შემოესმა, მერე თივა შე-
ირბა, მერე მის თვალწინ რაღაც შავად
აიფაფრა და უკან კოფოს გადაევლო.

შავჩოხიანი ხილზე უკანმოუხედავად
მირბოდა. გონმოსული არაბი შუბოს-
ნები ყიჟინითა და ისრის სროლით მის-
დედნენ.

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ, ესრო-
ლეთ! — გაჰყოლა ქუცნა უკანბერიძე,
თან ცალი თვალი შიოს ურმისკენ
ექირა.

შავჩოხიანმა ჰაბუკმა ჩაბნელებული
ხიდი ელვის უმაღ ჯადაირბინა, მაგრამ
სარკინოზთა ყიჟინა ახლა წინიდან შე-
მოესმა. შემობრუნდა, ხიდის მოაჯირ-
თან მიიჭრა, მიმოიხედა, ერთი წამით
შეყოყმანდა, მერე მოაჯირს დაჰკრა
ხელი და მდინარეში გადაეშვა. მდევარ-

თა ორი ჯგუფი ხიდზე ერთმანეთს შეეჯახა. შეერთდა, ერთხანს იყაყანა და ხიდის მოაჯირს მიაწყდა... უცნობი ქაბუკი მტკვრის ხეობის შავმა ბურუსმა ჩაყლაპა. მღვეარი შუაზე გაიყო. ნაწილი მტკვრის ნაპირს ჩაჰყვა სირბილით, ნაწილი ხიდზე იცდიდა. შიო ურმის წინ იდგა და მიწას ჩაჰყურებდა, მწარედ იღიმებოდა.

„გაასწრო, გაასწრო... გაასწრო, მაგრა... გადარჩა? მტკვარს გადაცურავს და... თუ გააღწია გაღმა. გააღწევს? ვინ იცის? მერე მე...“

— დაჭრილი ყოფილა, აი სისხლის წვეთები...

რიყის ქვით მოკირწყლულ ხიდზე ვიღაც ჩაცუცქელიყო. ქუცნაც დაიხარა და იმ ადგილს დახედა.

— ახ, რატომ მაგრა არ ვამგერე...

შიოს გააყრყოლა.

— შორს ვერსად წავა... წყალი ცივია, გაყინული.

„შორს ვერსად წავა... მერე? მერე ვინ იცის, საით წაიღებს მტკვარი? მე, მე საითლა წამიღებს?“

შიო ჭირის ოფლში იწურებოდა და ახმაურებულ ბრბოს აკვირდებოდა. ახლა ხიდზე მარტო შუბოსნები არ იყვნენ. სეირის საყურებლად ხალხიც გამოფენილიყო.

— მეურმე არსად გაგეპაროთ, სულ მაგისი ბრალია.

შიომ ეს სიტყვები გაიგონა და ვერც გაიგონა. გაოგნებული იდგა, ისიც სეირის მასურებელივით აკვირდებოდა, უსმენდა. აი საცაა მტკვრიდან იმ ქაბუკს ამოთრევენ, ან მკვლარს ან ცოცხალს ამოიყვანენ, მაინც დასჯიან... ის, ის ჭრისტიანი სარკინოზი სადღა? ღმერთმა დასწყევლოს, სად გაგონილა სარკინოზის მორჯულება. არ შეიძლება, არა.

— მეურმე სად წავა...

ეს სიტყვები ქუცნა უკანბერიძემ თქვა. ხმადაბლა უპასუხა ვილაცას, რომ მის უფროს ძმას არ გაეგო. მაგრამ მახვილი ყური აქვს ბებერ შიოს, ნიავის

ჩურჩულს გაიგებს და იცნობს, ძმის ხმას კი არა...

ღრო მიდის, ყინვა მატულობს. მუციებული ხარები უღონოდ იცოხნებიან მოუსვენრად აბაკუნებენ ფეხებს, ჭილარქებით და შეჭირხლული შუბლით აწვებიან სიბნელეს. სიბნელე კი თანდათან ნიეთდება, იკრება და შავი ბალამივით იღვრება მათ ღიდროს სვედიან თვალებში.

მღვერები დაბრუნდნენ. გაქცეული ვერ უპოვნიათ, ვერც მკვდარი, ვერც ცოცხალი. ღმერთო, შენ უწადმართე გზა...

— ეს რა ჰქმენ, კაცო? — ეკითხება უმცროსი უკანბერიძე უფროსს, თავზე აჩრდილივით დასდგომია. თვალებს უბრაილებს, ხელს ჰკიდებს და ანჯღრევს, რომ ხმა ამოაღებინოს. შიოს კი რა ეთქმის, ქვასავით სდუმს და თვალებში ვერ უყურებს გაცოფებულ ძმას.

— ენა ამოიდგი, კაცო. თქვი, იცოდი იცოდი ვინც მიგყავდა?

— იცოდა, იცოდა... მაშ არ იცოდა!

— არ იცოდა და მიჰყავდა?

— არგან ქვეშ იტყვის! ქანჩს რომ დაადგამენ, მაშინაც არ იტყვის!

— არ იტყვის, არა! — უცებ ამოიგმინა შიომ, ვილაცას მკერდით შეეჯახა და მძლავრი მოქნევით ხელი გააშვებინა.

— არ იტყვისო, თვითონვე ამბობს, ხალხო?

— არ იტყვის და ჩაგქოლოთ, მტკვარში გადავადლოთ! — დაიგუგუნა ბრბომ, აზვირთდა, მიესია. ვილაცამ მაჯა გაუკავა, მეორე მხარში სწვდა, თავზე ხელი წამოჰკრა, ქული გადაუგდო. უცებ ქუცნა უკანბერიძე უკან გადგა, მახვილი შემართა და დაიღრიალა:

— განზე გადქვით, ხელი არ ახლოთ, ეს კაცი ჩემი ძმა!

— ძმა? ძმა ყოფილა, კაცო!

ბრბო გაოცდა, გაქვავდა, უცებვე დაშოშმინდა. ვილაცამ პირჯვარი გადაისახა. ვილაცა უკნიდან მიეპარა და წვიდან ხიდზე გაბურთავებული ქული თავ-

ზე დაძვრა გაოგნებულ მეურმეს. ბრბო დაიშალა, ხილზე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეს რა ცეცხლში ჩამავადე, ძმაო, ეს რა მიყავი?

— შენ რა? თუ ვუყავი, ჩემს თავს ვუყავი...

— ჰო და, ამას იქით რაც მოხდეს, ისიც შენ თავს დააბრალე!

— მომკლავენ და მომკლან... ძალღულრი სიციცხლეს სიკვდილი მიჯობს.

— რათა, კაცო, პატარახანს ვიყოთ. რათ იკლავ თავსა.

— აღრე თუ გვიან ყველა იქ წავალთ... ვინც დარჩეს, იმან დაიტრაბახოს!

— შენვე რათ ეგები მახვილსა? რახან ეგები, შენ თავსვე დააბრალე-მეთქი, იმას გეუბნები!

— აჟი არაფერს ვამბობ...

ქუცნა დაბნეული და თავჩაჭინდრული იდგა, ყოყმანობდა. შუბოსანმა არაბმა რაღაც უჩუჩუღლა. ქუცნა შეკრთა, მაგრამ თავი არ აუწევია.

— მერე... — წართმეული ხმით ჩასძახა მან თავის მკერდს, — მერე რა ვუყოთ, რომ ძმაო... რომ გავუშვა, განა სამართალი მაგის ურემს ვერ დაეწევა?

სათქმელი ითქვა. შუბოსანმაც გაიგო და შიოსს უყრასაც მისწვდა. შუბოსანი გაბრუნდა და ურემს წინ დაუდგა.

შიოსს ძმისთვის არ შეუხედავს. კოფოზე აბობლდა და ხელი მალა ასწია. მარჯვენა ემსუბუქა, დაიხედა, სახრე ხელში აღარ ეჭირა. გაიღიმა და ჩაიქნია. ურემი დაიძრა. ხიღს რომ გასცდნენ, ხარებმა შეჩვეული გზით, მტკვრის ხეობისკენ იბრუნეს პირი, მაგრამ ურემის წინ მიმავალ არაბს სხვა შუბოსნები მიეშველნენ და სადილეგოს აღმართისკენ შეაბრუნეს ურემი. ქუცნა ბარბაქოთ მისდევდა უკან. თავი ჩაქინდრა. წინ, სიბნელეში, ურემის თავზე მჭდომი მისი უფროსი ძმის მოხრილი მხრები მოჩანდა. მხოლოდ ეს მხრები მოჩანდა. როცა თავს ასწევდა და წინ გადაიხედავდა, მხოლოდ ამ მხრებს ხე-

დავდა, ცდილობდა თავი მალა ასწია. თუმცა შიოსს ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

ურემი ეზოში შევიდა და სადილეგოს ალაყაფის კარი მიმედ დაიხურა შიოს ზურგს უკან. შიოს არ მიუხედავს. არც ის დაუნახავს, ვინ შემოაყვია ურემს. ალაყაფის კარი ბებერმა მეციხოვნემ გააღო და წინაც ის შემოუძღვა. შუბოსანი არაბები გარეთ დარჩნენ. მუხლმოკვეთილი შიო კოფოდან ხენემით ჩამოვიდა, ხარებს მიუძღვა და ურემი ეზოს სიღრმეში მიაყენა. მერე მოიხედა. პირქუში ფიცრულების წინ, დიდი ცაცხვის ქვეშ ქუცნა იდგა და მეციხოვნეებს ელაპარაკებოდა. შიომ თვალი მოარბიდა. მოშორებით, ხევის პირას, პატარა თეთრი საყდარი ჩანდა. საყდარს ჭვარი წამტვრეული ჰქონდა. შიომ სამი თითი შუბლისაკენ წაიღო...

— რაღას ელოდები, გამოუშვი!

შიო შეკრთა, ხელი უღლისაკენ წაიღო, ჯერ ირმას ტაბიკებს მისწევდა, მერე ნისლას შეხსნა ავეური და ურემის თავი ასწია. შიო გაუნძრევლად იდგა, ურემისთავი გულისფიცარზე ჰქონდა მიბჯენილი. მაგრამ ხარებიც გაუნძრევლად იდგნენ და ფეხს არ იცვლიდნენ. სხვა დროს, იგრძნობდნენ თუ არა დაღლილი ქედიდან უღლის მოშორებას, თავს გაიქნევდნენ, თავისუფლად ამოიფშვენდნენ და განზე გადადგებოდნენ, ან ბალახს მისწვდებოდნენ, ახლა კი...

— შერეე, კაცო, ემაგ ფიცრულში!

„დღეს წყალი არ დაუღევიათ...“

უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. მერე ის მოწყვეტილი მარჯვენა ხელი მსუბუქად დაჰკრა ჯერ ერთ, მერე მეორე ხარს, დაუტია, წინ გაირეკა.

„დილას აქეთია შენც არ ჩავსვლია ნაწილი პირში“...

მეციხოვნემ ფიცრულის კარი მიხურა და შიოსს დილეგისაკენ ანიშნა, შიო დილეგის კარს მიუახლოვდა. შეჩერდა, რომ უკან მოეხედა.

— ოჰ, შეეე... ეს რა ქირი ამიტეხე და აიტეხე!.. — ბოლმით ამოიძახა მის

ზურგს უკან ქუცნამ. მეციხოვნემ გასაღები გადაატრიალა და კარი ფეხის კვრით შეაღო. შიოს თბილი, უსიამოვნო ოსშივარი ეცა სახეში. მარტო დარჩა. ზურგს უკან გასაღები გადატრიალდა.

რამდენიმე წამის შემდეგ ყრუ გრუნენი გაისმა: სადილეგოს ალაყაფი გააღეს და დახურეს. ალბათ ქუცნა უკანბერძნე გავიდა. შიო კი მარტო დგას და თვალებს ახამხამებს. არა, მარტო რათ იქნება, აი, თვალმა სიბნელე თანდათან გატეხა და შიომ ბუნდად გააჩრია იატაკზე გაშლილ თივაში გაწოლილი ჩრდილები... ერთი ჩრდილი წამოჭდა. მერე ისევ მიწვა და გაიწაბა.

შიომ ნაბიჯი გადადგა, ფეხი რაღაც რბილს წაშოსდო, გვერდზე მიდგა, დაინოქა, ხელით იატაკი მოსინჯა და თივაში ჩაჭდა. მარცხნივ, შავად აყუდებული კედლიდან ვიწროდ გამოჭრილი სარკელის თვალი იმზირება. ამ თვლიდან ზამთრის ცრიკატი შუქი ეონავს და დილეგის წყვილიაღში ითქვიფება. შიოს გვერდით ხმელ თივაში რაღაც ფაჩუნობს და შარიშურობს. ასე უხსენებელმა იცის ხშიანობა. წყუქუმიც იყოს.. წყუქუმიც იყოს, ვინც შიო ამ დღეში ჩააგდო!

ვინ ჩააგდო?

ვინა და...

ფაჩუნი აბლოვდება, ვილაცის ქშენასულ ახლოს ისმის. ვილაც ეჩურჩულება. შიო თვალებს ფართოდ ახელს და სიბნელეში ანთებულ ორ ნაკვერჩხალს აკვირდება.

— მეურმე ხარ?

— ჰო... რა იცი?

— ვიცი... მითხრეს.

— ეპე!..

— რათ შეგიაყრეს?

— შენ რაღათა?

— მე?.. მე ძმის ხარაჯა მამაკისრეს, არ გადავიხადე და...

— მერე, ძმისთვის ძმობა არ უნდა გავწვია: გადაგებადა შენცა.

— ძმის მოღალატეს დამმარხველიც

არ უნდა ჰყავდეს... განა არ ვიცი, მაგრამ ჩემი ძმის საქმე სხვანაირად არი!

— როგორა, კაცო, რათ იტყვი, მას მხარს არ აძლევ?

შიოს კიდეც რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცებ გულში მჭილი ჩაიკრა და ამოიგმინა.

— ოღონდაც, განა ყველა ძმა გასწევს ძმობასა?

— ძმობას იქ გავუწევ... გრძელი სოფლის გზაზე რო დამაყენებენ...

— ვერ გავიგე შენი ქართული, კაცო. რას ამბობ?

— ჰე, ვერ მიხვდი? მკვდარი ძმის ხარაჯა დამაყისრეს. არა სჯერათ, რომ მოკვდა და ჩემი ხელით დავმარხე. იმალებათ.

პატიმარმა ღრმად ამოიოხრა, მერე ჩურჩულით დაუმატა:

— ერთი უნდოდა კაცი იყო, ცოცხალიც მე მეყვია მხარზე და მკვდარიც მე უნდა ვათრიო?

— ღმერთმა შეუნდოს, — თქვა შიომ.

— ამინ... — გაბმით ამოიოხრა პატიმარმა. ხელახლა აფაჩუნდა თივა. ის ორი ნაკვერჩხალი ჩაქრა. ალბათ პატიმარი გულაღმა გადაწვა და თვალები დახუჭა.

ახლა მხარმარცხნივ შეიძრა ვილაც თუ რაღაც. ახლა იქ, ოღონდ უფრო დაბლა გაშუქდა ვილაცის თვალები.

— როდემდე უნდა იჯდე, წამოწექ, შეისვენე. ჩდომასა და წოლაში აქ ერთ ფასს იძლევიან.

— რას იძლევიან?

— დილით დუბელა წყალსა და ხშიაღსა, შუადღისას ხშიაღსა და დუბელა წყალსა, საღამოთი მარტო დუბელასა... ეს დანაშაულზე ჰკილია. შენ რა დააშავე?

— მე რა... მე... — დაბნევით ბურტყუნებს შიო და გულაღმა წკება, ფეხებსაშლის და ოხრავს.

— ჰო, ეტყობა შენ მალე გავიღებენ კარსა, ნუ გეშინია.

— რაზე ეტყობა?

— ჯერ ურმიანად ამ სადილეგოს ეზოში არავინ შემოუყვანიათ... ხვალ დილით უკან გაგისტუმრებენ. სადაური ხარ?

— მუხათგვერდელი.

— ჰოო...აქ ერთი მუხათგვერდელი მუშაობს. არ იცნობ? ამათი უფროსია. დილით შემოვა, შუბი უჭირავს და ისე გვთვლის... ერთი — იტყვის და იმ ერთს გულზე მიბაჭენს შუბის წვერსა... ორი! — იტყვის და ახლა იმ მეორეს მიბაჭენს... სამი! — იტყვის და... ასე ჩაათავენს, თუ მთვრალი მოვიდა, მორჩა, იმ დღეს ან იმ ერთს, ან მეორეს, ან შეათეს გაიყვანენ და...

— სად წაიყვანენ, სადა?

— დამშვიდდი, დაჯექ, დაისვენე, შენ არ წაგიყვანენ... შენი მტერი წავიდა იქითა.

შიო ისევ გულადმა ენარცხება, ყურებზე ხელს იფარებს. მაგრამ ახლა სხვა ხმა იტაცებს მის სმენას:

— მოეშვი, ხმა ჩაიწყვიტე, გონჯილავ, გულს რათ უფუჭებ მაგ კაი კაცსა. ახალია. შენც ხომ იყავი ახალი, ყველაფერი ერთ დღეს გითხრეს?!

გონჯილა ხმას იწყვეტს. მოშორებით წელანდელივით ფაჩუნი და შარიშური ისმის. შიო იქით იყურება. იქაც, დილეგის მეორე კუთხეშიც ანთია შავი წყვილი თვალი. დანარჩენებს თვალი ალბათ დაბუჭული აქვთ, ძილში გმინავენ თუ ცხადში, ვერ გაიგებ. ვერ გაიგებ, სძინავთ თუ ღვიძავთ. შიომ მათი კი არა, თავისიც არ იცის ძილშია თუ ღვიძილში, ფიქრობს თუ ლაპარაკობს. აქ ფიქრი უნებურად ხმად იქცევა, ხმა და სიტყვა კი იღუმალ ფიქრსა ჰკავს.

— ძია კაცო, ნუ შეაწყდები გულსა, დაიძინე... — გაბმით, დაყვავებით ეძახის დილეგის მეორე კუთხიდან ის ვიდაც ღვთისნიერი.

შიოს გულს კი რა დამშვიდებს... ის მუხათგვერდელი მისი ღვიძლის ნახევარია, მისი გაზრდილი. პირველად გაიგო, არ იცოდა? იცოდა, რომ ქართველობას ვადაუდგა, მაგრამ თუ ასე, წახდა...

ჰოი, დასწყევლა ქრისტემ, ეს რა დღეში ჩააგდეს იმ მგზავრე მგზავრებმა. იმათ აურიეს გზა.

შიომ ამოიხვნეშა, გადაბრუნდა და ისევ იმ ვიწრო სარკმელს გაუშტერა თვალი. სარკმელში შუქს ემატა.

ჰო, თვითონ თავი დაიხსნეს... ერთი, ის სარკინოზი ხომ მაშინვე გაქრა, მეორე კი... ნეტავ თუ მართლა ერისმთავრის ძე იყო? თუ იყო, ეს მაინც უშელავათებს გულსა, თუ არა და... აი, უბედურო შიო, შენი გაზრდილი ძმაც კი არა გცნობია, და ერთი ღამის ნაცნობებს ასე როგორ მიენდე?

მაგრამ ეს რა ხმაა, ბურანშია თუ ცხადში, ეს რა ბლავილი ესმის. იქნებ ვინმეს აწამებენ ამ ყვირეთში. იქნებ.

არა. მიხვდა შიო. ყური კარგად დაუგდო და მიხვდა. ცრემლს ველარ იკავენს, ხან ხელს იფარებს თვალზე, ხან თივაში ჩაემხოზა, რომ გულზე მოწოლილი ქვითინი უკან ჩაიბრუნოს, აღარ გაიგონოს... კარგად იცნობს ამ ყრუ ბლავილს. ეს მისი ხარები ბლავიან. თბილი ბოსლის ბაგას შეჩვეული ნისლა და ირმა შებღვიან სადილეგოს ცივ კედლებს...

* * *

• თენდება საღვაც ახლოს, აქვე სადილეგოს. კედლებთან მამლები ყვირიან. რახანია ყვირიან. სიბნელეში გამომწყვდეულმა ხარებმაც იგრძინეს დილის სუსხი. მამლის ყვირის ერთვის მათი გულისშემძრავი ზმუილი და ჩლიქის ბაკენი. ხანგამოშვებით, ხან ერთი შებღავლებს, ხან მეორე. შიო კარგად არჩევს მათს ხმას ერთმანეთისგან.

ალბათ, მუხათგვერდშიც თეთრად გაათენეს ეს გრძელი დეკემბრის ღამე. ავი დროა. ვინ იცის, რა არ იფიქრეს, საით არ გაექცათ გუმანი. ალბათ, ახლა მისი ვაჟები ცხენს კაზმავენ, რომ ერთერთი თბილისს გამოგზავნონ დაკარგული მამის ამბის შესატყობად. ალბათ, ლომკაცას გამოგზავნიან, შუათანას. მარჯვე და ნავალი ბიჭია, მან ყვე-

ლაზე კარგად იცის ამ ბნელი ქალაქის ასაველ-დასაველი.

პირველად თავისი ბიძის ქუცა უკანბერიძის კართან მიაგდებს ლომკაცა ვახვიტოქულ ცხენს და... ვაი შენ, ჩემო თაო!

დილეგის ბნელი თაღებიც გაშუქდა. ოდნავ, თანდათან გაშუქდა. შავი კედლები ნელნელა შეიღება ზამთრის მკრთალი ფერით... პატიმრები თანდათან იღვიძებენ, თვალს იფშვნიტენ. ზღაზვნით ითრევენ მოთენთილ სხეულს და ერთმანეთს ეხშიანებიან. შიო ფეხზე დგება და სარკველთან მიდის.

— რამხელა კაცი ყოფილხარ, ძია კაცო!

შიო უმაღლე სცნობს ამ სიტყვების მთქმელს, ეს ხომ წუხანდელი გონჯილა პატიმარია. აი, ის, მიცვალებული ძმის ხარაჯის გადახდას რომ აძალბებენ სარკინოზნი. ნამლევა კაცი ჩანს. მართლაც გაუჭირდება მკვდარი ძმის ზურგზე წამოკიდება და თრევა წუთისოფლის გრძელ გზაზე.

პატიმრები გარს ეხვევიან შიოს. სულ მალე თითქმის ყველას ამბავი იცის ახლადმოყვანილმა. თვითონ კი დუმს. აღარც აძალბებენ. იმ ღვთისნიერმა კაცმა უშველა.

— აბა, რას აუტყდიო... არ იცით, არ იტყვის, სანამ გული არ გაეხსნება, ახლა არ გაეხსნება, არ იტყვის, და მერე იტყვის, თუ არც მერე იტყვის, დრო იტყვის, დრო...

ჰო, დრო იტყვის დრო... დრო... დრო.

სანამ შიოს სათქმელს დრო იტყოდეს, იმ ღვთისნიერი კაცის, წილკნელი იაბეს თავგადასახედს უსმენს ახალი პატიმარი. იაბეს სამი უმცროსი ძმა ჰყოლია. სარკინოზებს ოთხი ძმა ოთხ კომლად ჩაუთვლიათ და ოთხი დრაჰკანი შეუწერიათ. წელში გატეხილან წილკნელი ძმები, აყრილან და ახატანს დასახლებულან ისევ ერთ კომლად. კარგა ხანს ტყუვდებოდნენ სარკინოზნი. მერე გაუგიათ, თავს დასახიან, სამი ძმა მოუკლავთ, ეს კი...

— უჰ...

— ამასაც მოჰკლავენ ვილაც კვიპატი პატიმარი.

— რას ერჩი, კაცო?

— იქ უნდა მომკვდარიყო თავის ძმებთან, აქ რად მოდიოდა, სასიკვდილედ!

— შენ შეგაჩვენა ქრისტემ, კავთიანთ ფანდრევე, დაიცა, შენი დროც მოვა! — მწარედ იღიმება წილკნელი იაბე და აბეზარს თითს უქნევს.

— უმცროსი ძმები გაისტუმრე და ჩემზე რად ამოგივდება გული...

— დაიკარგე აქედან, სიტყვის გიყო!

— ხუმრობა და ხალვათი სიტყვა სიკვდილს უფრო არ უხდება?!

— მოიცათ... უკანბერიძის ქაჭანი არ გესმით?!

შიო შებარბაცდა, ჯერ კედელს მიეყუდა, მერე თავის ნაწოლისკენ წავიდა.

— ახლა, დაიწყება: ერთი, ორი... რამდენი ხართ, რამდენი იყავით?

— დღეს სათვალავს ორი მოემატება.

— ერთი ეს კაი კაცია, ვიცი... მეორეს ვილას ამბობ? — იკითხა ფანდრემ.

— არ გაგიგონია? წელან შენ ქაჭანში სადილეგის ჭიშკარი გაიღო...

— ჩუ...

დილეგის კარი გაიღო. ვილაც ხელისკერით შემოაგდეს. ტანმალალი და ახოვანი. შიომ ორიოდ ნაბიჯი წადგა წინ. აღარ იცის, რომელ ერთს შეხედოს, ახლადმოყვანილს თუ დილეგის კარში აყუდებულ ძმას. მათაც დაინახეს წინ წამომდგარი, დილეგის თაღებქვეშ დედაბოძივით ასვეტილი ბერიკაცი, მაგრამ ორივე თვალს არიდებს.

— ასე შემოაგდეს ეს აზნაური, რომ აქედან აგრე ადვილად ვეღარ გაეტევა.

— ჩურჩულეებს კავთიანთ ფანდრე და გონჯილას გვერდით უდგება. გონჯილა შიოს გვერდით ატუზულა. მერე წილკნელი იაბერა გავიშლა. სხვა პატიმრებიც მწკრივდებიან, მაგრამ შიომ მათ ვერ ამჩნევს და კიდეც ორ ნაბიჯს დგამს წინ.

— რა იცი, რომ აზნაურია?

— ჩოხაზე არ ეტყობა...

— ჩუთ...

— სალამ! — წამოიძახა ქუცნა უკანბერიძემ, თავი ასწია და შიოს, მხოლოდ შიოს შეხედა თვალბში. იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე წინ ის იდგა და უგემურად შეაფეთა დამფრთხალი თვალები.

— რალაც ამბავია. როდის გაგიგონიათ უკანბერიძის სალამი, — ისმის შიოს ზურგს უკან ფანდრეს ჩურჩული.

— ერთი, ორი... — დაიწყო უკანბერიძემ და უცებ ხმა ჩაუწყდა. ისევ შიოს მკერდს შეაფეთა თვალი.

— სს.. სამი...

— დღეს შუბის წვერით არა გვთვლის... — ნიავის მოტანილივით ისმის ფანდრეს ჩურჩული.

მართლაც, შუბი არ უჭირავს ქუცნას ხელში. სალოცი თითი დაუგრძელებია და სახეარეული შეჰყურებს პატიმრებს. აი, ძლივს გადაიტანა აკანკალებული თითი შიოს მკერდიდან...

„ოჰ, რამდენჯერ მიყულებია ამ მაღალ მკერდს, რამდენჯერ ჩაჰხვევია, რამ...“

— ოთხი... ხუთი....

მერე სათვალავი აერია, დავთარში ჩაყო ცხვირი, ერთწამს ატრიალა გახუნებულ ფურცლებში და ისევ თავიდან დაიწყო.

— ერთი... ორი... სსა... სსამი...

მხოლოდ შიო გრძნობს, რად ებმება ენა ქუცნა უკანბერიძეს... მის მკერდს ველარ გადასცდა ძმის სალოცი თითი აქ რომ მოვა, მაშინ ათრთოლდება, მაშინ ებმის ენა და მერე უკვე ძნელია... შიოს მარჯვნივ, საიდანაც ქუცნა თვლას იწყებს, მხოლოდ ორი პატიმარი დგას. შიო მესამეა.

— სულ ჩვიდმეტი უნდა იყოთ, არა?... თერამეტნი რად გამოდინართ?

— რატომ სამგზის მეტნიც არ უნდა ვიყოთ, უფროსო?... — ხმამაღლა თქვა ფანდრემ.

სიცილმა ჩაიარა მწკრივში. ქუცნასაც უმწეოდ გაეღიმა და ისევ შეაფეთა თვალი შიოს თვალბს.

— შუბის წვერით უფრო ადვილია თვლა. — უხერხულა ფანდრემ შიოს.

— მერე ხომ, წუხელის შემდეგ მუხათგვერდელი შემოაგდეთ. რა გვარი ხარ, კაცო შენ? — იკითხა წილკნელმა იაბერამ.

— მე... მე... უკან... —

— მოიძულა შენი პატიოსანი გვარი ღმერთმა... შიო.

— ჰო, თერამეტი გამოდინართ, — თქვა ქუცნა უკანბერიძემ, დავთარი დახურა, მერე გაშალა, ისევ შიოს თვალებს წააწყდა. გაღივება სცადა, სახე უცნაურად დაებრიცა, თავისთავს თუ ვილაცას ხმადამლა უთხრა:

— ეს შენი დამღუპველიც ხომ მოგიყვანე.

შიოს ძმისთვის არ შეუხედავს. დილეგის კარი დაიხურა, ფეხის ხმაც მიწყდა.

— მთვრალია, — წამოიძახა ფანდრემ.

— ალბათ, შენი ოხუნჯობის ყველი გავიდა.

— უფრო მძიმე ვინმე იქნება. — სევდიანი ღიმილით თქვა მოხუცმა პატიმარმა.

— ახლა ბაზრის მეკოშრე სად გავაჩინო, რომ გამოგვწონოს.

— მეკოშრე რად გვინდა, ვიცი მე გამოიყვანენ.

— ჰო წუხელ მესიზმრა, რჯული მესამედ გამოგიცვალეს!

— ნამდვილად აგისრულდება, — თქვა მოხუცმა და ხელი მელოტ თავზე დაიდო, — დღეს ველარ გავუძლებ ტანჯანავს... რა ვქნა, ქრისტე კეთილია, მაპატიებს.

შიომ უნებურად ახალი პატიმრისაკენ გაიხედა. მან კვლავ მოაჩიდა პირი და განზე გაიხედა.

„ორში ერთია, ან ჩემი ამ დღეში ჩაგდებისა რცხვენია, და თვალსაც ამიტომ მარილებს, ან ასეა საჭირო... უბრაოდ უნდა ვიყოთ“ — გაიფიქრა მან.

უბრაოდ, უბრაოდ... ალბათ, თვითონ იტყვის სათქმელს. თუ თვითონ არ იტყ-

ვის, ამ პატიოსანი კაცისა არ იყოს, დრო იტყვის, დრო...

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ ჯოჯობითი მაინც არ აგცდებია, — თქვა წილენელმა იაბერამ, — ისეთ რამეს რად ვიზამ, რომ ჩემს სამ ქმას სასუფეველში პირნათლად ვერ შევხვდე.

მელოტმა ბერიკაცმა ამოიოხრა და თავი ჩაჰკიდა. შიო მის თავს დააკვირდა. გაქუცულ თავზე მოხუცს უცნაური რუხი ზოლები ემჩნეოდა, ალბათ, ტანჯანაგის კვალი.

— რა არი შენ თავსა, კაცო, მაცოდინე, — თქვა შიომ და ბერიკაცის გვერდით დაჯდა.

ბერიკაცი ხმას არ იღებდა. გაჩუმებული შესეკეროდა შიოს.

— ეს კაცი თელეთელი აზნაურია... ლაზარე ჰქვია. — თქვა იაბერამ და შიოს გვერდით გადმოჯდა. — ქართველად დაიბადა და გაჩნდა ამ ქვეყანაზე. რომ წამოიზარდა, დაუმძიმდა ხარაჯის გადასადა და მაჰმადის რჯული მიიღო. ამით ოცდახუთი წლის განმავლობაში ოცდახუთი დრაჰმანი მოიგო, გული მოეცა და ისევ ქრისტეს დაუბრუნდა.

— რომ დაუბრუნდა, ის ოქრობედიც ხელში ეჭირა, — აუხსნა ფანდრემ შიოს.

— ქრისტე მოწყალეა, მაპატიებს.. — ამოიკენესა ბერიკაცმა.

— ჰო, — გაიღიმა იაბერამ, — ქრისტე მოწყალეა, აპატიე, მაგრამ ახლა მაჰმადი უბრალებს თვალბსა..

— მაჰმადი არ აპატიებს, მაჰმადი მრისხანია.

— ხუმრობა იქით და, ცუდად არის ამის საქმე. სარკინოზნი მაჰმადის მოღალატის თავს აგრე ადვილად არავის დაუთმობენ.

შიომ ისევ იქით გაიხედა, სადაც მისი ფიქრი ტრიალებდა. გაიხედა და გაოცდა. შავჩოხიანი ჰაბუცი მათ უახლოვდებოდა. შიომ ცალ მუხლზე წამოიწია და ჰაბუცს მიაშტერდა. გუშინდელს აქეთ ჰაბუცს პატარა შავი წვერი წამოზრდოდა, ლოყები და თვალის უკე-

ები ჩასცივინოდა, თვალები უფრო დიდრონი და დაწითლებული ჰქონდა.

— როცა მაჰმადს განუდებოდა, ისევ ქრისტეს დაუბრუნდი, იცოდი თუ არა, რომ სიკვდილი არ აგცდებოდა? — აკანკალებული ხმით ჩაეკითხა ჰაბუცი ბერიკაცს.

— ვიცოდი...

— სულის ძრწოლას და შიშს გრძნობდი თუ არა?

— არა, რადგან ვიცი, განკითხვის დღე უფრო საშიშია.

— ახლა რაღამ წაგართვა სიმხნევე სულისა?... —

— ხორცის ტყვილიმა... — ყრუდ თქვა ბერიკაცმა და თავი კვლავ ჩაკიდა.

ჰაბუცი მის ნაიარევ თავს დააშტერდა და თქვა:

— რადგან ერთხელ უკვე განსცადე და უარპყავ უფალი ღმერთი შენი, ნურად ჩაადგებ წარმავალ ტყვილს და ნუ უარყოფ მეორედ, რადგან ორგზის დაიტანჯები, ხორციოც და სულიოც.

— აღარ შემძლია... ეს ქალარა სიბერისა ნუ გეგონება.

ადრე დაბერებულმა კაცმა თავი ასწია, უცხო ჰაბუცს მძულვარებით შეხედა თვალბში და კვლავ უთხრა:

— არ წაგიკითხავს, ჰაბუცი... ნუ იქადი ხვალისათვის, რამეთუ არა უწყვი, რასა შობს შემომსვლელი დღე!

ჰაბუცი შეკრთა. შუბლზე ჩამოშლილი ხშირი თმა უკან გადაიყარა და ელდანიაკრავივით გაბრუნდა.

— აზნაური კი არა, ბერი ყოფილა! — წამოიძახა ფანდრემ.

— სუ! — შეუტია იაბერამ და ჰაბუცს თვალი გააყოლა.

— ბერი ყოფილა, მაგრამ ეს თელეთელიც მაგრა დახედა, სახარება ზეპირად სცოდნია.

— ხმას ჩაიგდებ თუ არა? — წამოგდა იაბერა.

— ნურც შენ იქადი და ნურც ისა, — თქვა წყნარად ფანდრემ და ჰაბუცისაკენ გაიხედა. — ის აზნაური ახლახან

შემოაგდეს და უკვე ჰკუთის დარიგება დაიწყო.

დიღეგში სინთუმე ჩამოვარდა. შერისხული ჰბატუი უცნაურად იღიმებოდა. ეს ღიმილი შიოს გულს უზვრეტდა, ჩუმად იჭდა და თავის გულს უსშენდა.

„თუ ჰბატუი მართლა სარკინოზია და ქართველობა მიიღო სიკვდილი ხომ არც ამას ასცდება?“

• • •

ეზოდან კი განუწყვეტლივ ისმოდა გაყინულ ფიცრულში გამოშფვდებული ხარების გაბმული ზმუილი, ზუზუნნი და შებლავლების ხმა. ეს სევდიანი ძახილი ერთნატილივით უვლიდა ყველას, ისევე ახსენებდა საუბრითა თუ ნაძალადევი ხუმრობით მივიწყებულ გულის წუხილს, ნაღვერდალივით მინავლულ სატივარს, ამ შავად გათენებულ დილას. ყველა შიოს შეჰყურებდა და თავის ნაღველს ამ ბერიკაციის დარდსაც უმატებდა. შიო კი ბებერი ღიმილივით ბრდღენიდა და ბობოქრობდა.

— თუ ქრისტიანები არ არიან, თავისი ღმერთი ხომ ჰყავთ, პირუტყვის წამება რაღა ღვთის რისხვავა, ხალხო, თივა მაინც დაუყარონ, ურემზე ყრია, წყალი მაინც დაალევიონ!

უცებ რაღაც გაახსენდა, წამოხტა, სარკმელს მივარდა. — უკანბერიძეს დაუძახეთ, კაცო!.. ღმერთი არა გწამთ, უკანბერიძეს დაუძახეთ, უკან...

— ჩემო ძმაო, უფრთხილდი, ეგ უკანბერიძე ისეთი ძაღლის გვარისაა, ასეთებს არ გაბატებებს, გაჩუმდი!

შიო ელდანაკრავივით მობრუნდა. მის წინ წილქნელი იაბერა იდგა.

— ვის ულანძღავ გვარსა, ვისა?!

გაოცებულმა იაბერამ უკან დაიხია, სახეშეშლილი შიო მისკენ გავეშებით მოიწვედა.

— კაცო, მე შენსკენ, შენ ეშმაკისკენი ეგ იუღა უკანბერიძე გვარსაც თვითონ ილანძღავს და მამა-პაპის საფლავსაც!

შიომ ამოიგმინა, იაბერასკენ უნებურად გაწვილი ხელი ჯერ თავში შემო-

იკრა, მერე ძლიერ მკერდზე მიხლები მოსწყდა და იატაკზე დაეწაობა.

იაბერამ ხელი შეამველა, სხვა პატივრები მისცივდნენ და მხრებში შეუსხდნენ, მუხლებზე წამოაყენეს. ბერიკაცი თივაში ჩაჭდა, მერე გულადმა გადაწვა, თვალები დახუტა.

— რატომ ენა არ მომტყდა... ასეთი გულშიმოსახვედრი რა ვთქვი? — ჩურჩულით თქვა იაბერამ.

— აბა, შენ რა იცოდი...

— ან ახლა ვიცი!

შიოს თვალები დახუტული ჰქონდა, ესმოდა და უძმიძდა. ამ ხალხმა მისი უბედურება არ იცოდა.

— ძმაო, კაცო, ძმაო ჩემი... ვაზრდილი. — თქვა შიომ და ორივე ხელი დახუტულ თვალებზე დაიფარა.

— აკი უთქვამთ, — ისევე აჩურჩულდა წილქნელი იაბერა, — ერთი ხისა ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო.

— ეს რა ამბავი დატრიალებულა ამ კაცის თავსა... ამიტომაც დაგვიძალა წუხელ თავისი ამბავი.

— აკი ვთქვი დრო იტყვის-მეთქი! — ამაყად დაუმატა იაბერამ.

— კარგი, კაცო, კარგი... შენი პეიტრული სიტყვით არ არის ეს პატიოსანი კაცი ამ დღეში!

— აბა, გავჩუმდები.

პატივრები დაიშალნენ. ყველა თავის ადგილსა და საფიქრალს დაუბრუნდა.

შიომ მუხლზე მშრალი, სასიამოვნო ხელის შეხება იგრძნო. თვალი გაახილა. თავით შავგვრემანი ჰბატუი უჭდა, შიომ უნებურად წამოიწია. ჰბატუმა ახლა მხარზე დაადო ხელი და წამოჭდომი არ დაანება.

— იმაგრე, რამეთუ სიკეთეს გულით ეშასტურე წუხელ... შენ გასდე ხიდი წყვდიადზე და წყალწადებული გულმშვიდობით გაიყვანე.

— გაასწრო? — ჩურჩულით იკითხა შიომ.

— შენ იხსენ იბერთა იმედი და ბაგ-

აიბაგუნა
ეტიენესული
გვიღვივებენ
მამ. მარკ. მარკინი
სახ. საბ. რესპუბ.

რატიონთა კეთილი ნერგი... გიხაროდეს!

შიო არაბის შშრაღლა და ძმის ხელსავით სასიამოვნო მარჯვენას მისწვდა, მაგრამ ჭაბუკმა სწრაფად გამოსტაცა.. შიო ისევ გულაღმა გადაწვა და თვალეზი თავისთავად დაეხუჭა. გულაღმა იწვა და შვიდად ფშვინავდა. წყალწაღებულვივით ითქვამდა სულს. მაგრამ წყალი იყო წმინდა, გამკვირვალე და მსუბუქი. შიო ამ წყალზე გულაღმა და წყნარად სუნთქავდა, მომქანცველი თვლებმა თუ სასიამოვნო რული ეპაოებოდა უძილობით მოღლილ თვალებს.

— ის კი დავიხსენ, მაგრამ თვით რომ შევეყარე ახალ ქირსა? თავიც წავაგებ და ძმაც დავკარგე... — თქვა შიომ.

— ...უკეთუ შეგცოდოს ძმამან შენმან, მივედ და ამხილე... ხოლო უკეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაი იგი შენი...

— შეშინია, არ წავხდე... გაუვალ კი ამ წყალსა?

— იმაგრე და გაიხსენე თუ წავიციოთხავს: უღელი ჩემი ტყბილ არს და ტყირთი ჩემი სუბუქ არს...

• • •

შიომ თავისი ხარები დაინახა, ქედზე მძიმე უღელი ედგათ და დატვირთული ურემი მსუბუქად მიჰქონდათ მუხათგვერდისკენ, ტყირთი მძიმე იყო, მაგრამ ურემი მსუბუქად ადიოდა, აღმართზე, შიო უკან მისდევდა ურემს, ქედზე მასაც მძიმე უღელი ედგა. მძიმე იყო შიოს ტყირთი, მაგრამ უღელი თანდათან მსუბუქდებოდა.

— მართლა არაბი ხარ? — ხმადაბლა იკითხა ბურანში წასულმა შიომ და უცებ წუხანდელი ღამე გაახსენდა. მაშინაც ასეთი რაღაც კითხვა და პასუხი ვერ გაიგონა, სწორედ მაშინ ჩავარდა ურემის თვალი ოღროჩოღროში, სწორედ მაშინ შეიჩრყა ურემი... შიო მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— ქართველი ვარ.. სულღი, ხორცი და ძვლებიც ქართლისთვის მიმიცია და

შემიწირავს, — ჩურჩულთვე უქასუხა ჭაბუკმა.

ეროვნული
გიგლიოთქა

ბოლო თავის შრამუნტაბი

მაშინ გამოიყვანეს აბო ტაძრის ეზოში და თუმცა იგი წინააღმდეგობას არ უწევდა, ხელისკერით ჭალათის პირისპირ დააყენეს.

ჭალათმა აბოს ჯაჭვები შეხსნა ისე ფრთხილად, თითქოს ცდილობს უნებურად ტყვილი არ მიაყენოსო. როცა აბომ თავისუფალი ხელით უნებურად შებლზე გადმოყრილი თმები შეისწორა, ჭალათმა თვალბებში შეხედვა ვერ გაუბედა თავის მსხვერპლს, სწრაფად, უკან მოუბრუნებლად ბალახებში გადააგდო აცანგონი, მძიმე ჯაჭვი. ჯაჭვმა ავად, გულისშემძრავად დაიქვრივდა, ხოლო ჭალათი პერობილის წინ ხენეშით ჩაცუცქდა, რომ ახლა ფეხებზე შეეხსნა ჯაჭვი.

აბო წინ, სივრცეში იშვრებოდა და თითქოს იქ, იმ განუქვრეტელ წყვილადში რაღაც საამოს ზედავდა, ილიმეზობოდა, რაღაცას ჩურჩულებდა.

ჭალათი ფეხზე წამოდგა, მახვილი გაიძრო და უკან დაიხია. მას თავი ჩალუნული ჰქონდა, დიდრონი, ხარის თვალეზი აქეთ-იქით გაურბოდა, განიერი, მკერდზე დაბჯენილი ყბები უფრთოდა.

ჭალათმა თავი ასწია, ახალა შეხედდა და თვალთ რაღაც ანიშნა.

აბო მიხვდა. ტანზე და პირზე ჯვარი გადაიხახა, მზიარული პირითა და კადნიერი სულით ხმამაღლა შეევედრა ზეცას, მერე უკუნ იხსნა ხელნი თვისნი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თვისსა და მხოლოდ ამის შემდეგ მოუდრიკა ქედი მახვილს. გაისმა უჩვეულო წკრიალის ხმა. არა, ეს მახვილის ხმა არ იყო. აბოს მკერდზე ჩამოხმული ოქროს ჯვარი დაენარცხა ქვას.

ჭალათმა მახვილი აღმართა.

შიო მუხლისთავებზე დაეცა თავისი ურემის წინ. გაისმა მისი ქვითინი.

ამ წუთს... კარი გაიღო და გაისმა:

— შეჩერდი...

ჯალათმა ბოროტად გაიხედა კარისკენ. კარში ამირა იდგა.

— ვიდრე თავს მოჰკვეთდე, ეცი მახვილი ზურგსა! ეცი და იტყვის... იტყვის საიდუმლოს და დაშორდება ქრისტეს, ამით უარყოფს ქრისტესაც...

ჯალათი უკმაყოფილოდ შეიმშშენა. ყოყმანობდა.

ეს მისი ხელობის აბუჩად აგდებდა იყო. პურობილის წამებას თავის საქმედ არ თვლიდა...

— ეცი მახვილი! — გაისმა განრიხებული ამირას ხმა.

ჯალათმა ნაბიჯი წადგა. ზურგიდან მოუარა წაკუხულ, კისერწამვეერილ აბოს და განცვიფრებული ისევ შედგა, გაშეშდა, ერთხანტელმა დაუარა. იგი თვალს არ უჭერებდა.

ჩირალის მკრთალი შუქი მხოლოდ ზურგზე უძრავად დაწყობილ, გადაჯვარდინებულ ხელის გულებს და მაჯებს ანათებდა, ღამის სიბნელეში, ჩოხის შავ ფონზე საოცარი სიცხადით გამოსახულიყო ჯვარი... ჯალათი შედრკა. ერთი წამით უკან დაიხია, საღდაც გულის სიღრმეში შემძრავი შიში იგრძნო.

სიჩუმეს მხოლოდ მახვილის ქვეშ გარინდული აბოს შეკავებული ქმენა და მტკვრის შორეული ხმაური არღვევდა.

— ჰყარ მახვილი.. ჰყარ მახვილი მოლაღატეს...

ჯალათმა ღონე მოიკრიბა, ჩამობნელებულ ზეცას მიახჯინა თვალები და სწრაფად აძგერა მახვილი ერთხელ ზემოთ, ბეჭებთან გადაჯვარდინებულ ხელბშუა, მეორედ — დაბლა, მაჯბშუა. ხოლო აბო უდრტკინველი ღუმით იტანდა ტკივილს და თვალს აყოლებდა მახვილს. ჯალათი ისევ უკან წადგა — უკან წადგა და დაამტერდა, თითქოს იმას ელოდებოდა, აბა, როდის ამოჩქეფდა სისხლი, როდის წაშლის მწწამული ფერი აბოს ზურგზე თეთრად გამოსახულ ჯვარსო.

მაგრამ ჯვარი ისევ თეთრად ეხატა.

სისხლი იგვიანებდა, ალბათ ჯერ საერსი იეღინებოდა. სისხლი არ ჩანდა და ჯვარი არ იშლებოდა... მხოლოდ მტკვრული, ქალურად ნაზი თითები თრთოდნენ ოდნავ.

მაშინ ჯალათმა მესამედაც აძგერა მახვილი ნეკნებქვემოთ. აბოს არც ახლა დაუძრავს ხმა, არ შერხეულა. მხოლოდ მის ზურგზე გამოსახული ჯვარი ირხეოდა... ალბათ ჩირალის მკრთალი შუქი კანკალებდა, თრთოდა, ჯალათის თვალს აცთუნებდა.

ამირა მიუახლოვდა.

— თქვი, სად არის უფლისწული და გაკმარებთ, — ჩასძახა ამირამ აბოს.

აბო ნელნელა, დაქიმულ ზამბარასავით ტანჯვით გასწორდა წელში, ხელები ისევ უძრავად ეწყო ზურგზე. თითქოს ამ ათრთოლებულ ხელებით ჭრილობებიდან სისხლის გადმოღვრას აჩერებსო. თავი მარცხენა მხრისკენ ჰქონდა გადაგდებული. თვალები საოცრად უელავდა. იქნებ ცრემლი უერთოდა.

— სად არის, სად? თქვი!

აბომ თავი გაიქნია, გამოცოცხლდა და კადნიერი ხმით ამოიგმინა:

— სამშვიდობოს...

მსაჯულმა ჯალათს ანიშნა. ჯალათი ახლა წინიდან დაუდგა აბოს და მთრთოლვარე ხმით უთხრა:

— განიძარცვე სამოსი...

ხოლო აბომ სწრაფად გაიხადა ჩოხა და პერანგი.

ახლალა იჩქეფა სისხლმა ჭრილობებიდან, ამოდინდა და წელს ზემოთ გაშიშვლებული ახოვანი ტანი წითლად შელღობა.

აბომ გულხელი დაიკრიბა, წელში, მოიხარა და ქედი უსიტყვოდ მიუშვია მახვილს.

აბო თითქოს თავის ცხედარს დაჰყურებს, გულადმა მწოლიარეს... ცხედარს სახე მოღრუბლული აქვს, აბო კი იღიმება. იღიმება, უხარია, რომ ამ კაცმა, რომელიც ახლა მის წინ ასვენია, კარგად განვლო თავისი წუთისოფელი. არ

ულალატა ვისაც შეეთვისა, არ უღალატა, რაც ირწმუნა, არ გაექცა მტერს...

„განუსვენე, უფალო განუსვენე...“
დუღუნებს და სიხარულის ცრემლი
სცვივა.

რა ვუყოთ, რომ მისი სიჭაბუქე გათავდა... სამაგიეროდ მისი სახელი მისწვდება მთელ ქართლსა და კოლხეთს, ტაოს და კლარჯეთს... მისი ამბავი მისწვდება გრიგოლ ხანძთელის ყურს... მაგალითად იქცევა...

თავის ცხედარს დაჰყურებს აბო.

სხვები კი მას შესცქერიან და უკვირთ, რომ სახე გაბრწყინებული აქვს უკვირთ, რომ თვალები ღეთაებრივი ცეცხლით გამოქეჩბია და წამება მისი სხეულს არ აკრთობს.

რა იციან მათ, რომ აბო თავის ცხედარს დაჰყურებს.

საკმარისია მხატვრის ძლიერი და ჯიუტი სურვილი, ხელის ერთი გაბედული მოჭნევა და ამ წამებული წმინდანის

სხეულს უმალ მოშორდება, თაღობი, რომელიც ეკლესიამ მისი მხარბეჭს მოახვია. აბო განუსვენებდა ჩვენს თვალწინ ძველი თბილისის ბინდში აღიმართება ათლეტური აღნაგობის ქაბუკი, ახოვანი სულით და ხორციით, რომელსაც ცხრა დღედაღამე წამების შემდეგ, სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამგზის აძგერეს მახვილი, ეგებ სამიოდ სიტყვა მაინც ეთქმევიანებინათ, მაგრამ ამოდ... იგი ქვის კაცი „დუმილით მხნედ მიითუალვიდა მახვილსა...“

მტკვრის წმინდა წყალი მის სამოსლად იქცა, ხოლო სიღრმე მისი საფლავად, ჩაუწვდომელ სამარედ, რათა უწმინდური ხელი არ შეხებოდა მის დამწვარ ძვლებს...

ეს ამბავი მოხდა ქალაქ თბილისს 785 წელს, იანვრის ექვსს, პარასკევს, ნათილდება დღეს...



შ ი ქ რ ე ბ ი

პ ო ე მ ა

მარად და ყველგან, საქართველოვ,
მე ვარ შენთანა!..

ა ზ რ დ ი ლ ი. ილია ჭავჭავაძე

1.

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აპა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი! —
სხვა, ჩემმა სიტყვამ უკეთესი რა დაიქადოს...

ისე, ვით მზაფრი გულის ფეთქვა, ვით სისხლის წვეთი,
დიდი სიცოცხლის დიდი სუნთქვა წუთ-შეუწყვეტი —
მინდა ჩემს წიგნში ხელუხლებლად გადაიხატოს!

ჩემს ბედ-სამყოფელს ვინ დაარქვა საწუთროება!?
ჩაუქრობელი სწრაფვა ჩემი, ჩემი დროება,
აქ არც მართონს აძლევს ნიშანს და არც ლელოა,

ის ყოველ მწუხრის შეხვედრაა, ყოველ ცისკარის,
ვით წამით წამი, სადაც მე ვარ — იგიც იქ არის,
იგი: ფიქრივით განუყრელი საქართველოა...

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აპა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი,
ხარაჩობში მოქცეული როგორც პოემა —

საცაა კიდევ საზეიმოდ აღამს ცად ასწევს,
რომ მთიდან მთაზე ამომავალ მზეებს გადასცეს
სიახლე რაც კი საქართველოს მოეპოვება.



შე ამ სიახლის გამარჯვებას მით უფრო ვხედავ
როცა სხვა ქვეყნის მივიწყებულ გზებს გადაგვევთავ, **ეროვნული**
როცა ჩემს წარსულს გამახსენებს სადმე გზისპირი, **გზისპირი**

როცა გარშემო ულუ-დაგის ლეგა მთებია —
სახლიკაცების ნალიები მულანდებიან
და ლელვთა-ხევის ბაღებამდე მომღვეს იზმირი!

სამშობლოე ჩემო, შენთანაა ჩემი ფიქრები —
სადმე ყვაილის მოსაწყვეტად როცა ვიხრები, —
შენს გარდა შენს იმ შთამომავალთ ბედს ვინ არგუნებს! —

არა და არა! თავს არ თვლიან მაინც ხიზნებათ,
მაინც, სამშობლოს ბედნიერი დღე ესიზმრებათ,
ზღვის იქით, ახლაც, ღამეებში გადაკარგულებს!

2.

მოსკოვი. ცხრაას სამოცდარვა წლის
აპრილი. ღრუბლებწაშლილი დილა.
გულმწევიდად ვისხდეთ — გული არ გვაცლის:
შუქფარზე ჩვენი გზაც აღბეჭდილა!

და მოლოდინით ფეხზე ვართ ყველა,
ისე ვით ცისქვეშ ტყე ხშირტოტება,
დღემ უცებ თითქოს დღე მოგვაშველა:
ხელს გვართმევს, გვეკონის, გვემწეიდობება.

ლაინერს, როგორც კლდე-მაღალს ბონდი
მაღალი კიბე მისწვდეს დროც არი...
და გვიცდის ღია აეროპორტი,
ღია ცის-კიდე გასაოცარი!
ლაინერს უკვე უკრთის ფრთები და
აენთო ჩვენი სულისკვეთებით,
უკვე სარკმელთა ჩარჩოებიდან
სურათებივით ჩვენ ვიხედებით!

ყველას, ო, ყველას, ვინც კვლავ გვაცილებს,
ერქარობ ქუდმობდით ვუთხრა მადლობა, —
თვალეებს მეტადრე, სულ პაწაწინებს
ავცდე — იქნება უსამართლობა.
აგერ, ის ჩემი სახლიკაცია —
გვერდს რომ ჩოჩქოლით ვერ უქცევს ხალხი,
ხელთ მაინც ბაღლი აუტაცნია
და ცას რატომღაც უღიმის ბაღლი!

დაე, თან მახლდეს მე თანამგზავრად
მზერა გზადაგზა ფიქრის ამწეწი,
ცაში ჩვენ თვითონ ნამცეცად ვჩანვართ,



რალა ჩვენი გულის ნამცეცი!
იგი არ ამბობს არც ჰოს, არც არას,
რა იცის რა აქვს გასასხარისი —
ჯერ არ აუდგამს ფეხი პატარას,
ჯერ არ აუდგამს ენა თავისი!..

როგორი დღეა! როგორი ცაა!
ცოტაც და უკვე ბოსფორს მისწვდება, —
ყრმა კი ისეთი როგორიცაა
მიმზერს და მიმზერს, არ მავიწყდება!
არა, მაცდურად მე არ მიცდიდა
ამქვეყნიური ღრუბლების ზვევით,
მაგრამ რაც აგვევა დედამიწიდან —
ფიქრიც რომ იყოს — ვერ გავიქცევით!

ერთი საათი. ორი. მესამე.
ცა და ღრუბელი. ზღვა და ხმელეთი.
ჩანს ვით გაჩენის პირველ დღესავე
ასიათასი მზის სარკმელეთი.
ერთი საათი. ორი... ქარსავით
საით, მაშ, ასე გაშლილი ფრთებით?
საით, ფიქრებო საით? — არსაით!
სტამბოლი. მიწა ზღვისპირად. ვსხდებით.

3.

ძველი სტამბოლი, ძველი სტამბოლი,
ბოლაზი ანძებაწვდილ გემებით!
შორი თავდახრა, შორი ამბორი
აღმოსავლური შემოგებებით...

როცა ზღვის ტალღა ნავს აქანავებს,
შენც ნაპირ-ნაპირ ზღვას უნდა აჰყვე. —
თვეში აქ ბადით გამოაქვთ ნავებს
და სასაუზმოდ ფატრავენ აქვე!

ძველი მალღობიც დარჩა მალღობად,
და ძველ მტკოქედ არის ცნობილი:
წმინდა სოფიის ტაძრის მახლობლად
მეჩეთი ლურჯი ქვით აწყობილი.

დრომ არც მსახური არ გამოცვალა
და არც ნაბიჯი ბატონ-აკურთ:
მისდევს ფორთოხლით საჯვ ორთვალა
და ხის ქოშების ტკაცუნ-ტკაცუნი!..

ცად აივანიც აწყობს რიკულუმს,
ბურჯით ზღვას ფსკერზე რომ დაბჯუნია, —



ვეყურებ ისე, როგორც მიყურებს,
გზად გამვლელს მტეხი რა დამრჩენია!

ვიტყვი: აქ ერთხელ უქმად მეც ვმდგარვარ,
მეც მიძებნია ბედის ვარსკვლავი
და კრიალოსნად მქონია ქარვა
ჩუმი თითებით დასამარცვლავი.

თვალს მჭრიდა კრელი ხალხის ნაკადი,
მაგრამ სხეულით გზის გამთიშველი —
აქვე, შენობებზემთ ნახატი
თეთრ ღრუბელივით იწვა შიშველი!

შუქით „ლეილას“ იწერდა ქუნა,
ქრებოდა, ენთო, ისვე ქრებოდა!
ნეტავი თვალი არ დამეხუჭა,
მოსაგონებლად არ მექნებოდა...

ძველი სტამბოლი, ძველი სტამბოლი,
მიკიბ-მოკიბულ სახლების იქით...
სადღაც, თუთუნის ბოლით გაბოლილ
თაღებქვეშ ყავა ყურვიწრო ჭიქით!

4.

შენთვის აშენდა ეს შუშაბანდი,
შენთვის ბედ-იღბალს გულმინდობილო, —
რა უფრო გართობს, თელემა თუ ნარდი,
შარბათის ჩუმი სმა თუ დომინო?

ვეცდი შენს მტყველ წამწამის დახრას,
ალი-ეფენდი, ალი-ეფენდი!
ეპეი, ჩემო ალიავ, მახლას!
დღითი-დღე როგორ გამიერთფერდი...

გახდი მემკვიდრე ამ ყავახანის
და გაგაბრუა ფიქრით ამ ღამემ,
დასცქერი ქუნის მღელვარე ხალისს
ისე, რომ თვალსაც არ ახამხამებ!

ზიხარ ფეხმორთხმით ნობზე ვით ლანდი,
ზიხარ უმწუოდ და უწვიმოდ, —
კაცს ვგონება, რომ შუშაბანდი
აგებულა სამუწუემოდ!

ბნელში ზარმაცი ალიც ანთია,
და ამ დიდ ხუფქვეშ, ამ დიდ შუშაში —

შენი უსიტყვო დარდი — ნარდია,
შენი ტურ-კბილის შუქი — დუშაში!..

5.

სულთანის სასახლით, სულთანის ბაღით
დრო აღსდგა ჩემს თვალწინ, დრო წვეულების:
გადაკოცნილია აღისფერ ბაგით
ჩრდილნარი აქოჩრილ ბროწეულების.

ტანადი ქადრის-ზე მკლავების გაშლით
ტანს ცაში ისწორებს კვლავინდებურად.
ჩიტების ფრთხილით, ჩიტების ტაშით
რტო-ხშირი ბერ-თუთაც გარინდებულა.

ჯერ კიდევ დილაა, ჯერ კიდევ მარჯანს
უნაბი ფოთლების ფირუზით ფარავს,
და მაღალ სარკმელთა ჩრდილს იქით არ ჩანს-
მზე თვითონ სარკეებს სხივს როგორ კპარავს.

შემთხვევით შემოველ ამ საწუთროში,
ვაი, თუ ნაბიჯით შოლი გავთელო, —
ვისია, ვისია ეს ოქროს ქოში,
რას მეტყვი ღამეო ამალამდელო!

სადღაა სილაღე, სადღაა ნდომა!
ბაღს ახალ მუხამბაზს ვერ შევთავაზებ...
სადღაა ნაღვლიან თვალების კრთომა
წყაროთა ფსკერზე რთმ ისევ დავეძებ!

ან ვისი ღიმილის ხსოვნაა ვარდი,
ან ვისი სულისთქმა. — ნაზი ნარგიზი!?
სხვაგან სად ვეძიო ღამაზთა ლანდი,
აქაა იმათი დასაკარგისი.

აქა დგას სვეტი კვლავ საჭურისივით,
დგას, მაგრამ ცივი ქვა თვალს არ გვაღვენებს.
და თითქოს კურცხალი ცვივით სიცივით
დაბლა თმებ-ჩამოშლილ ბაღის შადრევნებს!

დრო ნუთუ მოწყენამ დააცხრო ისე —
არ შერჩა სიჩუმეს სულისთქმა ხარბი
და აღარ აღვიძებს ისევ და ისევ
სარკმელებს ავზორცი სულთანის წარბი!?

ბნელში მამ სანთელს ცრემლად რა ღვენთავს,
სიტურფით განთქმულო ღამაზმანებო,



ვინ არ თქვა ალგუნებით დამწვარმა: თქვენ თავს
მთელ სასულთანოს ვანაცვალუბო!..

შორით რა შეგატყო სულთანის გულს მე,
ანდა ბნელ ვნებათა ღელვას და ხალისს...
იმ საკუნეებს როცა კი ვუსმენ
კენესალა მომესმის ქართველი ქალის!

კენესალა მომესმის... ო, ასეთ კვნესას
რა გული უძლებდა, რა დრო, რა რკინა!
ვერძნობ: სადღაც გაბზარა წარსული დღესაც
და მამაკაცობა ჩემი გაჰკილა!

ვერძნობ: როგორც მარმარის ქვას, ცრემლის დაღი
შორეულ სიამეს არ დასტყობია, —
სულთანის სასახლე, სულთანის ბალი
ზღვასა და ხმელეთს თავს დასდგომია...

6.

მე გამახსენდა მულაზანზარი,
უზარმაზარი კარიბჭე ზღვათა —
დიდი ქარვასლა, დიდი ბაზარი
და საალაფო სხვათა და სხვათა!

მე გამახსენდა: ვახლდი ავთანდილს
და გვიამბობდა ფატმან-ხათუნი,
რომ გულანშაროც დარჩა აქამდის
ზღვის ფსკერზე ასე გადახატული.

მე ვნახე ფერად შუშბანდების
და გუმბათების ზღუდე მაღალი,
ჩოჩქოლი ახალ-ახალ ვარდების,
ვარდების ჩუმი აყალ-მაცალი!

ვნახე შუა-დღე და შუა-ბაზრის
ყაფანი უკვე ყბადაღებული,
მაცდური სიტყვის, მაცდური აზრის
კოცონი ღიმილ-გაჩაღებული.

თითქოს მაწვიმდა მე ხილთა ქება,
ჭაშნიკს მაწვიდიდა ხელი კეთილი
და თაროების წყებათა წყება
იყო ფორთოხლით ამოჭედილი.

ვგობზე უყარა წაბლი შიშველი —
ტყეში რომ სადღაც დარჩა ნაბადი,



უყარა შინდი წითელ-წითელი,
ჩირი, ჩამიჩი, აღჯანაბადი...

და ბროწეულიც უცხო ანანასს
უმწერდა ლალად განალიშები —
არც პოს ამბობდა თითქოს, არც არას
ლოყებ-ღაფღაფა ვით ნაღვინები!

მაინც ჩავთვალე მე ზეთისხილად
შავშავ თვალების ფრთხილი სიკეთე,
ვაქე უნაბი და გასაკვილად
ფშატიც კი, ფშატიც ვერ გავიმეტე!

მაინც შევალე შუშის კარები,
შვევდი როგორც შინ მიწვეული, —
გაშალეს ტრელი ქირმან-შალები,
დიბა-ატლასი და ძოწვეული.

და აპა, სულ სხვა თაობის ქართველს
ფუნტქვეშ გამიგეს ფართო ხალიჩა,
ოქროს ქოშების წყვილიც მომართვეს,
წყვილი ჩემი და ჩემი ქალისა.

მხარზე მომარგეს ფარჩა და სტავრა
როგორც განცდილი ძველი დიდება,
რომელმაც უკვე დღე დაამთავრა
და ახლა ჩვენში არც იყიდება.

სად იყო მაინც ამდენი დაშნა,
სათოფისწამლე და სატყეარი —
რამდენი წვეთი სისხლი დააშრა,
ჰყავდა რამდენი ღამის მთევარი!..

ვიფიქრე: იქნებ განმეორებით
აქ ფესმორთხმული ოცნებაც არი —
ყალიონებით, ყალიონებით
კვლავ სავსე იყო ძველი ბაზარი.

ახლა: სვეადი, ახლა: ზარნიში,
ახლა: წკრილა ხმა საჭრეთლების, —
არც არჩევანი, არც ანგარიში...
მხიბლაფდა ხელი ოქრომჭედლების!

და ვინც ოსტატის ხელს ეძებს ასეთს —
სიახლით მისთვის რაა ქვეყანა!
სული არ შერჩა მანქანის ნაჭედს,
არა, ამაოდ ჰყვირის მკვებარა!..

ამიტომ იყო, სტამბოლის ბაზარს
როცა შეეავლე თვალი პირველად —
ვახლდი ავთანდილს, და მულაზანზარს
სტამბოლიც ჰგავდა გასაკვირველად!



7.

ვწერ მოგზაური... გზადაგზა ალბათ
დამხვდება ბევრი რამ უცნაური.
მაგრამ არ მინდა კვლავ ახალ ამბად
გესმოდეთ წელთა აურზაური.

ვწერ მოგზაური, და ამიტომაც
თბილისის ფანჯრებჭრელი ფერდობი
სტამბოლშიც ფიქრობს ცად გადმოდგომას, —
ჩემს ახირებულ თვალს თუ ვენდობი!

ვწერ მოგზაური, და განსხვავება
ვერ გამოგია ცისა და მიწის —
ღამით აავსეს ზღვა ვარსკვლავებმა
ისევე როგორც ბათუმმა იცის.

მსურს დავიხსოვო, თუ მოვახერხე,
ყველა მადლობი, ყველა გზა-წვრილი,
შეშვიდე დღეა, ჩუმჩუმად, ხეფხეფ,
უბის წიგნაკში მიმზერს აპრილი.

მე შემიძლია მოვსტაცო წარსულს
იხსენიება რაც კი წარსულად!
სიცოცხლით სავეს ღმერთ-ქალი არ მსურს
დრო-ჟამის მტვერში ვედოს მკვდარსულად.

მე შემიძლია, როცა ნდობაა,
ვნახო ცისპირად შორი ოცნება, —
შუქის სულ ერთი გამოკრთომაა,
შემკრთალ წამწამის ერთი მოსწრება!

მე შემიძლია ვთქვა, რომ ადვილად
მგზავრი ბედნიერ წამს არ უჯერებს, —
საოცარია, მაგრამ ნამდვილად
ვესაუბრები არტანუჯელებს!..

8.

არა, არ უნდა იკითხო: — სხვა საქართველო სად არის?
— არის! — გეტყვიან ქედები ახალციხის და აჭარის



— არის! — ტალღებიც გეტყვიან, დღეს რომ შეხვედრით ღელავენ,
და გაბედულად მიჰყვებით ზღვას შენ და შენი მენავე.

სხვას, აბა, ვისღა ინატრებ, უმალ ვის იცნობ იერით, —
მოულოდნელად მიგიმხრო ღიმილით, გულისმხერით.

სხვა საქართველო სად არის? — არის! — განიშნებს ლაზურად
და იმის მკლავებს შავი ზღვაც არ ჰყოფნის გადასაცურად!

9.

სხვა საქართველო სად არის? — აჰა, გახედვე მთაგორებს —
ხან რომ თან მოგდევს გზადაგზა, ხან რომ სიშორით გაღონებს.

სხვა საქართველო სად არის, სად მიიკვლიონ ფიქრებმა?
მთა-მალალ ბურხას შიადეჟ, სადმე იქ მაინც იქნება!

არათუ ღრუბლებს ცისპირად, თვალი თუ მოჰკარ მინარეთს —
ნამლვეა მთვარეც განიშნებს იქვე, შენს ხევს და მდინარეს...

მაშ, მ ა ჭ ა ხ ე ლ ა ს გლეხკაცი სოფელს კვლავ რატომ არქმევდა,
ხალისით რატომ გააღო ყველგან თვალები სარკმელთა?!

ხედავ? ხეს ვაზი ეხვევა, დგას ოდა-სახლი, ნალია,
და კერის პირად ბავშვების ქართულიც ჩაუმქრალია.

შეკრთები კაცი, იფიქრებ: მომკლას ამ აღმოჩენამო, —
„ცოტადა სიტყვა მასწავლა სასიყვარულოდ ნენამო...“

შეკრთები კაცი, შენს ირგვლივ ჩანს ულუ-დაგის კლდეები
და შენ კი უცებ, შორეულ დღეთა აჩრდილებს შეები!

ო, ამ სასწაულს, ამ სოფელს გუმანიც აღარ ელოდა...
სხვა საქართველო შორსაა, შორსაა საქართველოდან!

10.

აბა, ძილშიაც არ გვინატრია —

მოულოდნელი თვალთგახელაა:

სოფელს გაეხედეთ დილა-ადრიან,

სოფელი თურმე მაჭახელაა!

შინ როცა სტუმრად მიგვიპატიეფს

დიასახლისიც დაგვხვდა თავაზით:

გარს ეხვეოდა ჯგუფად ხატიჯუს

შთამომავლობა ოსმან თავაძის.



დედა ცხრა შვილით დამშვენებულა
როგორ დავარქმევ უცხოს, ურჯულოს!
დროც შეგვირჩია და ჩვენებურად
ჩემს ოჯახობას სურს ეურჩულოს...

სწორედ მესამე საუკუნეა
ენატრობ ამ ბიჭის სახეს დიდებულს,
მორცხვად რომ თავი ჩაუღუნია
დედის კალთაზე ხელჩაკიდებულს.

სწორედ მესამე საუკუნეა
ამ გოგონების მშერას დავეძებ
და საგანგებოდ, ასე მგონია
აქ დამახვედრა ოსმან თავაძემ!

ლამის მუხლებზე დავეცე მგზავრი,
დავლოცო მინდა ჩემი გზა-კვალი,
ჩემს გულს ხატიჯემ აპყარა ჯაერი —
კვლავაც კერის წინ უდგას აკვანი!

და არტახებით მკლავებჩაკრული
ბიჭი თუმცადა შემკრთალი მიმწერს —
როგორც უმრწემესი შვილი ზღაპრული,
ელის, ვგრძნობ, ჩვენ რომ ველოდით იმ მზეს!

დაე, ღიმილით აიდგას ენა,
ესმოდეს ტკბილი ნანა ძილშიაც! —
ჩვენი ოჯახის ჭირი და ლხენა,
ხატიჯევე ჩემო, ამ ღიმილშია!

მეცა მყავს ტოლი — ყრმა და ზღვის იქით
უცდის ძმისწული ჩემს დაბრუნებას,
შემომგებოს მინდა ჭიკჭიკით,
და მეც ვენდობი დედა-ბუნებას!

რომ არ ვერწმუნო თვალთა იმ ციმციმს,
თვალეზი თვითონ გამიწყრებიან,
იცის პატარამ, გუშანით იცის —
ის წამი რომ არ დამვიწყებია —

როცა ღიმილით სიკეთის მდომი
თითქოსდა ფრთების გაშლას მიქებდა,
როცა მოსკოვის აეროდრომი
სტამბოლისაკენ ცის კარს მიღებდა...



11.

ბურსაში ვზივართ, მაგრამ ოცნებით
 აჭარის მთებსაც ვწვდები ხანდახან.
 ვისაც შევარჩევ ამ თაოსნობით —
 აღტაცებული დამყავს კარდაკარ!

მსურს მემლექეთი რომ ინახულოს, —
 კორტიანიძეა, ხასანი ჭქვიანი,
 და მეც ვუხატავ ქედას და ხულოს, —
 ვიცი, რომ ახლაც არაა გვიან...

თვალი ჩვენებურ კაცს შევასწარი,
 სტუმარს გავაცნო ჩემი ჯერია —
 შემევიტხება უცებ ხასანი:
 — ბედნიერია? — ბედნიერია!

საერისკაცოდ უჭრის მარჯვენა
 და მისი ოდის ჭერიც ჭერია —
 მან ააშენა, მან დაამშვენა,
 ბედნიერია? — ბედნიერია!

ნათელი დილაც შზით გაითენა,
 ეს ყველაფერი მერმინდელია,
 მწუხრშიც შემოაყვია შინ „დელი-დელა“
 ბედნიერია? — ბედნიერია!

ამბობს: ღვთისაა ჩემი სტუმარი! —
 თითქოს შორეულ სტუმარს კარს უღებს.
 ამბობს: — დაიდე აქ სასთუმალი...
 მაგრამ სტუმარი რას უპასუხებს?

ძნელი ყოფილა გათიშვა, ერთად
 ვერ გვიფიქრია, ვერ გვიმღერია!..
 და მასპინძელი კი დაგვიბერდა,
 ბედნიერია? — ბედნიერია!

თავს უყრის თავის მუჭულ-ბუჭულებს
 ერთი ოჯახი, ერთი კერია
 და ცეცხლის ალიც ალს უჩურჩულებს:
 ბედნიერია! ბედნიერია!

ფიქრთმოსაკრებად მოსწევს ყალიონს,
 იტყვის: — როდესაც ერი ერია
 (და უმალ, რომ არ დაიხვალის,
 დასძენს:) — სოფელიც ბედნიერია!



„ბედნიერია“ — ფიქრობს ქასანიც
თანატოლივით მდგარი მხარდამხარ,
მაგრამ ოცნება ვიციტ რაც არის...
კარსაც ვერ აღუბს ძალით ხანდახან.

12.

ისევ შევეუნთოთ ცეცხლი ამ ბუხარს,
შევეუნთოთ ცეცხლი ფიქრებს, ხასანო,
ახლა, ნურც ისე დამწუსრებულხარ,
ამ ორი სიტყვის თქმაც არ მაცალო!

ვინ გაპყო ორად ჩვენი წუხილი,
და სიხარულიც ვინ გაპყო ორად! —
თუ? გაზაფხულის შორი ქუხილი
შენც მიგაჩნია, ხასანო, შორად!?

არა, ფიქრით ღრუბელი ღრუბელს
ცაში ამოდ როდი შეხლია, —
სადმე, აჭარის მთების გადაღმა
კვლავ შენზე ფიქრობს შენი სეხნია!

ნეტავ განახა, როგორ დაიწყო
ჩვენი ბრწყინვალე ათასწლეული, —
ნეტავ განახა „აჭარის-წყალი“
განმანათლებელ შუქად ქცეული!

ნეტავ განახა მთების გულმკერდი,
სავესე ნარინჯის ოქროს მედღეებით,
ნეტავ განახა, ჩვენს ახალ დღეებს
თუ როგორ სჭედენ ჩვენი მჭედღეები!

თავისუფალი ხალხის ხალისი
გმირობად იქცა, გამბედაობად, —
ერთიანობა გასახარისი
დარაზმულია მრავალ თაობად!..

13.

ორმოცდაათი წელიწადია,
სამშობლოვ ჩემო, სამშობლოვ ჩემო,
ფრენოსანივით ჩემს გულს სწადია
შემოუაროს შენს მთებს გარშემო!

ვაჰ, თუ არ მეყოს დღე და ბურსელებს
გულისხმიერად ვერ ვესაუბრო,



სხვა კი სამშობლოს ვინღა უხსენებს!..
და ჩემი დარდი ესაა უფრო!

აპრილის მყუდრო საღამო დგება,
ოცდაორია აპრილის სწორედ!
და აპა, ჩემი ქებათა-ქება,
აქაურებო, აქვე ასწონეთ!

ასე მგონია, ხელთა მაქვს სარკე
ყოველ სიტყვაზე უფრო გულწრფელი,
ცალკე აქ ვჩანვარ აგრე, და ცალკე
ჩენს დაშორებულ სახლკარს ვუცქერი.

აქ როცა უცხო და უცაბედი
დღე მიიბინდა როგორც ზღაპარი —
გაპკრეს ბებრებმა ბნელს კვესაბედი
და იწვის ლანდებშუა ლამპარი,

არ შეიძლება ამ წუთს არ ენდოთ —
ისე შევგუფდით ამ ერთ სარკეში,
ვეღარ ვძლებთ თითქოს უერთმანეთოთ
შებუდრებულნი სიაგვარგეში...

თუმცა არ მომწონს თქვენი ფერ-წყალი —
თქვენს ამ საღამოს არ ვემდურები, —
ვხედავ, არ ცვივა წყალს ნაპერწყალი,
არ დაგვენათიან ელნათურები...

შორს კი სიძლერით დადის ჩემი მზე
და ჩანს დროშების ფრიალ-ფრიალი,
დიდი აპრილის ამ დიდ ზეიმზე
ერთი მეცა ვარ თეთრ-ფაფრიანი!

ხალხს მოედანზე ეძახის ბუკი
და მე ბურსაშიც კი მიხარია,
რომ ოცდაორი აპრილის შუკი
ღრუბლებგადაყრილ მზის ცისკარია...

14.

მე არ ვენდობი სიტყვას გადაკრულს,
არც მჭადაგებლად ვარ მოგლენილი,
მაგრამ არ მიკვირს, თუ გულ-დაჩაგრულს
გაახსენდება ამ დროს ლენინი.

მგკითხებიან, თუ რა ხნისაა
კაცი ავბედთან მკაცრად ნაბრძოლი, —



და ვუბასუხებ: — ახი წლისაა,
ასიათასი წლის წინამძღოლი.

დღე, რა გრიგალმაც გადაგვიარა —
როცა დღეებმა წარსულს გაგვთიშეს,
ესმოდეს მხოლოდ ხასანს კი არა —
ოსმან თავაძეს, მამედს, სატიჯეს!

ჩემო კარგებო, მოწმე ვარ მე თვით,
წარუშლელია კვალი იმ წელთა
გაჩენის დღიდან ჩუმრუმი ფეთქვით
გული რომ გულის ფიცარზე წერდა.

ისე ვით ახლა, სიჭაბუკაში
ნაპერწყლის პირველ გაღვივებისას —
ვინც იყო ჩემი ხალხის ნუგეში —
შუქიც ის იყო გაღიმებისა!

წყვდიადი გულის ცეცხლით დასდაგა
და აღტაცებულთ არ მოგვაგონდა,
რომ ისიც კაცი იყო კაცთაგან
და მხოლოდ ერთი სიცოცხლე ჰქონდა!

ეთქვა და სუნთქვას ჩვენ მივაწვდიდით,
სულს მივაწვდიდით, შევძლებდით შევლას! —
მან კი თავისი სიცოცხლე დიდი
გაგვინაწილა თანაბრად ყველას!

მისი უჭრობი ცეცხლი მეცა ვარ,
მისი ნაპერწყლის მეთასხედი!
ვერცერთ მწვერვალზე ისე ვერც ავალ,
დღეს რომ არ მჭონდეს რწმენა ასეთი.

ჩემი მარჯვენაც ხალხის მომაგალ
ბრძოლისათვისაა გადარჩენილი...
მე ვიცი მისი სუნთქვა რომა ვარ —
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს ლენინი!

15.

წასვლის დროც დადგა და, რაღათქმაუნდა,
თავს გვიხრის სოფლის თავკაცი მამედი,
ვგრძნობ, გულის სიღრმეში კვლავ ახმაურდა
სიტყვა რამ, უთქმელი და უცაბედი:

— ჯაჭვი თუმც კისერზე დაგვიდეს, მამედ,
ხელუწლებ ჯინჯილად ვით მამასახლისს, —



სტუმარს ნუ ჩამითვლი, გთხოვ, სითამამედ —
ვიკითხო: რა ჯურის კაცი ხარ, რა ხნის...

სხვა დღეა, ბატონო, სხვა საუკუნეა,
მანქანის ყვირილი აწყდებდა კარებს,
ურმის ღერძი კი ტვირთს გააღუნია,
აღმართზე ბორძიკით ძლივს მიაქვთ ხარებს.

ისევ ის ნიშა! ისევ ის ნიკორა!
გზა-ვიწრო ზეგანი აყალო-შიწის...
ისევ ის „იყო და არა იყო რა“,
რომელიც ბავშვმაც კი შეპირად იცის!

მაშ, კიდევ რამდენი სამასი წელი
ვუცადოთ სვე-ზედი თუ რას გვიპირებს! —
სათიბზე აქ ყოველ წელს ელავს ცელი,
სათიბო მაინც ბიბინებს... ბიბინებს...

მაშ, თაფი არ დაედო? მაშ, არ ვლელავდე?
ცად ისე ხალისი რად აღმიტაცებს!?
ამ მაჭახელადან იმ მაჭახელამდე
სიტყვა რად გაეუბი ჩემს სახლიკაცებს!?

რა ხდება ცის იქით, რა გუგუნია?
რა ლამე ჩაქრა და რა დღე ანთო?...
გახედე, მამედ, სხვა საუკუნეა,
გახედე, ჩემს ლიტონ სიტყვას არ ენდო!

გახედე შორეულ ალევებს ტანადებს,
სადღაც რომ შერჩნენ მთაგორებს უშენოდ...
სიახლე ხალხის მომავალს ანათებს,
ახალი სახლკარი გვსურს ავუშენოთ!

აი, როგორი იმედის კაცი ვარ! —
და როცა იმათებრ მკლავს ვიკაპიწებ,
დღის ნაპერწკლები მეც მხრებზე მაცვივა,
მოდი, მაშ... მესტუმრე... შეილებს გაფიცებ!..

რა ეჭვი შეგბოჭავს ვაჟკაცს, რა რჯული,
დოლსა და ჭიბონს როკვით რომ არ აპყვე —
ცას მაინც კიჟინით ხვრეტს კრიმანჭული, —
თუნდაც გაუვალ კლდეებით ჩარაგვე!..

არა, ეს ჭადილი არაა, არამედ
მასპინძლის უბრალო თხოვნაა, ბატონო,
თუ ჩემი ქართული გაიგე, მამედ,
თავმოშწონეებს არ მიმატოლო.

პასუხად მე შენი ღიმილიც მყოფნის,
ჩრდილები სახეზე მიმალ-მომალა...
მოსახლევ-მგონიხარ იმ შორი სოფლის!
ეგ მამასახლისის ჯაჭვი რომ არა...

16.

მე სადღაც, ბურსის ხიდ-გალმა, წისქვილს
მინდზე დავუდე ეს ოთხი კწკარი,
იქ, სადაც ცინცხალ წვეთებს ცად ისვრის
მისი პატარა აჭარის-წყალი:

„მე ხარეველა ვით მოგარნახე
არ უკაკუნებს ჩემად განა გულს? —
ჩემი სალამი რაც თვალით ფნახე,
ჩემი იმედი თვალით არნახულს!“

17.

აჰა, წარმართთა ცად აწვდილ ტაძრის
დიდება ნაცარ-ტუტად ქცეული,
სადაც უდაბნოს ქარივით დაძრწის
სუნთქვა — პერგამის მთას მიღწეული.

ქვასაც ეტყობა აქ თავგანწირვა,
ვერ იტყვი — გული არა სტკენია,
უსახიჩრებდა ნაკვთებს ქარწვიმა
და აწ ოცნებით აღსადგენია.

მაშ, გიხაროდეს შენც შენი ხვედრი
სურვილო, სული თუ მოიკრიბე, —
ვით პერგამენტის გრაგნილი თეთრი
დაეშვა ციდან პერგამის კიბე!

მაშ, უიმდროოდ, უიმწარმართოთ
მარმარილოთა მთები დასძარი —
სურვილო ჩემო, რომ ცად აემართოთ
ზევსის დიდება, ზევსის ტაძარი!

იქნებ აენტოს ქვის კერა ისევ,
და გავიგონოთ ქვისმეტყველება,
იქნებ ხელახლა ვიხილოთ, მზისებრ
უზენაესად ვინც გვეჩვენება.

ყველა მიწისძვრა, ყველა ლაშქრობა
ამ საკურთხვევლს ემუქრებოდა,



როგორ მოასწრო სისხლმა აწრობა,
ხანძარი ხანძრით როგორ ქრებოდა!

სადღაა, სულო, ის მოქანდაკე
მიწა რომ ერთხელ ცას აუჯანყა?
როგორ დაამხო განგებამ, დახე,
შენც იქ მოარულ ჩრდილივით ჩანხარ!

ო, არა! პირქვე დაცემულ რწმენას
ვერ აღამალღებ, სულო, ვერასდროს,
ზე არ აპყვება შენს აღმაფრენას,
არა, ამოდ არ მოგენატროს!

დრომ, ახალ დროთა წინააღმდეგმა
ჩაახშო ბნელში მგზნებარე ალი,
და აწ ჩუქურთმის ცივმა ნატებსმა
სად გაიმთელოს თავისი ძვალი?

ჩამკვდარა წლების წილადობილა,
ქვეშ მოპყლია ბოროტს კეთილი,
თუმცალა ზვესის მკლავი ყოფილა
ქვის ამ ნატებში გამოკვეთილი...

18.

შეკყარე ჯოგი ჯონქა ხარების
პერგამის მთაზე მდგარო ტიტანო,
წუთი ლიმილის და მწუხარების
მსურს პერგამენტზე გადავიტანო! —
შეკყარე ჯოგი!..

შენი დუდუკი ესმით ჭედილეხს,
შენს ფერხთით თეთრი ფრკემლებია,
შენებრ ერთ ქვაში ამოკვეთილებს,
ვერძებს ვერძები ვგებებიან! —
შეკყარე ჯოგი!..

ჩაავლე ხელი რქებში, დაკალი,
გაუწყვრ, გული რომ არ გატყინოს,
რომ ხარის ტყავი ახალთ-ახალი
კოჭლი დაბალის მუხლმა გადგინოს!

აუნთე გული ქურებს, შეპარვით
სუნთქავდნენ გუდა-საბერველები,
რომ ტყავს აწრობდნენ სულის შებერვით
დღვის ყბებივით საკვირველები.



ცეცხლზე შედგმული წყალი ადუღდეს,
კვამლი ებუროს გაალულ ჩრდილებს,
ხორცი პირღია ქვაბებს გადუგდე,
რქები — სიმღერით ხელგამოწვდილებს!

ხოლო ქათიბი ბეწვგაწმენდილი
ჩემად ჩათვალე, მწყემსო ტიტანო,
ერთხელ მეც მინდა ფიჭვი კეთილი
ვრცელ პერგამენტზე გადავიტანო.

მერე კი აღსდგეს კვლავ აკროპოლი,
აღსდგნენ ღმერთები ცისა და მიწის!
მერე მოვიდეს დრო დამპყრობელი
გამტეხი ქვის და გამტეხი ფიცის!

მერე მოვიდეს თუნდაც პერგამის
ბატონ-პატრონად კეისრის კაცი,
ბედნიერ დღის და ბედნიერ ღამის
აღსასრულივით ხარბი და მკაცრი.

მოვიდეს, დაე, ჩემს გასაქურდად,
თქვას, პერგამენტის ღირსად ვისა თვლის, —
მე არ ვინაღულებ, ვიცი რომ უნდათ
ეგვიპტის ლამაზ დედოფლისათვის!

19.

და ახლა, როცა ჩემგან კეისრის
საჩუქარს იღებს მზე-დედოფალი,
როცა თურქეთის მიწაზე მიჰქრის
ჩემი მანქანის ჩქარი ბორბალი —

მე ვხედავ, ვხედავ, როგორც ამ ბორცვებს —
თხრიან შორეულ ვანის მიწასაც —
და ალბათ უფრო ის დამიმოწმებს
ერთხელ პერგამმა რაც გაიტაცა!

იტყვი: — საიდან სადაო! — იტყვი,
მაგრამ სადავო სადავოდ რჩება:
ტვირფასი ვანი, სტრაბონის სიტყვით,
დაკარგა მაშინ სამშობლომ ჩემმა!

ვანის მთა. ვანის ქალაქი იწვის —
მდიდარი, მტკიცე და უძლეველი,
ინგრევა ფუჭე ცისა და მიწის,
ღმერთების დიდი საკურთხეველი!

იწვის კოლხეთი, იწვის წარსული,
ის რაც იმედად მე დავისახე —
დაქცეულია და გაძარცვული,
შიაქვთ ნავეებით პერგამისაკენ!..

რამდენი ციხე იცავდა რიონს,
რამდენი მოყმე, რამდენი ღმერთი,
შაგრამ რომ დასწვას და დაანგრის —
საკმარისია ლალატი ვრთი!

პერგამო, აკი რაც გაიტაცე,
იქ რაც თვალთაგან გაქრა შენ გამო —
მინც არ დარჩა აქ, შენს მიწაზე,
სხეებმა მოგტაცეს იგი, პერგამო!

სადაა კოლხი ქალის საყურე,
გულის წარმტაცე საუნჯე კაცთა! —
რომელი ცივი ლოდით დახურე,
რომ ჩემს დრომოკლე ცხოვრებას აცდა!..

ჰე, წინაპრებო, რად მოიგონეთ
ქამთასვლა ჩვენდა გასათიშავად,
რად განაშორეთ შორეთი შორეთს,
ჩემმა ბავშვობამ რა დავიშავათ!?

ვამაყობ... ან რა დასამალია
თუ მეც მაქვს ჩემი საგალობელი —
დღესაც რიონის გაღმა ვანია,
გამოღმა ჩემი ტყე და სოფელი!

დღესაც ვიგონებ: აქ სათვეზაოდ
რომ გამიყვანდა ხოლმე ბორანი —
წუდებოდა მთელს ჩემ სანათესავოს
გუბედ დამდგარი „ნარიონალი.“

ვანის ტაძარო, ნუ გამიწყრები,
არც მე ვიციოდი, არც შენ ინდომე...
და აი, ვანის ხუროთმოძღვრები
ჩემს შეცოდებას არ შეინდობენ!

ფეხებშიშველი ყრმა რას დაეძებს —
როდის დაიწვი, როდის აშენდი! —
ძველი ქვიტკირის ნამსხვრევე-ნამცეცებს
ხელში კენჭებად ვათამაშებდი!

და მხოლოდ ახლა მივხვდი რაც არი...
გამოსაცნობი არაფერია, —
ჩამქრალი ცეცხლის ცივი ნაცარი
ისე ვით პერგამს — ვანს დაფენია.



ქვათა სიცოცხლე და სიკვდილი ვისაც არ სჯერა —
აქა ხეთები! სადარბაზო ტვიფრი. წარწერა.

ეს არც ანკარის არის აბრა და არც ამ კარის —
ესაა მძაფრი ანაბეჭდი ან მზის ან ქარის,

ანდა კლდეებზე შერჩენილი ჩვენი ლურსმული:
კარდიოგრამა გაქვეავებულ გულის კანკალის!..

ლალი თმა-წვერი არეუბრთმებს ქვას ლომკაცური
და იქვე ლომის ნახტომია ამოკაწრული.

დგას ლომი ლომთან ტალავარში, დგას ხარი ხართან, —
წარმართი პაპა გამახსენეს, და გამიხარდა!

გულს უკვე გიდის ვანმარტება ვერ გამიგრძობს, —
ადრეც ვიცნობდი ქვის ამ ხარებს მიწამიყრილებს.

მცხეთის მთებიდან, ბაბილონის გავლით, ხეთამდი —
იმით კვალს მრავალ ათასი წლის წინათ ვხედავდი...

და ვით ეს თიხა გამომწვარი, თიხა მწითური,
ახლა ამ ტერქვეშ ნადავლივით შემოზიდული,

ჩვენი ნაძერწი ჭინჭილები, ჩვენი ტურები,
ღრუობის შემდეგ ომის ცეცხლით შერუჯულები,

ვაზის მტევნებით მოხატული ღვინის ფიალა —
ლხინს და სიცოცხლეს ცად აწვდილი რომ ეტრფიალა.

აქ ისე როგორ დაამსხვრია ერთხელ დროებამ,
როგორ დამარხა საუკუნოდ საწუთროებამ,

რომ ქვეყნად მიწა აღარაა — სადაც არ ეძებს
დანატრებული კაცის ხელი იმის ნაღევებს!

ერთი ნატები მეც ხელთა მაქვს, და ვით ხეთური,
ჩემი სილალეც შეიწწნარეთ ლიხთიქეთური:

ხეთამ რომ მცხეთა გამახსენოს, ანდა კახეთი,
ხეთის, კოლხეთის და მესხეთის გადასახედი —

გასაგებია ჩემი წუთიც ამ გახარების —
ისე, ვით ქვაში მომწვედელი სუნთქვა ხარების...



21.

გზამ დამალა. ვეშურები კვლავ სტამბოლში დამალამდეს.
ცხრა ათასი მეჩეთია, გზად რომელი მთვარე მყავდეს! —

არც არავინ არ შემდურის, არც არავის არ ვემდური,
დავბდექი თავზე ქალაქს როგორც მგზავრი გაბედული...

სხვა რა ზეცა გადავხატო, სხვა რა ფიქრი მომაგონდეს —
დავხურავდი ამ წიგნს ერთი ლექსი კიდევ რომ არ მქონდეს:

შვილს ფრანგულად ზრდის ქართველი მართლმორწმუნე მამა ტაძრის,
გზად შემოხვდა კორტანიძე, უცებ, სიტყვის თქმას არ აცლის! —

და მართალი გითხრათ, ერთობ გამაოცა სისასტიკით, —
ამ ქველმოქმედ კაცს იცნობენ სტამბოლსა და სტამბოლს იქით,

სასოებით წმინდა ნინოს ფრესკის გადამხატველია...
მაგრამ შვიდი შვილის მამა კორტანიძე ქართველია, —

ჰკადრა მაინც: — გამიგია გონჯავ, შენი ვერაგობა,
და ამ ცოდვის გამოსყიდვას ვგ სიმდიდრე ვერ ეყოფა!

გაქრეს, ხალხს თუ უღალატებს მდიდარიც და ღარიბიცა! —
თქვა ეს შვიდი შვილის მამამ და მაჰმადი დაიფიცა.

ვერწმუნები! თუმც არა მწამს არცა ჯვარი, არცა მთვარე, —
რა მაცოცხლებს, შვილი ჩემი თუ მე ჩემად არ ჩავთვალე,

ვინ ვყოფილვარ, თუ სიკვდილით გაცოცხლებას კვლავაც ველი,
კაცი ენა წართმეული არც ფრანგია, არც ქართველი!

ან რომელი ღმერთი დამსჯის, ან რომელი ბედის-წერა, —
კორტანიძის სიმართლეში რასაც ვხედავ — მეც ის მჯერა,

მორწმუნენო, ოღონდ ხალხის სიყვარული იქცეს რწმენად
და ამ ქვეყნად ჩვენც ვიცოცხლებთ, ჩვენც ვიცოცხლებთ,
მწამს გულწრფელად!

22.

სტამბოლი. ქართველ კათოლიკეთა
ეკლესიაში ვწერ ამ სტრიქონებს.
მზემ ვიწრო ტრილში ჩამოიხვდა
და ისიც საბა-სულხანს იგონებს!

მე ცხელი ცრემლის კვალი მინახავს,
ენდო ხელნაწერს, ძველი წესია.



და მაინც სხვაა, რასაც ინახავს
ისევ სტამბოლის ეს ვკლესია!

იქნებ წარსულმაც გამოიგლოვა
და აწ ხსოვნაა თვით სიმწუხარის:
ხან ვინ დაჰკარგა, ხან ვინ იპოვა
„მოგზაურობა“ საბა-სულხანის!

რომ გადავფურცლო ჩემი ჯერია,
მაგრამ შემკრთალი ვარ და ვუცქერი:
საბას ხელნაწერს არ შერჩენია
არც ბოლო პწკარი, არც თავფურცელი!

ო, არა, ბოლო პწკარმაც არ იცის
სად აღესრულა საბრალო საბა.
უცხო ცისაა და უცხო მიწის
ის დარდი, რამაც დღე მოუსწრაფა!

გაწამებული მამა ჩვენს მამულს
სხვა ჯერ ასეთი არა ჰყოლია!
ვამს არ ესმოდა გაჩანაგებულს,
მაგრამ დღეს ჩვენთვის გასაგონია...

ფრანგთა ქვეყანა, რომი, სტამბოლი,
ან რისთვის ენთო, რისთვის ქრებოდა!?
მართლმორწმუნეთა ღმერთთან ნაბრძოლი
თუ მიწას უნდა მიჰბარებოდა!

‘მე ვერ გავბედავ — დაშურა ამოდ!’
ვთქვა და ეს ძველი წიგნი დავჭურო.
დღესაც შენს თითებს ვკოცნი, მამაო,
დღესაც შენ გწყველი ბედო ავგულო!

და ჩემს შეკრთომას ნუ გაიკვირვებ,
ნუ გაიკვირვებ საბავ, სულხანო, —
მე ვერიდებდი, არ მკითხოს ვინმემ
სტამბოლს შენ მაინც რად მოსულხარო!..

რას მიგვიხვდება (ისე, ვით მაშინ)
ვინმე მუხლმოყრით ისევ მცოცავი, —
ჯვარცმაზე მალლა, იმედად ცაში
რა შექი გვიდგას, რა სალოცავი!

დღეს ვტოვებ სტამბოლს, პერგამს და ბურსას...
ერთი გაფრენა — და შინ ვიქნები!
ზღვის წინ აქ, წამით შერგრებულსაც
ყრუდ არ მტოვებენ ჩემი ფიქრები.

ეს მართლაც ქვეყნის სილამაზეა
და არა ზღვათა დაუდევრობა:
მიწის ერთ ნაპირს კქვიან აზია,
მიწის მეორე ნაპირს — ევროპა!

ბოსფორმა ღელავით გაავლო ზღვარი,
სადღაც კი ძველი ცეცხლი ანთია —
ცად ოქროს მთვარე და ოქროს ჯვარი
სტამბოლს ერთბაშად აუმართია!

შევყურებ ცისფერ მეჩეთის მთვარეს,
შევყურებ წმინდა სოფიის გუმბათს...
და მაინც ღმერთი ვერ შემაყვარეს —
ვერ დავთმობ ცოცხალ სულს დასალუპად!

მე ჩემი ბედი ვანდე სხვა ვარსკვლავს,
ვიწამე მხოლოდ სიმართლე კაცთა.
უცხო სტამბოლის უცხო ქარვასლას
ჩემი ქარავნის გზა-კვალი აცდა.

ვცდილობ კვლავ აღარ მიმტყუნოს თვალმა.
მაგრამ რაღაა სიმშვიდე თვალის:
უცებ ღრუბლები გაჰკვეთა ჯვარმა
იქ სადაც ჩანდა ციალი მთვარის!

ო, ამ სასწაულს ნუ გავუწყრებით —
(აკი არც ვიცით, არის თუ არა!)
ჩემს წასაყვანად, გაშლილი ფრთებით
ცას „ტუ-104-მა“ გადმოუარა.

ცა თვითმფრინავით გაკაწრული ვის არ უნახავს,
ზღვის შუაგული გემით ვის არ გადაულახავს! —
ბილიკიც მინდა გაიხსენოთ ციცაბოების —

სადაც ღრუბელი ჯამბაზივით თოკზე ეკიდა
და სადაც სოფლებს მინარეთით მინარეთიდან
სტრიქონიც მისწვდა ქამანდივით ნასროლ პოემის!



თუმცა შორს იყო საქართველო, შორს იყო ყველა
ვისაც შეეძლო მეგობრობა, შეეძლო შეველა,
მაინც გავბუდე შორეული სიმართლე მეთქვა!

თორმეტი დღის და უვარსკვლავო თორმეტი ღამის
დიდი სიჩუმე საქარცეცხლოდ გაეწირო ღამის —
აჰა, მეტყველი ფიქრი ჩემი და გულის ფეთქვა!

თორმეტი დღის და უვარსკვლავო თორმეტი ღამის,
მუხლმოწყურელი მოგზაური ბურსის, პერგამის,
სტამბოლისა და სასულთანო კარის მნახველი —

ყოველთვის, როცა საოცნებო დროს ხელთ ვიპყრობდი
ჩემო საშობლოვ, განუყრელად შენზე ვფიქრობდი,
შენა ხარ ჩემი სიხარული, ჩემი ნაღველი.


და ამ პოემის ერთადერთი გმირიც შენა ხარ,
შენი წარსული და მერმისი რომ დამენახა —
კიდით-კიდემდე მოვიარე ცა და ქვეყანა!

ვნახე სვე-ბედით მედიდური, ვნახე ჩაგრულიც...
ბავშვი, აკვანში არტახებით მკლავებჩაკრული
მსურდა მე შენდა საზეიმოდ ხელთ ამეყვანა!

ჩემო ქვეყანავ, ჩემო დედავ, ჩემო ქალაქო, —
მზად ვარ ავსწიო ცა და მთები გადავალავო,
მტრად რომ არ დარჩეს მღვიმეებში ვინმე მზებნელი!

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აჰა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი
სიმღერით ყველა განთიადის გამღვიმებელი!

აქ დამხედა შენი გაზაფხული ფაფარაყრილი
და ეს ხომ ნიშნავს განახლებას, ძალთა მატებას! —
ისევე როგორც დიდი შუქი, დიდი აპრილი
ასი წლის წინათ ამომავალ მზის დაბადებას!



მუშაობით, უსიარო ტყეაბო!

რ მ ა ნ ი

— იცნობდეს მერე.

— შენ რა გიჭირს. ომი ასე დამთავრდება თუ ისე, თავი ქუდში გაქვს. დაჯრავ ფეხს და მოცოცხავ აქედან. მე და ჩემისთანებმა კი რა ვქნათ? სად წავიდეთ?

„აჰა, უკვე სხვაგვარად აჭიკჭიკდი? უკვე ჩაგიდგა შიშის ზარი მუცელში? აღარ გჯერა შენი მფარველების უძლეველობა და გასაძრომს ეძებ? უკვე ეძებ? ვერ მოგართვი. სად წაუნვალ ხალხს, მეზობლებს? ჯერ ჩემთან : აჯკ პასუხი. ჩემი ბიჭების სისხლი გაცხია ხელებზე“.

— ომამდე რას აეთებდი? — კეითხე.

— ციხეში ვიჯექი! — მიპასუხა ამაყად. — მამაჩემი მთელი მისი სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა. შეძლებული ოჯახი გვექონდა, მაგრამ ყველაფერი წაგვართვეს და მათხოვრებლად გადაგვაქციეს. მამაჩემი დახვრიტეს. მე შური ვიძიე მამაჩემისათვის, ოჯახის ამოგდებისათვის, ჩვენი მიწებისათვის. ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სახლში მივადექი და ჩავაძალღე. მაგილიოვში დამიჭირეს, ისევე

აქ ჩამომართიეს, ბოგუშევსკში გამასამართლეს და ოცი წელიწადი მომარტყვეს. ციხიდან გერმანელებმა გამომიშვეს. ჩემს შურისძიებას ახლა სარბიელი მიეცა. ბევრზე ვიყარე გულის ჭავრი და კიდევ ბევრს გავგზავნი მამაჩემთან. მთავარი მაინც ცურანია. სანამ იგი ცოცხალია, ვერ მოვისვენებ. მამაჩემს უნდა დაეჯალა საფლავზე. ისე, როგორც გერმანელებმა დააკლეს პოლიციელი სამარეზე თავის ამხანაგებს. ცურანის სახელს რომ გავიგონებ, ცეცხლი მეკიდება გულზე. ღამეები არ მძინავს. იანოვოშიც მის გამო ჩამოვედი, მეგონა დაიქერდნენ და მინდოდა ჩემი ტყვიაც გაყოლოდა იმ ქვეყნად. აჩუ, აჩუ. შე პატრონ საკვდავო!

— შორის შეეძლო ცურანის აყვანა, მაგრამ...

— არ მოინდომა?

— არც მოინდომებს. იგი ორ ცეცხლზე იწვის. ეშმაკმა არ იცის ვის მზარეზეა. ეშმაკმა არ იცის, მაგრამ მე...

— არ მგონია ბურგომისტრი მერყეობდეს. იგი ხალხს სძულს, ერთგულების ყველაზე უტყუარი საბუთი ესაა ახლა.

ნეტავი რამდენი დარჩა ბუღამდე?

ორშა-ვიტებსკის გზატკეცილამდე უნდა მოვასწორო, ამაზე უკეთესი მომენტი როდის შექნება?

— რას წრიალებ? — მოიხედა.

— შემცივდა. მათრაბი არა გაქვს, გადაუქირე მაგ ჯაგლავს. დაგვათენდება.

— რა გეჩქარება?

— არ მეჩქარება, ფეხები გამეყინა.

— სიმღერა იცი?

— რა ღროს სიმღერაა?

ოდნავ ინათა. ცა დავინახე, მუჭი. ნაცრისფერი ცა. მან ნაპურალს გადახედა და წაიღიღინა.

„მინდვრებო, მინდვრებო, საყვარელო მინდვრებო, მენატრება მიწის სუნი, თავთავების ცქერა მენატრება“.

— მეც მცია, — თქვა. — ტანშიც მზარავს. ღამის მეშინია. ღამე თვალბში რომ ჩამხედავს, ვიბნევი და ვკანკალებ. მამაჩემი კი მეტყობდა, სიბნელეს თვალს თუ გაუსწორებ, კაციც მაშინ გქვიანო. მე კი ღამის მეშინია, ღამეს თვალს ვერ ვუსწორებ და, მაშასადამე, კაციც არა ვარ.

— შენ ძალი ხარ! — დავიდრინე და რევოლვერი ვიჭერე.

ხელები გაუშეშდა, წამით თითქოს მოკვდა, გაცივდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით. ელვის უსწრაფესად დაადგო აღვირი და უნდოდა ხელი აეტრიალებინათვის ეტაცნა, მაგრამ მე ამას ველოდი. აეტრიატს დავწვდი, ვისროლე და ფორანიდან ჩამოვხტა.

უკვე კარგა გაათენებული იყო.

— ჩამოდი ძირს! ხელები ასწიე! ასე, არ გაინძრე და მისმინე, მინდა ჩემი სიტყვები ჩაგყვეს მიწაში, მინდა სიკვდილის წინ იცოდე ვინ ვარ.

გახსოვს, ტბის ახლო ვერმანელები რომ დაგვასხი თავზე? ნაგანშემართული რომ მიუძღვოდი ფაშისტებს? იმ ბიჭებთან ვიდექი მეც. მათი დაზოცვისათვის უნდა ვანთხევირო სისხლი ახლა. ისიც ჩაგყვეს შხამად, რომ პავლე შორობი კაცია, ამ მიწის ერთგული შვილია და არასოდეს თავის ხალხისთვის არ უღალატნია. მოკვდი შენი... — სასხლეტს თითი დავაპირე და ხუთჯერ

ვესროლე. დაცა. მკვდარი ფორანზე ავათრიე, აეტრიატი მოეძვრე და ისიც ფორანზე დავდე. მერე მტე-მტეცტმ და ცხენს შეევძახე. ახლა კი აუჩქარა ფეხს ცხენმა.

ორშა-ვიტებსკის გზატკეცილს რომ დავუახლოვდი, ფორანი შევაყენე, გზაზე გავედი და მივიხედ-მოვიხედე. არც ორშიდან, არც ვიტებსკიდან არავინ ჩანდა. ფორანზე აღარ ავსულვარ. აღვირი დავითრიე, დავქაჩე და ფორანს გავყვეი. ფორანი ვიტებსკის მიმართულებით წაიყვანე. თითქმის მთელი კილომეტრი გავიარე, მერე ცხენი ფრუტუნით გაყვა გზატკეცილს.

ვიდექი გზაზე და ვიტებსკისკენ მიმავალ ფორანს გავცქეროდი. ფორანი მალე თვალს მიეფარა.

სწორედ ომის დაწყების წინა დღეს გადასცეს ოლია კარპოვიჩს სიმწიფის ატესტატი. უნდოდა ამხანაგები შინ მიეწვია, უბრალოდ მაინც აღენიშნა ეს დღე, მაგრამ მოულოდნელად გაუხდა დედა ავად და ყველაფრის ხალისი დაჰკარგა. ოლიას გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი განაყოფა მინსკში მიეღო, პედაგოგი გამხდარიყო და მთელი სიცოცხლე ბავშვების აღზრდისათვის შეეწირა.

ფაშისტების თავდასხმა რომ დაიწყო, იმ დღით ოლია დედის საწოლთან იჯდა, ავადმყოფს რძეს ასმევდა.

იმ დღეს დაბომბეს მინსკი, ვიტებსკი, ბოგუშევსკიც. ბომბი სკოლის შენობას დაეცა და დაანგრია.

ოლქის ოკუპირების პირველ დღეებშივე მოსახლეობამ ევაკუირება აჩნია.

კარპოვიჩები საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობდნენ. წასვლა დედაშვილმაც გადაწყვიტა, მაგრამ დედას სიარული უჭირდა, ძლივს წამოდგა საწოლიდან და იქვე ჩაიკეცა. ოლიას შეეშინდა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ვზას ხელცარიელნი ხომ ვერ დაადგებოდნენ, თან ტანსაცმელი და მცირეოდენი საგზალი ხომ მაინც უნდა წავლეთ.

ოლიას დედა, შუახნის, ჩია ტანის ქალი თავს იმაგრებდა, შეილსაც ამხნევებდა, არაფერი მიჭირსო, ვიტებსკამდე ჩავიტან სულს და მერე ღმერთი შეგვეწვიავო. ნივთებს ალაგებდა, ტანსაცმელს ფუთაში ტენიდა, ხოლო რისი წაღებაც არ შეიძლებოდა, ერთადერთ კარადაში კუჭავდა. სიმწრით მოყვანილი ოჯახის მიტოვებას სიკვდილი ერჩია, მაგრამ მთელი რაიონი აყრილიყო და უმეზობლოდ ხომ ვერ დარჩებოდა.

ხალხი ზრიალებდა, ყაყანებდა. ზოგს ფორანი ეშოვა, ზოგს ურცია, ზოგსაც პირდაპირ ზურგზე მოეგდო ფუთა და მინც იქვე ტრიალებდა, თითქოს ვილაცს ბრძანებას ელოდა. ოლიამ ტოპრაკში პური და ნაზამთრი, უკვე შეყვითლებული ღორის ქონი ჩააწყო. ორად-ორი კაბა ჰქონდა. ერთი ჩაიცვა, მეორე შეახვია.

თითქოს მორჩნენ, თითქოს მზად იყვნენ წასასვლელად და მინც ოთახიდან-ოთახში დადიოდნენ, ერთმანეთს თვალბეჭდში უსიტყვოდ შესცქეროდნენ, ხომ არაფერი გვავიწყდებაო. მერე ორივენი შეკრულ ფუთებთან ჩამოსხდნენ და ერთ ხანს ქუჩაში ბავშვების ტირილსა და ხალხის ყვირილს უსმინეს.

უცებ ოლიას ქუჩაში გავლა მოუწია. ბევრი არ უფიქრია, წამოდგა, დედას დაუბარა, ამ წუთში მოვალა, აყოცა კიდევ და ჰიშკართან მიიბრინა. ვილაცამ დაუძახა, რაღას უცდითო, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ჰიშკარი გამოალო და საბჭოს ქუჩას გაპყვა.

რაიონის ცენტრი ხელის გაწვდენაზე იყო. პარტიის რაიკომის შენობის წინ გაჩერდა. მოედანზე და თვით შენობაში ხალხი ირეოდა. რაიკომში ვილაცეები შერბოდნენ და გამორბოდნენ. მეორე სართულის აივანზე მაღალი კაცი იდგა და განკარგულებებს იძლეოდა.

გზა განაგრძო, არავის შეუჩერებია, არაინ მისალმებია.

კომკავშირის რაიკომის წინ ახალგაზრდების ჯგუფი იდგა. მიუახლოვდა, მათ საუბარს მოუსმინა, მაგრამ საგუ-

ლისხმო ვერაფერი გაიგონა და რაიკომში შევიდა. ნელა აყვა კიბეს, იცოდა სად, ან ვისთან მიდიოდა. მეს რომ ეკითხა, აქ რას აკეთებო, ალბათ პასუხსაც ვერ გასცემდა.

რაიკომის მდივნის კაბინეტს მიაღწია. კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოესმა. ვილაც ყვიროდა, ილანდებოდა. ვილაც მორიდებულადაც კამათობდა. ოლიამ ყური დაუგდო ამ ყაყანს და დარწმუნდა, რომ იქ, იმ ოთახში რაღაც ახალი და საინტერესო საკითხი წყდებოდა.

კარის სახელურს ხელი რომ ჩასჭიდა, სანამ შეაღებდა შეკრულ ფუთებთან ჩაცვებული დედა გაახსენდა, კინაღამ გადაიფიქრა.

გოგონას გულს ბავაბუგი გაჰქონდა. კარი შეაღო. მისთვის მაშინვე ყურადღება არავის მიუქცევია. კაბინეტში ოცამდე ახალგაზრდა იყო. რაღაცას გაფაციცებით წერდნენ, ერთმანეთს აჩქარებდნენ და გოგონა ერთ ხანს ვერც კი შენიშნეს, მაგრამ ჯერ ერთმა მოიხედა, მისკენ, მერე მეორემ, მესამემ... მერე ყველა მას შეაჩერდა.

ოლია იდგა გაფითრებული და დაბნეული. არ იცოდა რა ეთქვა, არ იცოდა რა მიზანი ჰქონდა მის აქ შემოსვლას. არაფერი იცოდა, მაგრამ ძალა მინც მოიკრიბა და ხმის კანკალით თქვა:

— რაიონიდან წასვლა არ მინდა, დედსაც არ უნდა. რა ვქნა. როგორ მოვიქცე?

ახალგაზრდებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე მხრები აიჩეჩეს და გოგონასთვის პასუხის გაცემა მდივანს მიანდეს.

— წადით, სანამ გვიან არ არის გაცალეთ აქაურობას. მტრის ზურგში დარჩენა თამაში ნუ გგონიათ! — საკმაოდ მკაცრად უთხრა მდივანმა ოლიას.

— თქვენ? თქვენ რატომ არ მიდიხართ?

— ეს თქვენი საქმე არ არის. გაცილეთ ამხანაგო ნიკოლაი! — მიუბრუნდა იგი ერთ-ერთ ახალგაზრდას. ახალგაზრდა ოლიასთან მივიდა, უნდოდა მკლავ-

ში ხელი გამოედო და კაბინეტიდან გაუყვანა, მაგრამ გოგონამ ისეთი თვალუბრით შეხედა, რომ მან ხელის მოკიდება კი არა, მიახლოებაც ვერ გაბედა.

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ. — ისევ მდივანს მიმართა ოლიამ. — მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია, ყველაფერს ავიტან, დამტოვეთ, დამსაქმეთ და ნახავთ...

ისე ალაღად, ისე გულწრფელად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, რომ ბიჭები მისდამი თანაგრძნობით განიშსკვალნენ.

— მე ამ ქალიშვილს ვიცნობ, კომკავშირელია. თქვენ კარპოვიჩი არა ხართ? — იკითხა ერთმა თეთრთმომიანმა ახალგაზრდამ.

ოლიამ მადლიერის თვალთ შეხედა მას და თავი დაუქნია.

— მტრის ზურგში ფაშისტებთან საბრძოლველად ერჩებით, ამხანაგო კარპოვიჩი, ეს ძნელია და დაფიქრდით.

— არ შეგარცხვენთ, მოვედებო და არ შეგარცხვენთ. — სხაპა-სხუპით მიუჯო მდივანს.

ტელეფონის ზარმა გაიწვრიალა. რაიკომის მდივანმა ალიოშა კაილომ ყურმილი აიღო და ამხანაგებს ანიშნა გაჩუმებულიყვნენ. ბიჭები საუბრის ტონით მიხვდნენ, რომ კაილო ვიღაც მასზე უფროსს ელაპარაკებოდა. მან ყურმილი დასდო. ოდნავ გაფითრებულიყო.

— ფაშისტები უკვე იანოვოში ყოფილან. საცაა ბოგუშევსკში შემოვლენ. ეს ამხანაგმა სტელმახმა გადმოშეცა ახლა. აბა, დავიშალოთ და როგორც შევთანხმდით, ისე ვიმოქმედოთ.

ახალგაზრდები კაბინეტიდან გაცვივდნენ. სულ ბოლოს კაილო გავიდა. კარებში ოლიას შეეჩხება.

— თქვენ! — წამით ჩაფიქრდა. — გაიქვეცით, ამხანაგებს დაუკავშირდით, პაროლსაც ისინი გეტყვიან. რას დაგიწყეტიათ თვალეები, ხომ არ დაყრუვდით. გაიქვეცით-მეთქი. მან კარები ჩაკეტა და კიბეზე დაეშვა. ოლიაც გამოეყიდა, მაგრამ რაიკომის შენობიდან რომ გამოვიდა, კაილო აღარსად ჩანდა. სამაგიეროდ ოლიამ იმ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი,

ვინაც მას გამოეკომავა, მიირბინა, შეაჩერა და პაროლი ჰკითხა. ახალგაზრდამ თავი მოფხანა და უსტვინა და დაეკვების ნიშნად თავი გადააქნია.

— როგორ, კაილომ პაროლი არ გაგანდო?

— ამხანაგებს დაეწიე, ისინი გეტყვიანო.

— რომელსო?

— რა ვიცი.

ბიჭმა ოლიას ახედ-დახედა, მხრება აწურა და წასასვლელად გაიწია, მაგრამ გოგონამ მას ხელში ხელი სტაცა.

— რას მეჭანები? ხომ ხელდავ იქცევა ქვეყანა. ახლა მუსაიფის დროა? თუ საჭირო იყო, თვითონ ალიოშა გეტყვოდა პაროლს.

— დედას გეფიცები, თქვენთან გამოგზავნა, რომელიმეს დაეწიეო.

— მერე, რაღა მე დამეტაკე?

— მე თქვენ გიცნობთ, ამხანაგო დიმიტრი. თქვენც მიცნობთ. ნუ მიმატოვებთ...

— თავად უნდა ეთქვა. — არ იშლიდა თავისას დიმიტრი. ოლია კი თხოვდა, ემუდარებოდა, უმტკიცებდა, მაგრამ ამოდ. ბოლოს დიმიტრიმ ხელი გააშვებინა და გაიქცა.

— არ გრცხვენიათ? ეს რას ჰგავს? ქუჩაში მტოვებთ? ესაა თქვენი ზრდილობა? — მისდევდა და მიჰყვიროდა ოლია.

— რა დროს ზრდილობაზე ლაპარაკია, შე მამაცხოვრებულო, ზევით აიხედე!

ამ დროს ცაში სვასტიკიანი თვითმფრინავი გამოჩნდა. ოლიამ წამით უცქირა მას, მერე რომელიღაც სახლის კედელს აეკრა და როცა თვითმფრინავი მიიშალა, დიმიტრი ვეღარ დაინახა. ბრაზისაგან ცეცხლი წაეკიდა. გაიქცა, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ დიმიტრის, ან სხვა რომელიმე ამხანაგს იპოვნოდა, მაგრამ ტყუილად გაიხვითქა ოფლით. ქუჩა ჩაათავა და შედგა.

„მიმატოვეთ? არ მენდეთ? კარგი. მე თვითონ გავიგნებ გზას. დიდი რამე

გვინათ ის რაღაც პაროლი. ყველანი უზრდელები ხართ, მატყუარები. გაჩვენებთ რა შემძლება და შეგარცხვებით“.

შინისაკენ მივბოდიხარ ოლია კარპოვიჩი. ცრემლს ძლივს იკავებდა, ტირილს აღარაფერი უკლდა.

პანიკით მოცულნი ხალხი ქუჩიდან ქუჩას აწყდებოდა. ბოგუშევსკის თავზე გამუდმებით ტრიალებდნენ თვითმფრინავები, ხან ერთეულებად, ხან ჯგუფ-ჯგუფად და ღრიალით მიიწეოდნენ ვიტებსკის მიმართულებით, აღმოსავლეთისაკენ. თვითმფრინავების გამოჩენაზე დაშინებული ხალხი წვებოდა და მიწაში ჩაქრომას ლამობდა. მხოლოდ ზოგიერთი გულადი რჩებოდა ფეხზე, კედელს აფრებებოდა და თვითმფრინავების მიმალვას ელოდა.

არც ოლია გართბმულა მიწაზე. თვითმფრინავების ღრიალსა და ბომბების ხათქა-ხუთქს შეჩვეული პირდაპირ შუა ქუჩაზე მიაბიჯებდა.

დედა ფუთებთან დახვდა მოკუნტული. ოლიამ დედას აკოცა, იქვე ჩაქდა და მშვიდად უთხრა:

— ჩვენ არსადაც არ წავალთ, დედა! ადგა, ფუთები დახსნა, შინ შეიტანა და ნივთებს თავთავისი ადგილი მიუჩინა.

შეუძლებელია გონებიდან ამოიგდო ოკუპაციის პირველი დღეები. წუთები, როცა შენს სოფელში, დაბაში, ქალაქში, შენს ქუჩაზე პირველად შემოვიდნენ ფაშისტები, ძნელია დაივიწყო მათი ამაყი, გახარებული და დამცინავი საბეები.

ადვილი სათქმელია „შემოვიდნენ“...

პირველსავე სახლს ცეცხლს უკიდებდნენ, პირველსავე შემხვედრს ხვრეტდნენ, პირველსავე თვალსაჩინო ნაგებობას ანგრევდნენ.

ოლია კარპოვიჩმა საკუთარი თვალთ ნახა ეს სიმწარე. ნახა, რა ქედმაღლურად, გარმომყებოს ჭყვიტინით მოაბიჯებდნენ ფაშისტები საყვარელი ბოგუშევსკის ქუჩებში.

იმ დღეს თითქოს ხანი მოემატა, დასრულდა, დაქალდა, გამაგრდა. თვალბ-

ში სევდა და გულში ნალექი ჩაუგებდა.

ორი დღე-ღამე დედა-მეზღმე-კარპოვიჩი კეტილში იჯდა. არც საჭმელი გახსენებით, არც სასმელი და არც ძილი მიჰკარებია მათ თვალებს.

მხოლოდ მესამე დღეს გაბედა ოლიამ სახლიდან გამოსვლა. დიდხანს ეხეწა და ემუდარა დედა, მაგრამ განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. ოლია დედასთან ამ პირველ შელაპარაკებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

იგრძნოს, დარწმუნდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში წაეღო და აღარ მეკამათოს, ჩემს წასვლა-მოსვლას ამ თავითვე შეეჩვიოსო.

დედის ძველი თავშალი მოიხურა და წავიდა. დედამ თან ათასი ლოცვა-ქურთხევა გაატანა.

ოლია მალე დაბრუნდა. თავშალი ტახტზე მიაგდო და ფანჯარასთან დაქდა. იგი ხედავდა რა არხეინად დაალაგებდნენ საბჭოს ქუჩაზე გერმანელი ჯარისკაცები. ხანდახან მანქანაც ჩაივლიდა. გერმანელების დანახვაზე გული ეკუმშებოდა. სხვენზე ასასვლელი წინასწარ ჰქონდა გამოზადებული. თუ ფაშისტები მათ სახლსაც მიადგებოდნენ, სხვენზე აძვრებოდა, მათ არ დაენახებოდა.

იმავლე ქუჩაზე, კარპოვიჩების მახლობლად ერთი უცოლშვილო ახალგაზრდა ცხოვრობდა. რაიონში იგი წლის დასაწყისში გამოჩნდა, ერთ მოხუც ქალთან ჩასახლდა. მოხუცი, რომელსაც ის ახალგაზრდა დედას ეძახდა, მალე გარდაიცვალა. ბინა და ოჯახის მთელი, ავლადიღება მას დარჩა. დაკრძალვაზე სხვებთან ერთად ოლიაც მივიდა.

ახლა სწორედ ამ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი ოლიამ, წამოხტა, უნდოდა დაეძახნა, მაგრამ პიშკრამდე მისვლა არ დასჭირებია, მეზობელს თვალი ისედაც კარპოვიჩების სახლისაკენ ეჭირა.

ახალგაზრდამ კიშკარი შეაღო, ფრთხილად გაიარა ეზო და როცა მას ოლია კარებთან შეეგება, ისე შინაურულად მიესალმა, თითქოს წინა დღე ერ-

თად გაეტარებინოთ. ოლიამ სტუმარს სკამი დაუდგა.

— თქვენ რატომ არ წახვედით, ოლია? — ჰკითხა მან.

— ვერ გავბედე, დედა შემეცოდა. ან სად უნდა წავსულიყავით. სიკვდილი თუ მიწერია, ბარემ ჩემს სახლში მოვკვდები.

— აქ მართლა საშიშია. თქვენ კომკავშირელი ხართ, რომ დაგიჭირონ...

— თქვენ? თქვენ არ გეშინიათ მათი?

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? — გაოცდა ქალიშვილი. — ისინი ხომ განურჩევლად ხვრეტენ ყველას, ან გერმანიაში ერეკებიან.

ახალგაზრდამ ხელი ჩაიქნია და წამოღდა.

— თუ რაიმეში დაგიჭირდეთ, არ მომერიდოთ, მე აქ დავალეხებით დამტოვეს, ვალდებულიც ვარ დაგეხმაროთ. — თქვა მან.

„მეცო“ — კინაღამ წამოსცდა ოლიას, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა. ხდება ზოლმე ასე, გინდა რაღაც თქვა, სათქმელი არ გასვენებს, გაფორიაქებს, შორიდან წამოვა, ამოცურდება და სწორედ წარმოთქმისას დაგქაჩავს გული და სიტყვა ყელში გაგეჩხირება. ასე მოუვიდა ოლიასაც.

ახალგაზრდამ ოლიას ეს ოდნავ დაბნევა შენიშნა, მაგრამ არ შეიძინია.

— ნახვამდის, ოლია! — მშვიდად თქვა მან.

— ნახვამდის...

— ანატოლი მქვია! — წამოეშველა იგი.

ოლიამ გაუღიმა და უკვე სასურველი სტუმარი კარებამდე მიაცილა. დედა გამოვიდა, ვინ იყო, იკითხა. ოლიამ ყველაფერი უამბო.

ახლა მამაკაცი დიდი იმეღიაო, თქვა დედამ.

კარგა შეღამებული იყო, როცა ოლიას ისევ მოუნდა ქუჩაში გასვლა. ამჯერად დედამ თავისი გაიტანა, ოლია შინ დატოვა. და თავად გაუდგა გზას.

ბირველ ათ წუთში ოლია მშვიდად

იჯდა და დედას ელოდა. მერე და მერე აწრიალდა, ადგილზე დასვა. შიშს თავისი გაჰქონდა. ქალიშვილი ნერვიულად დააბიჯებდა ოთახში, ხელებს იმტვრევდა და ნანობდა, რატომ გავუშვიო. ელანდებოდა, როგორ დაიქირეს დედამისი ფაშისტებმა, როგორ წამოაქციეს და სცემენ, ხელებს უმტვრევენ, აწამებენ.

საღღაც ტყვია გავარდა. ოლია კარებს ეცა, ეზოში გამოვარდა. დარწმუნებული იყო, რომ ის ტყვია სწორედ დედამისს ესროლეს.

ქიშკართან დედას შეეჩხება. თავი ვეღარ შეიკავა და ქვითინით ჩაეკრა მკერდში.

რაიკომის შენობაში კომენდანტურა მოუწყვიათ, ებრაელებს იჭერენ და აწიოკებენო — თქვა დედამ.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მათ სახლსაც მოადგნენ. ოლია დადარაჯებული იყო, ფაშისტები შორიდანვე დაინახა, კატასავით აძვრა სხვენზე და გაილურსა.

ფაშისტებმა ოთახები გაჩხრიკეს, სახლი ააფორიაქეს და წავიდნენ.

დღე-დღეს მისდევდა. ოლია გამუდმებით შინ იჯდა, ეგონა ვინმე მოაკითხვდა, საღღაც წაიყვანდა, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება და ფიქრი იყო.

ლოდინმა ნერვები მოუშალა, ფიქრობდა, წვალობდა, ვიღაც-ვიღაცეებს იგონებდა; მათ ნახვას აპირებდა, მაგრამ ჯერ ნაბიჯიც კი ვერ გადაედგა. ასე იფიქრა და იწვალა მთელი კვირა და ბოლოს რაიონში გავლა გადაწყვიტა. შეღამებას დაელოდა, დედის თავშალში გაეხვია და საბჭოს ქუჩას დაადგა.

„რამდენჯერ მიბრენია და მითამაშენია ამ ქუჩაში. რამდენჯერ ამიკლია აქაურობა, ახლა ქურდულად მივაბიჯებ და საკუთარი ფეხის ხმა მაკანკალებს“ — ფიქრობდა იგი.

კომენდანტურას შორიდან ჩაუარა. კომენდანტურის წინ, პატარა მოედანზე ფაშისტები იდგნენ და უფრო ახლო მისვლა ვერ გაბედა.

მთელი საათი იხეტიალა ქუჩებში.

არსად ადამიანის კაპანება არ ჩანდა. ხანდახან გერმანელთა მანქანები ჩაუქროლებდნენ, ხანდახან ჭგუფ-ჭგუფად მიმავალ ფაშისტებსაც ხედავდა და ღობეს ან სახლს ეცქროდა.

ამ ერთი საათის სიარულმა დაქანცა, თავიც ასტივიდა და ლასლასით გაუყვა შინისაკენ. საბჭოს ქუჩაზე რომ გავიდა, აგრძნო, ვიღაც მოჰყვებოდა და ფეხს აუჩქარა. დაღლა და თავის ტკივილი შიშმა გადააფიქვა. მიდიოდა, მიბობდა, მაგრამ იმ ვილაცის ნაბიჯების ხმაც მისდევდა. გზა კი თითქოსდა განგებ გაგრძელდა. მდევარი, ასე მონათლა იგი გულში ოლიამ, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მალე წამოეწია და დაუძახა:

— არ შეგეშინდეს, მე ვარ!

ოლიამ ანატოლის ხმა იცნო და სიხარულისაგან კინაღამ ჩაიკეცა. ანატოლი მივიდა, ხელი ჩამოართვა.

— რა სირბილი გცოდნია, ძლივს დაგეწიე! ასე თავისუფლად რომ დასეირნობ თავი მოგძულდა? პატრულებს რომ ხელი ეტაცნათ, მეც ხომ დამლუბავდი! სად იყავი?

— შინ სული დამეხუთა, ვეღარ გავძელი. ისე მაქვს ნერვები მოშლილი, ალბათ უბედურებას გადავეყრები. რა ვქნა, რა გზას დავადგე. ყოველ დღე, ყოველ წუთს ველოდები ვილაცას, მაგრამ სადაა მერე? მომძულდა თავი!

ქალიშვილის ამ აღსარებაზე ანატოლის არაფერი უთქვამს. მან ოლიას ხელი ჩაჰკიდა და როცა სახლთან მივიდნენ, ისე, სხვათაშორის თქვა:

— შენ ოღონდ ისურვე და საქმე გამოჩნდება.

— რა საქმე? — უცებ აღელდა ოლია.

ანატოლი ჯერ შეჰყოყმანდა, თითქოს ინანა, ეს რა წამოვროშეო, მერე ხელი ჩაიჭინა და წავიდა. ოლია გამოეკიდა.

— დაიცადეთ, მითხარით რამე, ნუ მიმატოვებთ!

ანატოლი შეჩერდა.

— ასე თუ იღელვებ და ინერვიულვ, საკუთარ გულს შემოასკდები. ახლა სიმშვიდე და ნებისყოფის სიმტკიცეა მთა-

ვარი. შეუძლებელს ნუ მთხვავ, სულ ერთია არ გეტყვი, მაგრამ დაგვეტყვი დაგეხმარება-მეთქი და სიტყვას არ გავტყებ.

არც მაშინ უნდა წამომცდნოდა, რომ აქ დავალებითა ვარ დატოვებული, მაგრამ ჩვენ ხომ გამოუცდელები ვართ, წინდახედულებაც გვაკლია და სიმტკიცეც. იმ დამეს ორი კოლოფი სიგარეტი მოეწიე და დღესაც იმიტომ გითვალთვალე. ისე თავისუფლად მიდიოდი ქუჩაში, კინაღამ ეჭვი შემეპარა. ახლა ადამიანის ნდობა ძნელია, უნდა გამოგო და მაპატიო. განა არ მებრალები? მებრალები, მაგრამ რა ვქნა, რა გიყო?

— მე კი წამით არ დავეპყებულვარ თქვენში. ჩვენ ხომ მეზობლები ვართ და ისედაც რატომ უნდა ეუცქიროთ ერთმანეთს აღმაცურად?

— თითქოს გულწრფელი ხარ, მაგრამ როგორ ვერწმუნო შენს სიტყვებს, როცა... თავად მიმაღვ მთავარს.

— მე?

— შენი გაღმა მედავები, გინდა კიდევ წამოვაცრანტალო რაიმე. ერთი მეც მკითხე რას ვფიქრობ შენზე? არა მგონია რაიონში შენი სურვილით დარჩენილიყავ. ალბათ შენც დაგავალეს რაღაც. მით უმეტეს თვითონ მითხარი, ვილაცას მოველიო. თავდაპირველად ასეთი უნდა. მე კი ენა წავიგრძელე... ასეთი „სიფხიზლე“ სახარობელამდე მიიყვანს კაცს.

ოლია ჩაფიქრდა. მართლაცდა, რას ერჩის მას, რას მოითხოვს, რას ევალება. რატომ თავად არ გადაუშლის გულს, არ მოუყვება თუ რა მოხდა კომკავშირის რაიკომის მდივნის ალიოშა კაილოს კაბინეტში.

და უამბო, ყველაფერი დაწერილებით მოუთხრო.

ანატოლიმ ყურადღებით მოუსმინა, არც ერთხელ არ შეუჩერებია, არც ერთი შეკითხვა არ მიუტია.

— ახლა თქვენ ყველაფერი იცით, ანატოლი. და თუ თქვენც ხელს მკრავთ და მიმატოვებთ, რაღა დამრჩენია... მაგრამ თქვენ ამას არ იზამთ, გვერდში

მთლიანად კახეთისა და თბილისის დამაკავშირებელ გზასაც. მხარმარცხნივ, ცხენის ერთი ვაჭენების მანძილზე მდინარე იორი მოჩანდა, მაგრამ ამ ადგილებში მის ფლატეებიან ნაპირს ურემი ვერ დასძლევა, ფონამდე კი საღდაც ქვემოთ, ამ შარა გზით მივიდოდნენ: მანძილი იქამდე ერთი საათის სავალი კიდევაც იქნებოდა. ირგვლივ ტრიალი მინდვრები ვრცელდებოდა, მხარმარცხნივ მდინარის რიყიანი ნაპირი თეთრად ქათქათებდა, მხარმარჯვნივ კი დაცემულ ტრამალებს ერთიანი ვაკობი. ახლო-მახლო არსად არც ბორცვი იყო, არც გორაკი, არც სერი და არც ძეძვ-ჯაგნარი. ასეთ პირობებში აღამიანი და საქონელი კი არა, ბუზანკალიც ვერ დიამალებოდა ვერსად და სწორედ ამან დასცათ შიშის თავზარი, რადგან უკან გამობრუნებული მზევრავის ქუდის ქნევა ცუდ ნიშნად მიიღეს.

— რაღაც ავსა და ბოროტს გადავეციდენით! — ძლივს ამოიხავლა მეურმემ.

— მგონია ვიღუპებით, თუ რაღაცა არ ვიღონეთ! — დაუდასტურა ყველაზე ხნიერმა მხედარმა.

— ურემი გზიდან გადავაცუნოთ, პირდაპირ ნუ შევეჩვენებით! — აჩქარდა ხალხურულ ცხენის პატრონი.

— ვერ მოვიდეს რას ეტყვის, ათი, თუნდ ოცი, ვერაფერს დაგვაკლებს! — თქვა მხარბეჭანიერმა მხედარმა. ქალებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან ხიფათში გულოვან ვაჟაკის სიტყვა, ციხე-კოშტზე მეტად ფასობს... ქურანა კი საგრძნობლად მოახლოვდა. ახლა უკვე კარგად მოჩანდა მხედარიც და ცხენიც. მალე ამ მხედრის სასოწარკვეთილების, თუ შიშისაგან თავზარდაცემულის კვიცილიც გაიგონეს:

— ლეკები! ლეკები!

ამას ელოდნენ, მაგრამ ჰაბუკის ხმა იმდენად შემზარავი იყო, რომ ერთ წუთს ჰვალ იქცნენ. ძარღვებში სისხლი გაუშრათ, პირში კი ნერწყვი. კრინტის დაძვრა ვერც ერთმა ვერ შესძლო. მზევრავი კი მოჰქროდა და მოჰკიოდა:

— ლეკები! თავს უშველეთ, ლეკები!

ახლა ყველამ, თვით დახუთულმა მხედრებმაც გაიგონა, რასაც სულმხრეთქმელად გაჰკიოდა ჰაბუკი. მთელი ტანით აცხატებულ ელვარა დედას მიჰკროდა და დაფეთებულ მშვენიერ თვალებს ხან ერთ მხედარს მიაპყრობდა, ხან მეორეს.

ყველა ჰაბუკ მზევრავს გაჰყურებდა თვალგაშტერებული, ადგილზე გაქცევებული და სუნთქვაშეკრული. ის კი მოჰქროდა და თან ერთსა და იმავეს მოჰკიოდა:

— ლეკები, თავს უშველეთ, ლეკები!

შემზარავი, შემაძრწუნებელი ხმა იყო, თითქოს კლდენი ირყევინ, იქცევინ და ქვეშ არ მოჰყვეთო! თითქოს ზღვები გაღმობეთქილან და არ გაგიტაცოთო! თითქოს მიწა გახეთქილა და შიგ არ ჩაცვივდეთო! თითქოს თვითონ სიკვდილი ამედევნა და ნულარაფრის იმედი ნუ გაქვთო!..

მართლაც რომ შავი და ავბედითი დრო იყო. ლეკი, ქართველი კაცისათვის, ნიშნავდა: უსაზღვრო ტანჯვას და წამებას, ნიშნავდა ტყვეობას, დამცირებას, შეურაცხყოფას; ნიშნავდა ნელ სიკვდილს, ხანგრძლივ გვემას! ნიშნავდა ნივთად ქცევას, საქონელივით გაყიდვას, სამშობლოს დაკარგვას, სიხარულისა და ბედნიერების გზების დახშობას, მშობლიურ გარემოცვის დავიწყებას! ნიშნავდა ისეთ ყოფას, როდესაც აღამიანს ერთადერთ ბედნიერებად სიკვდილი მიიანია!

ჰაბუკმა ცხენი ყვერის ხარებს ზედ მიაგლო:

— ჩქარა იღონეთ რამე, თავს უშველეთ! — შეჰყვირა მან ქლოშინით.

— ბევრნი არიან? — უცებ შეეკითხა მხარბეჭანიერი.

— ჭერ მოვერგვით! — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ზვიადამ და თვალს თვალში გაუყარა.

— ვაი, დედასა, თუ ბევრნი არიან, მაშ ვიღაც დიდი ბელადი მოუძღვით! — ამოიგმინა მეურმემ.

შე აღმოვჩნდი. შენ დეიდაჩემის დაკრძალვამდეც შენიშნული მყავდი. ერთხელ შორიახლო გამოგყევი კიდეც, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავებდე, ამ საქმეში მუნჯი ვარ და გლახაკი. არ დამბრახბო და როცა დეიდაჩემის დაკრძალვაზე დაგინახე, მიცვალებული სულ მიმაფიქვდა. მე მოსკოვში მიცხოვრია, სხვაგანაც, მამა სამხედრო პირია და ქალაქიდან — ქალაქში ხეტიალს ოჯახი მიჩვეული იყო. ქალიშვილებსაც შევხვედრივარ, მაგრამ შენ...

ბოგუშევსკში შენს გამო დაერჩი, შენ ჩემს სიცოცხლეს მიზანი და ინტერესი მიეცი. მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ და არ მინდა ხიფათში ჩაგაგდო. შენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა და მე მას სსსწორზე ვერ შევავადებ. ძნელია და სარისყო ახლა მტერთან ბრძოლა. ყოველ წუთს მოსალოდნელია ჩავარდნა და შენ რომ რაიმე შეგემთხვას, რაღად მინდა, თავი!

ამიტომ გვედრები და გირჩევ, ნუ გაერევი ამ საქმეში. ისინი ვალდებულნი არიან იბრძოლონ, მათ ჰქონდათ მდგომარეობა, ხელმძღვანელობდნენ ადამიანებს, გამოჰქონდათ დადგენილებები, ხალხს მათი სიტყვისა სჯეროდა და მოვალენიც არიან ხალხისათვის თავი გასწირონ. შენ? შენ ხომ ასე ახალგაზრდა ხარ! რა გინახავს ჯერ ცხოვრებაში სწავლისა და გაჭირვების მეტი? ნუ შეგეკამათები. ისედაც ვიცი რა უნდა მითხრა, მესმის, რომ მათ ჩვენს გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რომ გვერდში უნდა ამოვუდგეთ და ერთიანი ძალით ვიმოქმედოთ. კეთილი ინებე, საყვარელო და გვენდე. ჩვენ თავს არ დავხოგავთ, სამშობლოსათვის დავიხოცებით. შენ კი უნდა გადაარჩე, მოგვიგონო და დავგვიტყურო.

ეს მინდოდა მეთქვა და თუ მაინც დაიყინებ, იცოდე ჩემი ხელით მე იქ არ მიგყევან, ამ სათუო საქმეში არ გაგხვევ. გამოგიტყდები, ისე ვარ იმედგაცრუებული, თავად აღარ ვიცი რა შემართება. შენ შეგიძლია გამიბრახბო, მითხრა მშიშარა ყოფილხარ და ასეთი

კაცის სიყვარულს ვერ ვიწამებო. შენ ნებბაა. მე ჩემი გულის სიმართლე გითხარი და ახლა ჯერი შენზეა. რაც უნდა და მიპასუხო, მე ერთ უფლებას ვიტოვებ, დაგიცვა და ვეცადო საფრთხეს აგარიდო.

გულმართალი, სიცოცხლესა და სიყვარულს მოწყურებული ქალიშვილი ერთბაშად მოიხიბლა მისი სიტყვებით. იყო წამი, როცა უნდოდა შეეჩერებინა, უსიტყვოდ მოხვეოდა და ასე უბრალოდ ეთქვა თანხმობა და თუ ასე არ მოიქცა, ეს იმიტომ, რომ ყოველ მის სიტყვაზე მთელ სხეულში ჯრუანტელი უვლიდა. უხაროდა, რომ ასეთ მძიმე დღეებში გვერდით ჰყავდა მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა და რომელსაც მისგან დაფარული აღარაფერი ჰქონდა.

— ცუდი დროა სიყვარულისათვის, ანატოლი. ცუდი დროა, ჩემო მეგობარო. ხალხი იეღიტება, ქვეყანა გმინავს. ადამიანური ღირსებები, ყველაფერი რაც კარგია ჩვენში, მტრის ქუსლით ითელება და მაინც მადლობელი ვარ ამ წუთისოფლისათვის, სიყვარულისათვის, გამხნეებისათვის . . . რაგანიზაციაში კი აუცილებლად უნდა წამოიყვანო. ერთად ვიმუშაოთ, ერთად უფრო გავკვიადვილდება ბრძოლა და თუ სიცოცხლე გვიწერია, თუ ამ საშინელ დღეებს გადაკურჩებით, გვირდები...

ანატოლის არ უყვირია. ოლიას თანხმობით აღტაცებულმა ხელები დაუჭირა გოგონას და ოდნავ, სულ ოდნავ რომ მოეზიდა, ოლიაც მის ნებას დაჰყევბოდა, მაგრამ მან ეს არ ინდომა და ქალიშვილიც უფრო მეტის ნდობით განიმსკვალა მის მიმართ.

— შენ ერთი სუსტი გოგო ხარ, ჩემო ოლიჩკა. ვინ გეტყვის საყვედურს იმის გამო, რომ ხელში ყუმბარა არ გიჭირავს, რომ ავტომატს არ აგრიანებ? უშენოდაც არ მოვასვენებთ მტერს. ერთითადად გადავიქცევი, შენს მაგიერ, სხვების მაგიერ ვიბრძოლებ, ოლონდ ვიცოდე, რომ შენ მყევხარ უვნებლად,

რომ ზიხარ აქ, ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან და მელოდები.

— მე მოვეცდები, საკუთარ გულს შევასკდები, ტოლია, რაღაცას მოვიმოქმედებ და თავად შეგრცხვება, იხანებ, რომ უბრალოდ დავიღუბო. არც ასე სუსტი ვარ, როგორც გეჩვენება. მუშის შვილი ვარ და ფუფუნება შორსაა ჩემგან. მე ყველაფერს ავიტან, მე დაგიმტკიცებ...

დიდხანს იდავეს, იკამათეს. ბოლოს ანატოლი მოტყდა, დაეთანხმა და ასეთი წინადადება წამოაყენა:

— კაილო ნუ გაიგებს, რომ მე და შენ ახლობლები ვართ. მან იცის, რომ გიცნობ, არც მეტი, არც ნაკლები. რასაც მე გასწავლო, ესეც საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ჩვენ შეკრების ადგილს ხშირად ვიკვლით და ახლა ძალიანაც რომ მოვინდომო, მაინც ვერაფერს გეტყვი. რაკ გადაწყდა, რაკი არ მიჭერებ და მაინცდამაინც გინდა რაღაც გააკეთო, სცადე საკუთარი ძალა და შესაძლებლობა შეამოწმე. ჩვენ ხომ მუდამ ერთად არ ვიქნებით. თვითული დამოუკიდებლად ასრულებს ორგანიზაციის დავალებას. ათეულ კილომეტრებს გადის ღამეში და ათეულ ფათერაკს ხვდება. შენც ბევრი საგულისხმო დავალების შესრულება მოგიწევს და სჯობია ცოტაოდენი წვრთნა წინასწარ გაიარო.

მე ორგანიზაციის რომელიმე ხელმძღვანელის მისამართს მოგიტან. მიდი მასთან, მოელაპარაკე. ექვი არ მეპარება, მოგისმენს და გენდობა. მით უმეტეს, რომ გიცნობენ. არ გეწყინოს, რომ სხვასთან გგზავნი. მე ხომ ხელმძღვანელი არა ვარ, რიგით წევრს კი ამაზე მეტი არ მოეთხოვება. ასე შენის მოხერხებითა და გამჭირახობით მოაღწეე ჩვენამდე და ხელმძღვანელების თვალშიც უფრო ამაღლდები. მეც ფიცსა და წესდებას დავიცავ. ახლა წავალ, ხვალ უჩემოდ სახლიდან არ გახვიდე, მე მოვალ და მისამართს მოგიტან.

— კარგი, ტოლია, ისე მოვიქცევი, როგორც დამირიგე!

ისე ჩასქიდა ხელები ტოლიამ, ახლა

კი მიიზიდა, მაგრამ ოღონა სწრაფად გაცალა. ეს სხვა წუთი იყო, ეს წელანდელ ბედნიერ წუთებს არ შეგვიძლება.

ქალიშვილის თვალებს მთელი ღამე ძილი არ გაჰკარებია, ხვალინდელი დღე რაღაც სასწაულ დღედ ესახებოდა, ხოლო ანატოლის მოსაზრება და გეგმა სულ უფრო და უფრო მოსწონდა.

„აბა, რა, ბავშვი ხომ არა ვარ, ვილაცამ ხელი ჩამვიდოს და წარმადგინოს. ხელით სათრევი იატაკქვეშელი ვის რაში სჭირდება? მომიტანს ტოლია მისამართს, ვინახულებ იმ ხელმძღვანელს და თუ ვაჯკაცია, მითხრას უარი. რა თავმდაბალი, რა კეთილი ბიჭია ანატოლი. ვუყვარვარ, ნამდვილად ვუყვარვარ. ადრეც შენიშნული მყავდიო. რამდენჯერმე კიდევაც გამოგყვეიო. რატომ ვერ შევნიშნე მე თვალდამდგარმა. ღმერთო, შენ მომასწარი ფაშისტების ამოწყვეტას. ღმერთო, მომასწარი ტოლისთან ბედნიერებას“.

...მეორე დღეს ანატოლი აღრიხანად მოვიდა, ოლიას მისამართი გადასცა და არ დაყოვნებულა. დავალებით მივდივარ და არ გეწყინოსო, — უთხრა და გაიქცა.

ოლიამ ქალაქს დახედა. ქალაქზე მისამართი და გვარი გარკვევით ეწერა, თუმცა ის ვილაცი დიმიტრი ხვოშჩი ვერაფრით ვერ მოიგონა. ბინას ადვილად მიაგნებდა, მთელი ბოგუშევსკი ხუთი თითივით იცოდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ გზას გაუდგებოდა, მაგრამ დაღამებას უნდა დალოდებოდა. ქალაქი დახია და გადაყარა.

დაღამდა თუ არა, თავშალი მოიხურა, დედას დაუბარა — მალე დავბრუნდებიო და წავიდა ახლა გაცილებით უფრო ფრთხილად მიდიოდა, კი არ მიდიოდა, კატასავით მიიპარებოდა. როგორც კი პატრულების ჩექმების ბრაზუნს გაიგონებდა, ღობეს ეკვროდა და სუნთქვას წყვეტდა. პატრულების გამოჩენა კიდევ უხაროდა, მოხერხებულად იმალებოდა და როცა პატრულები ცხვირის წინ ჩაუვლიდნ და ვერ შენიშნავდნენ, გული სიამაყით ევსებოდა.

იმ სახლს რომ დაუახლოვდა, არ შეჩერებულა, ჩაიარა, მეზობლის ეზოში გადაძვრა, მერე ღობეზე გადავიდა და ფანჯარასთან გაჩნდა.

გული ისე უცემდა, თითქოს მდევრები ჭიშკრამდე მიჰყოლოდნენ და საცაა ეზოში ჩამოცივდებოდნენ. ფანჯარაზე დააკაკუნა და მაშინვე მოესმა ფეხის ხმა. ფანჯარა მოხუცმა ქალმა გამოაღო.

— კარი გამიღეთ, დედი, დიმიტრისთან საქმე მაქვს! — როგორაც შეეძლო მშვიდად უთხრა.

— დიმიტრი ვინაა? — ცივად ჰკითხა ქალმა.

— დიმიტრი ხვოშჩი, ის ხომ აქ ცხოვრობს?

— მისამართი შეგშლია, შვილო, ასეთი გვარი ამ არემარეში არ გამოიგონია.

— ნუ დამიშალავთ, დიმიტრის ნახვა აუცილებელია, მისთვისაც...

— შენ რა, ჩვენებური ენა არ გესმის? — ისევ გაუცივდა ხმა ქალს და ფანჯარა მიხურა.

სასოწარკვეთილი ოლია იქვე ჩაჯდა და კინაღამ ატირდა. მას ეგონა, ეგონა კი არა და დარწმუნებული იყო, რაკი მისამართი იცოდა, იმ ხვოშჩს აუცილებლად ნახავდა და აი... ახლა როგორ მოიქცეს? უკანვე გაბრუნდეს, ანატოლის დაელოდოს და ისევ მას დაუჩოქოს? არადა სადაა გამოსავალი?

არც ისე ადვილი ყოფილა იატაკქვეშელებთან დაკავშირება.

ერთი ფიქრით გადაწყვიტა მთელი ღამე აქ, ამ ფანჯარასთან გაეტარებინა. იქნებ დილაზე გამოჩნდეს და შევხედუბო, კიბეზე დაჯდა, ერთ ხანს იყურყურა, მაგრამ მალე მოსწყინდა ჯდომა და ჭიშკრისაკენ გაემართა. ჭიშკარს რომ აღებდა ვიღაცამ ისე სწრაფად მიაბჯინა გვერდზე რევოლვერი, შიშით კინაღამ წაიქცა.

— ვინა ხარ? — იკითხა მან.

— არა, ამ კაცის სახე ოლიას არ დაუნახავს, თუმცა ზაფხულის მშვენიერი ღამე იყო და ასე ახლო კაცის გარჩევა არ უნდა გაჭირვებოდა. ოლიამ იგი ხშირ

იცნო, სწორედ ის ახალგაზრდა ეკითხებოდა, ვინც კაილოს კაბინეტში გამომავალი ქომაგა, ხოლო პაროლის გამხდელი რეჟისორი სტიკია.

— ოლია კარპოვიჩი ვარ, ამხანაგო დიმიტრი!

დიმიტრიმ რევოლვერი ჯიბეში ჩაიღო.

— აქ საიდან გაჩნდი?

— თქვენ გელოდით. მე სულ მარტო, გამოთავყენებული ვზივარ სახლში, არავინ მაკითხავს, არავის ვახსოვარ. მომეხმარეთ!

დიმიტრის უცებ გაახსენდა კარპოვიჩთან საუბარი, მისი სიჯიუტე. შეეშინდა აქ ისტერიკები არ გამომართოსო, ხელი ჩაკიდა და სახლისკენ წაიყვანა. დიმიტრიმაც ფანჯარაზე დააკაკუნა, ოღონდ სამჯერ. კარი სწორედ იმ მოხუცმა ქალმა გააღო. ოლიას დანახვა არაფრად ჩაუგდა, ერთი ახედა-დახედა და სამზარეულოსკენ წაფლატუნდა.

დიმიტრი და ოლია ოთახში მარტონი დარჩნენ.

— ჩემი მისამართი როგორ გაიგეთ? ეს ხომ ჩემი სახლი არ არის! — ჰკითხა დიმიტრიმ.

ოლია წამით ჩაფიქრდა და მერე უყოყმანოდ უპასუხა:

— შემთხვევით შეგნიშნეთ, გიცანიოდა...

— მართლა სულ შინ ზიხარ?

— სულ! — ეს რომ თქვა, გული მოექვეჭრა. ტყუილი არასოდეს უკადრებია და შერცხვა.

დიმიტრი მყრალ თუთუნს ქაჩავდა და ნერვიულად დააბიჯებდა ოთახში.

— გამომცადეთ, ამხანაგო დიმიტრი, ნუთუ სულ მამაკაცები ხართ იმ ორგანიზაციაში, ნუთუ საჩემო საქმე არ გამოჩნდება? მე არ მეშინია მათი. დღესაც ქუჩაში რომ მოვდიოდი, სამჯერ გავაცურე პატრულები, ცხვირწინ ჩამიარეს, მაგრამ ვერ შემნიშნეს. — წაიტრახება, ეგონა ამით უფრო მოიგებდა ხვოშჩის გულს, მაგრამ დიმიტრი სულ სხვანაირად ფიქრობდა. მას არ მოსწონდა, აეჭვებდა კარპოვიჩის ასეთი მოძა-

ლება, ყოველ მის სიტყვას, მოქმედებას უკვირდებოდა.

ოთახში თუთუნის კვამლის ბული იდგა ოლიას სუნთქვა უკირდა დიმიტრი კი თითქოსდა განგებ ბოლქვა-ბოლქვა უშვებდა პირიდან კვამლს.

დიმიტრის დუმლიმა ქალიშვილი გაანჩა. ამაყი გოგო იყო, ასეთი უნდობლობა შეურაცხყოფად მიიღო, ადგა და კარისკენ წავიდა.

— საღ მიდიხარ?

— შინ, მეყოფა, ოღონდ გრცხვენოდეთ! — მიახალა და კარის სახეღურს მისწვდა.

— დაიცა, დაიცა! — დიმიტრი მიუაზლოვდა, ხელი ჩაჰკიდა და ისევ სკამზე დასვა.

— რას მამოწმებთ? მე ხომ ვილაცა არა კარ. მამაჩემი ფრონტზეა, ღუდა ავიდა და წევს. მე აგერ ვარ, ესაა მთელი ჩემი ბიოგრაფია. დილიდან საღმომდე ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან ვარ ატუზული.

ოღნავ გადააწვევ ფარდას და ვხედავ როგორ ქედმაღლურად დალაჯებენ ქუჩაში ფაშისტები, ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება?

დიმიტრი მაგიდას მიუჯდა. რაღაც დაწერა, პატარა კონვერტში ჩადო. დააწება „ადგა და წერილი ოლიას გადასცა.“

— ამ ბარათს კურეიშინოში წაიღებ, ყოფილხართ ამ სოფელში?

— კი! — უპასუხა, თუმცა არცკი იცოდა რომელ მხარეს იყო ეს კურეიშინო.

— სოფელს გაივლით, სულ ბოლო სახლში იკითხავთ თედორეს. პაროლი „მე სინათლე ვარ“. პასუხი, „სინათლის ძალა დიდია“.

ოლიას უნდოდა რაღაც ეთქვა, იგი მზად იყო ფაშისტების საკომენდანტო აუფეთქებინა. არ ეგონა თუ ასე უბრალო დავალებას მისცემდა ხეოში, მაგრამ „ნეტად საჭირო ცნობების“ დროულად ვადაცემა პატარა საქმეა?

...მთელი ღამე შფოთავდა. სიზმარი სიზმარს სცვლიდა, ხან ფაშისტების წიგნებში მიპარებოდა, ხოხვით მიდიოდა,

ყუმბარას ისროდა. მერე დუღღში/გაშიწვია ვილაც ფაშისტო/და მოჰკლა. მერე სახრჩობელაზე წაწვდათ ნაწამები, მაგრამ თავი ამაყად ეკირა.

დილით დედას საკმელი გაუშვინა, რძეც დააღვეინა, მოეფერა და დალაგებამდე არ მოსცილებია. ხანდახან გაიხედავდა, ცას თვალს შეავლებდა. მზე ნელა, ძალიან ნელა მიდიოდა დასაველეთისაკენ. რა უნდა ექნა, ხეწნა-ვედრებით შვის ჩასვლას ვერ დააჩქარებდა.

როცა ეშველა და დაღამდა, ისევ დედისეული თავშალი მოიხურა და სანამ სახლიდან გავიდოდა, დედას ჰკითხა, კურეიშინოში როგორ უნდა ჩავიდოდე და მის წასვლა-მოსვლას უკვე შეჩვეული იყო, ახლა რომ დაეშალა, მაინც ვერ დაიყოლიებდა და გზა მიასწავლა.

ორშა-ვიტებსკის გზატკეცილით კურეიშინომდე ცხრა კილომეტრია, მაგრამ ოლიამ ტყე-ტყე სიარული ამჯობინა. ვჯის გასწვრივ იარა, ორი საათის შემდეგ კურეიშინოში შევიდა და სოფლის ბოლოს დიმიტრის მითითებულ სახლს მიადგა.

სანამ კარებზე დააკაკუნებდა, პაროლი გაიმეორა, უბეში კონვერტი მოსინჯა, კაკუნზე სახლიდან ცამეტი წლის ბიჭმა გამოხედა. ოლია შეცბა. ასე პატარა ბიჭთან შეხვედრა აზრადაც არ მოსულია და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ეთქვა პაროლი თუ შინ შესულიყო და ვინმე მასზე უფროსი ენახა. ამ გასაჭირიდან ისევ ბიჭმა იხსნა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა მან.

— მე... მე სინათლე ვარ! — უპასუხა ოლიამ და დაიძაბა.

— სინათლის ძალა დიდია! — ხმა დაიბოხა ბიჭმა. აქ დამიკადეთო, დაუმატა. შინ შევიდა, ორიოდე წუთში უკანვე დაბრუნდა და ოლიას წინ გაუძღვია. თითქმის მთელი სოფელი გაიარეს. გზაში ბიჭს ხმა არ ამოუღია.

ბოლოს იგი ერთ ისლით დახურული სახლის წინ შედგა და ისე მარტად გადახტა ღობეზე, რომ ოლიამ თვალის მოკვრაც კი ვერ მოასწრო.

ბიჭი ისევ მალე გამოჩნდა. ოლიას ხე-

ლი ჩაჰკიდა, ეზოში ჰიშკრით ჩაიყვანა და სახლის კარებზე ანიშნა, იქ შედიო. ოლიას უნდოდა ბიჭისათვის მადლობა ეთქვა, მოხედა, მაგრამ ბიჭი თითქოს მიწას ჩაეყლაბა.

არ დაუკაცუნებია, კარს მიაწვა. კარი გაიღო. ოლია სახლში შევიდა, ოთახი გაიარა და თავი საბძელში ამოჰყო. საბძელი თივით იყო გატენილი და კინაღამ უკან გამობრუნდა, მაგრამ სიბნელეს თვალი უცებ შეეჩვია, თან საბძლის ერთი კუთხიდან მკრთალი სინათლეც შენიშნა. თივამი გასაძვრომიც იბოვა, თავი დაღუნა, გაძვრა და ვიღაც წვერმოშვებული კაცის წინ აღმოჩნდა. ოლიას დანახვაზე წვეროსანი წამოიწია, მაგრამ არ ამღვარა და ოლიას ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, ქალიშვილო, ადგომა არ შემოძლია, ჭრილობა ისევე მაწუხებს და მპაატე. აგერ, თივაზე ჩამოჯექი და მითხარი რა ამბავი მომიტანე.

ოლია არ დამჯდარა. უბიდან ბარათი ამოიღო და წვეროსანს გადასცა. მან კონვერტს თავი წაახია, წერილი ამოიღო, სანთელზე დაიხარა, წაიკითხა და ჩაიცინა. ოლია თვალს არ აშორებდა ამ კაცს. იგი დამჯდარიც მასზე მალალი ჩანდა. ჩაიცინებდაზე გაიფიქრა, ალბათ კარგი ცნობა მოვუტანეო. ეს ფიქრი წვეროსანსაც დაუდასტურა.

— ყოჩაღ, კარგი ამბებია, გამახარე ახლა ეს მითხარი, ხომ არ გეშინია?

— არა!

— იმუშავე შეილო, ცოტა ხანს გაუძელი, მერე ერთად წავიდეთ ტყეში და ვურტყათ ფაშისტებს, სულ ბოლი ვადინოთ ზურგზე. — პასუხი დაწერა, წერილი ოთხად გაკეცა და ოლიას მისცა. ოლია წვეროსანს გამოეთხოვა, ბარათი ისევე უბეში ჩაიღო და საბძლიდან გაძვრა. ბიჭი ეზოში უცდიდა. ახლა ოლიამ ჩაჰკიდა ხელი მას, მაგრამ ბიჭმა ეს იუკადრისა და კარბოვიჩს გაჰყვა. ოლია ბიჭს გულთბილად გამოეთხოვა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და გახარებულმა და კმაყოფილმა ბოგუშევსკისკენ გამოსწია.

ბოგუშევსკი რომ შემოვიდა, რატომღაც პირველად დედის ნახვა მოუნდა,

მაგრამ ეს სურვილი მალე დაივიწყა და დიმიტრი ზეოშჩის სახლისაკენ გაემართა. ფანჯარაზე სამჯერ დააკვირდა. მოხუცმა ქალმა გაულო. ამჯერად არაფერი უკითხავს, ოღონდ უთხრა, დიმიტრი შინ არ არის, ლოდინი მოგიწევსო. ოლია ოთახში შევიდა, ტახტზე ჩამოჯდა და უცებ საოცარი დაღლა იგრძნო, მიწვა და მალე მიეძინა.

მოხუცმა ქალმა მძინარე ქალიშვილს თხელი, საზაფხულო საბანი წაახურა.

თვალი რომ გაახილა, დიმიტრი დაინახა. წამოხტა, მოიბოდიშა და წვეროსანის წერილი გადასცა. დიმიტრიმ წერილი ჩაიკითხა და მანაც ისე, ოღნავ შესამჩნევად ჩაიციხა.

— თუ გინდა აქ დარჩი, დაისვენე! — უთხრა მან ქალიშვილს.

ოლია მისგან შექებას არ მოელოდა, მაგრამ ეს სიტყვები მიანიც ესიამოვნა. მადლობა გადაუხადა. დიმიტრი არ მიძალღებია, ხვალ ან ზეგ მოდიო, იქნებ უფრო სერიოზული რამ დაგაელოთო, უთხრა და ჰიშკრამდე მიაცილა.

გათენებას აღარაფერი უკლდა საბჭოს ქუჩაზე რომ გავიდა. გზაში არავინ შეხვედრია და თავისუფლად მიაბიჯებდა. მაგრამ სახლს ორიოდ მეტრით რომ დაუახლოვდა, წინ ანატოლი შემოეყარა. მიესალმა და სახლამდე მიჰყვა. ოლიას სული კბილით ეჭირა, უნდოდა მასთან ცოტა წაეტრახანა, ესაო და იატაკქვეშელი გავიციანო, დავალებაც მივიღე და კიდევ შევასრულოო. ხვალ ან ზეგ უფრო სერიოზულ დავალებასაც მომიცემნო, მაგრამ ამ ფიქრმა მხოლოდ წუთით გაუღვია და გასცილდა. არა იმიტომ, რომ ანატოლის არ ენდობოდა, არა, ასე რომ მოვიქცე, ქარაფშუტა ვეგონებო.

— შორს იყავი ოლიჩკა?

— პო დავიდალე, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

— დიმიტრი ნახე?

— ვნახე!

— მერე?

— მეტი არაფერი, ვნახე და გავიციანი, ესაა და ეს.

— ხეალ, არა უკვე დღეს შეკრება გვაქვს, რომ გეთხოვა, იქნებ მოეყვანე, არ გაინტერესებს?

— მაინტერესებსო? მაგრამ ჯერ ვერ ვეტყვი, ეგებ თავად მოიღოს მოწყალება.

— შენც რა გეჩქარება? მთავარი ნდობა დაიმსახურო. ოღონდ ნუ გათამამდები. წელან ისე მოდიოდი ქუჩაში, თითქოს ამ ქვეყანაზე მტერს არ გაველოს. ყოველთვის კი არ მოიტანს კოცა წყალს. მე ერთხანს ველარ გნახავ. ამხანაგი პროხორენკო შორს მგზავნის, მთელი ღამე შენს კომპარტანს გავატარე, არ მინდოდა, შენს უნახავად წავსულიყავი. ჩემს ჭინაზე ოთხჯერ ჩაიარეს პატრულებმა. არ აჩქარდე, ოლია. ვიცი, გინდა უცებ დაუმტკიცო ამხანაგებს, რომ უშიშარი გოგონა ხარ და საერთოდ სახალხო საქმისათვის სიცოცხლესაც არ დაიშურებ. ასე ეფიქრობდი თავიდან მეც. ვთხოვ ფრთხილად იყო და ჩემზეც იფიქრო. შენ რომ რაიმე შეგემთხვას, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი.

ანატოლი ოლიას ხელს დასწვდა, ტუჩთან მიიტანა. ოლია არ გაძლიანებია. ამან იგი გაათამამა, მიიზღა, ტუჩებში აკოცა და გაიქცა.

...დღე დღეს მისდევდა. ოლია დიმიტრი ხვოშჩისგან თითქმის ყოველ მეორე დღეს ღებულობდა დავალებებს. სამ კვირაში მთელი რაიონი შემოიარა. ბუდაში, იანოვოში, ვოროშინაში, ლედნევიჩში და ნერეიმაში ნაცნობები გაიჩინა. გაიწინა ლეონ ცურანი და ერთხელ ადამ სტელმახსაც შეხვდა. მოკსაკის, ხორანისა და ბაბირიკოს იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის წევრებმა უკვე შეიყვარეს ეს ლამაზი, კეთილ და საოცრად გაბედული ქალიშვილი. სტელმახის დავალებით ეს ბიჭები პარტიზანულ რაზმებს ჰქმნიდნენ. ტყეებში ბაზებს აწყობდნენ, საიმედო ადამიანებს არჩევდნენ. უროშინას ტყეში უკვე მოქმედებდა პარტიზანული რაზმი.

ოლია კარბოვიჩი ორგანიზაციის შეკრებებსაც ესწრებოდა. პროხორენკოს იგი შეიღვივთ მიაჩნდა, ხოლო ალიოშა

კაიდო სულ ბოდიშობდა, მაშინ, თუ არეულობაში უზრდელად მოგვექცეოდნენ.

ანატოლი კი, არა და უნდოდა, ოლია სულ მასზე ფიქრობდა, ოხრავდა, ვაითუ დავალების შესრულებისას ჩავარდა და დაიღუპო.

ბევრჯერ დააპირა ეკითხა კაიდოსათვის, სწორედ კაიდოსათვის, რადგან ასეთ კითხვას პროხორენკოს ვერ გაუბედავდა.

ალიოშა და ოლია ხშირად სულ მარტონი რჩებოდნენ. მიუხედავად ოლიას გვერდით ეს აბოვანი, თითქმის ქალივით ლამაზი ახალგაზრდა და ცისა და ბრის ამბებს უყვებოდა. ისე გულლიად, ისე მხიარულად და ძალდაუტანებლად საუბრობდა, თითქოს თეატრში, ან რომელიმე საღამოზე ყოფილიყვნენ.

ოლია უსმენდა, მაგრამ ფიქრით მაინც ანატოლიზე ფიქრობდა.

სად გაუშვებს? რა დაავალეს? რა მოუვიდა?

წვალობდა, იტანჯებოდა, მაგრამ ანატოლისთვის მიცემული სიტყვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა და თავის შეკავებაში ეს რწმენაც დაეხმარა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები ხშირად იცვლიდნენ ბინას. დღეს რაიონის ერთ მივარდნილ კუთხეში რომ დანიშნავდნენ შეკრებას, მეორე დღეს რაიონის გარეთ, სადმე ტყის მახლობლად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ერთხელ მორიგი დავალებიდან დაბრუნებულ ოლიას სახლში ანატოლი დახვდა. იგი ოლიას დედას შინაურულად ემუხაღვებოდა. ოლიამ ისე გაიხარა ნეგობრის დანახვით, რომ დედასაც არ მოერიდა და ანატოლი გადააკოცა.

მეორე ოთახში გავიდნენ. ანატოლი სულ ერთიანად შეცვლილიყო, წვერი წამოზრდოდა, სახე გაცრეცოდა, გამხდარიყო, ცარიელი ძვალი და ტყავილა იყო. ოლია უთქმელადაც მიხვდა, რომ ანატოლის დიდი გასაჭირი გაველო, ვაქსაც არაფერი დაუმალავს, დაწვრილებით უამბო ოლიას თუ რა გადახდა დავალების შესრულებისას.

თავის მხრივ არც ოლია დარჩენილა

ვალში, ყველაფერი ჩამოკაკლა. ანატო-
ლი უსმენდა. ოლიას ნაამბობს მასში
არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია.
ხანდახან შეაჩერებდა, სიტყვას ჩაურ-
თავდა. ჩემს თხოვნას უქმად ჩაუვლიაო.
ოლიამ ისიც გაამხილა, რომ მეორე
დღეს ორგანიზაციის შეკრება იყო და-
ნიშნული.

ანატოლიმ ისე, სხვათაშორის თქვა,
შეკრებაზე უჩემოდ წუ წახვალ, ხვალ
სალამოს გამოგივლი, ერთად წავიდეთო,
ახლა ისე ვარ დაქანცული, თვალეზი
მეხუჭებაო.

...შეკრება ბოგუშევსკიდან ერთ კი-
ლომეტრზე, ტყის პირას მიტოვებულ
საბძელში იყო დანიშნული.

ოლია და ანატოლი ერთად წავიდნენ
საბძლისაკენ. რაიონიდან შეუმჩნევ-
ლად გავიდნენ, ცოტაზე გზატკეცილს
გაპყვენენ. მერე ტყისკენ გადაუხვიეს.

საბძელს რომ დუახლოვდნენ, ამ
დროს ოლია წინ მიდიოდა, ეგონა, ანა-
ტოლი გვერდით მიყვებოდა, რალაც ჩა-
ილაპარაკა და პასუხი რომ ვერ მიიღო,
შეჩერდა, მოიხედა და ხმადაბლა დაუ-
ძახა:

— აქეთ ტოლია, აქეთ!

ანატოლიმ მასთან მიიჩიბინა და ჩურ-
ჩულით უთხრა:

— ოლიჩკა, შინ პრობორენკოსთვის
გადასაცემი ბარათი დამჩა, შენ შედო,
მე ათ წუთში აქ გავჩნდები, ოღონდ ამ-
ხანაგებს ჩემს შესახებ არაფერი უთხრა
და ნახე რა ამბავი ატყდეს, მოულოდნე-
ლად რომ დაგადგებით თავზე. — თქვა
და გაიქცა.

ოლია ჯერ სახტად დარჩა, მერე შეკრ-
თა, შეშინდა, გაქვავდა. გულმა ძალუმად
დაჰკრა და დაბარბაცდა. რა მოხდა? რა
მოგვივლია? რა დაინახე მის საქციელში
უჩვეულო და საგანგაშო? კაცი თითქმის
თვეა ორგანიზაციის დავალებას ასრუ-
ლებს, შინ ბარათი დარჩა. ბარათში ალ-
ხათ მეტად საჭირო ცნობებია, ამ წუთში
მოიჩბენს და ამხანაგებიც ტაშით შეხ-
ედლებიან.

მაგრამ!

მაგრამ!

რატომ დედავდა, ან რატომ იყო ბიხი
ხელი ყინულივით ცივი?

ახლა შეეცადა ანატოლისთან შეხვე-
გობრობის ყოველი წუთი, ყოველი
წვრილმანი გაეხსენებინა და აეწონა,
მაგრამ დრო, დრო იცდის?

საბძლისკენ გაიქცა... წინ ვიღაც შე-
მოხვდა, პაროლი ჰკითხა, საბძელში კა-
ილო და სამი ამხანაგი დახვდნენ. ოლია
კაილოსთან მიიჭრა.

— საბძელს ვილაყეები უთვალთვა-
ლებენ, ჩქარა გაეცალეთ აქაურობას!

საბძელი სწრაფად დატოვეს და
ტყეში შეიმაღნენ.

ოლია და კაილო საბძლიდან ოციოდე
მეტრზე დიდი ნაძვის ძირას ჩასაფრდ-
ნენ.

მალე გზატკეცილზე, საბძლის პირდა-
პირ მანქანები შეჩერდნენ. გერმანელებ-
მა საბძელს ელვის უსწაფესად შემოარ-
ტყეს ალყა. ერთი სულ ახლო მოვიდა
საბძელთან და რუსულად დაიყვირა,
დაგვენბდით და სიცოცხლეს შეგინარჩუ-
ნებთო. საბძლიდან. რა თქმა უნდა, ბაი-
ბური არ ისმოდა.

რამდენიმე გერმანელი საბძლის კარ-
თან მივიდა. კარი დაკეტილი იყო. ჯერ
ტყეებში დაუშინეს ცარიელ საბძელს,
მერე კარი შეამტკრიეს და შიგ შეც-
ვიდნენ. წუთში წაუკიდეს ცეცხლი
საბძელს. ცეცხლის ალმა იჭაურობა
დღესავით გაანათა.

„იქნებ დამთხვევავა, იქნებ სხვამ გაგ-
ვცა“ — ფიქრობდა ოლია. როგორ უნ-
დოდა გულმართალ გოგონას, რომ გამ-
ცეში და მოღალატე არ ყოფილიყო ადა-
მიანი, რომელიც მას უკვე უყვარდა.

ოლია გაფაციცებით იყურებოდა საბ-
ძლისაკენ. ცეცხლი თანდათან მძლავრ-
დებოდა. ფაშისტები ტყეს ტყევის უშენ-
დნენ და უკებ საბძლის ახლო, რომელი-
ღაც გერმანელის გვერდით ანატოლის
მოჰკრა თვალი და გრძნობა დაჰკარგა.
კაილომ იგი სამშვიდობოს გაიყვანა.

იმავე დამეს ოლიამ ალიოშას ყველა-
ფერი უამბო. ეგონა კაილო დატუქსავ-
და, ასეთი ქარაფშუტობისათვის საყვე-
დურს არ აკმარებდა და შესაძლოა ორ-

განიზაციაში მისვლაც აეკრძალა, მაგრამ მისდა გასაოცრად კაიდომ ძალზე გულდამშვიდებით მოუსმინა ოლიას აღსარება, დიდხანს იფიქრა და თქვა:

— შენი მეგობარი უნდა გამოვიყენოთ. მე ამხანაგ პროზორენკოსაც მოველაპარაკებ და შენ განაგრძობ მასთან ურთიერთობას.

— გამცემთან? მოლაღატესთან? არასოდეს! — შეპყვირა ოლიამ.

— რატომ გამცემთან? იგი ხომ არასოდეს ყოფილა ჩვენს ორგანიზაციაში. ჩანს გესტაპოს აგენტია და არც თუ ისე უბრალო. იქნებ რუსული ენის მცოდნე ესესელია. ასეა თუ ისე, მტერია, მაგრამ თუ შენ შესძლებ და არ დაეპყვებ, არაფერს აგრძნობინებ. იგი ასე ადვილად ვერ შეგვეღვევა. ეცდება თავი გაიმართლოს შენს წინაშე და უფრო ხელსაყრელი მომენტი შეარჩიოს ორგანიზაციის წევრთა შესაპყრობად.

— როგორ უნდა იმართლოს თავი?

— ეს იმაზე დამოკიდებული შენ როგორ შეხვდები მას. აი, უკვე მზერავიცა ხარ. გაეჭიბრე, შეებრძოლე და რაც შეიძლება მეტი დასტყუე. ასეთ საქმეში უპირველესი იარაღი მოთმინებაა და ხასიათის სიმტკიცე. მოთმინების რა მოგახსენო, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე შენ არ გაკლია. ვიცი ძნელია, მაგრამ რა არის ახლა ადვილი?

ოლია დიდხანს უარობდა, როგორც შევხვდები, მოეკლავო, იქადნიდა, მაგრამ პროზორენკოსთან საუბრის შემდეგ მოტყუდა და დათანხმდა.

ანატოლი მეორე დღეს ჩვეულებრივ გამოცხადდა. პირველად ყოვლისა ოლიას გადარჩენა მიულოცა. ბარათით რომ დაებრუნდი საბჭელს უკვე ცეცხლი ეკიდაო. კინაღამ შევიშალოო. ეტყობა ვილაც არაკაცი გვარევია და ეს ფაქტი ჭკუის სასწავლებელიაო.

— მთავარია, რომ გადავრჩით, ცოცხლები ვართ. — თქვა ოლიამ. — ჭირს წაუღია ის საბჭელი, სიფრთხილე კი მეტი გვმართებს.

დიდხანს ისაუბრეს, ერთმანეთი სიყვარულსა და ერთგულებაში რომ დაერ-

წმუნებინათ, ლამაზ სიტყვებს არ ზოგადნენ და ასე კმაყოფილნი და დაიმედებულნი დაშორდნენ ერთმანეთს.

ოლია ყველა სხვა დავალებისგან გაათავისუფლეს და ანატოლის მიუჩინეს. ოლია ანატოლის ხშირად ხედებოდა. ისე დაუახლოვდა და გაუშინაურდა, საბლშიც აკითხავდა და ხანდახან საკმელსაც კი უმზადებდა.

ერთხელ ოლიას დედამ ანატოლის ბარათი დაახვედრა.

— ოლიჩკა სულმოთქმელად გელოდები, საჭირო ხარ! — წერდა ანატოლი. ოლიამ წამსვე მისკენ გაეშურა. რევოლვერი ჯიბეში ედო, ბოლო ხანებში ოლია თავისუფალ დროს კაიდოს ტყეში დაჰყავდა. ზელ-ყუმბარისა და რევოლვერის ხმარებას ასწავლიდა. სროლაში ისე გაიწაფა, თვით კაიდოსაც, რომელსაც სნაიპერს ეძახდნენ, ტოლს არ უდებდა.

ანატოლი მარტო არ დახვდა, პატარა მაგიდას ორნი უსხდნენ. სტუმარი წამოხტა და გადაჭარბებული თავაზიანობით მიესალმა ქალიშვილს, ხელზე ეამბორა.

— ჩემი მეზობელი და უახლოესი აღამიანი. — ასე გააცნო ანატოლიმ ოლია სტუმარს. ეს კი ბორის ვოლკოვია, ვიტებსკიდან!

ვიტებსკელ ვოლკოვს ქერა, ხვეული თმა ჰქონდა. სულ ილიმებოდა და ძალზე ცოტას ლაპარაკობდა.

— ბორია ჩემი ძმია, მოსკოვში ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, მერე დამეკარგა და აი, დღეს ვიტებსკიდან გამომეცხადა. რაც მთავარია, ერთ ბანაკში ვართ ოლიჩკა, ერთ მტერს ვებრძვით. ასეთი მეგობრის სტუმრობა ჩემთვის მოვლენაა, შენც ამიტომ მოგიწვიე. ანატოლიმ სასმისები არყით აავსო, ვოლკოვო აღდევრძელა და ოლიას ჭიქა-ჭიქაზე მიუჭახუნა.

ოლიამ სტუმარს გაუღიმა, თავი დაუქრა და არაყი მოსევა. ვოლკოვმა მადლობა გადაიხადა, თავის მხრივ ოლია აღდევრძელა და ჭიქა დაცალა.

ანატოლი დიდხანს ოქრობირობდა. ოლიას სილიმაზეს, სიმამაცესა და თავ-

დადებას ათასგვარად ამკობდა. ბოლოს ვოლკოვს იმაშიც კი გამოუტყდა, რომ მას ოლია თავდავიწყებით უყვარდა.

„მთავარია მოთმინება და ხასიათის სიმტკიცე“ — გაახსენდა ოლიას ალიოშას სიტყვები. ვოლკოვს ალერსიანად გაუღიმა, ანატოლის თვალი ჩაუჭრა, ადგა, კარადა გამოალო და მაგიდას რაღაც-რაღაცეები შემოამატა.

ანატოლი და ბორია სვამდნენ, მხიარულობდნენ, არაყს ოლიასაც აძალებდნენ, ოლიაც არ იღებდა თავპატივს, ცოტ-ცოტას წრუბავდა.

ანატოლი ისე უგრანძობლად დათვრა, პირდაპირ სვამზე ჩამოეძინა. ვოლკოვი ოლიას მიუჩოჩდა, ხელი წაუბოტინა. ოლიამ ნაზად დატუქსა, ხელზე ხელი დაჰკრა და თითი დაუქინა.

— გრცხვენოდეთ, მეგობრის საცოლვე მინც არ ვიყო! — გადიკისკისა, შეამოწმა, ანატოლის მართლა ეძინა თუ არა. ანატოლი ზერინავდა.

— მაპატიეთ, ძვირფასო ოლია, თქვენმა სილამაზემ, თქვენმა თვალებმა დამაბრმავა და სტუმრისა და მეგობრის მოვალეობა დამავიწყა, მაგრამ იმედია არ ვამცემთ...

— გაბრდებით!

— თქვენ მარგალიტი ხართ, საუნჯე ხართ, კიდევ, კიდევ იცით რა ხართ? ოქროს ზოდი ხართ, ხომ კარგად ვთქვი?

— შესანიშნავად!

— დიდებულია, ახლა ნება მომეცით ხელები დაგიოცნოთ და წავიდე! — ორივე ხელი დაუქირა. დაუოცნა და როცა ოთახიდან გადიოდა გულდაწყვეტით თქვა:

— რჩებით? მართლა რჩებით? ღმერთო, ამას ვერ გადავიტან, თუმცა იმედის ნაპერწკალი მრჩება. მთელი ღამე ვილოცებ თქვენთვის, თქვენთვის და იმისათვისაც, რომ ვოლკოვმა ანატოლის გადახედა. — ამ ჩემს მეგობარს სულაც არ გაღვიძებოდეს!

— ნახვამდის, ამხანაგო ვოლკოვ! — ამხანაგო „ხაზგასმით წარმოთქვა, ოლიამ, რაზედაც ვოლკოვმა გაიციხა.

ვოლკოვი წავიდა. ოლია კარბოეჩი

იღგა არყისა და ოდეკალონის სუნით გაბრუებული, ზიზლით მანსკეროდს მძინარე ანატოლის. ახლა მას სრულიად თავისუფლად შეეძლო მისი მოკვლა. აიღებდა დანას და გულში, სწორედ გულში ჩასცემდა, მაგრამ როგორ ემართლებინა მერე თავი ამხანაგების წინაშე.

ანატოლის უცებ გაეღვიძა, ფეხზე წამოხტა, არაყმა დაიქნია, დაბარბაცდა და რომ ოლია დროზე არ მიშველდებოდა, იატაკზე გაიშლართებოდა. მან ორივე ხელი გაშალა და ალუღლუღდა.

— მოდი, მომხეხიე საყვარელო, ჩემო ძვირფასო საცოლვე, ჩემო გულადო კომკავშირელო!

ოლიამ იგი ტახტზე დასვა, ძლივს დაამაგრა, დაუყვავა, მოეფერა და ფრთხილად შეაპარა;

— ვინაა ის ვოლკოვი, ტოლია?

— მეგობარი!

— რუსია?

— რა მკითხე? — წამოიწია, თვლები დაქაჩა. ოლიამ ოდნავ წაუბიძგა, ისევ დასვა და კითხვა გაუმეორა.

— მეგობარია, მორჩა და გათავდა!

— ის ხომ გერმანელია, ტოლია! —

ანატოლი ისევ წამოხტა, რაღაც დაიყვირა, ოლიას ხელები ჩაავლო, მიიზიდა, მაგრამ ძალა არ ეყო და ტახტზე გულაღმა დავარდა.

— რა გემართება? აქამდე ერთმანეთთან არაფერი გვექონია დაფარული და ახლა აღარ მენდობი, ესაა შენი სიყვარული?

— ოლია! — დაიღრიალა ტოლიამ.

— თავს ძალით ნუ იმთვრალე, მშვენივრად შევიძლია მიპასუხო, მაგრამ არ ვინდა. თუმცა ჩემთვის უთქმელადაც ნათელია ყველაფერი. შენ გერმანელს მეგობრობ და ახლა ჩემი შეგვეშინდა. ესაა შენი ვაკეაცობა?

— მე შენ მიყვარხარ, მორჩა და გათავდა. ახლა მაკოცე, თორემ გტაცებ ხელს და... არა, არა, ამას ვერ ვიხამ, მე ახლა შენს საღმრთაღმლოს დავეღვე. მიუყრე. — მაგიდასთან მივიდა. ბოთლში ჩარჩენილი არაყი კიქაში ჩაასხა. — შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ. ძალიან

ახლა გზარდა და ძალიან ლამაზი, შენ უნდა იცოცხლო და რომ იცოცხლო, ჩემთან უნდა იყო, ჩემს გზაზე იარო!

— რომელ გზაზე?

— რომელსაც დიდებისაკენ, სიმდიდრისაკენ, ფუფუნებისაკენ მივყავართ. გერმანელებმა რუსეთი მოსპეს. საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობს, ბრძოლა უგუნურობაა. რატომ უნდა მოკვდე? ვისთვის? რისთვის? ა, მითხარი, რატომ უნდა შევკლა თავი ვინმეს? რატომ მიუყრებ ასე გაოცებით? შეგზიზღიდი ხომ, ჩემო კომკავშირელო? ბოლოს ნეტკევი მადლობას. რატომ მიუყრებ ასე, რატომ, რატომ?

— ნუ ყვირი ტოლია, ახლა დაწევი და დაისვენე, ზეალ მოვილაპარაკოთ, მომბეზრდა ყველაფერი, მეც დავფიქრდები...

ანატოლიმ ორივე ხელი ასწია, ტახტზე დავარდა, ისევე ადგა, ამღვრეული თვალები ოლიას მიაშტერა, თითქოს უნდოდა ამ თვალებიდან გაეგო როგორ იმოქმედა ქალიშვილზე მისმა სიტყვებმა, რას ფიქრობს, რა უდევს გულში. ერთხანს უყურა, მაგრამ ვეღარ გაძლო, ისევე გულადმა გადაწვა და სანამ თვალებს დახუჭავდა თქვა:

— გემორჩილები, მხოლოდ შენ ერთს გემორჩილები. აი, ვიძინებ, თვალებს ვხუჭავ, მაგრამ ვოლკოვის ჭინაზე გავიღვიძებ! შენ არ გინდა მაცოცო და სწორი ხარ. მე ახლა მთვრალი ვარ და ვიცი გეზიზღები. არც გამტყუნებ. წადი, ძვირფასო, წადი და იფიქრე, ბევრი იფიქრე, ოღონდ ჩემი ღალატი გულში არ გაივლო, თორემ მაგ ლამაზ თავს წააგებ.

— მე შენ ვერ გიღალატებ, ტოლია, მაგრამ ახლა არ მეთხოვ რატომ, ზეალ შევხვდეთ ერთმანეთს. ძილი ნებისა! ოლიას უკანასკნელი სიტყვები ანატოლის არ გაუგონია, იგი უკვე ზერინავდა, თუმცა ეშმაკმა იცინა მისი თავი, იქნებ არც კი ეძინა.

მეორე დღეს საღამომდე არ ელოდა ანატოლის გამოჩენას, მაგრამ იგი უთენია მოვიდა. შემკრთალი, დარცხვენილი

და ცოტა შეშინებულიც ჩანდა.

— წუხელ შენ ჩინებულს დაიჭირე გამოცდა, ოლია. ასეთი რამ არ უნდა შეკადრებინა შენთვის და მაპატიე. გეგონა მთვრალი ვიყავი? ერთი ნახევარი ლიტრიანი ჯერჯერობით ვერ მერევა.

— ცრუობ, ტოლია, უსინდისოდ ცრუობ და ვერ გამიგია რაში გქირდება ეს ყოველივე. ან რა მაქვს მე შენი გამოცდელი. წუხელ შენ გული ვადამიშალე, მეერ ტახტზე ნებიერად გაიშლართე და ალბათ აქამდე გემოზე ზერინავდი. მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ვფიქრობდი შენზე, ჩემზე, ჩვენს უბედურებაზე, საკუთარ უმწეობაზე. არ ვიცი რატომ შემოიჭერი ჩემს პატარა ცხოვრებაში, რა მიზნები გქონდა, როცა სიყვარულზე მელაპარაკებოდი. არაფერი აღარ ვიცი. მე კი დაგიჭრე, მოგენდე და შეგიყვარე. შენა ხარ პირველი ადამიანი, ვინც სიყვარული მიხსენა, ვინაც პირველად... ღმერთო ჩემო. — ოლიამ თავი დახარა და აცრემლდა. — ახლა რა ვქნა, თავი მოვიკლა?

— რას ამბობ, ოლიცა, გეფიცები მე შენ მართლა გულით მიყვარხარ, მე ამას დავიმტკიცებ, ოღონდ შენც გიყვარდე, ძველებურად გიყვარდე, ჩვენი წუხანდელი საუბრის გამო ნუ შემიძულებ.

— ის გერმანელი საიდან ვაიციანი?
— ესეცელთა. შტურმფიურერია. ახლახან დანიშნეს კომენდანტის თანაშემწედ.

— შენ? შენც ხომ გერმანელი არა ხარ? მითხარი, ნულარაფერს დამიძალავ და სიტყვას გაძლევ შენთან ვიქნები. წუხელ გითხარი და ახლაც გიმეორებ. მომბეზრდა ყველაფერი. დავიღალე, დავიქანცე. ერთი გამოძინება სიცოცხლეს მიჩვენია. მეყოფა ამდენი უმიზნო წოწიალი. თქვი, გერმანელი ხარ?

— არა, ოლია, მე რუსი ვარ. მამა ემიგრანტია, ახლაც ცოცხალია და ალბათ ველირსები მის ნახვას. მოსკოვი დაცემულა, ლენინგრადი ალყაშია, სულ ცოტა და ჩიტვიით თავისუფლები ვიქნებით და სადაც მოისურვებ, სადაც მიბრძანებ, იქ გაცხოვრებ. შენ თვითონ

ადარ გჯერა მათი. მეყოფა უმიზნოდ წოწილიო და მართლაც, რა უნდა დააჯლოს უძლეველ გერმანიას ვიღაც პროტორენკომ და კაილომ. ქვეყანა დააქციეს და ახლა დაქანგვული შაშხანით უნდათ გერმანელების დამარცხება? შენ ჰკვიანი გოგო ხარ, ახლა ერთი გზაა, ერთადერთი. იქ დავადგეთ, სადაც გამარჯვებაა და ჩვენი მომავალი უზრუნველყოთ. არ ვიცი რა გასწავლეს კომკავშირში, იქნებ სიკვდილი გირჩენია გერმანელთა ბატონობას. მე კი ფეხებზე მყიდია გერმანელი იქნება ბატონი თუ სხვა ვინმე ოხერი. მთავარია ვიცოცხლო. რაც შეეხება სიყვარულს, მე არ ვცრუობ. მიყვარხარ და თუ ვინდა სულ გავიქცეთ აქედან.

— სად უნდა გავიქცეთ?

— რა ვიცი. თუმცა მთელი ქვეყანა ამათია და სად დარჩალები.

— მეც მინდა სიცოცხლე, ტოლია, ძალიან მინდა, მაგრამ შენი მეშინია, ყველასი მეშინია. ახლა ვიგრძენი, რომ ერთი სუსტი და უნებისყოფო გოგო ვყოფილვარ, მეშინია, მეშინია...

— რა გაქვს საშინო, იმ ორგანიზაციის წევრი ხარ. ნდობა მოპოვებული გაქვს და ეცადე კიდევ უფრო განამტკიცო იგი. ცოტა ხანს გაუძელი, ხელსაყრელი მომენტი ჩაგვივარდება, მე გამიმხელ ამ ორგანიზაციის შეკრების ადგილს და მორჩა...

ოლიას თავზე ხელები შემოეწყო, თითქოს ფიქრობდა, თითქოს გულს ებრძოდა. საერთოდ მშვიდად ეჭირა თავი და ეს უხაროდა. ახლა მიზანთან ახლოა. მხოლოდ მისი თანხმობა, მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო და უკვე გადაეშვება უწმინდურთა მორევში, საიდანაც ვინ იცის როგორ ამოვა, მაგრამ უკან დასახვევი გზა მოჭრილია, მთავარია, რაც შეიძლება გულწრფელად და დამაჯერებლად უთხრას თანხმობა.

ანატოლი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ოლია გადაიბირა, რომ ამ სულელ გოგოს მართლა უყვარდა და მისი გულისათვის წყალში გადაეარდებოდა.

ოლია წამოდგა. ერთმანეთს თვალებში

ჩახედეს, ეჩინანდა, ჯიუტად, თვალის დაუხამხამებლად, გაუღიმებლად, ნაწარმო ეტყობოდა მალე ორივეს გასტყობდა ასე გაქვავებული დგომა და უცებ ორივემ გააციანა. ეს არ იყო ორი ახალგაზრდის ნებური, მზიარული სიცილი, ეს სისინს უფრო ჰგავდა ვიდრე სიცილს.

— აქედან მართლა წამიყვან? — გულუბრყვილოდ ჰკითხა ოლიამ.

— როცა მოისურვებ.

— კარგი, ტოლია, ვიყოთ ერთად. მოსკოვი თუ ჩააბარეს, ჩემი თავგანწირვით ვისლა ვუშველი. ახლა დავწვები, თავიც მტკივა და თვალებიც მეხუტება. ოღონდ ხშირად შემოიარე, ან დამიძახე, არ მიმატოვო. მე ახლა გამხნევება და შენი სიახლოვე მჭირდება.

რა თქმა უნდა, ანატოლი დაპირდა სულ შენთან ვიქნებო, შენზე და შენს ავადმყოფ დედაზეც მე ვიზრუნებო.

დაითათლა, ხელები დაუკოცნა და წავიდა. ოლიამ თვალი გააყოლა.

ანატოლი ქუჩაში რომ გავიდა, ოლია ჩაწვა. მარტო თავი კი არა, მთელი სხეული სტკიოდა. სულსა და გულს რაღაც სწიწვნიდა, ტრიალებდა, კვენსოდა, ტუჩებს იკვენტდა. ვერ იქნა და ვერ მოისვენა. ადგა, ჩაიცვა და საბჭოს ქუჩას დაადგა. ერთი სული ჰქონდა, სანამ პროტორენკოს ნახავდა ან კაილოს ახალ ამბავს მიუტანდა.

საბჭოს ქუჩა ჩაათავა თუ არა წინ პატრულები შეეჩხხნენ, ერთი ფიქრით გაქცევაც კი დააპირა, მაგრამ ასე სიკვდილი უხარობა იყო, თანაც დააგვიანა. პატრულებმა ხელი სტაცეს და საბუთო მოსთხოვეს. ოლიას ხელჩანთაში რევოლვერი ედო, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი აქვე, ადგილზე დაეხვრიტათ.

გერმანელები რაღაცას უყვიროდნენ, ხელებსაც უპოტივებდნენ. ერთმა ხელიდან ხელჩანთაც გამოგლიჯა და ის ის იყო უნდა გაეხსნა, რომ მათ ახლო მსუბუქი მანქანა გაჩერდა.

პატრულები გაიჭვიმნენ. მანქანაში მჯდომმა ოფიცერმა ერთ-ერთი პატრულის მოიხმო და რაღაც უთხრა. ოლიამ

თვალი მანქანისკენ გააპარა. ვიტებსკელი „ბორის ვოლკოვი“ ესესელის მუნდირში ბრწყინავდა. მან ოლიას გაუღიმა. ოლიამ ხელი დაუქნია, მანქანა დაიძრა.

პატრულებმა ოლიას ხელჩანთა მოწიწებით დაუბრუნეს, ფეხი-ფეხს მიართვეს და გაშორდნენ.

„აი, საქმე“ — გაიფიქრა ოლიამ და გზა განაგრძო.

იმ დღის შემდეგ ოლია ანატოლის ხშირი სტუმარი გახდა. ანატოლი ახლა მისდამი დიდ ყურადღებას იჩენდა, თავს ეკლებოდა, მასთან დაფარული აღარაფერი ჰქონდა.

ოლია არ ჩქარობდა, თანდათან იხვეჭდა ანატოლის და მისი მეგობარი ოფიცრების ნდობას. ჭერ ბოგუშევსკში მცხოვრები გამკემ-ნაძირალების სია იგდო ხელში. არ გადაუწერია, შეეშინდა, ანატოლიმ განგებ ხომ არ დატოვაო. სია ბოლომდე დაიხეპირა და დაუყოვნებლივ გადასცა ამხანაგებს. მერე ვიტებსკის პოლიციის დამხმარე ჯგუფის არსებობაც შეიტყო. ჯგუფში ოთხი კაცი და სამი ქალი შედიოდა. ეს სიაც დაიხეპირა. პროზორენკომ ვიტებსკის იატაკქვეშა საოლქო კომიტეტში თვითონ კაიდო ვაგზავნა და ეს ცნობა გაატანა.

ანატოლის ბინაზე თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ გადაცემული ოფიცრები, მერედადმერე მუნდირით მოსვლასაც აღარ ერიდებოდნენ. საათობით ისხდნენ, სვამდნენ და ღრიალებდნენ. ლამაზ ქალიშვილს ყველა ეარშიყებოდა, ზოგი ამჟვრად უპრაჩავდა თვალებს, ზოგიც ჩუმჩუმად ანიშნებდა, ჩემი უნდა იყოვო. განსაკუთრებულ ყურადღებას ოლიასადმი მაინც შტურმფიურერი ჰანს შულცი იჩენდა. მან ყველაზე უკეთ იცოდა რუსული ენა, რასაც კარგად იყენებდა.

მოკრავდა თუ არა ყურს რაიმე საკირო და ორგანიზაციისათვის საინტერესო ცნობას, ოლია ან თავად მიდიოდა ამხანაგებთან, ან ერთ პატარა გოგონას ვზავნიდა. ეს გოგონა ოლიასთან ცხოვრობდა, ავადმყოფ დედას უვლიდა. მისი სახლი დაბომბვაში მოზვედრილიყო,

მთელი ოჯახი ამოეწყვიტა, თავად სასწავლით გადარჩენილიყო, სხუვრად გამხდარი და დაღუღულ გოგონას მშენჯინ გეგონებოდათ, დღე ისე ჩათავდებოდა, მის პირს სიტყვა არ წამოსცდებოდა. ოლიას დედას საწოლთან უჭდა, ხან წყალს აწვდიდა, ხან კარტოფილს უხარშავდა, როცა ოლია დავალებას გადასცემდა, გოგონას დიდრონი ცისფერი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდებოდა და გაუბრწყინდებოდა. მხოლოდ მაშინ ამოიღვამდა ენას, დავალებას ზუსტად გაიმეორებდა და დანიშნულ ადგილისაკენ გაჰქუსლავდა. ოლიასაც ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო ჭუნებში სიარული, ხელჩანთაში თვით კომენდანტის ხელმოწერილი საბუთი ეღო.

ოლიასადმი ნდობა და პატივისცემა ერთიორად მას შემდეგ უფრო გაიზარდა, როცა ამხანაგებთან შეთანხმებით მან ორგანიზაციის ერთ-ერთი შეკრების ადგილი „გასცა“. მართალია არავინ დაუპერიათ, მაგრამ ბინაზე ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ოქმები იპოვეს და ესეც დიდ რაიმედ მიიჩნიეს. ეს ოქმები სპეციალურად ამ დღისათვის შექმნეს ამხანაგებმა.

ოლია შეაქვს, წააქვხეს. შულცმა საჩუქარიც კი მიართვა ქალიშვილს.

ანატოლი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ოლიას უფრო მეტის მოწიწებით ეპყრობოდა, ზოლო შულცისა და სხვა ოფიცრების წინაშე ტრაპანობდა, ჩემი აღმოჩენილიაო, რაკი ერთხელ გაბედა და იყისრა ორგანიზაციის გაცემა, მეორედაც უკან არ დაიხვეს და მალე პროზორენკო და მისი ამხანაგები ხელში ჩავეცივებდებიანო.

ერთხელ, ანატოლთან ყოფნისას, ოლიამ ოფიცრებისგან შეიტყო, რომ ვიტებსკში ვილაც დიდი ჩინის გენერალს ელოდნენ.

ოქმში პარტიზანული მოძრაობა სულ უფრო და უფრო მძლავრდებოდა, შურისმაძიებელთა ცეცხლი მთელ ბელორუსიას ეღებოდა.

პარტიზანები მოქმედებდნენ გაბედულად და მათი ამთავითვე განადგურება

ესესელთა პირველი საზრუნაეი შეიქმნა. ისიც გაიგონა, რომ ის გენერალი ბოგუშევსკში გაჩერდებოდა, — მის შესახვედრად საგანგებოდ ვეშაღდებითო — უთხრა შულცმა.

ოლიამ მცირე ხანს კიდევ დაჰყო, მერე თავის ტკივილი მოიმიზეზა და შინისაყენ გასწია. ეს ცნობა თავად უნდა მიეტანა ამხანაგებისათვის და უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ გენერლის მოკვლა მას არ გაუჭირდებოდა.

გენერლის ამბავმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა პროხოტენკოზე. გენერლის მოსპობისათვის შენისთანა მებრძოლს ვერ ვაფწირავო.

— ის ხომ უბრალო გენერალი არ არის, ესეგელია, დამსჯელი შენაერთის უფროსი. ეს ოლქი პარტიზანებისგან უნდა გაიწმინდოსო, ვერც ერთი ბანდიტი ხელიდან ვერ წაგვივაო.

— მაგას ვნახავთ!

— თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ რა ამბები დატრიალდება, თუ გენერალს ჩამოსვლისთანავე მოვსპობთ. ხალხი გაიხარებს, გული მოეცამა. პარტიზანებიც ვათამამდებიან, უფრო მედგრად დასცხებენ შტერს. ნუ მეტყვით უარს. მე არაფერი მომივა. ჩემს გეგმას წინასწარ გაგაცნობთ და ნახავთ რა უბრალოდ, უმტკივნეულოდ გამოვასალმებ წუთისოფელს იმ გენერალს. ისედაც მოვიწამლე, მეტი აღარ შემიძლია, ხანდახან ისე ავირევი, მეშინია ჩემდაუნებურად რაიმე გაუთვალისწინებელი და საქმისათვის საზიანო არ ჩავიდინო.

— რა უნდა ჩაიდინო?

— რა ვიცი, რა! ერთხელ მინდოდა იმ უწმინდურის ოთახი ამეფეთქებინა. მოვკვდებოდი და მათაც წინ გავიძლოებდი. როგორღაც შევიკავე თავი. დაწყვეტაზეა ჩემი ნერვები, ყოველთვის ვერ გავუძლებ ცდუნებას.

პროხოტენკომ დაუყვავა, შეაქო, შენ ახლა უკვე გამოცდილი იატაკქვეშელი ხარო, ორგანიზაცია შენზე დიდ იმედებს ამაყარებსო. და ასეთი აჩქარება არ გეპატიებაო.

— მოკვდები და მერე გინდა მამა-

ტიეთ და გინდა გამკიცხეთ, სულერთია.

დიდხანს ესაუბრა პროხოტენკოვს ას, ხან თხოვდა, ხან ტუქსავდა, მაგრამ განზრახვაზე ხელი ვერაფრით ვერ აადებინა, არც ალიოშა კაიდოს სიტყვამ გასქრა. რაკი იგრძნო ოლიამ, რომ ამხანაგები ყოყმანობდნენ, კიდევ უფრო გაკერპდა, ბოლოს ორივე დაითანხმა.

ესესელთა ობერგრუპენფიურერის მოკვლა ოლია კარპოვიჩს დაევალა.

ყველას და მათ შორის ანატოლისაც ეგონა, რომ ობერგრუპენფიურერს ბოგუშევსკში საგანგებო შეხვედრას მოუწყობდნენ, მაგრამ პარტიზანებისგან დაშინებული გენერალი ჩუმად შემოიპარა რაიონში, თვითონ გაუპტმან ფონ ულბრიხის გარდა არავინ იცოდა მისი მოსვლის საათი.

იმ დღეს ოლია განგებ ჰანს შულცს დაყვებოდა. ხელჩანთაში რევოლვერი ეღო, უბეში ხელყუმბარა. ოფიცერს უღიმოდა, ეკვლუცებოდა, მის ქათინაურზე მომხიბვლელოდ ნაბავდა თვალებს. ქალიშვილის ყურადღებით გათამამებული შულცი ენად გაიკრიფა, ათასი რამ დაჰპირდა, ომის შემდეგ მის მშობლიურ ქალაქში, შატენში წასვლაც შესთავაზა.

— მერე ანატოლი? — გაიცინა ოლიამ.

— შენი ანატოლი ცრუპენტელაა, მხდალია და უსაქმური, გაგაქრობ.

— არ დამლუპო, თორემ ვერ გადავიტან. — აკისკინდა ოლია. შულციც გულჩანად იცინოდა, ოლიას ხელზე ხელს უჭერდა და თვალეში ენებინად ჩასცქეროდა. იგი თავის წარმატებაში უკვე დარწმუნებული იყო.

— იცი, ჰანს, — განგებ შენობით მი. მართა ოლიამ. — მე არასოდეს არ მიჩახავს გენერალი. სულ თქვენს წრეში, ასე ვთქვათ, დაბალ ჩინებში ეტრიალებ და ერთხელაც კი არ მომეცა საშუალება, რომ გენერლისათვის თვალი მაინც მომეკრა, მოხუცებულნი არიან ხომ?

— არც ისე, ვის როგორ გაუმართლა, ვის როგორ წაუვიდა საქმე. ვინ რა ავ-

ტორიტეტით სარგებლობს და რაც მთავარია, ვის რა თვალით შეხედა ფიურერმა. საერთოდ კი იცოდეთ, ძვირფასო, ფროილენ, დაბალი ჩინის ადამიანებმა, უფრო ძლიერი, მამაკით, უფრო გამაგებელი სიყვარული იციან. — გაიციონა შულცმა.

— ამით ის ხომ არ გინდა მითხრა, რომ მე ეფრეიტორი უნდა ვეძიო?

— ღმერთმა დაგიფაროს!

— თვითონ ის გენერალი, ჩვენი დღევანდელი სტუმარი ხნირია?

— თქვენ რა, მასთან გაარსიყვებას ხომ არ აპირებთ? ვიცი მოგეწონება, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მან თვალი მოგკრათ, ისეთი წუწკი ვინმეა, მეც და იმ შენს ანატოლისაც პირში ჩალაგამოვლებულს დაგვტოვებს.

— თუ ასეა, არ დავენახვები, მე შენ არ გიღალატებ!

ამ დროს ობერგრუპენფიურერის წინ ბოგუშევსკის კომენდანტი, გაუბტმანი ფონ ულბრიხი სიმივით გაკიმული იდგა და თავის გამართლებას ცდილობდა. გენერალი მას ფრონტზე გაგზავნით, დახვრეტით ემუქრებოდა, რადგან იცოდა, რომ ბოგუშევსკის რაიონში უკვე რამდენიმე პარტიზანული რაზმი და იატაკქვეშა ორგანიზაციები მოქმედებდნენ.

კომენდანტურასთან გენერლის მანქანა და ორი მსუბუქი ტანკი იდგა. ცოტა მოშორებით სატვირთო მანქანებზე ესესელები ისხდნენ. პატარა მოედანსაც ესესის ნაწილი იცავდა.

შულცი და ოლია მოედანზე დასერილობდნენ. ოლიას თვალთ ქამდნენ ესესელები, მაგრამ შტურმფიურერის ხათრით ვერაფერს უბედავდნენ. შულცი ნაწყენი იყო. წესით ახლა იგი კომენდანტის გვერდით უნდა მდგარიყო, გენერლის ბრძანებები მოესმინა და იმის მიხედვით ემოქმედნა, მაგრამ გაუბტმანმა უბრძანა, მოედანს და მის დაცვას მიხედო. ერთის მხრივ ეს არ წყენია, რადგან გაუბტმანზე განაწყენებულ ობერგრუპენფიურერს შესაძლოა მასზე ეყარა ჯავრი და დღესვე ფრონტზე გაეგზავნა.

კომენდანტურაში ჩოჩქოლი ატყდა. შულცმა წასვლა დააპირა.
— მტოვებ? შენს გაჩეხვამ მინა გამაჩერებს?

— არცაა საჭირო, წადით ოლია, გავისტუმრებთ გენერალს და გნახავთ. გთხოვთ!

— მაგდებ? მერე ჩემი თხოვნა! სიტყვას გაძღვე სულ არ ვეჩვენები იმ თქვენს უფროსს. ისე მინდა დავინახო, რომ მერე სალაპარაკო მომეცეს. თუ შენ არ შეგიძლია ჩემთან დარჩე, მე მაინც დამტოვე იმედინად. პანს, გთხოვ ძალიან გთხოვ. მერე კი... მერე შევხვდეთ ერთმანეთს...

შულცმა ოლია წაიყვანა, ჩანგრეული აუზის ახლო გააჩერა, თავად კომენდანტურასთან მივიდა და სხვა ოფიცრების გვერდით დადგა.

ოლიამ თვალი მოავლო მოედანს. გადარჩენის იმედი არ ჰქონდა. აქედან ცოცხალი ვერ გავიდოდა, მაგრამ არც ისე ღელავდა, რადგან სიკვდილზე კი არა, ანატოლიზე და იმ გენერალზე ფიქრობდა. ცას მაინც ახედა. სეველიანი, ლამაზი თვალებით უცქირა და ჩუმად ამოიოხრა. მოედნის ერთ მხარეზე რაიონის კულტურის სახლის ნანგრევი ჩანდა. ნანგრევის წინ გერმანელები იდგნენ. ეს ერთადერთი გზა იყო გადარჩენისა. თუ პირველ ორომტრიალს დაუძვრებოდა, სწორედ ამ ნანგრევსკენ უნდა გაქცეულიყო. ამიტომაც ასე დაფინებით იცქირებოდა იქითკენ. ნანგრევს თვალი ააყოლა და უცებ მაღლა, საკვამლე მილის ახლო კაიდოს ქოჩორს მოჰკრა თვალი. შიშისა თუ სიხარულისგან კინალამ შეჰყვირა.

იმავე წამს ვილაცის გამყინავი ხმა გაისმა. მოედანი გაქვავდა. თითქმის ყველამ კომენდანტურისაკენ მიიხედა.

აუზის ახლო გამზმარი ვაშლის ხე იდგა. ოლია ხესთან გაჩერდა, ამ დაძაბული წამებით ისარგებლა და ხელჩანთა გახსნა.

კომენდანტურიდან ჯერ ერთი ოფიცერი გამოვიდა, მერე მეორე, მერე მთელი ჯგუფი და ბოლოს თვით ობერშტუ-

რმფიურერიც გამოჩნდა. მაღალი, ხმელი კაცი იყო. ქუდი თვალზე ჩამოწია. ნელა მიდიოდა, სულ პირდაპირ იცქირებოდა. იგი სწორედ იმ გამხმარ ვაშლის ხეს ჰგავდა.

ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა სუნთქვა შეწყვიტეს. მოედანი გაირინდა. ყველა გენერალს უყურებდა.

ოლიამ ხელჩანთიდან რევოლვერი ამოაძვრინა. გენერლის მანქანა მისგან ათ-ათმეტ ნაბიჯზე იდგა.

რომელიღაც ოფიცრმა გენერლის მანქანის კარი გამოაღო, გენერალმა, გაყინული თვლები მოავლო მოედანს, ოდნავ დახარა თავი და მანქანისაკენ წავიდა.

ოლიამ ხელი გამართა და ზედიზედ სამჯერ ესროლა. პირველ წამებში თვლებზე რაღაც გადაეფარა, ვერც გენერალი დაინახა და ვერც მისი მანქანა, მაგრამ უცებ გამოერკვა და გულმაც მაშინვე დარეკა, ყუმბარა, ჩქარა, ყუმბარა!

უბეზე ხელი იტაცა, ხელყუმბარას მავთული წააძრო, სტყორცნა და გაიქცა. ნანგრევებიდან კაიდოს ტყვიამფრქვევი აკაკანდა. სხვა მხრიდან ავტომატებიც წამოეშველნენ, წუთის წინ გაქვავებული მოედანი ერთბაშად აირია და მღვლეარე ზღვას დაემსგავსა.

...დაპირილი კარპოვიჩი ამხანაგებმა სამშვიდობოს გაიტანეს. იგი მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გრძნობაზე და

როგორც კი ცნობიერება დაუბრუნდა იკითხა: „გადარჩა“?

— ჩამაღლდა, წაიღო შენი წერილი! — ოლიამ ხმაზე კაიდო იცნო, გაუღიმა და ისევ დაჰკარგა გონება.

ოლიას დედას კი ვერ უშველეს. პროხორენკომ მასთან ორი ამხანაგი გაგზავნა, მაგრამ იგი სარეცელიდან ვერაფრით ვერ ააგლიჯეს. დროც არ ითმენდა, ყოველი წუთი გაანგარიშებული იყო. ამხანაგებმა იცოდნენ, როგორც კი მოედანზე სროლა ატყდებოდა, ფაშისტები მაშინვე ოლიას ბინაზე მივარდებოდნენ.

ოლიას დედა ვერც ხვეწნით დაიყოლიეს გადაყვანაზე და ვერც მუქარით.

ოლიას მიმიხედეთო, იგი მიცოცხლეთო!... ეს იყო მისი უკანასკნელი სათხოვარი.

ოლიას სახლს გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს და დედაც შიგ გამოწვეს. ის პატარა გოგონა კი გადაარჩინეს.

ორი კვირის შემდეგ, როცა ოლიამ სიარული შესძლო, დედის ნახვა მოინდომა. მაშინ გამოუტყდნენ ამხანაგები. ოლიას არ უტირია. მთელი დღე იჭდა გამოლენჩებული და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. ანატოლი იმ დღის შემდეგ რაიონში აღარ გამოჩენილა, გადაიკარგა. ბოგუშევსკში დარჩენა აღარც ოლიას შეეძლო. ამხანაგებმა მოილაპარაკეს და იგი ტყეში, პარტიზანებთან გაგზავნეს.

ლია ასათიანი

ი ა ნ უ ს ი

ამერიკელი კოსმონავტები დაეშვნენ მთვარის ზედაპირზე. მშვიდობის ზღვის რაიონში.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ბ—52 ტიპის ამერიკულმა თვითმფრინავებმა ისევ დაბომბეს ტაივანის და ბინკ-ლონგის პროვინციები.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

მადიებელნი ოქროს საწმისის, თუ ოქროს მტვერის დასაბამიდან საჭიროებდნენ გამძლე ხომალდებს. და სულერთია, რას მიარღვევს ხომალდის ქიმი: ზღვასა, თუ ქაერს, თუ უქაერო კოსმიურ სივრცეს — აფრად ფრიალებს მოლოდინთან ორთაჭიდილი, დაგშვება და ძლევის სურვილი.

მთვარე რომელიც არავის და ყველას ეკუთვნის, გულდამშვიდებით ღებულობს სტუმრებს, მაგრამ იქ, სადაც ჭერჭერობით არის საზღვრები, ნათელ კოსმოდრომს მტრულად უშურს ავიამზიდი და სიკვდილისფერ ველებიდან ბომბდამშენებით უცხო მიწისკენ მიფრინავს კაცი, რომ ხანძარს მისცეს სხვისი კერა.

ხმა კი დაღაღებს:

— თუ გესმის, იანკი!

ჩემი შვილი, რომელიც გუშინ
შენი ნაღმის ცეცხლში გაცივდა,
ყოველ საღამოს შგზხაროდა ცასა და მთვარეს
და იწვალებდა თავს შეკითხვებით:
მთვარედანაც თუ აღფრენბენ თვალს დედამიწას.
თუ გესმის, იანკი!



ჩემი შვილის გარუჯული, სუსტი სხეული,
 გუშინ რომ ტანზე მივაფარეთ ბალმის ტოტები,
 სამარადისოდ გამოუთიშა შორეულ ეთერს და ცისფერ ეკრანს
 მან ვერ იხილა ადამიანთა ამაყი მოდგმის
 მთვარის სანატრელ ზედაპირზე თამამი გასვლა
 და ვედარასდროს დაფიქრდება,
 რომ სამყაროში დღეს არსებული ყოველი წყალი,
 თუნდ მონათლოს მშვიდობის ზღვის ლამაზ სახელით,
 მაინც ვერასდროს დააკებს მშვიდობის წყურვილს,
 მხოლოდ მშვიდობა, ზღვა მშვიდობა — თავისუფლების
 შენაკადებით

სწყურია ყველას,
 სწყურია ყველას: თავისი ჭერი და ნაჭერი ბედნიერება,
 შემოწვეული, მოწმენდილ ციდან, ყოველ სადამოს
 მთვარის სტუმრობა
 და იმის რწმენა, რომ აღარავინ ედავება მზესა და მთვარეს.

• • •

სანთელი ენთო, სანთელი ენთო
 და ქარი ჭროდა.
 სანთელი ენთო და ქარი სანთელს
 არას ერჩოდა.
 და მეც ვანთივარ, და მეც ვანთივარ,
 შენ კი არ იძვრი.
 რომ არ ჩამაქრო. უნდა ჩამაქრო,
 თორემ დავიწვი.

მაგიდას თეთრი ეფარა სუფრა
 და ღვინის წვეთი,
 როგორც დაკარგულ იმედის კვალი,
 მოჩანდა ბედადა,
 ბოლავდა სველა სიგარეტის
 ალისფერ ენის,
 მარტო დარჩენის და ფერფლად ქცევის
 ფარული სვედა.

ხხელი ღღე

გადამეშლება თვალში იუბი,
 მოიზიდება მშვილდივით ძვალთ,
 და ხმა, რომელსაც უკვე მივენდე,
 თვითონ მომაგნებს უხილავ კვალთ.

ხელთ მიკავია თიხის ხელადა,
 ვაგროვებ ცვარს და მსურს ვწანდე გამრჯე.
 ყოველ რემას ჰყავს თავის ბელადი,
 მე კი ბელადთა მეთაურს ვარჩევ.

ვითელი მზის ლაქებს ჰიქის გაგაზე,
 ავაზის ზურგზე ხერხემლის მალეხს.
 მორცხვი ფირაფი უსაზღვრო კისერს
 მადლა იღვრებს და ჩემგან მალავს.


ნუ შემაჩერებ. რეკავს საათი.
 ზოოპარკს ეტოვებ ცხაურის იქეთ.
 წყლის გამყიდველი ქალთან კამათობს.
 მე ველარ ვითმენ და ჭიქას ვიღებ.

ეჭვი



გსურს დამიძახო
 და სურვილს ებრძვი,
 გსურს დამინახო
 და თვალს იბრმავებ,
 გსურს ხელს მიწვდიდე
 და ხელეებს იჭრი.
 იღვრება დღვილად დაღონების მაღალი ფიჭვი,
 ჩემი თანადი შენსა თანა და შეინახე.

წყებული მოთხრობის დასამთავრებლად. რა

მალე განვლო თხოვნიერება წელში, თითქმის გუ-
შინ იყო, პეტერბურგში რომ სწავლობდა, მისი
მოუშორებელი ფიქრი იყო ვაბრო, თაბრო, პე-
ბია... მამის სწავლამ შეუშალა ხელი და ეს ფი-
ქრი გაუწყდა. ახლა კი გლახის ნაამბობის და-
ბეჭდილი თავები რომ ჩაიკითხა, იმდროინდელი
გულში მიღვიძილი ფიქრი წამოიმართა და ისევ
აყნო.

მთელი ღამე წერდა. თავზე დაათენდა, დი-
ლის იისფერი შუქი ოთახს რომ მოეფინა, დალ-
ლა იგრძნო, ხელ-პირი დაიბანა, ცოცხა წყალში
კარგ გუნებაზე დააყენა და წერა განაგრძო:

„მე სწორედ ვიხსობა, ცუდია აგებულების
კაცი ვარ, — წერს ილია პეტრე უშიაკოვილი,
— დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ
დაიწეროს რაღაც და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს
არ დაეინებებ — ეგ მოსვენება და შალავათი
ჩემთვის სინამარხია, თუ დაიწერე რაღაც და არა-
ფერმა არ დამიშალა დაწყობილს მალე შეეას-
რულე, და თუ დაწყობილი შემეწყვეტინა რა-
მეც, გათავად: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოუ-
ბრუნებდები“.

თხოვნიერი წლის შემდეგ რომ მოუბრუნდა
და ბედნიერადაც მოუბრუნდა, საქმე კარგად
წავიდა. „დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში
მედო და ძლივს მოვიშორე“, — აცნობა კირი-
ლე ლორთქიფანიძეს.

ხოლო 1873 წლის 18 იანვარს ეჭრნალ „კრე-
ბულს“ რედაქტორს ნიკო ნიკოლაძეს ილიამ პა-
სწერა:

„ტუფილებრალოდ შეუწყებებიათ გლახის
ნაამბობის კორექტორის თაობაზედ. მე ვიხსოვთ
მარტო უკანასკნელი კორექტორა გამოგვიგზავ-
ნით იმ პირობით, რომ მეორეს დღესვე უკან
დავიბრუნებთ. გლახის ნაამბობის გასწორება
ფიქრად აღარა მაქვს. როგორც დაბეჭდილია
ისე გადაბეჭდეთ. დღე მაგ პირმშო ჰქმან ჩემ-
მან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდა-
პირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუ-
ქციოს.“

გაგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომე-
ლც უღრის 35 გვერდს საქართველოს მოამ-
ბისას, მზად არის კიდევ „კრებულს“ სამსა-
ზურისათვის. მე ვგონია, რომ შესრულებისათ-
ვის ერთი ამოღენა კიდევ დამჭირდეს, ასე რომ,
თებერდლისა და მარტის კრებულსა თავ-საფრე-
ლად ვუყოლ. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი
მოსაწონს გამოევა. ცუდი საქმე მიყავით, რომ
ეგრე ცოტა დრო მოშეცით ნაამბობის შესა-
რულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა
შენთვის გამოგვგზავნა, რომ შენ და კირილეს
თვალთ გადაგველოთ და მის შემდეგ თქვენი
პირთუხვეული აზრი ჩემთვის გვეწოდებინათ. ამ
განზრახვასაც თავი დაეანებე. რაც იქნება, ეს
მოზღდეს... რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს
გლახის ნაამბობში და კარგად ვიტყვი, თუ
ცუდად — ამის დარდი ბევრი არა მაქვს. დღეს

ველი რევიზორს. ახა იფიქრე რა რაგად მოეხ-
დება რევიზორი ჩემს გლახის ნაამბობში“

ეს რევიზორი მიხედვით უკანასკნელს
მართლო პალატის პროკურორის ამხანაგი. კარ-
პენკა დუშეთში ბინად ილიასთან გაჩერდა.
დღისით ილიას ვარსებულ საქმეებში იქვემდო-
და, ღამე ქვიფის გუნებაზე დგებოდა. რა ექნა
ილიას. „გლახის ნაამბობში“ ჯერ კიდევ მელან-
შეუშრობელი ფურცლები უჭრამი მალავა და
რევიზორის ნებას აყვავ.

შედაჩებით მოკლე დროში მანაც დაასრულა
მოთხრობა და იმეამდ ბაქოში დასთან მყოფ
ოლღას მიხარია:

„მე უშინდით ძალიან მოწყენილი ვარ, არ-
სად არ დავდივარ და სულ ვწერ და მინა ვზი-
ვარ. გლახის ნაამბობი გავათავე და იბეჭდება
კიდევ, დაბეჭდილს გამოგვიგზავნი. ზოგიერთი
აღვალეუბი, მგონი, ყარჯი გამოვიდა, ამას კი გე-
ტყვი, რომ მაგის გათავებაზედ გული აღარ მი-
მიწვედა, მაგრამ როგორც იყო, გავათავე და
გულიდამ თითქმის ლოდი მომეხსნათ“.

ილია დუშეთში იმყოფებოდა, მაგრამ სინო-
რე ხელს არ უშლიდა „ახალი თაობის“ საქმი-
სათვის ესტუმრებოდა. დედაქალაქს, თავის
წრეს მისი შრეუხვეული ხელი მანაც არ აკლდა.
ილიას საკუთარი ორგანო არ გაიწინა, რასაც
ძალზე განიცდიდა, იგი ოცნებობდა ჟურნალის
ან გაზეთის გამოცემასზე. მზად იყო ამ საქმი-
სათვის სამსახურით შეეწირა.

„თუ სამსახურიდან გამოვალ, — სწერდა
პეტრე უშიაკოვილი, — მარტო იმისათვის, რომ
ეჭრნალი გამოვიყ. ვფიქრობ და ეგ გამოცემა
ვერ მომიხიზნებია. აი სრულადი დაბრკოლე-
ბა ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიყრავს.
თუ ორიოდ და სამოდ რიგვინ (სად იპოინ?)
შწერალზე იმედი შექნება, ანუ უკეთ მოშეცე-
მა, მაშინვე დაეკრავ ფეხს, გადაუვარდები ბახ-
ტრიონ ვალავანზედა“.

მამინდელი „კრებული“ და „დროება“ თემ-
და ახალ ბანაკს ეუფლებოდა, მაგრამ ილიას მი-
ხანი და გვგმა დიდი ჰქონდა და ამ გამოცე-
მებში ვეღარ ეტეოდა. ეჭრნალ-გაზეთებთან
ერთად ილია ნატრობდა მწერალთა კლუბსაც,
სადაც მოეწყობოდა შეხვედრები, ახალ ნაწარ-
მოებთა კითხვა-განხილვა და ლიტერატურის
საკითხებზე სჯამასაც. ამის თაობაზე თავის მე-
გობაბს პეტრე უშიაკოვილი წერდა:

„ჩემი აზრი ეს არის: „კრებული“ უნდა არ-
სებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობა-
ში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მათ „კრე-
ბულს“ ნოყიერი საზრდო მიეცეთ, რადგანაც
ნიკიტირი მწერლები მინც და მინც არა გყავს.
იქნება მაგ „კრებულს“ საქმე რიგვინად წასუ-
ლეთა, რომ მწერლებს ეჭრნალის ვადა სხვა ეკ-
შირიც ერთმანეთთან ჰქონდეთ, მაგალითად
რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხე-
ბულიყო. საცა შესაძლო უოფილიყო მწერლე-

ბისა და სხვა თანამგრობებელ ერთად თავის მოყრა, თვითველს განუხმის საუნჯის აღებ-მოცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალია ხარ შენ; დაფანტულობა და დაქაქსულობა გვედრავს ჩვენ...“

„ახალი თაობის“ წარმომადგენელი უფრო მაგარ, მომავლის მქონე ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ არც ძველი თაობის მესვეურნი იყვნენ გულზელდაყრფილნი.

მამინ თბილისი ემზადებოდა იმპერატორ ელქსანდრე II შესახვედრად. თავიდანწინაურობამ თავის საგანგებო ყრილობაზე წინასწარ განიხილა იმპერატორისათვის აღრესის მიზითშევის საკითხი. ამ ყრილობაზე ახალი თაობის წარმომადგენლებმა თავიანთი ვიტიანეს და დაადგინეს, მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე იყო.

საქართველოს უნივერსიტეტი! უხაროდა ილიას და ფიქრობდა, ამ სათხოვარს იმპერატორი ზურგს როგორ შეაქცევს. მისთვის რა, ერთი „პო“ და ჩვენს სანუჯვარ ოცნებას ხორცი შეუხსნებოდა.

ამ დღეებში ილია კარგ გუნებაზე იყო. ყველას მიასარა თავადანწინაურობა საკრებულოში გამარჯვება. ჩვენ ჩვენი გავიტანეთო. ერთ-ერთ საუბარში კობტა იფხაზში შეაპარა.

— ჩვენს ახალგაზრდობას პეტერბურგში აწ წოწილი უნდა დასჭირდება, მაგრამ მეფემ ჩვენ რომ აღნივერსიტეტი გვიწყალობოს ამისი იმედი გავქვს?

— ჩვენ მისი წყალობა არ გვინდა, ჩვენ მოვითხოვთ, ეს მთელი ხალხის აზრია და ამას ანგარიშს გაუწევს. ახლა სხვა დროა.

— ნეტამც ვერე იქნებოდეს!

— შენ რაღაც იმედი გავწყვეტია?

— უნივერსიტეტი დიდი საქმეა, ძალიან დიდი. ამ დიდ საქმეს იმპერატორი პატარა ერისათვის არ გაიმეტებს?!

— დალოცვილო, შენი არ მიყვირს, გაიხედ-გამოიხედ, საქართველოში რამდენი აკადემია გქონდა. ერთი უნივერსიტეტი რა ბედენაა.

მაგრამ ილიას და მისი მეგობრების ოცნებას განხორციელება არ ეწყება, გადაგვარებულმა კართევლებმა იმპერატორის საამებლად სიტყვა გატეხეს...

მარშალმა რევზ ანდრონიკაშვილმა, ბარონ ნიკოლაის წაქეზებით და თავად-ანწინაურობა რეაქციულმა ჯგუფმა პირი შეკრეს, არაფრად ჩაავლეს ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება და იმპერატორის საამებლად უნივერსიტეტის მაგიერ აკადემია კორპუსის გახსნა მოითხოვეს.

ამ ლაქიურმა მოქმედებამ ილია და მისი მეგობრები ილაშფოთა, ილია სხვას რომ ვერაფერს გახდა, პამფლეტი დაწერა და რეაქციულ ბანაკში ყუმბარასავით ჩააგდო.

მართლაც, დიდი ძალისა აღმოჩნდა ეს ქაშფულეტი-გამოცანები; რეაქციონერები სამარცხიანი ბოძე გააკრა, გრიგოლ ორბელიანი დაიწვევრა გამეტა ქვეყნის ორგულარ დასაქმარება რაკაგად, მაგრამ საყვედური მაინც არ დააკლო.

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმზურავალი,
სიტყვა-ტუბილი, ჭკვა-მალალი,
ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობთ საესე, ვონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემამერთავი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

„გამოცანები“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა კითხულობდა და ავრცელებდნენ. სერგეი მესხს ძალიან მოეწონა იგი და კირიულ ლორთქიფანიძეს ქუთაისში აცნობა.

ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელშიც ქალაქი შესძრა...“

გრატოლ ორბელიანი, თუმცა ძველების დამცველად გამოდიოდა, მაგრამ მოხუცი პოეტი სულთ და გულით ახალგაზრდობასთან უფრო ახლოს იყო. გრიგოლმა რომ წაიკითხა პამფლეტი, შებლი შეიკრა, მაგრამ მაინც კეთილად თქვა:

„არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს თავისი შვილისაგან. ერთი რამ მწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოთ, მოვა ეს ამბავი და არ იფარგებს, არაფერ არ უნდა იცოდეს ჩვენი იღუმალი გეოსის ზრახვანი“

ამ სიტყვას რამდენიმე თვის შემდეგ პამფლეტი მიაყოლა — „პასუხი შვილთა“. მაყური იყო გრიგოლის პასუხი, მაგრამ ილიაზე მაინც მორიდებულად წერდა:

„ის ლიბერალი,
ბურთივით მრგვალი,
ზნეობის მცველი, ამას ქადაგებს:
ლოცვა რად გვინდა,
ღმერთი რად გვინდა,
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“.

მამათა და შვილთა შენელებული ბრძოლა, ახლა ისევე გამოწვავდა. ილიამ დაწერა თავისი ცნობილი „პასუხის პასუხი“. საერთოთაი თავის გრიგოლესებური დახასიათება კი მოეწონა. რიცა ილიას ცოლის დამ ზემორობით შეარქვა ზედმეტი სახელი, მას ეს ეწყინა და ოღლის მისწერა: „კატოს უთხარ, რომ ჩემთვის ტყუილად დაურქმევია ტაქტობა. მე კლასიკური სახელი მაქვს, გ. ორბელიანისაგან მოცემუ-

ლი: ის ლიბერალი, ბურთივით შრგვალი. სხვა სახელს არა ვეისრულობ.“

მამიდა მაკრინემ მშისშვილების აღზრდას თავი შეესწირა, განსაყურებით ილიაზე იყო გადაგებული, პეტერბურგში ოთხ წელიწადს ცხოვრებას ცოტა უნდოდა? ყვარლის მამულში დღე და ღამე ასწორებდა, ვაჟის კაპიჯზე ადებდა და დანაზოვს უჯახენიდა.

მაკრინეს ქმარი, ივანე არავჯის ერისთავი რომ გარდაიცვალა, მზარუნველმა შეუღლებს იყოლოთში პატარა ეკლესია ააშენა და მერმე 87 წლის ასაკში, სიკვდილმა რომ უწია, იმ ეკლესიაში მიუწინიეს საშუადომო ხანი.

ილია დღეშეთში იყო მაკრინე რომ გარდაიცვალა. მისთვის ეს საშუაბო ამბავი დროზე არ შეუტყობინებიათ და გვიან რომ გაიგო, გულდამწვარმა ოღლას მისწერა.

„საწყალი მამიდა... გარდაევილა და ძალიან შეწუხებული ვარ. შერე შენც აქ არა ხარ და გიყსავით დავდივარ ოთახიდან ოთახში, ძალიან მწუხარ, რომ ჩვენ ეს პირშავად დავჩინით მამიდის წინაშე. საწყალი მამიდა ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს. შე მარტო იმას უფრო ეწუხვარ, რომ არ ვიცო, თავის ქმართან დამარხეს თუ არა. საკვირველი ხალხია ჩვენი ხალხი. ერთი არაინ არასა მწერს. ფული ვაუბჯახენე“.

ამ ბარათის შემდეგ უფრო შეწუხდა. თბილისში ჩამოვიდა, ნამგზავრს არც დაუხვინია, თან ვერცხლის გვირგვინი მოიტანა. არც ერთ ნათესავეთან არ შეუვლია, ტანისამოსი გამოიცვალა, ეტლში ოღლა ჩაისვა და ელისაბედთან მივიდნენ. ყარი მსახურმა ვაილა და უთხრა: ქალბატონო, ყვარლიდან არ ჩამოხბრძანებულაო.

გახზე ილიას ხმა არ ამოვილა, ოღლაც დღედა, ესმოდა ქმრის ოხერა. ზედავდა, როგორ ამოქონდა ვიხიდან ხშირ-ხშირად ცხვირსახოცი და თვალებს იწმენდა.

პირველად ზედავდა ილიას ცრემლს, თვითონაც ტირილი, შერამ მამაკაცის ცრემლი მიინც სხვა იყო.

ყვარელში ღამით მივიდნენ. ელისაბედი აივანზე გამოეგება და დაფეთებულმა ჰკითხა:

— ხომ მშვიდობაა?

— საბრალო მამიდა! — აღმოხდა ილიას და ქვიითანი აუტყდა.

— ერთი წეროლი ან დებეშა ვაგიჟირდათ? — გვიან იკითხა მან.

— როგორ არა, ილიკო, მოგწერეთ. — შერე რძალს მიღბრუნდა, — არც შენ მივილია, ქა? — არა!

— რა ვიცი, ეს როგორ მოხდა. შე კი გული გამისკდა, შერგონა ავად იყავით. ფული კი მოვიდა, ისიც დავგვიანებით!

დილით ნათესავეებმა და შუბოლუბებმა მოიყარეს თავი და ილიას გააყენენ იყოლოთში, გამხმარი ვარდებით დაფარულ სახლში იერცხლის გვირგვინმა დაამშენა. გვირგვინს პატარა ფირფიტა ჰქონდა დატანებული და ზედ ეწერა: „ჩემს გამზარდელ მამიდას ი. ქავიჯავაძე“.

— დამტირებელ შვილს მეძახდა, — თქვა ცრემლმორეულმა ილიამ, — და ისე წახვდო, ვერ დავიტირებ!

— ნუ სიცოდავ, შვილო, — უთხრა შუბოლუბმა, — ეს ტირილი არ არის?!

შესაწოდბარი დაღიეს, საფლავს ღვირო დაასხეს, შერმე ყველანი ჩრდილისკენ წავიდნენ, ილია არ დამტულა, თავდახრილი იდგა.

თბილისში გადაწყდა ბანკის გახსნა, მაგრამ ღინანსთა სამინისტროს წესდება უნდა დამტკიცებინა, მთავრობას ფულადი დახმარება უნდა გაეწია. ამ სადავადარაბო საქმეს ისე ილია თუ დაადგამდა თავს, თორემ სხვას ვის მიუწევდებოდა ხელი.

ილია სიძნელეს არ შეუშინდა, მეგობრებს შემოთავაზებული საქმის კეთილად დაგვირგვინება აღუთქვა.

მაშინ ოღლაც მასთან იყო დღეშეთში. ილიამ იმედით სასვე გაისტუმრა, მალე მოეშორდები აჭაურობას და მერმე თბილისში ერთად ექნებოთო... რამდენიმე დღის შემდეგ წერილი დაადგინა:

„რაც შენ წახვდო, ასეთს გუნებახვდა ვარ, რომ მოწვენილობისა გამო ძალსაიოთა დილიდამ საღამომდე ეღრინავ. რაკი სუდიდან გამოვალ მე, შენი ბურთივით რგვალი ქმარი, დავგორავ ჩვენს დიდ ზალაში უაზროდ, უსაგნოდ და ყოვლად სულელურად. მარტოობა მწუნავ ყოფილა. შენ კიდევ რა გიჭირს? შენ დასთანა, სიძესთან და დისწულეებთან ხარ. შე ვარ საცოდავად ამ უკაცურ კაცებ შორის. ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოელისჭრის ატანის შეძლება მოეცია ჩემთვის.“

დღეს კარბენკას მოველი, ჩემთან ჩამობტება. ევრაფერი სტუმარ-მასპინძლობა გვექნება, შერამ ამასაც ავიტან და უქანასკნელ უსიამოვნებას ჩემის სამსახურის უქანასკნელის დღეებისას ამით ვადგინდო. ამა წარმოიდგინე შენი გაბღენილი ქმარი და კარბენკა ერთს ოთახში მარტოდ-მარტონი. თუ ამ წარმოდგენაზედ ჩემს სიბრალელით ცრემლი არ მოვივა. ვაიცივე მიანიც. სულ ერთი იქნება: ამ ბედნიერსა და ცუდლუტობით სავესს ქვეყანაში ცრემლი და სიცილი და-შანი არიან“.

„სამსახურის უქანასკნელი დღეები“ უფრო ძნელი და ასატანი აღმოჩნდა. ილიამ ჰირვეული რევიზორი კარბენკა გაისტუმრა და შერმე

ფიქრთ გასართყელად ბაზალეთის ტბას მიაშურა. ძალიან ინტერესებდა მისი ავანზავანი, აბოლებელი ვლგებები, — ივანე შეშიაშვილი, არქვეან უნილიაშვილი და ომანა ჭურციკივე გვერდში ამოიყვნა და ტბის ლაქვარდოვან ნაპირს მიადგა. ერთ მხარეს თეთრი რცხილის ტყე ზედ ნაპირთან მისულყო. თვალი უკეთესს რას ნახავდა! უზარმაზარი ზეები მოღვლევი წყლისკენ გადახრილიყვნენ, თითქოს ეწაფებოდნენ კიდევ. ილიამ თვალი ვერ მოწვიტა ტბას, მერე მყინვარისკენ გაიხედა, რომელიც კარგად ჩანდა.

ბაზალეთის ტბასთან ილიას მისვლას, ვლგებთან საუბარს კარგად აგვიწყრს ივანე პაპიაშვილი.

— მყინვარი! აი, მყინვარი! — დაიძახა თურმე ილიამ და შერამე შეშიაშვილს მიმართა:

— ივანე, აბა, ერთი მითხარი, ამ ტბის შესახებ თქვენი მამა-პაპანი, რას იტყოდნენ ხოლმე? ან როგორ დადგა ამოდენა წყალი იმ ტრიალ მინდორზე.

ილიამ ჩაახველა და მარჯვედ დაგვიქდა.

— პო, აბა, აბა მომიყევით, როგორ იტყოდნენ, რა ანდაზები გაგაგონიათ ან თუ იცით რამე: ლექსი, ზღაპარი, ყველაფერი მოიგონეთ და მითხარით...

— შე ესე გამოგონია, — დაიწყო ივანემ. რომ აქ ყოფილა სოფელი. მდგარა ერთი მაღალი კოშკი და ჭქონიათ ღრმა ჭა, ვინც იმ ჭიდან წყალს ამოიღებდა აუცილებლად შავრა უნდა დეფორმებინა სარქველი, თორე წყალი გადმოვიდოდა და კოშკში მყოფ ხალხს დაარჩობდა. იმ კოშკში ერთ პატარაშალს მყოლია ოქროსქორიანი ვაჭიშვილი, ოქროს აქვანში თურმე ზრდიდა და ვარს იმ ცხებს ქარი იცავდაო. გამოსულა პატარაძალი, აუესია ვერცხლის კოკა და ჭა დაეწივებია პირ-ახდილი... უცებ ამოვარდნილა ძლიერი წყალი, გავილა კოშკი და ჩაძირულა, შიგ ჩატრანია კოშკიც და სოფელიც. ამბობენ ეს ტბა უძირთაო და მართალია თუ არა არ ვიცი, აი აგრე გამოგონია მერე არაფერი ვიცი... ყველანი ივანეს თქმაზე იცინიან და იტყვიან: ჩვენც ეგრე გავგიგონია.

ილია: კეთილი ჩემო ივანე, აბა კიდევ-კიდევ! ივანე: კიდევ რაზე მკითხები რა ვიცი?

ილია: აი ამ ნაცრის გორაზე, რომელიც კოშკით დგას ამ ტბის პირას და ზედ ჭვევრებით არის საესე, რატოა, რომ სულ ძვლებით არის საესე და ადამიანების თავებით?

არქვეანამ და ომანამ ორივემ ერთად დაიწყო ლაპარაკი, ილიამ შეანერა, ერთმა ილაპარაკოსო. შერცხვა არქვეანას და თავი ჩაღუნა.

ილიამ ჭიბიდან საბი მანეთი ამოიღო, არქვეანას მხარზე ხელი დასრია.

— გადატოთ ღუმელის ზეზე და ღვინოც მოიტანეთ და საჭმელიცო.

მაშინ ღვინო, თუნგი ექვსი შური იყო. — წერს მოგონებაში პაპიაშვილი, „ეს ცხებზე მკნეთი და ბურჯავი ათი შური“ არქვეანა ცხენს მოახტა და ხორაგის მოსატანად წაიხდა.

ილია მაშინ ქურციკიქეს მიუბრუნდა.

— აბა, ღროს ნუ დაეკარგავთ, ამ ნაცრა გირისა რა იცი?

— ამ ნაცრა გორაზე ასე გამოგონია, აგერ, ამ ტყეში ხო ზედავ, ბატონო! რო ეკლესია — პოდა იქ, თურმე, ცხოვრობდა ფშარაველი. ფშარაველს ყოლია მზეთუნახავი ცოლი, როცა ფშარაველი სანადიროდ წასულა, უდროვია დევს და ფშარაველისათვის ცოლი მოეტყენია. ფშარაველს ცოლს ისეთი დაუწივლია, რომ არავე გაღმა ფშარაველს გაუგონია. ფშარაველს მყოლია ისეთი ცხენი, როგორც ელვა და გადმოტრენილა კოშკისკენ, გამოქვილებია და დევს სწორედ ამ ადგილას დასწევია; დევი და ფშარაველი შებმულან, ფშარაველს დევი დაუკაფია და აი ეს მთა იმის ძვლებით და სისხლით არის დამდგარიო, ფშარაველი დევთან ბრძოლაში დაქრილა და დიდხანსაც ვერ უცოცხლია. როცა ფშარაველი მომქედარა, მაშინ ფშარაველის ცოლს ფშარაველის საფლავეზე თავი მოუტყაღას და ზედ ქართულ ერს საყდარი აუშენებია.

ილია: მერე და ის დევი საიდან მოსულა?!

დათა: იმ დევზე ასე მოგახსენებენ, ბატონო, როცა აქ ოქროს აცვანი, ოქროსქორიანი ყრმით დაღუბულა, მაშინ ამ ტბას დევი დაპატრონებია. ბევრი გმირი მყავს იმ დევს ამ ბაზალეთის ტბის პირზე მოკლულიო. ასე იტყვიან და გაგვიგონია, მაგრამ მძლეობა-მძლე თუ დღლიოს უფლადა და ფშარაველს კი ცხრა თეთიანი დევი აი ამ ადგილზე ჩაუტყუია...

ილია: კანჭის ქედი რათა ჰქვიან და რა იცით იმაზე?

ივანე: კანჭის ქედი ჩვენ ასე გავგიგონია, ერთმა სპარსეთი დიდი ქართთ შემოგვსევია და აუთხარებია ჩვენს სამშობლო... პოლსს ბაზალეთის მინდორზე მომხდარა დიდი ხელჩართული ომი და არავეს ერისთავს დაუშარცხებია. სპარსეთის ქარს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ შენ მტერს ნურა კარგა, ბატონო, რომ იმთთვის დღე დაუყენებიათ, ერისთავს უბრძანებია ქართველთა ლაშქარისათვის, რომ ერთი ამბის წამლები არ გაუშვათო და ვა მავათო! შეშარაველსიან ვარშელო და ვეტრი კანჭები უმტერეეათ; აი ამიტომ ეძახიან კანჭის ქედს, შენი ქიორიმე...

ილია: ერთი მითხარი, ჩემო ივანე, არ არის თქმულბა ის ვინ ყოფილა და რა გვარი, ან სახელი არ არის იმ ერისთავის?

ივანე: როგორ არა, თეთრომ ჩვენ სოფელში უცხოვრია და სახელიც ნუგუზორი რქმევია, ნუგუზორივით ყოფილა შავი, დღესაც ეტყობა იმის

ნასახლარები და როცა კი იმ ადგილს ვაეობ-
რობ, არ შეიძლება არ ამოცვივდეს: შუბები,
წერაქებები, ნაქაბები, შიშვები და ვინ იცის რა.
იმის ნასახლარზე დღეს ცხოვრობენ პარკაუ-
ლები“.

ამსობაში არქვეანაც მოვიდა, დიდძალი პერ-
მარილი მოიტანა, მაგრამ ჭიჭა დააიწყდა. ხუარ-
ჯინში, რომელშიც მოთები ელავა, თიხის ჯა-
ბი აღმოჩნდა. შეწუხდა არქვეანა, უსიტყვოდ
შებრუნდა.

— სად მიდიხარ? — მიადევნა ილიამ.

— ჭიჭა დამეიწყნია, ბატონო, ამ ქაბით ხომ
არ მიიბრუნებ?

— რატო, რატო! დასხით, დავლევ!

იმ დღეს ბაზალეთის ტბის პირას ილია დაით-
რა, დღინით კი არა, უფრო ამ მიდამოს სი-
ლამაზით, გლუხური ლექსებითა და ლმინდუ-
ბით და მერმე, ათი წლის შემდეგ, 1883 წლის
14 ივლისს დასწერა უკვდავი ლექსი „ბაზა-
ლეთის ტბა“. ეს იყო პოეტის თითქმის უკანას-
კნელი ლექსი.

თერგდალულებმა დღეშიდან ხელმძღვანე-
ლობა და დახმარება არ იყმარეს. ილია ჩვენ-
თან, ჩვენს წრეში უნდა ტრიალებდეს... თბი-
ლისში ვადმოსვლას წინ ეღობებოდა ფული.
ცოტა იყო თუ ბევრი, დღეშითს ხელფასი ილი-
ას ყოველთვიურ შემოსავლად მაინც ჰქონდა.

შეიძლება თუკმა იუთხოოს საგურამოსა და
ყვარლის მამულები ნუთუ არაფერს აძლევ-
დომ?

სწორედ რომ არაფერს აძლევდა.

მოუესპინით თვითონ ილიას. „გუშინ ჩვენი
მოურავი მობრძანდა და ანგარიშები მომიტანა.
გამოვიდა, რომ თახმოცდაბუთი თუმნის პური
მომეცვლია, მაგრამ დახლი სამთემანახევარი
მომიტანა, რომელიც უკანვე სახარჯოდ წაიღო.
ღეინო სულ ოცი თუმნისა მოგვსვლია“.

ცოტა ხნის შემდეგ ილიამ ისევ სიღარიბე
შეახსენა ოლდას.

„რაც შეიძლება მალე დავახწიო თავი სამსა-
ხურსა და მოვზორდე სუდის ნაწილის სიღამუ-
ლესა და სიმყარალესა. იქნება ამ თვის ბოლოს
„იტსტაეკა“ მივცე და შენს წამოსაყვანად წა-
მოვიდე. ქვეყანა დიდი, იქნება უსამსახურო-
დაც თავი როგორმე დაეირაზინოთ. შენ ყოჩა-
ლი მუყვარ, ჩემთან ყველაფერს მოითმენ.
სხვა დარდა არაფერისა მაქვს. მარტო ეს მა-
წუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამ-
სახურადამ რომ გამოვალ, ყინულზედ იქნება
დაწერილი, და ამ უილაქობაში მე სულელმა
კახეთში სახლების ამუნება დაიწყე. რა დროს
სახლები იყო?“

მაგრამ მეტი გამოსავალი არ ჰქონდა. შამა-
ბაბათა კოში, რომელშიაც ლეკიანობისას თავს
აფარებდნენ, დაჭედდა და ინგროდა. არც
სახლი იყო სახარბიელო მდგომარეობაში. „რა

ვქნა, შამა-ბაბათა ექრას ხომ არ მოვსპობა? წიხ-
და ილია, მერმე ვალი აიღო და მშენებლობა
დაიწყო.“

ამ დროს ნიკო ნიკოლაძემ სასულიერო სკოლა-
დან დაბრუნდა, არ მოეწონა თბილისი რომ მი-
ჩუმიებული იყო, მის გამოსაყოცხლებლად ეურ-
ნალის ან ვახუთის გამოცემა განიზარაბა, მაგ-
რამ უილაოდ ნაბიჯი როგორ გადაედგა?

„ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხარენი
შევაჯროვე, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — და
დაეჯროვე, დღეშითი ავიდეთ, ილია ჭეჭვავაძე
მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას და-
ვეუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩა-
ვაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871-
1873 წლებში ხუთჯერ მაინც აესულვართ დე-
შეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორ-
ძინების მოტრფილენი (ლურასბა ანუ შაქრო
მალაღმორე, სანდრო ერისთავი „ამირკელი“,
გიორგი უაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი
მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი ნიკო ლოლო-
ბერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე),
ბეგრჯერ დავგვაბტყენია: მოდით, შეთაურად
ვაგიხიდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-
მეთქი“.

ილიაც სულითა და გულით მათთან იყო. ეს
ახალგაზრდა მეგობრები ილიასთან პირველად
მივიდნენ 1871 წელს და შემდეგაც მრავალჯერ
ჩაეკითხეს. ილია ვაახარა მათმა სტუმრობამ,
მათთან საუბარმა. ამ ახალგაზრდა მეგობრების
სიყვარულმა დააწერინა სამშობლოსადმი იმე-
დით სავსე ლექსი.

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ
შენია...

მათ ახალი აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წერილ-შეილნი წამოგვესწრენ, ნაზარდნი,
გულ-მტკაცებო,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ
იქნები...

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...

მათ თვის მკერდით შექმუსრონ მტერთა
სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მამ რად
მოგიწყენია?

ილია გაბედულად წერდა ცარიზმის წინა-
აღმდეგ, გაბედულად უმღეროდა მშობას და
თავისუფლებას, მაგრამ ეურნალ-გაზეთებში ამ

შეუპოვრობას, ამ რევოლუციური შემართების უოველ გამოვლინებას ცენზურა თავს ესხმოდა, შლიდა და ხალხში არ უშვებდა. ილიას არც ერთი ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა როგორც დაიწერა იმ სახით, ყველას მიწვდა ცენზურის ჭკანჯი.

ცენზურის თვალის ასახვევად ილია ათასგვარ გამოგონებლობას მიმართავდა. მისი სიტყვა და ფიქრი ქართულის გულს სიამით ხედებოდა. შეებნელ რეაქციასთან ზოგან ფარული, ზოგან აშკარა ბრძოლა ილიას ერთ-ერთ წერტილში, მართალია, ნართულად, მაგრამ მაინც მშვენიერად აქვს დახატული. ადვილი მისახვედრია, თუ ვინ არის „მაჯღაჯუნა და სულთამხუთავი“, შწერალს რომ მოსვენებას არ აძლევს.

„იქნება არ დაიჭერთ და ერთი საოცარი, უნაურის სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მართო მე არა მჭირს. თურმე, ნუ იტყვით, ყველას, ვისაც კუყასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ რაც მე. დაეფიქრდები რაზემე თუ არა, ან ჩაუეკირდები რასმე და ტყინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავეთ ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება... ხელაც თვალ-წინ მიდგა და საშინელს ვაღოს მივთვობს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ზეა ზემი იშვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის; რა შემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-წინ

როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უქვლმა ტრიალებს, თითქო ღერძი ვაუტყუდა და საცა არის ტალახის გუნდასავეთ დაეცემა და... და... რეაქცია... ის ჩემი სულთამხუთავი... კი თავს მაღვთა და იღრიყება, იცინის; რას იღრიყები, შე უგვარო; უმსგავსო-მეთქი, ვუებნები. იმან პასუხად ღორის ეშვებსავეთ თავისი სიბერი-საგან ფაჩოლა ღოჭები წამოიფეხა და ამოქართლულ ბუხარსავეთ შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ, ეშვყო-მეთქი, დაიუფირო, შენც არ მომიყვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიშე! ესეც ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მაშაღო იფიელებს, რაკი ის დალოცვილი წამოიფიელებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცხათ თვალწინ გამოიფრთხება, ვაჭრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი, ანუამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზოვარ და შევუფრებ სულთამხუთავს, ვზოვარ ლოდინით დაღღღღღ და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის შე დალოცვილი მამალო, რაღას უყურებ და არ დაიფიელებს...“

ბანკის საქმეები უკვე კარგად წავიდა. თბილისში მოთავდა ყველაფერი, ახლა პეტერბურგსა და მოსკოვში იყო საქარის წასვლა, იქ საშინისტაროებისა და ბანკებში წესდების დამტკიცებასა და ფინანსების მიმოქცევის შესწავლას კაცი სჭირდებოდა. ეს კაცი ილია ჭავჭავაძე იყო.

მოსკოვი, კატერბურში

1873 წლის ივლისში ილია მოსკოვში ჩავიდა, ბანკის საქმეებთან ერთად მას ნათესავების დაეღებაც ბლომად ჰქონდა შესასრულებელი. თავისი ქვისლის — სტაროსელსკის შვილი სასწავლებელში უნდა მოეწყო, სიმამრის — თადეოზ გურამიშვილის საიერისთავის უნდა მიეჩენა, ცოლისდის სათხოვარიც ახსოვდა, გუვერნანტკა უნდა ეშოვნა.

დიდ გაუფაჩიანში იყო, ხან რომელ დაწესებულებას მიაღებებოდა და ხან რომელს. ბანკში ვერაფრით ვერ შეაღწია, ახლოს არ გაიკარეს, შენს საკონსულტაციოდ დრო არა გვაქვსო. ცუდ ხასიათზე იყო და 28 ივლისის საღამოს პეტროვსკის პარკში წავიდა. იქ „ფრანკლუზული ტრუბის“ წარმოდგენა ნახა და არ მოეწონა. „ქალი და კაცი სულ უნამუსობას უჩვენებენ პუბლიკას, — მისწერა ოლღას, — და უნდა ვითხრა, რომ თითქმის მთელი მოსკოვის უბრალო ხალხი იქ ატარებს ყოველს საღამოს. დასწვევლის ღმერთმა. დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტყილისი... ოღონდ ის საზოგადო

საქმე, რომელშიც მე ბედმა გამტია, კეთილად წარუშარტოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამოდენაოც კაცს ვრცელის გრძობის დატევა შეუძლიან ველში, იმოდენად იგი დიდია. მე რომ მართო ყვარული მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზედ დიდი იქნები, და თუ მისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ის ორივეზედ უდიდესი იქნება.

„ავგიოლოია სიყრმიდანვე ჩვენ ქართულის ბედმა და დაე ვეჭრაბონ — ჩვენ მის ძენით დაველით დღენი“.

ეს ჩემი ლექსი ვახლავს, თუ გაიხსენება. ამ ლექსს ვიგზავნი შენ და თან ვატან ჩემს სიყვარულს“.

მოსკოვში ილიას მინდობილ საქმეებზე ნაკლებად როდი აინტერესებდა თავისი უფროსი ძმის — კონსტანტინეს შვილის — სენოს ნახვა.

სენო უკვე დიდი იყო და მის ბედზე ილია ყოველთვის წუხდა. თარიოდ თვის წინათ, დღემთა ილიამ მიიღო სენოს წერილი და სურათი. კარვად ესწავლობო, წერდა. ბიძას ეს ძალიან გაუხარდა, მაშინვე პასუხი და ფულიც გაუგზავნა.

ილიასა და სენოს შორის დამოკიდებულებას ამწვევებდა კონსტანტინეს ცოლი — კატო. როცა ყვარელში ცხოვრობდა, კატო ილიასთან კარვად იყო, რუსულსაც ასწავლიდა მას, მაგრამ კონსტანტინეს დაღუპვის შემდეგ, კატომ გული აიყარა ყვარელზე. აქ შეიღოსაც მომიჯალავენი და ისევ თავის სამშობლო მოსკოვს მიაშურა.

ოჯახური საუბრისას ილია ხშირად ახსენებდა სენოს, აქებდა, ბავშვობისას ძალიან ბუთხეზა და ღამაზი იყო. ოლას დამ კატომ თავის შვილსაც, ილიას საამებლად, სენო შეარქვა. მაშ, ორი სენო გვყავსო, ამბობდა კმაყოფილი ილია.

ილიამ სენო სტაროსელსკი მოსკოვში რომ ჩაიყვანა სასწავლებელში მოსაწყობად, იქ მას სენო ჭკაბუაძე გააცნო, რესტორანში დაბარტყა შამანური დააღვიანა, ტკბილეულობა აჭამა და დაამეგობრა ისინი.

— უნდობლობა სიყვითეს არ მოგიტანთ, უნდა შეიყვაროთ და გწამდეთ ერთმანეთი! — არიგებდა ილია.

ილიას არქივში არის ერთი უთარილო, პატარა, მაგრამ დიდი სევდის მომგვრელი წერილი. ამ წერილში ოლას სამწუხარო ამბავს უხიარებს.

„საწყალი სენა სწორედ მოუცლავთ, კობტას ძმის წიგნი მოუვიდა და ისა პსწერს, რომ ჩემთან იდგათ და იქვე ტყეა მოხედა და დაეცაო მკედარი. საწყალი, ასეთი ვარ, რომ მეც თვითონ მკედარი ვარ. ერთი მაგისი იმედლია მქონდა და ეგვეც ხელიდამ წამივიდა საუკუნოდ.“

დღეს სადილად მე საგინოვთან ვერ მოვალ, თვალში ცრემლი მერევა და მეშინიან ღიზომ არ შემატყოს. შინ უბრძანე სადილი. შენ კი წადი, თარემ ღიზო ექვს აიღებს. ახ საწყლის წიგნებს ვიგზავნი.“

მოსკოვსა და პეტროგრადში ყოფნამ, ბანკებსა და დეპარტამენტებში სიარულმა მოთმინების უნარისა და ნერვების დაძაბვასთან ერთად სერიოზულად პეწიანი ტანსაცმელიც. რა თქმა ხელმოკლე პაეტს, როგორც თვითონ იტყობდა ხოლმე, ზოგიერთი „დაზამიებული“ ბიუროკრატი კაცის ვარვან სამოსელს უფრო მეტ პატივსაცემდა, ვიდრე შინაგან სამყაროს. ეს პატივისცემა ახლა სპირიტუბოდა ილიას, ბანკის წესდების დამტკიცებას ემურებ-

ბოდა და ხან ვისთან მიდიოდა და ხან ვისთან. დაბალი მინის ადამიანები უფრო აუტანელი იყვნენ, მიზოვნელის ვაბთო უფრო უთმადენდ საქმეს, ვიდრე სამართლიანობის სისწორით... ილიას ვაბე საიშოთ არ იყო. რაც ფული ჩაჰყვა პირველ კვირასვე მიხატარა.

ილიას ანგარიშბინობა და თადარიგბინობა იქიდანაც ჩანს, რომ მას ეს პირველი ხარჯები ზუსტად ჩამოეწერია და ახლა მის საბუთებში აი, როგორ გამოიყურება:

გზა დამიჭდა — 78 მანეთი.

მოსკოვში ორი დღე ვასტინიკაში 11 მ. 70 კაბ.

სამი ხელი ტანსამოსი — 117 მ, 40 კაბ.

შეიღი დღე პეტრობურგში — 65 მ.

იქ წასვლა და დაბრუნება მოსკოვს — 24 მანეთი.

მოსკოვში სახლი ექიარავე და თვეში მივცი — 45 მანეთი.

ერთი თვის სადილი — 15 მანეთი.

შლიაბა ვეიიღე — 8 მანეთი.

წალები ვეიიღე — 9 მანეთი.

ორი საბანი — 6 მანეთი.

ბალიში — 4 მანეთი.

სამი პერანგი — 10 მ. 50 კაბ.

სხედასხვა წიგნები — 15 მანეთი.

ილიამ ღამაზად ჩაიყვა და დაიხურა, მაგრამ ბანკის კარი მაინც არ გაუღეს, საქმესთან მაინც არ შეეშენ. მას წყურბოდა საღინასობლიტიკის, ფულის მიმოქცევის შესწავლა... წიგნი ბევრი შეიბინა, რომლებიც საბანკო საქმეებს აშუქებდნენ, მაგრამ მთავარი მაინც პრაქტიკა იყო, უამრავ საბუთებს, უთვალავ ბარათებს ხომ შედგენა უნდოდა? ილიას ეწადა ყველაფრის საკუთარი თვალთ ნახვა, მერამ ის წიგნებიც მიეშველებოდნენ და საქმეს თავი დაედგმებოდა.

ამაზე ჩივის იგი და თავის გულის დარდს ოლასაც უხიარებს:

„ჩვენი უსტაების დამტკიცების ეხლა დიდი იმედია, უსათუოდ დაამტკიცებენ, ხოლო ცუდი ეს არის, რომ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ იქაური წესი და რიგი შევისწავლოთ. ამის გამო დაბარკოლებული ვარ, ევდლობ, რომ როგორმე ფეხი შევდგა რომელიმე ბანკში და ვერხანობით ამ ცდაში ვარ. შენ კარვად იცი, რომ თუ არ შევისწავლე წესი და რიგი, შემო ახალი თანამდებობის ასარტლება მეტად ძნელი იქნება და მგონი შეუძლებელიცა. ამას აღარ ვამბობ, რომ ჩვენი მტრები ბობოლები ყველს ვამოგვაპრევიენენ, აი აქი ვი-ოლოდითი, იტყვიან: ჩაიბენს ოთხმოცი თემანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო, ერთი სიტყვით, მე გადაეწყვიტე, რომ მანამ

არ შევისწავლი, არ წამოვიდე შინ. ბანკებში შესვლის ნება რომ მოეცათ, აქამდინ ჩემი საქმე ასრულებული მექნებოდა, არ მამცეს და უნდა როგორმე მოვახერხო. ამიტომაც არ ვიცი, როგორ მიმიხდება შინ დაბრუნება...

სხვა რა მოგწერო? ვვდივარ ამ ოხერს მოსკოვში. დილიდამ საღამომდი შინიდან თითქმის გარედ არ გავდივარ, მაწუხებს უშენობა და უსაქმობა...

თხუთმეტი მანეთის წიგნი, რომელიც ილიამ შეიძინა, ცოტა არ იყო, მთელი დღე იჭდა და კითხულობდა. ეშმაკად ამ წიგნებში უცხოელი პროფესორის ნაშრომიც მოხვდა. პროფესორი ერთლად აღწერდა ღვინის დაყენების წესებს. ილიამ ეს წიგნი ერთ საღამოს ჩაათვა და, როგორც თვითონ წერს, ეღდა ეცა. პროფესორი ამტკიცებდა, რომ ავდარში დაკრუფილი ყურძენი და ავდარშივე დაწურული, ძალიან ცუდს ღვინოს დააყენებო, არ დაწონიდება და ყვარდება.

ილია საქმეში ჩახედული მეურნე იყო, მაგრამ ეს არ სცოდნია და შეწუხდა. „ნუთუ მართლა ჩემს ღვინოებს ეგ სიყუთ დაემართება?“ და იმავე დღეს მისწერა ოლასს, ახამც და ახამც ავდარში ღვინოები არ დააყენონო. მაშინ ყვარულში ილიას მიმულს მისი დისწული ვიკო აფხაზი განაგებდა. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებში ოლასსა და ვიკოს ათას რამეს ავალებს. იმასაც კი კითხულობს, ტარანტისის შეკეთება როგორ მიდის, თავლა ვადახურეს თუ არა, ან რას შერება მოეჭარადრე, როგორ მიდის ყვარლის სახლის და კოშკის შეკეთება და ბოლოს, ცოლს აფრთხილებს, ჩემი ნაბადი ჩრჩილმა არ შექაშოსო.

პეტერბურგში ილია უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქ ბევრი ქართველი მოღვაწეობდა. მათ წრეში ყოფნა დარდს უქარებებდა.

„აჲ, პეტერბურგო, — წერს ოლასს, — მე დაუდგარა ჩვენ ძველ პროფესორთან ჩუბინოვთან, ვარკაოა ილინიშნასთან, რომელმაც შენ სიყვარულით მოგაციოხა, ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან და ამ დღეებში ვნახე გიორგი შერვაშიძესაც, რომელიც ჩემთან ყოფილიყო და მე შინ არ დახვდით. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად. აქ უფრო ცოტაოდენი ვართვა შექნება, იმიტომ რომ ჩვენებში ვტრიალებ. შენც რომ აქ მყუანდე, ჩემს ბედს ძალიერ არ დაჰყუფდა. მაგრამ ნატერა ნატერადა მჩჩება, ამაო ამოდა უშენოდ, ყოველივე ამო.“

ესლა ასეთს გუნებაზედ ვარ, რომ ძალიან კარგს ლექსს დაწერდი, რომ თორმეტს საათზე ცარსკი სელოში წასასვლელი არ ვიყო საქმეების გამო.

ჩემს უფულობაზედ ნუ ინაღვლი. აქ ფულის შოვნის სახსარი მაქვს, თუ დამჭირდება... დღესა მაქვს სულ თორმეტი თუშანი და სახლის ქირა ერთის თვისა წინ მიღებული. შენმა ვარდამ, არ ვიცი რად შეხარჯება ეგრე მუდ ფული. არ დაიჯერებ, რომ ჩემს სიამოვნებაზედ გროში არ დამიხარჯავს, ჯერ თეატრი არ მიწახავს, მოსკოვში კი ვიყავი, ისიც აგრონომიის ხარჯზედ. ჩემი სიამოვნება მარტო ეს არის, რომ კვირაში ერთს ბოთლს ღვინოსა ვუდიღულობ, ბოთლს ათ შეურადა, სხვა არაფერი... ჩვენი უსტაეის საქმე უიმედო არ არის, თუმცა ცდლობენ, რომ ჩვენი უსტაეი არ დამტკიცდეს, მაგრამ ფინანსთა მინისტრი ჩვენსეენ არის. სამშაბათს უნდა გამოეცხადო და დავედრიფო. მოწყალემა თავისი არ მოაკლოს ჩვენს წიდილის აღსრულებას. იქნება ამ დღეებში კონსტანტინე ნიკოლაევიჩიც ეწახო, რადგანაც „გოსუდარსტვენი სოვეტის“ თავმჯდომარე ეგ არის. ძალიანა ვფაქტობ და არ ვიცი რა გამოვა ამ ფაქტობიდაჲ.“

ხუთი დღის შემდეგ, 16 სექტემბერს, ილიამ თავისი დის ნინუცას წერილი მიიღო და მის დარდს დარდი დამატა. ყვარულში ეწახი ნაცარას გაუფუჭებია და ღვინოებს ნუ ელიო, კალოობაც ცუდი ჰქონიათ, პერი სარჩოდაც არ იქმარებსო, ორი წითელი ცხენი ქურდებს მოუპარათო.

ოლდა ამ დროს ბაქოში სტუმრობდა დისთან. ილიამ დარდი სხვას რომ ვერაეის გაუზიარა, ისეც ცოლთან გამოლაპარაკება ამოხინა და მისწერა:

„ჩვენს ბედნიერებას და სიმდიდრეს ეგდა აკლდ. ეხლა მე და შენ ძალიან ლაზათიანს მდგომარეობაში ვართ. ერთმანეთზედ შორს, უბინაო, უფულო და უიმედო. ბარაქალა ჩვენს ბედსა სახელი და დიდება ჩვენს მოთმინებასა! რასა იქმ, უხვირო და უპირო ქვეყნიერობაზედ? ცუდი დრო მოვიდა ჩვენთვის, მაგრამ გულს არ ვიტყუებ, იმიტომ, რომ ვიცი კასპიის ზღვის ნაპირზე ერთი გუბერნატორია, იმ გუბერნატორის სახლში ერთი სულიერია, ის ერთი სულიერია ჩემი კარგი მეგობარია და ის ჩემი კარგი მეგობარი ჩემი ცოლია. და ის ჩემი ცოლი ჩემი ნუგეშია, ეგრე, ჩემო ოლიყო, შენ კარგად მყუანდე და ბედის ჩემის დადგერმილობა ბუერს არაფერს დაგვალეებს. ჩვენი ბანკის საქმე გვიანდება, ტუვილ-უბრალოდ მაწყალეებენ და დროს მაკარგინებენ, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო.“

გუშინწინ მოხერეს, ჩვენი უსტაეი ექვს კვირას შემდეგ წარედგინებაო „გოსუდარსტვენი სოვეტში“, ახლა ერთიორი თვე „გოსუდარსტვენი სოვეტში“ მოიგვიანებს და გამოვიდა საშის თვესევიარი ჩემის აქ დარჩომის პაემანი. ვიცი ეს ამბავი ვერაფრად გეამება, როგორც მე

ვერაფრად მამა, მაგრამ ქვეყნის წინაშე პირ-
შობას კიდევ ჩვენი საყუთარი უსიაპოვნობა
ვიჩინოთ".

პეტერბურგში ილია კანკოვლებმა დამპატი-
ვის. ცაბერა წლის წინათ, როცა პოეტა სტუ-
დენტი იყო, კანკოვლებს ლექსი მიუძღვნა.
მოედანზე ნახა მათი სამხედრო ვარჯიში, საოც-
რად ლამაზი, მაგრამ ეს სილამაზე მებრძოლი
პოეტის გულს არ გავყარა. მას ეწეოდა, რომ
ქართელები, ეს შოლტავით ვაკაცები, მუფის
დამცველ რაზმში მსახურობდნენ. მეფის კან-
კონის ქართულ ოცუელში ბრწყინვალე თავადი-
შვილები იბრძებოდნენ. მარტო მათი გვარე-
ბის ჩამოთვლაც ბუერს მიგვანიშნებს. ანდრო-
ნიკაშვილი, ციციშვილი, ნაკაშიძე, აბაშიძე, წე-
რეთელი (აკაის უფროსი ძმა) და სხვ.

შემდეგ, სამშობლოში რომ დაბრუნდა, ილი-
ამ იცოდა ამ ლექსს დაბეჭდვა არ ეწერა. ცენ-
ზურა მას სინათლეს არ აჩვენებდა, ამიტომ ზო-
გი რამ შესცვალა. „შენი რაა, რომ ამშვენიებ,
შენ დამღუბველ ჩრდილოეთსა“. აქ ჩრდილოე-
თის მაგიერ ოსმალეთი ჩასწერა, ზოლო სათა-
ურს, კანკოვლს ხაზი გადაუსვა, იანიჩარად მო-
სთლა. პოეტის სიცოცხლეში ეს ლექსი ასე
შეცვლილი იბეჭდებოდა, შემდეგ პავლე ინგო-
როყვამ არქივში დედანს მიაგრო და აღადგი-
ნა კიდევ.

ილიას საამებლად კანკოვლები მღეროდნენ,
ცვაჯდნენ, მაგრამ თეთონი სტუმარი გუნება-
ზე არ იყო. ბოლოს სთხოვეს, ლექსი წავაკით-
ხო. ილია წამოდგა, როგორც სტეფანე, მარ-
ტენა ზელი მალა იტნიხა და დაიწყო:

— შე თქვენზე, თქვენს ვაკაცობაზე ლექსი
მაქვს დაწერილი.

— ჩვენზე? წაიკითხეთ, წაიკითხეთ, ვთხოვთ!
ილიამ ლექსი წაიკითხა არა ისე, როგორც
დაბეჭდილი იყო, არამედ როგორც მან დასწე-
რა. პოეტმა დაინახა თუ როგორ გაწითლდა
ზოგიერთი ქაბუტი. მასაც ეს უნდოდა. იფიქრა,
ნამუსზე შევავდეთ და მერმე მალე დაემშვი-
დობა მათ. ერთი კვირის შემდეგ, ოლღას მის-
წერა:

„წარსულ ორშაბათს კანკოვლებმა დამპატი-
ვეს, ქართული სადილი გამოვითეს, მშვენიერა
სიმღერით. თარით და ჭიანჭრით შემაქციეს,
ჭებაც შემასხეს; მაგრამ ჩვეულებრივ ეს ჭება
უფრო მეწყინა, ვიდრე მამა“.

მერმე დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა კანკო-
ვლთა თვალდამაზებ, ტანადობაზე, ფიქრობდა
მათ სულიერი სამყაროზე. ეს, საბალო ბიჭები,
კარგნი არიან, მაგრამ რა ჭქანა, ცხოვრებაა
თეთონი უღმობელი და ცუდს საქმეებსაც აე-
თებენო.

უკვე დადგა ნოემბერი. თოვლი. ყინვა. ქარი.
ილია ისევ პეტერბურგშია, წესდების დამტკი-
ციხას საშველი არ დადგა. ყველაგან შეჭრათა-
ციხეშია. მართალია, ამ მინაიერებას ეწინააღმდეგე-
ბოდა.

ლავს, მაგრამ თეთონი კანონის აღამაწევი გი-
ბეს ამგვარად ისჯელებენ.

როცა სტუდენტი იყო, ელიამ მიუძღვნა თავის
ნათესაეის წენე ანდრონიკაშვილის წერილი,
მეგობრების ბუერი საინტერესო ამბავი შეიტყო,
ნენემ მისი სიძის დამამბეგად დანიშნაღ მთახა-
რა. საპასუხო წერილში ილიამ მისწერა —
„მამა სიძე დიმიტრის დამამბეგობა, ოპო, დამამ-
ბეგე მეგობარია გიბისა, ჩემსაეთი კი არ აუფ-
ნებს გიბეს; თქვენმა, ნენეჯან, შუემ, რომ ცხუ-
მრობ, ისე ვასაყინებლად ვითხარით, დამამბეგო-
სა და გიბის მეგობრობა ვის. გუაგონია; ნუ გე-
წინებთა, როგორც ქვეყნაქმე ტუცილს არ იტ-
ყვის, ისე დამამბეგაც ქრთამს არ აიღებს“.

დამამბეგობასა და მექრთამეებზე ახალგაზრ-
და ილია დიდხანს ფიქრობდა, ბოლოს ეს ფიქ-
რი ლექსში გამოაშქდევან:

დამამბეგის შვილს ნანა, პატარა დამამბიგოსს;
გაიზრდება ღედ-მამას სალხუნად,
საღიღებლად...
ეთი მამა ქრთამს იღებდა, შვილმაც რომ
ისე იღოს,

არც ახლა ყრის ილია ფარხაშის. მექრთამე-
ებმა საქმე გაუჭირვეს, ბუერჯერი შეაჩერეს და
დაბარკოლეს ბანკის წესდების დამტკიცება.
ოლღასაღმი მიწერილ ბარათებში ხშირად ახ-
სენებს ამ ხახადამალ მექრთამეებს, რომლე-
ბიც ათასობით ფულს ართმევდნენ მთხოვნე-
ლებს და მერე უწერდნენ ზელს საქმიან ქა-
ლაღებზე.

მაგრამ ილიას კამიკი არავისთვის მიუცია,
მითმინების ფილა რომ აეყსო, მინისტრთან
ინიღლა და საქმეს ამით უშველა.

„ჩვენი უსტავის საქმე, პეტერბურლის მზე-
საეთი, ხან იმედით გამოზარწყინდება და ხან
ღრუბლებში ცხვევა, — წერს იგი კოლს, —
რომლის ზელშიც ჩვენი უსტავია, ის საბაგლეო
კაცი გამოღის, ხან ერთს ამბობს და ხან მეორე-
სა, და მეც ხან წავხალისდები, ხან ფრთებს და-
ვუშვებ ზოლში, მაინც იმედს არ ვყარავ“.

ამავე წერილში ილია წუხს ყვარლის სახლის
მშენებლობის დაუჩქარებლობაზე, მოიჭარაღბრე
თბილისში წასულა და საქმე ღვთის ანაბარა
დაუტოვებია. ილია ოლღას სთხოვეს, ჩაეიდეს
ყვარელში და მშენებლობას მიხედოს.

ილიას ერთადერთი იმედი ახლა ბანკი იყო
და საქართველოს გლეხკაცობისა და სწავლა-
განათლების იმედსაც ამ საქმევეთ საქმეზე ამ-
ყარებდა. ამიტომ ვერ თმობდა, მრავალ დამცი-
რებასა და შეეწირუებას იტანდა. ბოლოს პოლ-
ტავაში დაიბარეს ბანკითან მოსალაპარაკებ-
ლად. იქ ექვსი ღდე დაყო, მაგრამ ჩინოვნიკებს
მარცხ უკრა გუგორ რა, სამავერიოდ მან შეი-
ტყო, პოლტავის გუბერნიამა მცხოვრებები ქარ-

თველების საქმიანობა, ბევრს კიდევ შეხვდა და ესუბრა, მერმე ეს ამბავი ოლღას მისწერა. აქ „მართოვებიც არიან, ორბელიანებიც, მუსხელიშვილებიც და თითქმის ყველა გვიარის კაცი, ქაჭავაძიანთ ვარდა, როგორც ეტყობა რომ ქაჭავაძიანთ უწინაც თავისი ქვეყანა ჰყვარებოდათ, რომ თავი არ დაუნებებოდათ“.

ილიას მომბეზრდა ამდენი სიარული დეპარტამენტებში, სამინისტროებში, ბანკებთან, წიგნების კითხვის თავიც არ ჰქონდა. ბედზე პეტერბურგში შეხვდა ივანე მანაბელს, შუადღა ინგლისური ენის შესწავლას და ხელი მოჰკრა შექსპირის თარგმნას.

„მე უსაქმობის გამო ანგლისურის ენის სწავლას შევუდგე და შექსპირის ტრაგედიას კორილ ლირს ვსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ანგლისური მეცოდინება იმდევნად, რომ სებუტქს თხზულებას წაგიოხვავა შემქმდოს“.

ილიამ შეიძინა ინგლისური ენის სახელმძღვანელო. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და სწავლაში დღე და ღამეს ასწორებდა. მონღო-მებამ თავისი ვაიტან და ძალიან მკორე ხანში ხელი მოკლა „მეფე ლირის“ თარგმნას. თუთან ივანე მანაბელმა ინგლისური ჩინებულად იცოდა, ილია კარგი მოქართულე იყო, ორივემ ერთმანეთს მხარი აუბეს.

„იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი. — სწერს ილია ცოლს, — ამ თავრის შვილი რომ არის. ამის წინათ თვითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია ლირი, რომელიც ქართულად ინგლისურიდან ვადეთარგმნეთ, წაგვიკითხო. წავედი წასაკითხად, კარგად ბლომა ხალხი იყო და ძალიან მაიწონეს. ასე იფიქრე, ქალბებო იტირეს და კაცები კი სულ ანგურუმს იძახდნენ. მართლდა თარგმანი მშვენიერი რომ გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველი მთარგმნელებს დაველოცავენ. ქალაქში რომ ჩამოვალ გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზედ მშვენიერი რომ იქნება, ეურ წარმოიდგენ ჩარჩვად კარგად გამოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. ამ ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდენახში წვაგუიოხავთ, და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაქლახნის ქება მე თვითონ არ მიუფარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანი, რომ არ ვაქო, ცოლდა იქნება. აქური უმწიფელკაცობა მაგ თარგმანისათვის ვაგვიხებულია და აღტაცებამი მოსული“.

პეტერბურგში არ დარჩენილა თითქმის არცერთი ქართველი, რომ ეს თარგმანი არ წაეკითხოს. ილიამ არც თავისი მეუღლე დაიწიწვა, იმსაც ვაგორუგზავნა ხელნაწერი. აინტერესებდა ოლღას აზრი, რომელიც რუსული თარგმანების მეშვეობით კარგად იცნობდა ინგლისურ ლიტერატურას.

„აქამდენ ჩვენს თარგმნის ლირს წაგიოხვავადა. მოწერე, როგორც მოგწერეს შენ და სხვებსაც. მაგას კი წაგიოხვავა უნდა, რომ წაგიოხვავა მოიწონოს. სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულად გვათავიეთ თარგმანი, მე ძალიან მომწონს და სხვისა არ ვიცი. თი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიოხვავებ და მაშინ ნახეთ როგორი თარგმანია“.

თვითონ წაგიოხვავებო, ილიას ეს სიტყვები საველისხმია იმ მზრავაცი, რომ პოეტი დიდად აღსაგებად მხატვრული კითხვის ხელოვნებას. თვითონაც კარგი გამოსვლა იცოდა სცენაზე. იაკობ ვოგუბაშვილი „ივერიაში“ აგვიწერს 1889 წლის 25 მარტის დიდ ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა თბილისში. ამ საღამოზე მრავალი მსახობი და მწერალი გამოვიდა. „...საქმე ილია ქაჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გამლა კათედრანზე რვეული და დიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუნის ფრენას ვაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა... მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნათვი მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამოტივოდ შეშუშულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებოთა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერა, ლოგიური ხმის აწვე-დაწვევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაიოხვავის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ მხატავს ყოველ აზრსა და გრანობებსა, რომელსაც კი იმპროვის სიტყვები და ფრახები“.

„უადგილო არ იქნება ამ აღწერას დავემატოთ ოისებ გრიშაშვილის მოხდენილი დახასიათება.“

„ილიას ჰქონია ბადრი სახე, თმა შუაზე გადაკოდილი, მუტყველი თვალები, გამოქანდაკებული, სუთი ცხვირი — მოძრაი ნესტოებით და მალალო ფართე შებლი, რომელიც ასე კარგად გეახსოვს „განდევლილიდან“.

„და მალა შებლსა ნაკვად შეკრულს, შარავადღედი გადაქვენია“.

ილია ზურაბაშვილმაც მშვენიერი მოგონება დავეცოვა.

„ილიას ხმა დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მკლერავი, მაგრამ მკაფიო, მკეთრი და ნათლად გასავინი. არ იცოდა კილო შევიდებით ლაპარაკი, ხმის აკანალებდა, არც ხელუბის წარამარა სავსავი. მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალიობა. ამა თუ იმ საგნის გამოხატვა სხუელების და სახის მოძრაობით იცოდა. ერთი სიტყვით, ილიას ჰქონდა სიტყვის თავისებური გამოთქმის უნარი და ხმის ოდნავი მოღულა“.

ციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას*.

ილია არც ისე იშვიათად გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე. სტენაზე შეუღარებელი იყო. ეს იმიტომ, რომ ზღო არასოდეს მოეშადადებლად არ გამოვიდოდა. ერთ სალიტერატურო საღამოს თაობაზე ილია თვითონ წერს დავით ერისთავს.

„ამას წინათ ვახტანგ თულაშვილის წიგნი მომივიღა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოშია... შენ ამასა ვთხოვ, რომ დაწვრილებით მოწვევარი: 1. ვინ არიან მკითხველი; 2. შენც ურევიახარ თუ არა; 3. შინაური მოწვობილება ექნება იმ საღამოს თუ საგარეო. ამის პასუხი ძალიან მალე მაეცნობე“.

დავით ერისთავისაგან საქირო პასუხი რომ მიიღო: მერე მოეზადა, მან აირჩია დიმიტრი ყაზბეგის „მეფე სულეზი“, რომელიც მოხვედრი დიალექტით არის დაწერილი. ცხადია, „მგზავრის წერილები“ შექმნილს, სიტყვების მოხვედრად მოქცევა არ გაუვირდებოდა.

ასე, რომ ილია ტუფილად ყო არ წერდა ოლღას, რომ „მეფე ღირს“ შე თვითონ წავიკითხავ და მაშინ ნახე როგორი თარგმანიაო.

პეტერბურგში ილიას რომ შეუგვიანდა, უვარელში მამულის საქმეები აიწეწა. მთელი წლის ნაშრომ-ნადაგი, თითქმის სულ დაიპარეს. მოურავმა ზოგი თვითონ მიითვისა, ზოგი სხვას გაატანა, და თავისი ბატონი შურალზე დატოვა. ამან ოლღაზე ცუდად იმოქმედა და ისევ ილიას გაუხდა დასამშვიდებელი. „უთომინათ, ვიდრე მოთმინების წყარო დავიშრება და მე-

რე რაც მოხდება, მოხდეს... ქვეყანა ამითი ვარ-გია, რომ ჭინჭარიც მოჰყავს და ვარდიც...“

სამაგიეროდ ბანკის საქმეც განაგრძო. „ჩვენი ბანკის საქმე გახალდა და გაიარხდა, — ატყობინებს ოლღას, — ეხლა დღი იმე-ლი მომეცა, რომ უსათუოდ დაამტკიცებენ. თითონ მინისტრი ენახე და დალაგებით მოველაპარაკე. ძალიან კარგად მიმიღო და დიდის ნუგეშით და იმედით გამომისტუმრა. ამ კვირია უსათუოდ გადავა ჩვენი უსტაგი „გოსუ-დარსტვენი სოვეტში“ მინისტრის თხოვნით, რომ დაამტკიონ, გადასვლის შემდეგ ერთი კვირა ელფრე მონიხდება აქ დარჩიმა და მერე კი შენი უმორჩილესი მონა უმორჩილესად თავს დაგვიკრავს შენ, მის ხელმწიფესა“.

ეს იყო 1874 წლის თებერვალს, მაგრამ ის ერთი კვირა, ილია რომ წერს, ერთ თვედ იქცა. წესდების საბოლოო დამტკიცებამდე ილია პეტერბურგიდან გამოეგზავნა და თბილისში პირდაპირ საქმეს შეუღდა.

მაგრამ სიმშვიდე მაინც ვერ ჰპოვა. მის ახლობელთა შორის ბევრი შურიანი აღმოჩნდა. უმეტეს, ათასგვარი დაბეზლებითა და გინებით გააშფარეს. მეტადრე გიორგი ჭავჭავაძე გადაეკიდა, იმავე წლის ნოემბერში, მოსკოვში მყოფი ილია, ოლღასა წერს: „უვარელი, სწორედ გიონხა ისე შეშეყვარდა, რომ მანდარი ნეხვი შირჩენია აქურთ ვარდის კონას, ოღონდ კი იმ ნეხვი გიორგი ჭავჭავაძის მურდლი ხსენება არ იყოს“.

მიუხედავად მოშურნეთა წინააღმდეგობისა, ილია ბანკის გაშვების თაემქლომარედ მაინც აიჩინეს.

ბანკის კარი 1875 წელს გაიღო.

„ი ვ ვ რ ი ა“

ერთი წლის შემდეგ ილიამ ცოტა შევება იგარანო, ბანკში იმდენი თავსატეხი საქმე არ ჰქონდა და ისევ ლიტერატურულ სარბიელს დაუბრუნდა. 1876 წლის ივნისში ეტრნალ „ივერიის“ პროგრამა შედგინა, მისი გამოცემის ნებართვა მიიღო.

„ივერია“, სანამ ყოველდღიური გაზეთი გახდებოდა, ჯერ „დროუბას“ შეუერთდა, ილიამ რედაქტორობაში სერგეი მესხი შეიამხანავა და ეტრნალი წელიწადში ოთხჯერ გამოდიოდა, ხოლო შემდეგ ყოველთვიურად გადაეცოდა. მას ილიასთან ერთად ივანე მანაბელი ხელმძღვანელობდა, ბოლოს კი, ილიას რედაქტორობით, ყოველდღიურ გაზეთად მოეკლინა საშრობლოს. თითქმის ოცდაცამეტი წელიწადი მიჰქონდა „ივერიას“ მკითხველამდე ილიას მუბაძოლი სიტუა და ახრი.

1885 წლის დეკემბრის უკანასკნელი დამე მი-

იწერა... ქართველი ორ დღესასწაულს ზეიმობდა, ერთს, ახალი წლის მობრძანებას და მეორეს, ყოველდღიური „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლას.

„ახალწლის წინა დამეს, — წერს გრ. ყიფშიძე, — ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ერთად იყვნენ თავმოყრილი ილიასთან და შუალამამდე ელოდნენ პირველი ნომრის დაბეჭდვას, ოთხი თვე იყო თითქმის გაზეთი თვალთ არ გვენახა და, რასაცვირველია, ეს მეოსანთა და ხელკოვანთა, მწიგნობართა და ლიტერატორთა კრებული მოუთმენლად მოვლათ ახალი ვაზეთის პირველ ნომერს... კარგი ახალი წელი გაუთენდა მეორე დღეს ჩვენს ქვეყანას“.

რაც „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაეცოდა, ილიას უკვე დღე არ უთენიდა და დამე, მუშაობაში აღამებდა და ათენებდა.

„ილია დევის ბუნებისა იყო, — იგონებდა სიგრომ მგალობლიშვილი, — ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამქდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამეშაოდ. 1886 წლის ზაფხულში გორიდან ჩამოველი არ რედაქციაში დავიწყე მუშაობა... ერთ დღეს მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სინათლე სანდად... მე ჩემად დავეჭე და გახუტებს დავეწყე ვითხვა, მაგრამ ვაზეთის ფაჩუნზე შეიტყო, რომ რედაქციაში ვილა იყო.

„რაშელო ხარ მანდა, — შემოშვიობა ილა. მე გამოვესახე. — კაცო, რა დროა? ვანა ვარ არ წასულხარ სახლში? — მე ვუპასუხე, რომ უკვე გათენდა და ავერ შეათე საათი. მხოლოდ მაშინ შესწვიტა მუშაობა და თავის მსახურს მაქსიმეს უსაყვედურა: „კაცო რაზე ჩაქალი რატომ არ დამხმარებო? მაქსიმე რამდენწერზე შესულიყო მაგრამ ისე ყოფილიყო ილა მუშაობაში გართული, რომ მისი შესვლა-გასვლა ვერ შეემჩნია“.

იმ უძილო დამეს, წერბლების სწორების დროს, ილიამ რაღაც კარგი მოაფიქრა და გოჯა ყიფშით — მისი მარწვენი ხელა, დილით რომ მოვიდა, მაშინვე უთხრა:

— ნამეტან კარჩაკეტლად ვემუშაობთ, მობი კვირაში ვრთხელ მაინც მოვიწვიოთ უველა წერალი, ყველა მოღვაწე, ვისაც ვაზეთსა და მჭევანზე გული შესტკავა, მოვიათობიროთ, ერთისა და ორი კაცის აზრს, ათისა და ოცე კაცის აზრი სჯობია. რას იტყვი?

გივას არ მოეწონა მეგობრის უძილობით გატანქელი სახე, ჩაევიწვლი თვალეზი და უთხრა:

— ეხლა წაღი, დაიძინე, სად გავიძვივი, პა-სებს მერე გიტყვი.

— კაცო, მშია, რა დამაძინებს.

— კარგი საუზზე არც მე მაწყუნს მაგრამ სად არის?

— ოღღას ექნება რამე, დამეწყვი.

— გუშინ ჩაქინძელი ლოქო რომ ვქამე, იმის კუდი თუ დარჩა, წამოვალ.

— თუ დარჩაო? — ვალიმა ილიამ, — ეს შენ უნდა იყოდე, დატოვე? თვეში ახლაც არის, ცოცხალი, ვინდა?

— გამოიხეხე. ბერო მინდაე! — შესძახა გივამ. გივას დიდი მჭამელის სახელი ჰქონდა, მეტაღე თვეზეული მისი ნუგზარო კრძი იყო. იმ დღეს მეგობრულ სუფრასზე ვადაწყდა ყოველ კვირა რედაქციაში კრების მოწვევა.

„ივერიის“ ძველი თანამშრომელი იაკობ მანსვეტაშვილი წერს:

„დავეიწყარი შობაგედილებანი და მოგონებანი დამრჩია ამ კრებების გამო; ბევრი საკითხა ყოფილა აღძრული, ბევრი საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ. მაგრამ თავი და თავი ჩვენი გულის წუხილი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სეუბეღზე. დიდებული სანახავი იყო, როდესაც უყურებდი

და უსმენდი, როგორი ზალისით, გატაცებით, თავდაფიყებით ბუობდნენ, ეკამათებდნენ, თანეთს ახალგაზრდანი, ოდნავ შეშინდნენ, შემოსილნი, კილარა-შერეულნი, შუა ხნის ვაეკაცი და ღრმად მოხუცებულნი. მაგრამ უველაზე დიადს, დავეიწყარ და ვანუგებორებელ სანახაობას წარმოადგენს ილა. უნდა გენახათ ამის აღფრთოვანებული სახე, ანთებული, ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რო დარწმუნებულობით თუ რა სულიერ და კუთის ძალის შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი. იმის ნათქვამი არ იყო უზრალა, უზარო სიტყვების რახა-რეხა, ყურის მოსაბუყებელი ექვარტნი ევენებისა, თვალის ასაბმელი შემშენა, ყოველ მის სიტყვაში ჩაქსოვილი იყო აზრი და ასე აზრი მოსდევდა აზრს და ამა სიტყვა სიტყვას. შენ თვალწინ იხადებოდა რაღაც საწაუტლებ-რივი მოქმედება: ჰხედოდა, რომ რაღაც დაუშრეტელ წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკადული და არ გინდა თვლი და ყური მოაშროო ამ გულწარმტაც მოკლენას. სულგანაბელი ელი, ამა ამ აზრს რა აზრი მოჰყვება, და ასე დაუბოლოებდა. გიხაროან გულში, რომ აზრი სცევის აზრს და არა სიტყვა სიტყვას. გიხაროან იმიტომ, რომ სიტყვას შენც მოსძებნი შენ სიტყვიერების საგანძურში, სიტყვების მივეებით ასმას შენც მოახერხებ, სხვაე შესძლებს. და ის აზრების დაუშრეტელი აუზი კი ბევრს არ მოეპოვება“.

სწორად „აზრების დაუშრეტელი აუზია“ „ოთხაანთ ქვირვიში“. ეს მოთხრობა ილიამ შედარებით მაღე დაწერა, არტურ ლაისტს თუ დაეუქვრებთ, ერთ კვირაში...
1887 წელი იწურებოდა, დეკემბრის დამდეგს უინებში დაიწყო. თბილისის ქუჩებში მარხი-ლები გამოჩნდა, „ივერიის“ შენობის წინ ცხენები შედგნენ, მაგრამ მათი ევენები დიდხანს არ ეტარებებოდა. მარხილიდან ხმელ-ხმელი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი გადმოვიდა. ეს იყო იაკობ მანსვეტაშვილი. მას რედაქციაში საშერი საქმე ჰქონდა და აღრე მივიდა, პირველად რედაქტორის კაბინეტში შეიჭვირტა, ლამას უკვე სინათლე დაქარკვოდა ულიმ-მოდ ენით, ტახტზე ილია იწეე. „წუხელეც არ დაუძინია ლოკინში“, გათფიქრა იაკობმა. კაბინეტში ფეხაკრეფით შევიდა, ლამამ ჩააქრო, მაგიდაზე შევი შელნით დაწერილი ჭადღალები უთაებოლოდ ეყარა, იქვე ყავის ფინჯანი იდგა და ერთი ნაჭერი თეთრი პური ჭადღალები იდო.. სკამზე გადაფენილი თქუის საბანი აიღო და ფრთხილად გადააფარა მიმინარეს. შემდეგ ოთხიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ეს ყავა და პური ოღღამ ნაშთადამევეს შემო-უტანა, მაგრამ ილიას ხელიც არ უხლია, ვათე-ნებისას თავი ასტკივდა, ერთი წუთით თვალს მოვატყებო და ტახტზე წამოწევა. მაგრამ ძილ-მა თავისი ვაიტანა.

იაკობს მოაგონდა, გუშინწინ ოლღამ რომ შესწივლა: „ღამე წამოვდგებო, მივალ ილიას ოთახთან და კარებს ცოტად შევალბე, მინდა შევტყუო, ზომ არა უნდა რა ვხედდე, რომ ილია წამოწოლილა ტახტზე, კაბინეტში რომ უდგა, ჩაცმული, გაუხლებლია და სძინავს კერძოდ უნდა, ფეხაკრეფით გამოვბრუნდები, რომ არ გამოვლავდის“.

ილიას იცევ ეძინა, იაკობმა სოფლებიდან მოსული კორესპონდენტები წინ დაილაგა და გასწორება-გადაწერას შეუდგა.

ეს იყო შეიღ დეკემბერს. ილიამ გვიან გაიღიჭა, ცოტა ხანს შინ დაისვენა, დაიწერა. კარგ გუნებაზე იყო, გულზე ღარღარ მოწონილი „ოთარაანთ ქვრივი“ ქაღალდზე გადაიტანა.

— რამდენი ღამეა არ გაძინია, — უთხრა ოლღამ, — სუფთა პატივს არ გისურვებ, შენს კაბინეტში წუხელს ყავა რომ შევიტანე, კონდი ამ გული შემოიღონდა, ამდენი თამბაქოს მოწევა გავიწილა?

— ოლიკო, გეყოფა! — შეაჩერა ილიამ, — მე თუ ღამე გაუტეხე, სამაგიეროდ საქმე გავაკეთე, „ოთარაანთ ქვრივი“ დავესრულე, აწ მშვე დად დაეძინებ.

თქვა ეს და რედაქციამე გაეიღა. იქ თანამშრომლები უკვე დიდი ხნის მოსული იყვნენ და იმთავით მიახარა ეს ამბავი.

იმ დღეს „ოთარაანთ ქვრივი“ დაამთავრა და შემდეგვე რამდენიმე თვეს უღოლიაყვებდა, ზოგი თავი სმეწერ გადასწერა ზოგი ოთხეწერ. უკველ დღე უკითხავდა რედაქციას თანამშრომლებს არ სწყინდა შენიშვნა, ასწორებდა, ახალაწინებდა და მერმე კი საერთო სამსჯავროზე გამოიტანა.

დავით სარაფიშვილის სახლში საჯაროდ წაიკითხა. სარაფიშვილი მდიდარი მრეწველი იყო. ქართულ კონიაკს შინ გაუთქვა სახელი, მაგრამ არც ქველმოქმედებაში ჩამორჩებოდა ვინმეს, მიუხედავად ქართულ მწერლობას და უკველ-გვარ კულტურულ საქმიანობას. სარაფიშვილის სახლის კარი შეუღამ ღია იყო მწერლებისათვის. პოემა იყო თუ მოთხრობა აქ იწათლებოდა პირველად და მერე იბეჭდებოდა. „განდევლილი“ აქ წაიკითხა ილიამ. ახლაც აქ მოვიდა. „იგერისი“ თანამშრომლები უკველდღე დაუხებდნენ. რვა საათი რომ შესრულდა, რადიულ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი შემოვიდნენ და მრგვალ მაგიდასთან ტყავის დენებში ჩამოსხდნენ, მათ ფეხდაფეხ პეტრე უმიკაშვილი და გრიგოლ ვოლსკი მოჰყვა.

ილიამ დარბაზს გადახედა და თქვა:

— მეტრ არავის ველოდები, დავიწყებ!

— ვთხოვთ! — უთხრა დავით სარაფიშვილმა, რომელიც ილიას გვერდით იჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაძახულ სინეშეში გაიწილა ილიას ხმა.

დავითს შეუღდეს, ეკატერინეს ძალიან უნდოდა მოსმენა, მაგრამ არ ეცალა ამდენს, სტუმრის სუფრას თადარიგი უნდოდა და ერთი წამამარა იძულებდა განკარგულებებს. გულში მაინც ვერ მოთუმიანა, დარბაზში ფეხაკრეფით შემოვიდა და ფარდას ამოფარა.

ამასწინათ ილიამ თავისი სურათი უსახსოვრა, ზედ სახელდახელოდ ლექსიც წაუწერა: „ეკატერინე სარაფიშვილისას

ამ ლექსს ვიწერ ჩემ სახსოვრად,
 შიგ გაგიხვევ მე ჩემს გულსა,
 სადღე ვინახავ ვით მარგალიტს
 შენს და-ძმურ სიყვარულსა“.

ილიას არ შეუხევიანა, ხანდახან წყალს თუ მოსვამდა, არც არაფერი დამრულა სკამიდან, სულგანაბლნი უსმენდნენ. შუალაშისას კიბხე-დამთავრდა. ილია წამოდგა და მაგიდაზე გამოლილი ფურცლებს შეგროვებს შეუდგა. მერმე აღზნებულმა დამსწრეებს გადახედა.

დავით სარაფიშვილმა სტუმრებს მიმართა: — მე ძალიან მომეწონა, მაგრამ ჩემი გემოვნება კონიი არ არის. ბატონებო, ბრძანეთ. ვისზე რა შთაბეჭდილება დატოვა ნაწარმოებმა. აბა, ბატონო, გრიგოლ, ვთხოვთ.

გრიგოლ ვოლსკი სკამიდან არ ამდგარა, სათვალე მოიხსნა და დაიწყო:

„შავ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდი. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ზომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააქარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული, მოსწრებელი სიტყვა-ამსუხით, მშვენიერია, შეუდარებელი, მხოლოდ გიორგის დიდებუებოვანება, შაი სულიერი დაიდობა არა ხასის, მეყინებეს მადლიანად სცემთ და მოყამაგრეს ტყეში გვერდები ჩამატერიაო, — ეს მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდ-სულიერობა. მაშ, რაზე ჰკიცხავთ კეთის, რომ გიორგის სიყვარულს ვერ კი მიუხედაო, რაში გამოიჩინა გიორგომ თავისი სულიერი სილამაზე, განცების წარბაცებლობა, რომ ეკისო თავი დაკვიფრებოდა და გული შესტოკებოდა? რა კვნა, ილია, არ მომწონს გიორგი, იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანიო“.

ნიკო ნიკოლაძე წამოდგა, მას რაღაცადაცუენი ნაწერა და უბის წიგნაკი გადაშალა.

— მეუ ეკისო უნდა გამოვესარწლო „ილიას“ არ მოსწონს, რომ ეკისომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც კი შეიძინაო. და მიზეზად იმას ასახელებს, რომ სხვადასხვა წოდების ხალხნი არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე — გლეხის შვილი, მათ შუა უფსკრულიაო. სხვადასხვა ნაბიარასა დგანანო.



ხმა ვერ მოუწვდენიათ ერთმანეთისათვისო. ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხილია მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხილი არაფერს შეაშაიო. ხილი რომ გასდოთ კიდევ, კესო და ვიორჯი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ. კესო ვიორჯის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვიარსებია, აქ კულტურული დამორჩევაა. ამა ვიორჯი უბრალო მოქამვირეც, ისიც უსწავლელ, უწინგო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ ვიორჯის სწავლა მივლი, ყოფილიყო, ეოქვათ, ინიენერი, ექიმი, მასწავლებელი. — როგორ გგონიათ, კესო გულებივად შეხვდებოდა ვიორჯის, ამას რომ თავის ვარწმობა ემცნო? არა. ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა ვიორჯი გულებია, თუ თავდაიშვილიო, სწავლამ, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხილი შეაქეთა; გაამავრა“.

გრივოლ ვოლსკისა და ნიკო ნიკოლაძის შემდეგ ზოგმა დაუწუნა ილიას ვიორჯის სიყვარულის სცენა, ზოგმა, პირიქით, საჭიროდ მიიჩნია, მოთხრობის მსულებლობიდან გამომდინარეობს და ყარგათო. ყველაზე მოკლე სიტყვა რაფიელ ერისთავმა თქვა. კამათი და შეხლა-შემოხლა რომ დამთავრდა, რაფიელი წამოდგა, ილია გულში ჩაიკრა.

— მე შენ გეთანხმები, ილია, ოთარაანთ მკრივისათვის დიდი მადლობელი ვარ. პურადმა მასპინძელმა სასაიდლო დარბაზის ყარი გააღო, გამოჩნდა სასმელ-სამშველით სავსე სუფრა.

— ვაზოვო, ბატონებო, ახლა აქ მობრძანდეთ. ბატონო ილია, თქვენი მოთხრობის შესაფერისი სუფრა ვერ გავშალე, იმედია მამატებო.

სუფრაზე, როგორც ყოველთვის, დღესაც თამადად რაფიელ ერისთავი აირჩიეს. რაფიელს ნაღიშზე ტოლი არ ჰყავდა. ენაწყლიანმა, ჭკუა-მახვილმა მგოსანმა იმ დამსვაც გამოიღო თავი, თანამესუფრეანი ბევრი აყინა, როცა პეტრე უმაკაშვილი ადღევრქველა, ალავერდს ნიკო ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა:

— შენთვის მომინდვია, ყური უვლდე პეტრეს და, თუ კიმა არ გამოსცალოს, უღვავი იფრე. ყველის გაეცინა, ყველამ პეტრეს სწავლას მამინდელ ქართველებში მხოლოდ პეტრეს სწავლა გამოაყლისო. წვერ-ულვაშს აბასსავდა. ამიტომ ნიშნში ჰყავდათ ამოყვანილი და სულ უღვავა-შობას დასცილოდნენ.

ოხუნჯობასა და დროსტარებაში ზამთრის სუსხიანი ღამე იღლია.

ამ ოჯახში ილიას მეორე ნაწარმოებიც მოინათლა... ხუთი წლის წინათ აქ წაიკითხა „განდეგილი“. „...მამინდელი ინტელიგენცია, — წერს გრივოლ ყოფშიძე, — მოყვარულნი მწერლობისა, თითქმის სულ იქ იყვნენ“.

ბევრმა შეაქო „განდეგილი“, ბევრმა წერტილ-მან ნაკლებეც მიუთთა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ილიას მოეწონა იონა მეუნარჯიას გამოხსვლა. იონამ აღტაცებით თქვა:

— მშვენიერია, ილია, მშვენიერია, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავთ, თვით განდეგილის სურათს, მის ვარგებლობის აღწერას, მის პორტრეტს!

ილიას ხმა არ ამოუღია, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მერმედ თავის პოემას ჩაუმატა ეს ადგილი:

არ იყო ხნიერ, მაგრამ ეით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასწავიდა, ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი, სულ სხვა მსოფლიოს შექმნივნებოდა. სახე გამზდარი, კრწტი და მწყურალი სიწმინდის მადლით დაჰმევენებოდა, და მაღალს შებღბა, ნაოკად შეკრულს, შარავენდელი გადაჰყენოდა. მისთა მეტრად თვალითა ღრმა მეტყველება ესოღენ იყო წყნარი და ტბილი, თითქო მათ-შვიან ჩასახებულა, თეთი სათნოება, კდემით მოსილი; თითქო - ნელისა სიხარულითა სამოთხის ღია ყარს შეხარაიან და სულთან ერთად უღლისა მიმართ სასოებითა მისწრაფიან. ლოცვით და მარხვით ზორც-უძღურ-ქმნილი ჰგავდა წმინდანსა იგი წამებულს, მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა. ძლევით-მოსილსა და ვანდიდებულს.

□ ბაბრამილიზა იმინიზა □

მიოგნი ჯიბლადი

იაკობ გოგებაშვილი—ახალი ქართული
პედაგოგიის მამა

1

გამოჩენილი კაცი ხშირად ისე ახლობელი ხდება ჩვენთვის, რომ საკმარისია მისი მარტო სახელი ან გვარი წარმოვსთქვათ. და ამასმა მხოლოდ ის ერთი გამოავსახნით. ქართველასათვის გორგასალი, დავითი, თამარი, შოთა, ბართათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა ერთი სიტყვით აღნიშნული კოლოსებია, რომლებსაც სხვა ეპითეტებს მიმეღება აღარ ესაქიროებთ იმის გასაგებად, თუ ვისზეა ღამარაკი. ხალხმა ასევე ერთი სახელით იცის ჩვენი თანამედროვეობის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. საკმარისია ითქვას გოგებაშვილი და ემაღ ვეღლისხმობთ მარტოდენ იაკობ გოგებაშვილს — ახალი ქართული პედაგოგიის მამა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის უაღრესად შინაარსიან პერიოდს ეუკველად დიდი ზარცეზი ექნებოდა გოგებაშვილი რომ არ ყოფილიყო. ის თითქმის ამოლიანებს თავისი დროის აზროვნებას და საბოლოოდ აფორმებს ახალ ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებას. იმ დროს არც გვეგულება მეორე პიროვნება, რომელიც ხსენებულ ისტორიულ მისიას უკეთესად შეასრულებდა, ვიდრე ეს გოგებაშვილის ორიგინალურმა ტალანტმა შეიძლო. ერთნაირად ძლიერი პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, უზალო მეთოდისტი, ფსიქოლოგი, რეალისტი საბავშვო მწერალი, სწავლა-აღზრდის დინამიკური განხატორი, მრავალმხრივად განათლებული მოღვაწე და თავისი მოწოდების ფანატურად ერთგული მსახური — ზოგადად ასე შეიძლება დაეახასიათოთ ეს დიდი კაცი, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულით რაინდი. მონოგრაფიას რომ

ვეწრდეთ, მაშინაც ძნელი იქნებოდა გოგებაშვილის ღვაწლი სრულად წარმოვედგინა. ეს მით უფრო შეუძლებელია გაკეთდეს მოკლე წერილში, რომელიც მხოლოდ ძირითადი საკითხებით უნდა შემოიღარგოს.

გოგებაშვილის მოვლინება დიდი ბედნიერება იყო არამარტო მეცნიერების ერთი დარგისათვის, რომელსაც პედაგოგია ეწოდება, არამედ, მთელი ერისათვის, რომლის უანგარო სამსახურსაც მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მოახმარა. ეს ცხოვრება რომ წარმოვიდგინოთ, მარტოდენ ბიოგრაფიის შესწავლა არ არის საკმარისი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის მეცნიერული ანალიზია საჭირო და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში იმ ადგილის დაბასიათება, რომელიც „დედა ენის“ „ბუნების კარის“, „რუსსკოე სლოვო“ ავტორმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიკავა. ამ სახელმძღვანელოების ვარდა, გოგებაშვილმა შექმნა ისეთი საკითხავი წიგნები, როგორც იყო „აკადო“, „კონა“, „ქუენწუღა“, „კოკარი“, „ხოშლი“; დაწერა მწვენიერი საბავშვო მოთხრობები, დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-პედაგოგიკური, ლიტერატურულ-მედიცინისტიკური, კრიტიკულ-პოლემიკური წერილები და ნარკვევები.

დაძმული შემოქმედებითი ცხოვრების მიუხედავად, სუსტი ფიზიკური ავებულების გოგებაშვილმა, 72 წლის ასაკამდე იცხოვრა, და წარუშლელი კვალი დატოვა თავისი მშობლიურის ისტორიაში. მისი ცხოვრება ვარჯიშულად არ იყო მძაფრი, მაგრამ სულიერი დრტვიწვა ყოველთვის თან ახლდა თავის შეუპოვარ ბრძოლასა და პირდაპირ მოწამებრივ შრომას.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი ქართლის

მკვიდრი იყო, საფულ ვარიანში დაბადებული, 1840 წლის 15 ოქტომბერს. გორის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ მშობლებს იგი შეუყვანიათ თბილისის ანალოგიურ სასწავლებელში, უსწავლია თბილისისა და კიევის სასულიერო სემინარიებში (ეს უკანასკნელი მას არ დაუმთავრებია), ხოლო 1863 წლიდან 1912 წლამდე (1 ივნისი, ვარდაცვალება) გოგებაშვილი მთელი თავისი ძალით, ნიჭითა და ენერგიით უანგაროდ ემსახურა ქართულ ხალხს, მის კულტურას, მეცნიერებას, ახალგაზრდობის აღზრდას.

ახალგაზრდობიდანვე ილია ქვეყნაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვიოტიწი წერეთლის, საერთოდ, თერგდალეულების მეგობარი და თანამოსაგებ იაკობ გოგებაშვილი იმდენად დიდი ფიგურაა ზვენი ერის ისტორიაში, რომ შეუძლებელია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განიხილო ქართული კულტურის რომელიმე კარდინალური საკითხი და დიდი პედაგოგის მემკვიდრეობას გვერდი აუარო. ის, რაც ილია ქვეყნაძემ ან აკაკი წერეთელმა ახალ ქართულ ლიტერატურაში შეიძლება გოგებაშვილმა ახალ ქართულ პედაგოგიაში დაწვათ, ეს ანალოგი საუკუნის სწორია და ზუსტად გამოხატავს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ქართველი ერის წინაშე შეუძღვია.

ასაკითაც თერგდალეულების (აკაკი წერეთლის) თანატოლი, ის აღზრდილი იყო მდიდარი ქართული კულტურის ნოყიერ ნიადაგზე, მშობლიური ენისაღმი დიდიმ საყვარელმა და მისმა ღრმა ცოდნამ გოგებაშვილს შეაძლებინა არამარტო გამართული სახელმძღვანელოების შექმნა, არამედ, ქართველი კაცის გულში შექარაც. მისი განთქმული სახელმძღვანელოები საოცრად მახლობელი, ღვიძლი, მშობლიური გახდა ქართველი მოსწავლეებისათვის. თვითველ მათგანზე ისინი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ და თვითველი მათგანი ამ წიგნებით კრებულა როგორც დედა-ენის საგანებებს, ისე მეცნიერებათა საფუძვლების პირველ ყურობებს.

მშობლიური ენის ღრმად შესწავლის პირადღობად, ყმაწვილობიდანვე გოგებაშვილი ეუფლებოდა მრავალფეროვანსა და მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას. ძველი მწერლობის, მისი ძეგლების, საერთოდ, მატერიალური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშებმა მას აღრევე აუხილეს თვალი, თუ რამდენად მდიდარია საქართველოს ისტორია, რამდენად ძლიერია მისი შეილებების ტრანტა. მარტო რუსთაველი, თავისი გენიალური პოეზით, ეტალონი ქართული მხატვრული და ფილოსოფიური აზრისა. მაგრამ სარგის თმოგველი, შათელი, ჩაბრუნება, მოსე ზონელი, შემდეგ პოეტა მეფეები — თემურბაზი (ორევი), ვახ-

ტანგ მეექვსე, გურამიშვილი, ბესიცი, სულხანი ღრისი — ბარათაშვილი, ილია ქვეყნაძე — განა ეს სახელები ყველაფერზე უფროსს არ დაამწვენებდა?

გოგებაშვილმა ერთნაირი ძალით შეიძინა აგრეთვე როგორც ქართული ფილოსოფიური აზრის სიღრმე (იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი), ისე ქართული პოლიფონიური მუსიკის სილამაზე.¹

მეორე მხრივ, გოგებაშვილი აღზრდილი იყო იმ პროგრესულ-დემოკრატიულ ტრადიციებზე, რასაც საფუძველი ჩუქურბუს ვერ გერცემსა და ბელონსკიმ, ხოლო შემდეგ განავითარეს ჩერნიშევსკიმ, დობროლი უბოვმა. მის არცემა — ლიტერატურაში, უმინსკიმ, კორტემა, ვოდოვოხოვმა, ევსელმა, ბუნაკოვმა — პედაგოგიაში. ამიტომ არის, რომ გოგებაშვილი, როგორც თეორეტიკოსი, მწიროსი, ევრენობა გამოხენილი რაზნონინციების შეხედულებებს, პრაქტიკაში ახორციელებს ახალი რუსული პედაგოგიური აზრის მიღწევებს, თერგდალეულებთან ერთად მთელი არსებით იბრძვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კარდინალური საკითხების გადასაწყვეტად. ამ ბრძოლაში გოგებაშვილი, როგორც ილენიშვიტი, იყო შეუპოვარი, არასოდეს პირადღობით არ ზღმძღვანელობდა, მთელი თავისი ცხოვრება რაც ებადა, მთლიანად შესწირა ქართველი ხალხის ეროვნული-გვიონიშორ-კულტურული აღორბინების საქმეს.

გოგებაშვილი იყო ფართო დიაპაზონის თეორეტიკოსი; სრულებით არ ჰკავდა იმ დოკმატიკოსს, რომელიც თავსდება ერთი სქემით გომოტრილი ჩაბრბოში. პრიბლემას, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, თეორიული თუ პრაქტიკული. ის უდგებოდა შემოქმედებითად, წყვეტდა კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად, რითაც ორიგინალური სახე მისცა არამარტო საკუთარ კრედოს, მთელ თავის მოღვიწრობასაც. ამიტომ გვხვდება გოგებაშვილის პედაგოგიურ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში კრიტიკული შენიშვნები იმ ღრისათვის ყველაზე მოწინავე სავანანათლებლო სისტემის წარმომადგენლებისად, როცა ისინი ზოგჯერ ედებოდნენ ამა თუ იმ პრიბლემის გადაწყვეტაში.

თუ რა მასშტაბისა და ღიაპაზონის მოღვიწე იყო ქართული პედაგოგიის მამა, როგორ წყვეტდა აღზრდისა და განათლების საკითხებს, შეგვიძლია მისი მემკვიდრეობის ზოგადი მიმოხილვითა კარგად დავინახოთ.

ავიღოთ დწყებებითი განათლების პრიბლემადწყებებითი განათლების საკითხებში გოგება-

¹ ეს საკითხი დაწერილებით განხილულია ჩვენს წიგნში — „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“, 1968 წ., ტ. I, გვ. 125-130.

შვილი იცავდა ოთხწლიანი სწავლებას კურსს, რათა საფუძვლიანი ცოდნა მიეცა ქართველი ახალგაზრდობისათვის. და როცა სოფლის მასწავლებელთა პირველმა კრებამ 1882 წელს გადაწყვიტა სოფლის დაწვევით სკოლებში სამწლიანი სწავლება შემოეღო, დიდმა პედაგოგმა მკაცრად გაილაშქრა ამ უმართებულო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. გოგებაშვილს საბუთად მოჰყავდა ისეთი მოტივები, რომლებსაც შეუძლებელი იყო ანგარიში არ გაეყოლა. მართალია, შემდეგ კრებამ შესცვალა თავისი დადგენილება, როგორც „დროების“ რედაქციამ შენიშნა, მაგრამ იმავე „დროებში“ და თვით გოგებაშვილმა საპირიოდ მიიხიენ „სამი წლის კურსის წინააღმდეგ მოყვანილი საინტერესო მოსაზრებები“ მინდ გამოქვეყნებინათ. იმ დროს სამწლიანი სწავლება მართლაც დამღუპველი იქნებოდა, ვინაიდან ბავშვები ვერ მოასწრებდნენ სათანადო ცოდნის მიღებას მომდევნო საფეხურის სკოლისათვის. გოგებაშვილს სწამდა, რომ იმდროინდელი ჩვენი შკოლები მინდ უკეთეს ნაყოფს შიოლოდ მაშინ გამოიღებენ, როცა სამშობლო ენის სუფილის გარდა, მათ ექნებათ ზანგარძლივი კურსი, არანაკლებ ოთხი წლისა“.¹

იყო მეორე საბუთიც. გოგებაშვილი ითვალისწინებდა რუსეთის გამოცდილებას. რუსეთში სამი წლის კურსი იყო შემოღებული, მაგრამ შედეგები თითქმის ყველგან სავალაო. „...ამ შკოლებს, — წერდა გოგებაშვილი, — მეტად საყოფიერ ნაყოფი მოაქვთ, ასე, რომ დიდხანსა ხმადაღლა დარტყნივა ისმის მათზედ საზოგადოების მხრივა, და მეორე ისა, რომ რუსეთში ბავშვები თავისი ენის გარდა არა ენასა არა სწავლობენ; ჩვენში კი მოწვევით უნდა დგარონ ოფლი სახელმწიფო, რუსული ენის სწავლშიაც ჩათავი თიქმის ერთიორად მიმდება ტერით სწავლისა... თუ რუსეთის შკოლების ნაყოფი არის საყოფიერი სამი წლის კურსის წყალობით, ჩვენში უმკველად მივიღებთ ორჯერ უფრო კიდევ საცოდავსა, ანუ უსაცოდავს ნაყოფსა...“²

ყველამ და ყველაფერში ფიზიკლი რეალისტიკური თვლსაზრისი ზელსაყრელი გამოარჩევდა იაკობ გოგებაშვილს მოყვამთებისაგან. ფაქტების ცოდნა და მათივე უნარაინი მოშველიება, მსჯელობის ანალიტიკური-ლოგიკური ზნა, კემპირიტების უანგარო სამსახური აზროვნებაში და არა სუბიექტივისტიკური ახირებულისა, ნათლად, გამართულად წერა — ეს თვისებები ზელს უწყობდნენ დიდ პედაგოგის დაემტიციებინა თავისი სიმართლე. გაეკარწყულებინა მოწინააღმდეგე ბანაკის მტიციებანი,

ხოლო შემდეგ ემოქმედა თეორიამი მიღებულ დასკვნების პრაქტიკული განხორციელებასათვის. მან კარგად იცოდა, რუქსაქვეყნაწმუნენ მისი გამოჩენილი მასწავლებლები — კონსტანტინე უშინსკი და ნიკოლოზ კორფი. ამ უნარსკენლს სპეციალური წერილი მიუძღვნა, რომელშიაც ქართველმა პედაგოგმა თავისივე საკუთარი დოქტრინის რამდენიმე ძირითადი პრინციპი მკაფიოდ გაამჟღავნა. კორფის მოღვაწეობაში გოგებაშვილს მოსწონდა სწორედ ეს — თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. „იგი (კორფი — გ. ჟ.) ერთსა და იმავე დროს, — აღნიშნავდა გოგებაშვილი, — კიდევ სწერდა და კიდევ მოქმედებდა. თეორია და პრაქტიკა მას ტოლ-ტოლად მიჰყავდა. კაბინეთი და ცხოვრების მოედანი ერთმანეთზედ მოქმედებდნენ, ერთმანეთს შვეკოდენენ, ერთი ერთმანეთს აესებდნენ“; როგორც უშინსკი (1824—1870), ისე კორფი (1834—1883) გოგებაშვილს წარმოადგენილი ჰყავდა დიდ პედაგოგებად, რამელთა მხნეობასა და მამულის წრედლ სოცარულზე ბევრით იყო დამოკიდებული თვით „რუსეთის მომავალი“. პარალელურ, რომელიც მან თვ გამოიტყინლ პედაგოგს შორის გაავლო, იმითაც იყო საინტერესო, რომ საესებით მართებულად აღნიშნავდა ისტორიულ სინამდვილეს.

სამოღვაწეო ასპარეზზე უშინსკის გამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ კორფი ევლინება სახალხო განათლებას, — ეს კარგად იცის გოგებაშვილმა, — მაგრამ მთავარი ექ ან იყო საძებველი: უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა კორფის მიერ იმავე გზის არჩევა, რა გზისაც უშინსკი დაადგა. მართალია, კორფი ერთმაშად არ მისულა უშინსკისთან, პირიქით, ერთ დროს კიდევაც აკრიტიკებდა თავის დიდ თანამედროვეს, მაგრამ შემდეგ სურათი შეიცვალა. გოგებაშვილი ძალიან ნათლად გადმოგვეცმს ამ ისტორიას. ნეკროლოგში იგი შორიდან იწყებს იმის აღნიშვნას, რომ უშინსკი სიმოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც „...სრული, განვითარებული, დამჭდარი აზრების და მიმართულების პედაგოგი, რომლისაგანაც იქით გადხვევა რაიმე პედაგოგიური აზრისა, ანუ პრინციპისა შეუძლებელი იყო. მთელს იმის მოქმედებაში, როგორც დობროლიტოვისაშიაც, ვერ უჩვენებთ ვერც ერთს ნაბიჯსა, სადაც რაიმე ტორტმანი ბუცობოლდეს, სადაც გაგრემ ზედ-გაუღუნას უშინსკი თავისი ორბიტიკული გამოყვანოს. კორფი შეუდგა ხალხის განათლების საქმეს მაშინ, როდესაც ჭერედ მას აკლდა განვითარება; პედაგოგიური პრინციპები, დედაზრები ძვალსა და რბილში

¹ იაკობ გოგებაშვილი, ობზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 171.

² იქვე, გვ. 171-172.

¹ იაკობ გოგებაშვილი, ობზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 437. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჟ.



არა ქონდა გამყარო. ამიტომაც თავდაპირველად იგი იჩენდა ვიწრო ჭკუის აღმშენის ნაკლებულეანებათა. იგი დიდად თავყანა სცემდა რეალურ მიმართულებას და კიდევ შეადგინა ამ მიმართულების პირველი საკითხები წიგნი ესრედ წოდებული «Малютка» ამას გარდა კიდევ პოლიტიკოსობდა პედაგოგიაში. იგი ამტკიცებდა, რომ წერალი ქვეშევრდომის ხალხების დედა-ენა მხოლოდ მამულები საგანი უნდა იყოს რუსული ენისათვის და იმდენად უნდა ისწავლებოდესო, ზადენდაც სახელმწიფო ენას არ დაუშლისო. ეს ორივე აზრი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა უწინსკოს მიმართულებას, რომელსაც რეალური ელემენტი საკითხავ წიგნში მხოლოდ შესამე წლიდან შექმონდა და პირველს ორს წელიწადს-კი სდებდა დედა-ენის და მეტყველების შესწავლად. პატარა ქვეშევრდომი ხალხების დედა-ენასაც უწინსკო იმავე მნიშვნელობას აძლევდა, როგორსაც სახელმწიფო ენას მთავარი ერისათვის. უწინსკო იქმნინ მიდიოდა, რომ მალოროსიელს სკოლებში რუსული ენის სწავლებას უნაყოფოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგვას ეძახდა და ამბობინდა, რომ მხოლოდ მალოროსიელი ენა და წერა-კითხვა ესწავლებინათ აქა. კორფი სხვა მიმართულებას მისდევდა, ზოგს შემთხვევაში კიდევ ეწინააღმდეგებოდა უწინსკოს, თუმცა ყოველთვის დიდი ბტივით იხსენიებდა მის და ეძახდა „დიდი ბედა გოგასა“. უწინსკო კორფის წინააღმდეგ არაფერსა წერდა და, როგორც ეტყობა, ასე ფიქრობდა: ჟერ გამოუძღელი ხარ, განეთარება გაცლია, დრო გაიყლის, მეტს ისწავლი, პედაგოგის ცოდნა მოგემატება და მაშინ თვითონვე უარ-ყოფ იმ აზრებს, რომელთაც ეხლა სიყმაწვილით ქიადებენ.

და კიდევ ასრულდა უწინსკოს მოლოდინი. ამ ხუთი-ექვსი წლის წინააღმდეგ შეეცარიაში ხანგრძლივი მყოფობის შემდეგ, კორფი მტკიცედ დაადგა იმავე მიმართულებას, რომელსაც ისეთის საკიარველის ნიჭით ემსახურებოდა უწინსკო. მან უარ-ყოფ ვიწრო რეალური მიმართულება და აღიარა სიტყვიით და ბეჭდვიით, რომ პირველი ორი წელიწადი დედა-ენის და მეტყველების შესწავლას უნდა დაეთმოსო და მხოლოდ მესამე წლიდან საკითხავ წიგნში უნდა მოექცეს რეალური ელემენტიო. მცირე-რუსეთის სკოლის შესახებ მან გამოსთქვა მშვენიერი აზრები, რომელნიც დამყარებულნი არიან მხოლოდ პედაგოგურს ნიადაგზედ და მოშორებულნი პოლიტიკოსობას. ეველა სხვა საგნებზედ მსჯელობაშიაც მეტად სასიამოვნო ცვლილება ეტყობოდა მას. ერთი სიტყვიით, შეეცარიაში ყოფნასდა იქაური სკოლების შესწავ-

ლას კორფი გადაეცია წმინდა წლის პედაგოგად, მეორე უწინსკოდ.¹

კორფისა და უწინსკოს პარალელური უკეთესი გადმოცემა, ასე მიკლედ და ასე არსებითად, შეუძლებელია. მართა აქედან ჩანს, თუ რამდენად ახლოს იდგა გოგებაშვილი რუსული პედაგოგიური მეცნიერების ორ დიდ მწვერვალთან და რამდენად მისაღები იყო მისთვის როგორც „პირველი“, ისე „მეორე უწინსკო. ამ პარალელს ქართული პედაგოგი იძიოდა აღრმავებდა, რომ აღნიშნავდა ორივეს დამახასიათებელ პიროვნულ მხარეებს, კერძოდ, ტალანტსა და გამოცდილებას. „...ნაღვით და განეთარებით, — წერდა გოგებაშვილი კორფის შესახებ, — დაბლა იდგა უწინსკოზედ. რომელსაც რუსეთში სამართლიანად ეძახიან დიდმა პედაგოგს, მაგრამ სამაგიეროდ მას შეეძლო დამკვირვებნა თავის წინამორბედის წინაშე უფრო მომეტებული გამოცდილება და უფრო მრავალგზარი პრაქტიკა. თუ უწინსკო უზომოდ მაღლა იდგა კორფზედ და სხვა რუს პედაგოგებზედ შინაგანი შემოკმელებითი ძალით. სამაგიეროდ ბარონ კორფს უპრაქტიკობა ქონდა მასთან იმით, რომ დაბნეილად არ იცნობდა ხალხსა და მის მოთხოვნებსა, თვითონ ხალხის ცხოვრების ცოდნაზედ იყო დამოკიდებული მისი პედაგოგიური მისწრაფებანი და შეხედულებანი. თუ უწინსკოს უნდა დაერტვინა იშვიათი ხელოვანი პედაგოგის სახელი, ბარონ კორფს უნდა ეუწყოლოთ იშვიათი სიმარჯვის ხელოსანი“.²

შორანილი დახასიათებანი უაღრესად სწორი და მართალია. უწინსკოს ნიჭს ვერცერთი რუსი პედაგოგი მხარს ვერ გაუტოლებდა. მათ შორის კორფიც, მაგრამ ეს ბარონი, არისტოკრატიის წრიდან გამოსული, უფრო დემოკრატი იყო, ვიდრე უწესლოდ დემოკრატიის წრეში დაბადებული რომელიმე მისი თანამემამულე პედაგოგი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო კორფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იმდროინდელი „პროგრესული დასის“, „პროგრესული მიმართულების“ გულმარტული გლოვა, ხოლო „რეტროგრადების დასის“ სისართული. ეველაფერი ეს გოგებაშვილმა კარგად იცოდა, იცოდა ეველი გამოცდილებითაც და შეეძლო გაუხსენებინა წარსულს მწარე ფაქტები შემდეგი სიტყვებით: „კორფი მოკვდა ისევე უღროდ (49 წლას ასაკში — გ. ჯ.). როგორც უღროდ იხოციბან რუსეთის საუეთოესო შკოლებში. არ შევილიოან არ აარსებოდა პეწიწიანი, ლერმონტოვები, ბელისკები, გოგოლები, დობროლიუბოვები, უწინსკები, კორფები სიყმაწვილზედ იხოციბანი და კატოვები, ლიონტიევი,“

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 438—439.

² იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 436.

პაბედონოსეცევი, სევორინები, მეშერასკები და სხვა ბნელეთის მოცუვლნი მათსაღის-
ფაშს სყოცხოლბენ და უველას თავს აბეზრე-
ბენა.

ყველაფერი ეს ქვეშაირება იყო და ერთნა-
ირად შეეხებოდა იმდროინდელ როგორც რუ-
სეთს, ისე საქართველოს.

2

გავიხსენათ იმდროინდელი საქართველოს
სწავლა-აზრობის მდგომარეობა და გოგებაშვი-
ლის როლი ქართული განათლების ისტორიაში.
ეს ისტორიის ერთი დიდი ფურცელია ქარ-
თველ განმანათლებელთა ბრძოლა რეაქციონერ
ინოვაციის წინააღმდეგ. მისი სასწავლო გეგმა
საერთო (სახალხო) სკოლებში სწავლებისა (ეს
სკოლები სამწლიანი იყო — გ. ჯ.) სასტიკად
გააყრიტყეს 1881 წელს ილია ქაქვიძემ და
იაკობ გოგებაშვილმა. ეს ორი დედამთი იმ-
დროინდელი ქართული განათლებისა საესებით
ერთნაირად მიუდგა საკითხს და როცა ადარებთ
ორივეს ნაშრომს, შეუძლებელია არ იგრძნოთ
პოზიციისა და კონცეფციის იდენტურობა. ილია
ქაქვიძის წერალი, ცხადია, უფრო ღრმაა,
უფრო თეორიულ დასაბუთებას შეიცავს, მაგ-
რამ, ეტყობა, ფუნქციები განაწილებული იყო
— პირველს ძირითადად თეორიულად უნდა
დაესაბუთებინა იანოვსკის რუსიფიკატორული
პროექტის უმწეობა, ხოლო მეორეს — პრაქტი-
კულად. ამით ახსნება ილია ქაქვიძის პასუხ-
ში — „მან იანოვსკის წერალისა გამო“ ამონა-
წერების სერია ისეთი გამოჩენილი პედაგოგე-
ბის თხზულებებიდან, როგორც იყვნენ: კო-
მენსკი, პესტალოცი, დისტერვე-
გი, უშინსკი და ვესელი. დამახასია-
თებელია, რომ ილიას მოჰყავს მათი თხზუ-
ლებიდან სწორედ ის ადგილები, რომლებიც
ნათლად ადასტურებენ მშობლიურ ენაზე
სწავლების არამართო გონიერულობას, აუცი-
ლებლობასაც.

შინდ რა ამონაწერი მოაქვს ქართველ განმა-
ნათლებელს?

კომუნსკი ასაბუთებდა, რომ „საერთო სკო-
ლა — საკუთრივ დედაენის სკოლაა“.
რომელიც საეაღმებულოა.

პესტალოცი დედაენის თვლიდა ბავშვისათვის
ყველაზე მახლობლად და ამიტომ ამბობდა:
„ბავშვის სულიერი ძალნი შორეულზედ, უც-
ხოზედ არ უნდა ავირჯიშოთ, ვიდრე ძირი არ
გამაგრებით და არ განათლებულან იმაზედ
ეარჯიშობითა, რაც მახლობელია ბავშვისა, რაც
გარს არტყია, რაც ბავშვის ღვიძლი და თავი-
სიანია“. „პირველ-დაწყებითის ცოდნის მოედ-
ნად უნდა იყოს სამშობლო“.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი ტ. I,
1952 წ., გვ. 439.

დისტერვეგი მოითხოვდა: „...ოსტატა ვასა-
კეთრებული ურადლება უნდა მიეციოს იმ
ენას, რომელსაც ყმაწვილები მშობრებში სყო-
ლაში შეესლის დროს. ახალი უნდა ვისწავ-
ძვილოს შეუწეობით, უცნობი — ცნობილით.
სხვა გზა არ არის, სხვა ღონე და საშუალება
შეუძლებელი საქმეა“. „რაც ვულში გამოუ-
კვანძეთ მისი პატარა სამშობლო, გზა ვაუხსე-
ნით, რომ არამც თუ მართო შეისწავლოს, არა-
მედ შეიყვაროს კიდევ იგი სამშობლო, მისი
განსხვავებული თვისება, მისი განსხვავებული
ხასიათი“.

უშინსკი ამტკიცებდა: „ბავშვი რომ სწავ-
ლობს დედაენას, იგი სწოვს სულისათვის სო-
ციალურს და ღონეს ღვიძლის ენის ღვიძლის
ბებედამ. დედაენა ისე უხსნის ბუნებას ყმა-
წვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მყოფენ
კაცი; ასე ატოლინებს ხასიათს იმ ხალხისას და
საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავშვი
სცხოვრობს, მათს ისტორიას, თვისებას და მი-
დრეკილებას, როგორც ვერცერთი ისტორი-
კოსი“.

ვესელი წერდა: „ერს რომ თავისი ენა არ ას-
წავლოთ, ეგ ის იქნება, რომ არ გინდათ ერის
აზრი, მისი სულიერი ძალღონე, ნიჭი გაიხსნას
და გაიმართოსო. ეგ ის იქნება, რომ არ გინ-
დათ ერი ბაღობილამ გამოვიდესო. თუ წვენ
არ დეაწყებინებთ ენის თავისის დედაენის
სწავლისა და, თუნდაც მის მაგორ სხვა, ძალიან
მახლობლის ენის სწავლებას მოვაყოლებთ, მა-
შინ უფრო უარესს ვიზამთ: სრულებით შეეშ-
ლით ერის გონების განვითარებას, სრულებით
შეეშლით მის სულიერს ბუნებას“.¹

ალარფერს ეამბობთ ამონაწერებზე ბრე-
ლისა და ტილურს თხზულებებიდან, რომ-
ლებიც ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდ-
ნენ. ყველაფერი ეს მიმართული იყო იანოვსკის
წინააღმდეგ, რომელიც საესებით ანტიხალხურ
პოზიციებზე იდგა რუსიფიკატორული პოლიტი-
კის დასაცავად.

სრულიად გარკვეული დებულების სახით
უნდა ითქვას, რომ კირილე იანოვსკის წინააღმ-
დეგ ილია ქაქვიძისა და იაკობ გოგებაშვილის
თითქმის ერთნაირი გამოსვლა შემთხვევი-
თად არ ჩაითვლება. იანოვსკი ოცდაერთი წე-

¹ ილია ქაქვიძემ, თხზულებანი, 1957 წ., გვ.
493—495.

² გიორგი ჯიბლაძე, „ილია ქაქვიძემ“, 1966
წ., გვ. 13, 89, 125, 129, 130, 265, 656, 700,
701; სადაც მოცემულია ილია ქაქვიძისა და
იაკობ გოგებაშვილის როგორც პირადი ურთო-
ერთობის, ისე მათი ერთობლივი ბრძოლის და-
ხასიათებანი. გოგებაშვილი თვითონვე აღნიშ-
ნავს: იანოვსკის წინააღმდეგ გამოსვლა „...რე-
დაქცეამ მე დამავალა; მაგრამ მე მივირეგე საკუ-
რთა უფრო გამოჩენილმა და გაეღე-

ლი ელვა სათავეში ცარისტულ შერაზმულ-რეაქციულ საგანმანათლებლო პოლიტიკას სა-ჭარბოველოში (1878—1899 წლები) და იმდენი ცუდი გააქვთა, რომ 80-90-იანი წლების მანძილზე ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური მოღვაწეობა თითქმის ყოველთვის მის წინააღმდეგ ბრძოლას იყენებდა იყო მიმართუ-ლი. იანოვსკის ჰეიდო მოსყიდული პირებიც, მსგავსად თედო ამორდიანის, რომლებიც ამ რეაქციონერს მხარს უმხარობდნენ და ძირს უთხრებდნენ მოწინავე ქართველთა პროგრესულ დო-ქტრინებს.¹ ამიტომ ქართველ განმანათლებლებს ბრძოლა უხდებოდათ ორ ფრონტზე — ცარისტულ პოლიტიკის უშუალო გამტარებლებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ.

როგორც პედაგოგია-თეორეტიკოსი და პედა-გოგია-პრაქტიკოსი იაკობ გოგებაშვილი თავი-დანვე ებრძოდა სახალხო განათლების დარღვი-ციანს ცარისტულ პოლიტიკას, მის წარმომადგენ-ლებს, კერძოდ, ისეთ რეაქციონერებს, როგო-რიც იყვნენ კატკოვები და იანოვსკები, ქვეშინ-სკები და ლახოვები. ამ ბრძოლაში იგი შეუ-პოვარი იყო, როგორც ქართული ენის დევნის თუ შეუფასებლობას არაფის ასატრეზა, მით უფრო მის მტრებს, რომლებიც მიზნად ისა-ხადნენ ენის მოსპობით თვით ქართველი ხალ-

ხიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მავა-ლითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საქო-რო მისაღლის ილიას მე თვითონ მი-ვეტრან; სამაგეროდ როცა ამ დღეებში ია-ნოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკის-რულობ მეუქი. და ასეც მოხდა. ასეთი ვა-ნაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საისტატო სემინარიიდან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში შტრენველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქარ-თულსა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხარად აგვევადო — იმას „ვერია-ში“ და მე „დროებაში“, და კიდევ შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ხანასახი დედის მუცელში ვაჭა-ვალღ² (იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952 წ., გვ. 237. ხაზი ყველგან ჩვენი — გ. ჯ.)

მონოგრაფიაში — „ილია ჭავჭავაძე“ ისიც აღნიშნული ვაქვს, რომ ქართველ გან-მანათლებელთა არტემენტიცია მშობლიურ ენა-ზე სწავლების დასაცავად იმდენად ძლიერი იყო, რომ რეაქციონერი შტრენველი კირილე იანოვსკი, ძალიან ხშირად იძულებული ხდებო-და უკანვე წავლო თავისი რუსოფილტორები პროვოკირების შეტევის დაწყებამდე.

¹ დაწერილებით იხ. გიორგი ჭიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ., გვ. 95—100.

ხი გადაეგვარებინათ. დიდი რუსი პედაგოგ-ების — უმინსკისა და კორფის მხედველ-ერთგული, გოგებაშვილი ამოდიანის მხარე-სადა პრინციპიდან, რომ მშობლიური ენა განათლების პირველი საფუ-ძველია, ურომლისოდ ბავშვის ნორმალური განვითარება შეუ-ძლებელია წარმოეთადგინოთ.¹

ჭერ კიდევ 1878 წელს გოგებაშვილმა დაწერა სტატიების სერია მშობლიური ენის სწავლების შესახებ, სადაც მშვენიერად დაასაბუთა ძი-როთადა სახელმძღვანელო აზრი, გაილაშქრა ილქსანდრეს სამსწავლებლო ინსტიტუტის დი-რექტორი ზახაროვის წინააღმდეგ და კონკრეტულ-ად ფაქტებით დაადასტურა, თუ რა განუზომე-ლია მშობლიური ენის როლი მოსწავლეთა ნორმალური გონებრივი განვითარებისათვის. უამისოდ, მშობლიური ენის გარეშე, შეუძლე-ბელია პედაგოგიის იმ ძირითადი წესის შესრუ-ლება, რომელიც მოითხოვს „ასწავლო ისე, რომ ვასაგებო იყო სი“. განა შესაძლებე-ლია „გასაგებო სწავლება“ „გასაგებო ენის“ გარეშე?

ზენე აქ მოვიტანო გოგებაშვილის სტატიების სერიიდან ერთ ერველ დევილს, რომელსაც დღემდე არ დაუტარაგავს თავისი წმინდა თეო-რეული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გარ-და ამისა, ქვეშომოტანილი ამონაწერი სრულ წარმოდგენას მოგვცემს, თუ როგორ ღრმად ესმოდა დიდ ქართველ პედაგოგს საერთოდ მშობლიური ენის მნიშვნელობა სწავლა-აღზრდის საქმეში.

„ჩვენი პედაგოგები თუ ფიქრობენ, — წერ-და გოგებაშვილი, — რომ ეს თავისთავადი მნიშვნელობა ჰქვს ერთისა და იმავე სახელმწი-ფოს სხვადასხვა ნაწილის მტკიცედ შეკავშირე-ბაში, — ისინი ღრმად ცდებიან. ისტორია და თანამედროვეობა იძლევა მავალითებს, რომლე-ბიც ნათლად მეტყველებენ ენის ასეთი მნიშვნე-ლობის წინააღმდეგ.“

ძველი საბერძნეთის ხალხებს ენა ერთი ჰქონ-დათ, მაგრამ ისინი მუდამ დაყოფილნი იყვნენ, ვერასოდეს ვერ შექმნეს მთლიანი სახელმწიფო ერთეული, მუდამ ერთმანეთს მტრობდნენ და კიდევ დაღუპეს ერთმანეთი დაუსრულებელ ჩხუბსა და დავაში. ინგლისელებსა და ჩრდილო ამერიკელებსაც ერთი ენა ჰქონდათ და აქტო, მაგრამ ენამ ვერ უშველა საქმეს, — წარსულ საუკუნეში მათ შორის ძლიერი ანტაგონიზმი განვითარდა და საქმე იმით გათავდა, რომ აშე-რიცა გამოეყო ინგლისს. მეორე მხრივ, შეიძლე-ბა მოვიყვანოთ შვეიცარიელებს მავალითი, რომლებიც სამ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 132—169, წერილი — „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“.

მაგრამ ერთ ზალხს წარმოადგენენ, შემჭიდრობულნი არიან ერთ მთელად, ერთ სახელმწიფოში და ეს სახელმწიფო ბევრად უფრო მყარი და განუყოფელია, ვიდრე ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებსაც თავი მოაქვთ ენისა და ეროვნების ერთიანობით. ჩრდილო ამერიკელი ზალხის სხვადასხვა ნაწილი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან ენით, მაგრამ ეს ზელს არ უშლის მათ მთლიანობის შეცვნაში და ოდნავადაც არ ასუსტებს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სიმკვიდრეს.

მაგრამ ყველაზე გასოცარ და პირდაპირ ამალელებულ მთავართს ამ მხრივ წარმოადგენენ ელზას-ლოტარინგიელები ისინი წინააღმდეგობით ვერმანელები არიან, თანაც მათ მეზობლად არის გერმანიის დიდი სახელმწიფო... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი სულსკვეთებითა და მიმართულებით მეტად მხურვალე და თავდადებულ ფრანგ პატრიოტებად რჩებიან; ამიტომაც ისინი მთელი არსებით პროტესტს აცხადებდნენ და აცხადებენ იმის გამო, რომ ისინი უზემად და ძალად მოგლეჯის მათთვის საუფარუდ საფრანგეთს და ძალადვე შეუერთეს მათთვის საძულველ გერმანიას, რომელიც მათ უნდა ყვარებოდათ, ენის ერთიანობა რომ სულგირი ერთიანობის პროზაის წარმოადგენდეს. დიდი პემანტრი იდეებით გამსჭვალულმა საფრანგეთმა, რომელსაც დიდ ღირსებას მატებს ელზას-ლოტარინგიელების ასეთი ღრმა და ამალელებული სიყვარული, სწორედ იმით მიიჭაჷვა გერმანიელი ზალხის ერთგობი ვანტოეობა და ის თავისი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილად აქცია, რომ არასოდეს არ მიუნიჭებია რაიმე მნიშვნელობა ენისა და ფორმის ერთიანობისათვის და მუდამ წრფელი პატრიოტული ეპირობოდა თავის გერმანელ შვილთა ერთგულ თავისებურებებს. საფრანგეთს რომ სიბეჭე გამოეჩინა და სხვაგვარად მოქცეოდა გერმანელი ზალხის შემოერთებულ ნაწილს, იგი რომ ცდილიყო ამ ნაწილის ერთგულ თავისებურებათა ჩახშობა, რომ მოეწოდებინა მათი გადაგვარება, ფრანგებად გადაქცევა, — მაშინ ელზას-ლოტარინგია აღმოფოთებოდა და წუხილგაღებულთ კი არ შეგებდებოდა საფრანგეთთან გათავისებას, არამედ მიესალმებოდა ამას, როგორც მისთვის სასურველ განათვისებულს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ის ზალხებიც კი, რომელნიც საესებით გულგრილი არიან თავიანთ ერთგულ თავისებურებათა მიმართ, მყისვე საშინლად დაფრთხილენ ხოლმე მათ და იწყებენ თავაწირობათა და უმტკიცეს შეუპოვრობით თავდაცვას, თუ შეამჩნიეს, რომ ვიღაც ცდილობს წაართვას მათ ეს თავისებურებანი.¹

გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ყოველგვარი ამასადსტრუბენ პრაქტიკული სწავლების მთავარი მთავალი მთავალი „საესებით ვასავებო“ მოვლენა არის. თავის მოსაზრებას ქართული პედაგოგი ასაბუთებდა კავასისი ზალხების გამოცდილებითაც, ამჟამადვე და ზოგადრით უაღრესად ყალბ, ანტიმეცნიერულ მტკიცებასაც, თითქოს ადგილობრივ მცხოვრებლებს თავის ქალა იდიოტური აგებულებისა აქვთ, „ადგილობრივი ენები პოტენტოტურ ენაზე უფრო დაბლა“ დგას და ა. შ. სამაგვიროდ, გოგებაშვილი მსურავლად მიესალმებოდა ხოლმე ამ გამოჩენილ პედაგოგებს, რომლებიც უმისკისა და კორფის მსგავსად აღიარებდნენ შობლიური ენის ვადაწყვეტ როლს სწავლა-აზრდაში.

ერთგვარი ასეთი პედაგოგი იყო ნიკოლოზ ვესელი (1837—1906), უმისკის მიმდევარი, რომელმაც 1869 წელს სახალხო განათლების სამინისტროს ეფრანლში გამოაქვეყნა, როგორც გოგებაშვილი წერს, „შესანიშნავი სტატია სათაურით: „პირველდაწყებითი სახალხო განათლება“. ქართული პედაგოგი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ვესელის წერილს, აღნიშნავს, რომ ეს სტატია ნამდვილი სასიყვარლო განაჩენია სწავლების ისეთი სისტემისათვის, როგორც ზენევი, კავასიაშია, ამავე დროს კი რედაქცია შენიშნავს, რომ სახალხო განათლების სამინისტროც საქმეს ისევე უყურებს, როგორც სტატიის ავტორი“². ამის შემდეგ გოგებაშვილი იძლევა ვესელის სხვენებულ წერილის დაწვრილებით ანალიზს, რასაც გვირდა მკითხველი უფრადდება საგანგებოდ მივაქციოთ.

„სტატიის ავტორი (ვესელი — ე. წ.), — წერს გოგებაშვილი, — თავდაპირველად განიხილავს საკითხს, საერთო სახალხო განათლებისა და ერთგულ უმცირესობათა ერთგულ განათლების ურთიერთობის შესახებ და მას სწევებს იმ აზრით, რომ მათ შორის განსხვავება არ უნდა იყოს არც პროგრამის მხრივ, არც სასკოლო კურსის მოცულობის და არც მიმართულებისა და სულსკვეთების მხრივ, მაშასადამე, შიღის იმ ზენეზუბური პედაგოგების შეხედულებათა პირდაპირ საწინააღმდეგო დასაყვამდე, რომლებსაც პირველდაწყებითი სკოლის მთელი კურსი პრაქტიკაში დაუეანილი აქვთ მხოლოდ რუსული ენის მექანიკურ დაძლევაში. ამის შემდეგ ავტორი სვამს შემდეგ საკითხს: ყველა სახალხო სკოლისათვის საერთო ეს განათლება სხვა ერთს ბავშვებს უნდა მიეწოდებოდა მათ შრობითი ენაზე, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ენაზე, და ამ საკითხსაც სწევებს მეტად რაციონალურად. მისი აზრით, პირველდაწყებითი სწავლების დატკვი შობლიური ენის უგულვებელ-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 160—161.

¹ იქვე, გვ. 162.

² იქვე, გვ. 165—166.

ყოფა და მისი უფლებების შექვეცა არა თუ პედაგოგიური არ არის, არამედ პირდაპირ სახიფათოა და ძალიან ენებს არა რუს ხალხთა და ახლოების და შეკავშირებას სახელმწიფოს მთავარ ხალხთან. ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისათვის შესაფერ ამ აზრს იგი საკვირველი სიცხადით ადასტურებს ორი სახელმწიფოს — ავსტრიისა და პრუსიის მაგალითით. ეს სახელმწიფოები წინათ სხვა ერებისათვის დაწყებითი განათლების საქმეში მისდევდნენ ორ სხვადასხვა, მოპირდაპირე სისტემას (თუმცა ახლა, მართალია დავიანებთ, ავსტრიაც გონს მოვიდა). ავსტრია ძალიან ხშირად პირველდაწყებით სკოლებში მშობლიური ენის ხანგრძლივი გამოყენების წინააღმდეგი იყო და სავალდებულოდ ხდიდა პირველდაწყებით სწავლებას გერმანულ ენაზე. პრუსია კი, პირიქით, სრულ უფლებებს აღწევდა მშობლიურ ენას და მოითხოვდა, რომ ზოგადი განათლებისა და სახალხო განათლების გამტარებელი ყველაზე უფროლიყო მშობლიური ენა.

და მერე რა მოხდა? ავსტრიამ თავისი ასეთი მოქმედებით ხალხში გააღვივა ცენტრიდანული მისწრაფებანი, პრუსიამ კი უმჭიდროესი ორგანიზირებული კავშირებით შეიკავშირა თავისი მეორეხარისხიანი ხალხები.¹

ყოველივე ამის შემდეგ საკვებით ბუნებრივია, თუ რატომ იბრძოდა გოგებაშვილი მშობლიური ენისათვის განათლებაში, რატომ იყო იგი ასე შეუბოვარი და კატეგორიული დედაენის დაცვის საკითხში. გოგებაშვილი არაერთგზის ამტკიცებდა, რომ „ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედაენაზე უნდა იყოს დაფუძნებული; დედაენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედაენა სულია სკოლისა, თვით დეტაი სკოლა მშლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედაენის შეამკობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემოვლილი სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია.“²

უფრო კატეგორიული მოთხოვნა განათლების საფუძვლად დედაენის დადებისა მგონი შეუძლებელიცაა. ეს იყო გოგებაშვილის ურყევი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იგი კმნადა თავის ცნობილ სახელმძღვანელოებს. „ბუნების კარის“ ჭერ კიდევ პირველი — 1868 წლის გამოცემის წინასიტყვაობას გოგებაშვილი იწყებდა ამ ჰუმანიტების აღიარებით, რომ „ბავაშვემა პირველათ თავისი ენა უნდა ისწავლოს“, რომ „ჩვილბავ-

შეს ჭერ დედი ს რძითა ზრდიან! ამ საფუძველზე უნდა იგებოდეს ჰელმჰოლცი „წინააღმდეგობის საფუძველი“ და „სწავლება აღზრდა“. პედაგოგია სწორედ ამიტომ უნდა იყოს გონივრული და საკვებით ბუნებრივია, რომ გოგებაშვილი იბრძოდა საქართველოში „გონივრული პედაგოგიური სისტემის ადრეს“, რომლის არსებას სამ ძირითად პრინციპზე აყარებდა: ა) „დედაენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა და მის რიგთან შესწავლაზე უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ურადლება“; ბ) „სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედაენაზედ მთელს კურსის განმავლობაში“; გ) „რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ შესამე წლიდან“.³

ამ პრინციპების დაცვაში გოგებაშვილს მხარს უჭერდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები. და როცა მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა განათლების ხალხურობისათვის ერთგვარი დადებითი შედეგი მოჰყვა, გოგებაშვილმა 1883 წელს გამოაქვეყნა სტატია — „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, სადაც იგი შეეხებოდა წინამძღვრანთაგანის ახლად დაარსებულ პირველ სასოფლო-სამეურნეო სკოლის მნიშვნელობას, და მოითხოვდა, რომ სწავლა მთელი ექვსი წლის მანძილზე იქ ქართულად ყოფილიყო, მით უფრო, რომ „ამ ეამდ, — წერდა ქართული პედაგოგი, — მეტ-ნაკლებობით აღიარებულია თვით მთავრობის მხრითაც ძირითადი პრინციპი ხალხის განათლებისა — დედაენაზე სწავლება საგნების სახალხო სკოლებში, და ეს უფლება იმავე დასის (მოწინავე ქართული ინტელიგენციის — გ. ჯ.) შეკადრებით ვრცელდება იმისთანა სასწავლებლებზედაც, რომელნიც სამულო სასწავლებლებს უდრიან თითქმის...“⁴

მშობლიური ენა გოგებაშვილს მოაჩნდა ერთგვანების ბურჯად და ამ საკითხზე 1890 წელს გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი, რომელიც წერალების სახით მოათავსა „ივერიისა“ და „მწყემსში“. დედაენის შეუფასებლობას მან „ძირითადი უკუღმართობა“ უწოდა (ეს სათაურად მისცა ნაშრომს, შემდეგ კი, 1903 წელს, ცალკე წიგნად გამოცემისას, „ბურჯი ეროვნებისა“ უწოდა). ამ ნაშრომს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო გოგებაშვი-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 166—167.
² იქვე, გვ. 217.

³ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 6, 1958 წ., გვ. 5.
⁴ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 227.
⁵ იქვე, გვ. 442.
⁶ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 473.

ლის ლატერატურულ შემკვიდრებაში, არამედ ქართული პედაგოგიისათვის საერთოდ, რომ უოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ, როცა ეწყვეტ მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხებს.

ტურგენევის იმ ცნობილი მოსაზრების ციტირების შემდეგ, რომ სასოწარკვეთილების ემს „ერთად-ერთს ნათელ წერტილად შავს ჰორიზონტზედ, ერთად-ერთს გამამხნეველ იმუდად უთმეოდ მდგომარებაში მომეცლინებოდა ხოლმე ჩემი სამშობლო რუსული ენაო“, გოგებაშვილი დასძინდა: ეს სიტყვები ქართული ენის მიმართაც სრული საფუძვლიანი შეგვიძლია ვავივიროთ „კეთილთა ღნევისტებს, ენის-მეტყველთა — რაში მდგომარეობს ღირსება ენისა, და ისინი დავისახელებუნ: სიმატყვეს ბრუნებისას, გრამატიკულს სქესების არ ქონებას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევა-სა, ხმადი დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასა-მოდებელის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზედ, მრავალფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმდიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას... ყველა ეს ღირსება სრული კეთილდება ქართული ენისა...“¹ მეორე მხრივ, ქართული ანბანიც არამეუღეობრივად ღირსეულია. გოგებაშვილი იმეორებდა ცნობილ რუს ენათმეცნიერს პეტრე უსლარს, რომელმაც ქართული ანბანი „აღიარა თითქმის უუსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის“.²

ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგონდება ერთი ჩემი მოსკოველი მეგობრის შეკითხვა: ალბათ, თქვენს ბავშვებს უჭირთ ქართული ანბანის შესწავლა მისი სირთულის გამო და რა ზომებს ღებულობთო როცა ჩვენ გავყოფდით, და პასუხად მივეუბნე — არა, გოგებაშვილი პატივით ფიქრობდა, ხოლო უსლარი „უუსრულეს ანბანად“ თვლიდა მეტიც, თვითონვე მიეცა გაოცებას — მომატყუესო, ისიც დავსძინეთ: პირველასეულენაზე უკვე ერთ თვეში ახერხებენ ქართული ანბანის შესწავლასოქო. ენას რაე შეეხება, გოგებაშვილი ხატოვანად ამბობდა: „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი როგორც არის ბუნება კაცისონისა... ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება...“³ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ჩემს მეგობარს აღარაფერი უთქვამს მის მიერვე დაყენებულ საკითხზე, მაგრამ განა ყველა ასე ფიქრობს?

გოგებაშვილი ამბობდა, თვალს უხედა იმ ქართულ მშობლებს, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ ენა არარის „ტანისამოსი, რომლის გამო-

ცეა ადვილად და უნებლად შეიძლება/მის აქვს ღრმად გაიდგარი ფუნქციონირების ტენიში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ხელებისა და რიბლში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულს და ხორცზედ, მის ესკაროლოგურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ“.⁴ ამიტომ არ შეიძლება მშობლებმა შეიღებო მოსწყვიტონ დედა-ენას, სწავლება სხვა ენაზე დაწყებინონ, ისე მოქცენენ მას, როგორც „ავგული დედინაცვალი ექცევა ათვალისწინებულს თავისს ვერსას“. გოგებაშვილი მეატრად, მაგრამ სამართლიანად აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ „მშობლები, რომელნიც თავისს შეიღებესა ზრდიან ვარეშე დედა-ენის გავლენისა, სწვევებენ კავშირსა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგავედ თავისს ქვეყანასა, მამულიშვილებს, ამ ეორებენ იმ რაზმს ქართულებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს წარმატებას, მის ბედნიერებას... ეს მშობლებნი, ერთი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის წინაშე“.⁵

დედა-ენის შესახებ თავისი პროგრესული აზრების დასაცავად, გოგებაშვილს სჭირდებოდა მოეტანა გამოჩენილ მეცნიერ-პედაგოგთა შეხედულებანი. შლაიხერი, უშინსკი, ვესელი, ფობტი, პოტენია — ყველა ისინი აღიარებდნენ დედა-ენის გადაწყვეტ მნიშვნელობას სწავლებაში, არამარტო იმისთვის, რომ „ისე კარგად არაფრით იცნობება ერთი, როგორც ენა“ (შლაიხერი), არამედ თვით მშობლიურ ენასთან ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე შორალური კავშირის გამო. „ენაში იხატება მთელი ერთი დამის სამშობლო“, — სიტყვა უშინსკიმ. ამიტომ, ენა არამარტო „გამომამტველია ხალხის სოცოცლისა, იგი არის თვითონ ეს სოცოცლე, როდესაც ჰქრება ერის ენა, ერთი აღარ არსებობს (გრეიკოლ ორბულიანიც ხომ ამასვე დალადება მოეტუროდ — გ. ჯ.) და ქვეყანაზედ არ მოიქნებუნ იპაზედ აუტანელი ძალდატანება, როდესაც მსურთ ერს წარათვის ეს შემკვიდრებითი საუნჯე, შექმნილი და შექმნილი მის წინამართა ურიცხვ თაობათა დეაწლით“.

ამავე აზრს იცავდა პოტენია, რომელიც ამბობდა „მწელია ენის წარამევა, დენაციონალიზაცია. ენის დაკარგვას, დენაციონალიზაციის შეიღება დემოკრატის კერძო ადამიანი, მაგრამ მთელი ხალხი კი არასოდეს“.

კარლ ფობტიც თვლიდა, რომ დედა-ენის სხვა

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 205.

² იქვე გვ. 206.

³ იქვე, გვ. 205.

⁴ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 207—208.

⁵ იქვე, გვ. 207. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.



ენით შეცვლას აუცილებლად მოჰყვება „გონების დასავერა, დამდრელება და მეტონაყლებობით დაკარგვა შემოქმედებითი ნიჭისა“.

ამის შემდეგ გოგებაშვილი დავსტყვის, რომ აქედან სასურველი ნათელი „მეგონებლობა, რომელიც მიუტელებლად მოსდევს დედა-ენის უარ-ყოფას და მის გაცვლას რომელსამე უცხო ენაზედ“.¹

თავისი ნაშრომის დედა-აზრის დასასაბუთებლად, გოგებაშვილმა კიდევ ორი ამონაწერი მოიტანა კომენსკისა და უშინსკის წიგნებიდან.

კომენსკი ამბობდა: „მშობელი, რომელიც მოინდომებს თავისს შეილებს ასწავლოს უცხო ენა, ვიდრე ისინი განმტკიცდებოდნენ დედა-ენის ცოდნაში, იქმს იმისთანავე საოცარს სისულელეს, როგორსაც ჩაიდენდა ადამიანი, რომელიც ჭერდ ფეხ-ფეხგმელს ბაღს ცხენზედ ზღობას დაწვევინებდა“.

უშინსკის ღრმად სწამდა, რომ ენის ძალით გაჭრობა უდიდესი ბოროტება იყო. „გაპქრა ენა ერისა? გაპქრა თვითონ ერიცა. და თუ ადამიანის სული ძრწუნდება ერთის კაცის მოყვლის წინაშე, მაშ რაღა უნდა იგრძნოს შან, როცა გაქვშებს უპირობედ ათასის წლის ისტორიულს სიცოცხლეს ერისასა, ამ უმაღლეს ქმნილებას ლეთისასა ქვეყნიერობაზედ?“²

ამიტომ საჭიროა სათუთად ვუვლიდეთ დედა-ენას, გვიყვარდეს იგი, ვზრუნავდეთ მისთვის და ყოველ ღონეს ვხმარობდეთ, რომ შევისწავლოთ ღრმად, საუფელთანად, დავიცვათ დამახინჯებისა და გადაგვარებისაგან.

დედა-ენის საკითხებზე მსჯელობის დროს, გოგებაშვილი ემყარებოდა მეცნიერულად დასაბუთებულ იმ უცილო დებულებას, რომ „მაკ-შემა ჭერ თავის ენა და წიგნი უნდა შეისწავლოს და მერე უცხო ენის და წიგნის სწავლას შეუდგეს. თორემ თუ ერთსა და იმავე დროს დაწვევინებენ მათ ორივე ენის სწავლასა, ერთად ამკიდებენ ზეშვის გონებას ორს ტვირთსა, იგი ვერც ერთს ვერ მოერევა. ტვირნი დაეჩაკვრება, დაუსუსტდება და ვერც ერთს საგანს ვერ შეისწავლის“.³ ამიტომ მიაჩნდა დიდ პედაგოგს, რომ შეუძლებელია დედა-ენიდან თარგმანი უცხო ენაზე და უცხო ენიდან თარგმანი დედა-ენაზე გათავიებულ იქნასო.

მაინც რა მიზეზით?

იმის გამო, რომ ორგვირა ენა — ერთი შინაგანი არსებისაა, მეორე მხოლოდ მეხსიერებისა. პირველი ორგანულია, მეორე შექმნი-

ლი. ამხოლოდ დედა-ენა გონის ერთ სულსა და გულსა, — ყველა უცხო ენაში კი არიან მხოლოდ სიერებებისა“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებად უნდა მივიჩნიოთ, თუ რატომ ცდილობდა ჭარბველი პედაგოგი მშობლიური ენის სწავლება დაეყენება მყარ ნიადაგზე, გამოენახა მისი ღრმად დაუფლების გზები, მეთოდები, საშუალებები, მეორე მხრივ, უზრუნველყო ზაეშეთათვის სხვა ენების შესწავლაც.

შეცადინების პროცესში თარგმანი წარმოადგენდა ერთერთ ამგვარ ეფექტურ ღონისძიებას, მაგრამ გოგებაშვილი მართალი იყო, როცა კატეგორიულად ამტკიცებდა: „ერთს წამსაც არ უნდა დაიერიწყეთ ჩვენი, რომ თარგმანი დედა-ენიდან უცხო ენაზედ ერთი ორად და სამად უფრო მძლავრი ღონისძიებაა ენის შესასწავლად, ვიდრე უცხო ენიდან თარგმანი დედა-ენაზედ“.⁴

ამ ასექტში ინტერესსმოყვებულნი არ იქნებამისი ეპიგონები, თუ როგორ უყურებდა დიდი პედაგოგი თვით ენის შესწავლის მეთოდისკა.

გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ ერთნაირი არ არის ენის სწავლასა და საგანის შესწავლის მეთოდები. „ენის შესწავლა დამყარებულია იმისთანა მეთოდებზედ, რომელნიც საუნების სწავლას სრულიად არ მიუდგებიან“.⁵ ამიტომ არ შეიძლება „ცოდნის შექმნის მეთოდი აუტრიოთ ენის შესწავლის კანონებში“. სრულიად უმაგალი, რომ „მოსწავლეებმა გერ საუნები უნდა შეისწავლონ, მერე შეუდგნენ მათი უცხო ენის საუნების შეთვისებას და დაკავშირებას... ჭერ ნიეთი, მერე მისი სახელი... ჭერ საუნების ურთიერთობა, მერე დაკავშირება უცხო სიტყვებისა ერთმანეთთან“.⁶ ეს მეთოდი, ფართოდ შემუშავებული კომენსკის მიერ, ყველაზე რეალური, ეფექტური და გამართლებულია. მაგრამ კომენსკის სახელს გოგებაშვილი აქ არ იხსენიებს, სამაგიეროდ, თვით მეთოდის ღრმადან დასამტკიცებლად მოჰყავს ბოკლის შავალითი, ბოკლისა, რომელმაც „ამ მეთოდით თავის მოკლე სიცოცხლის დროს შეისწავლა 19 ენა“. ეს იმდენად დასაბუთებულ ჰუმანიტეტებად მიიჩნია, რომ გოგებაშვილი ყველგან, სადაც ენის შესწავლის ხსენებულ მეთოდზე

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 214.

² იქვე, გვ. 238.

³ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 233.

⁴ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 210.

⁵ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 487, ხშირ ყველგან ჩვენი — გ. 4.

⁶ იქვე გვ. 490.

⁷ იქვე, გვ. 490.

ლაბარაკობს, კატეგორიულ ფორმაში გამოსლ-
ქვამს თავის შეხედულებებს. ქართული პედა-
გოგი მართლაც იყო აგრეთვე როცა კომუნისკის
მსგავსად ამტკიცებდა დღეს უკვე საყოველთაო
კუწმარტებდალ შინნულ დებულეზას: „პედა-
გოგი ურო აქსიომაა, რომ საგანნი
იმ დენად უფრო ადვილად შეით-
ვისება და უფრო მკვიდრს შთა-
ბეჭდილებას მოახდენს, რამდენა-
დაც უფრო მონეტებულე იარგა-
ნოების შუამავლობით ჩაისახე-
ბა კაციის გონებაში“.

ეს აზრი სრულად არის დასაბუთებული კო-
მუნისკის მემკვიდრეობაში, იმდენად დამაჯრებელ-
ად ფორმით, რომ თავადანვე მართლაც აქსიო-
მატური კუწმარტების სახე მიიღო პედაგოგი-
კაში.

მორანილი ფაქტები გვიდასტურებენ, რომ
გოგებაშვილი ღრმად მოაზროვნე, მთლიანი პი-
როვნება იყო, როგორც პედაგოგი-თეორეტკო-
სი და პედაგოგი-პრაქტიკოსი. რასაც თეორიუ-
ლად ამტკიცებდა, პრაქტიკაშიც ახორციელებ-
და, ხოლო პრაქტიკის შედეგებს თეორიულად
განაზოგადებდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო,
როცა „წიბურტის ნიმუში“ გოგებაშვილი
ამბობდა: „...ჩვენი სახელმწიფანელონი არიან
საყოფნი დედუკტიური მოსაზრებნი-
სა და პრაქტიკული გამოცდი-
ლებნი“.

თეორიისა და პრაქტიკის ამ ერთიანობის და-
სახსიათებლად, სემარისია ერთი მაგალითიც.
უწინსკისა და კორფის ერთგული, თეორიაში
ყოველთვის გამოდიოდა მოსწავლეთა ფიზი-
კური და სპორტის წინამძღვე და პრაქტიკულ
შოღე-აქტივობაშიც ამ პრინციპს იცავდა. 1869
წელს, როცა გოგებაშვილი თბილისის სასულე-
როს სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს, მან
გაუქმა იქ გაბატონებული მოსწავლეთა ფი-
ზიკური დასაქ, რასაც ცნობილი ქართული
მწერალი ვასილ ბარნოვა შემდეგ ასე იგონებ-
და: „...მინი ჟერ მხე ბლა ისევ (წიბურ ბ. ჯ.)
მეფობდა... ყველა გაკვეთილზე გა-
მოიხსმოდა ბლავილი და ღრია-
ლი... ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცე-
მა, რომ თუნდ ეგზარბი მოსწულიყო კლასებში
დასავლედ, მასწავლებლები თავისას არ იშ-
ლიდნენ...“ გოგებაშვილი „ჩვენი ზედამხედვე-
ლად რომ დანიშნეს... ჩამოიარა ყველა კლასი,
ბელი ჩამოართვა მასწავლებლებს, შეგარდებ-
საც გადმოუგდო ზოგი რამ სიტყვა“. შეიქნა
მიტმამოთქმა — „ახალ ზედამხედველს მხე-
ბა და შიშმა (სახანავი, საცემად იყენებდენ —
ბ. ჯ.) გადუ გლია. უთქვამს, ვერ მოვიტ-“.

მენ, რომ შეგარდებს... მასწავლენ-
ნო... იმ დიდან შეწყდა, კლასში მოსწავლია
გალობა, დასოქებთი დასას... კრიდე-
ბოდნენ მასწავლებლები...“

„...აზრები ძალი, არა აღმინისტრირება, არა
დაშინება, პირიქით, დედაენაზე შეგნე-
ბის მთელი შესაძლებლობის ამო-
ქმედება, რომ ბავშვში საკოლაში
მოსვლის პირველივე დღიდან შე-
იყვაროს თვით საკოლა, მასწავ-
ლებელი, წიგნი და ამბავბავ-
ბი — აი, ეს უნდა იყოს ერთადე რ-
თი კუწმარტი გზათუ გვიან დასწა-
ვლება მისი დაწყებებიდანვე ბე-
ნებრივად, ნორმალურად მიმდი-
ნარეობდეს. ასეთი ფორმულა გოგებაშ-
ვილს არ მოუტია, მაგრამ ჩემთვის რომ ეთხო-
ვათ დამახსიათებინა ზოგადედ მაინც დიდი
ქართული პედაგოგის სისტემა, სხვა დებულე-
ბას ვერ შევიშუშავებდი.“

თუ როგორ ან რა გზით შეიძლება მიღწეულ
იქნას ყოველივე ეს, გოგებაშვილს არასოდეს
აკვირ არ შეგზარბია, რომ კუწმარტებანი შეე-
კვიენ „პედაგოგის მოთხოვნილებანი“: სწავ-
ლება ნიშნავს გადასვლას „...ადვილიდან
...ძნელზედ, მარტივიდან რთულ-
ზედ, ნაცნობიდან უცნობზედ, ახ-
ლობიდან შორეულზედ...“ სწავ-
ლების ეს გზა ჩვენ დახასიათებული გვაქვს
„ესთეტკური აღზრდის პრინციპი“ და აქ
დაწერილობით აღარ ვანვიხილავთ.

მაგრამ, რა არის ბავშვისათვის ყველაზე
ნიცნობი, ყველაზე ახლობელი მისი ცნობიერე-
ბის პირველი გაღვივებისთანავე?

დღეა, რომელმაც იგი შვა. ძველს აწოვებს,
ათობს, კოცნის, ეკურნება, ზრდის მისი პირ-
ველი ამორფული მერყეულებაც დედით იწ-
ყება და შეუძნებლადაც ახლობელი ის არის,
რაც დედას უკუაშირდება. ამიტომ დედა ენა
უნდა იყოს იმ პირველი წიგნის სახე-
ლი, რომ მისლაც ბავშვს ანბანის
შესასწავლად მივცემთ. სხვა სახე-
ლის მიცემა ამგვარი წიგნისათვის გამართლე-
ბული არ იქნება.

გოგებაშვილმა ქართულ პედაგოგიკის იმის
ბრწუნედალ მაგალითიც მისცა, თუ როგორ ან
როდის უნდა შეეასწავლოთ ბავშვებს „პირ-
ველ-დაწყებითი ცნობები“ ქართული ზგამტკ-
კიდან. დიდი ქართული პედაგოგის შეხატუ-
ლებებს ამ საკითხში დღემდე არ დაუკარგავთ

1 ლიტერატურის მართან, წიგნი 1-2, გვ. 66.
ხაზი ყველგან ჩვენი, გ. ჯ.
2 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1,
1952 წ., გვ. 466. ამავე აზრის დაცვაა 481 გვ.
3 ვიორგი ჟიბლაძე, „ესთეტკური აღზრდის
პრინციპი“, 1968 წ., ტ. I, გვ. 19-21.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I,
1952 წ., გვ. 492.
2 იქვე, გვ. 447.



თავისი მნიშვნელობა. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ პირველ-დაწყებითი ცნობების შეთვისება ქართულს გრამატიკიდან ბავშვებს შეეძლებოდა იწყონ მეორე წლიდან... ასეა რუსულ სკოლებშიც. „რუსის გამოცხადებას უკვლავს ბუნებრივად მეორე წლის საკითხავ წიგნში მოქცეული აქვს გრამატიკული განყოფილება... სრულიად ანალოგიური იყო ცნობილი ქართული პედაგოგის, სკოლის ინსპექტორ ალექსანდრე პეტროვის დამოკიდებულება ხსენებული საკითხისადმი. „ბ. ალექსი ჭიჭინაძე. — წერდა გოგებაშვილი. — ქართული გრამატიკიდან თექვსმეტარულს ცნობებს ასრულებიანდა თავის მოწაფეებს მეორე წლიდანვე“. გოგებაშვილს არც ის დაეწიებოდა, რომ „გრამატიკული ცნობების სიახლედ ბავშვებისათვის ძლიერ გასვიანებულა. ბავშვი პირველ ორ წელიწადს სხვა-საგნებიდან იძენს ბევრს იმისთანა ცნობებსა, რომელიც თუ ძნელი არა, ადვილი არ არის იმის ელემენტარულს კანონებზედ“. მგერ. მ. უფრო ადრე დაწყება პირველი ცნობების შესწავლისა გრამატიკიდან მიზანშეწონილი არ არის. პირველ კლასში მხოლოდ იმით უნდა ვეწყვიტოთ დემოკრატია, რომ ბავშვს ვაწარმოებდეთ ანბანს, სიტყვების ერთმანეთთან დაჯერებას და ევმართადეფთ წინადადებებს, როგორც ბუნებრივ მოცემულობას.

ამ ელემენტარულ გოგებაშვილი, ხოლო ამ ელემენტარული მიზნისათვის საჭიროდ მიაჩნდა სხვა-საგნო მხატვრულ ლიტერატურის ახალი ნაბიჯი ვიღებდა წინ, ყოველთვის სწავლა-აღზრდის, პედაგოგიის პირდაპირი დახმარებით.

3

კრიტიკული ანალიზი ყოველივე იმისა, რაც გოგებაშვილი მინიატურული მოთხრობების, ლეგენდების, ისტორიული სურათებისა თუ ნარკვევების სახით დაგვიტოვა, გვარწმუნებს იმ უპიკელ დებულებაში, რომელიც მას ახალი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუნქციონირებად და მამად აღიარებს. ძალიან მაღალი შეფასება გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებს თვით ილია ქვიციანიძემ მისცა. ეს მხატვრული თხზულებანი სიტყვათმშენებელი ფორმებით ხორცს ასახვენ გოგებაშვილის მთელ პედაგოგიკურ სისტემას. ვერ დასახელებთ მათ შორის ვერც ერთ ნაწარმოებს, რომელიც ამ დებულების ილუსტრაციის არ წარმოადგენდეს. მისი კრებული „კილო“, „დედაქანისა“ და „ბუნების კარისა“ ავტორისეული პროზული თხზულებანი — საყმაწვილო მოთხრობებ-

ბი, ცალკე გამოცემული „ივანანამ რაქმე“, „სატის მიზეზი“, „ეტიკეტული“ ლიტერატურა—„სპინძის „მეცხე“ და დებულნი ქართველნი“, „საბავშვო თავგადასავალი ტაბრის გეგვიდრისა“ — ნათლად მოწმობენ გოგებაშვილის, როგორც მთავრობისა და საბავშვო მწერლის იდეურ მთლიანობას. იგივე უნდა ითქვას მინიატურული ფანის მოთხრობებზე—„სხივი წარსულისა“, „თავდადებული ქართველი ეჭიბი“, „სამანს თავდადებული გლეხი“ (სამანს არაგველი), „სამინელი სასჯელი მოღალატისა“ და „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“. აქვს ავტორი გველანება თავისი პედაგოგიური მოძღვრების არამართო ერთგულად, რაც საკლებით ბუნებრივია, არამედ, საერთო პედაგოგიური იდეების მხატვრულ ფორმებში განხორციელების ოსტატად.

როცა გოგებაშვილის პროზულ თხზულებებს კითხულობთ, თქვენ გიტაცებთ არაჩვეულებრივი სისადაეც, აზრის სინათლე, თხრობის ბუნებრივობა, სურათოვნება და დამაყრებლობა. ავტორი არსად არ მომართავს გარეგნულ ეფექტს, მისი ერთგული მიზანია შთაბეჭდილების ძალა პერმანენტულად ზარდოს თვით ნაწარმოების შინაგანი არსების ლოგიკით. ამიტომ რაფინირება აქ სრულიად გამოირიყვინა, ვეღვაფერა დაპირებულთა იდეურ გამწვანებას და თხრობის ბუნებრივობას, რომელიც მხატვრული ფორმის არსენალს განასახიერებენ. და აქ უმდნად ერყვილი ასპარეზი იშლება მკვლევარის წინაშე, რომ შეიძლება თანმიმდევრულად ჩამოგვეწერა გოგებაშვილის პედაგოგიური იდეები, ხოლო ილუსტრაციებად მისივე მოთხრობები გამოგვევსინა. პირველს კიდევ უფრო ნათლად გამოაჩენდა მეორე. ამ უკანასკნელს კიდევ უფრო ღრმად განგვაყდევინებდა პირველი.

შეიძლება გვითხრან: გოგებაშვილის მოთხრობებში წმინდა მხატვრული ელემენტი, იდეები სკარბოზენ, იქ მოხარონვე პრევალირებულად ჩანს და ლიტერატურული ოსტატობა დაქვევითებულთაო. მაგრამ ნუ დაევიწყებთ, რომ ის მიზანი, რომელსაც გოგებაშვილი ემსახურებოდა, საკლებით ამართლებდა იმ მხატვრულ ღირსებას, რასაც მისი მოთხრობები შეიცავენ. ეს ყო შინაარსისა და ფორმის მართლაც ის მართობდა, როცა მინათთან მართებაში შინაარსი სწორედ ამგვარ ფორმას საჭიროებდა, ხოლო ეს ფორმა სწორედ ამგვარ შინაარსს შოთხოვდა. სხვათადად წერასაყმაწვილო მოთხრობებისა, ვიდრე გოგებაშვილი წერდა, მისივე მოძღვრების ასპექტში, ყო-

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 488.

ლად შეეძლებელი იყო, და ამდენად ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა იმის შესახებ, რომ თითქმის „მხატვრობა“ სუსტია, არამედ, იმაზე, რომ ეს „მხატვრობა“ იდეის ბუნებრივი შედეგია, მასთანადე, მისი სრული გამართლება. არც ის უნდა დაევიწყეთ, რომ აღზრდას, მართალია, ორივე ფენომენი თან ახლავს — არსი და მოვლენა, შინაარსი და ფორმა, ნაცნობი და უცნობი, მაგრამ გარკვეულ ასაკამდე ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ არსზე და არა მოვლენაზე, შინაარსზე და არა ფორმაზე, ნაცნობზე და არა უცნობზე. ეს ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, პედაგოგიკური პრაქტიკით აღმოჩენილი, დამტკიცებული და გამოყენებული, ამართებდნენ გოგებაშვილის მხატვრულ მემკვიდრეობას, რომელიც ისეთ სიმბოლურ მოგვევლინა, რომ ნიშნული და მავალითის ძალა შეიძინა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გოგებაშვილის საყმაწვილო მოთხრობები დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდნენ ნორან მკითხველებზე და მათ არსებობაში წარმოდებულ კვლას ავლენდნენ.

ვინ იცის რამდენი პატარა ბავშვი ჩაუფიქრებელი გოგებაშვილის „იტირა და ვანო“, მიღწეულად იმისა, რომ იტირა დამარტავს — ენა იმიტომ ტირიდა, რომ ჩიტი გაუფრინდაო! მაგრამ რატომ გაუფრინდა ჩიტი პირლია ვანოს? ვარდა იმისა, რომ ხელატრიქონიან ტექსტიმ ორჯერ არის ნაზმარი გამოთქმა — „პირლია ვანო“ (სიხარული დროსაც, ჩიტი რომ ხელში უჭირავს, ჩიტების გაფრენის შემდეგაც), სხვა მიწინება არ არის. მაგრამ თუ დაუკვირდებ, ბავშვი გაიგებს, რომ ეს „პირლია ვანო“ ჩიტის გაფრენის მოთავსი მიზეზია. მას აგრეთვე დააფიქრებს: პირველ სურათში ვანოს სიხარული და ჩიტის გულისტკავილი, — მეორეში — ჩიტის მზიარული ჭიჭიყის და ვანოს მწარედ ტირილი — მდგომარეობის სრული შეცვლა.

ეს პატარა სურათი მთელ მოთხრობად ღირს, აზრითაც და ფორმითაც: მასში არცერთი სიტყვა შედგმული არ არის და არც ერთი ვრწმობა ბავშვს არ შეიძლება ეუცხოოს. ავტორი თითქმის გონების თვალის პირველი გახელისთანავე აწივლის ბავშვს, რომ ცხოვრებაც ასეთია — ხან სიხარულია, ხან ტირილი, მაგრამ, თუ პირლია ვანო“ არ იქნებო, სიხარული ბევრი გეკნება, ტირილით კი ცოტას იტირებ.

ასევე, ვინ იცის, რამდენ ბავშვს, მშას, თუ დას, გოგებაშვილის პატარა მოთხრობების გავლენით, ერთმანეთისათვის სიკეთე ვაუკეთებიათ, კაცთმოყვარეობის ვრწმობა აუმაღლებიათ, ცუდი დღეშიათ, შრომა და პატიოსნება, სწამობლობა და ერის სიყვარული შეუთსიხლობორკებიათ. ამ პატარა მოთხრობებში საოცრად მიწინადგელი ძალით ჩანს სამშობლოსადმი, მშობელთა ერისადმი თაყვანადება; განდებებულია

სიკეთე, პატიოსნება, პეშინისმი. ყველა ჩაწარმოებს შემეცნებითი ღირებულებები, რომლებიც მოთხრობებს: „სეგრეული ჩოხური“, „ორკეცი ფასი სწავლისა“, „სიკეთე ბოროტისათვის“, „სპილო და თიანე ქვლები“ — უველის ვერც ჩამოვთვლით. ავითვლით მათგანი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მარგალიტია.

ახლა წაითხვით „იანანამ რა ჰქვან“, რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ მოიტაცეს ლეკებმა დედისგერთა, სამი წლის ქეთო ქართულად მშობლიურ სოფელ ვაშლივანიდან, რომელი მიიყვანეს ნაიბს, როგორ დაიფარა პატარა გოგომ ყველაფერა მშობლიური და შემდეგ, როცა მამამ — ზურაბმა ცამეტი წლის ასაკში მიწვეული გამოიტაცა, და მშობლიურ სახლში დედის იანანა მოისმინა, როგორ გაიხსენა წარსული. მკითხველი რომ დააჭეროს, გოგებაშვილი მიმართავს ენობიერების ფსიქოლოგიურ ანალიზს: „აღმოჩნდა, რომ პირველი წლების ჩაბუჭილებანი და ჩასახლებანი კი არ გამოქალიყვენ და ატწამოლოყვენ ქეთოს გონებაში, თურმე ღრმად ეძანია, დამარხული იყენენ მისი სასოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში, და ზევიდგან მათ ეფარათ მშველის ათის წლის ნანაბი და ნიცადი დაღესტანში ყოფნის დროსა. ამ ჩასახლებათა დაძერა და გამოღვივებდა შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა ჩაბუჭილებას, სწორედ რაც, როგორც მცენარის თესლს ზვეით ამოიყვანს ხოლმე ემაცოცხლებელი მზის სითბო — სანათლქ, ამისთანა მშვეებრი ჩაბუჭილებების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ბბამ, საბავშვო სილერამ „იანანამ“, რომელიც ყველაზედ უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბალში გაჭრდარი. მაგრამ ეს გამოღვივება რთული, ხანგრძლივი ფსიქოლოგიური პროცესი იყო; ვინაიდან დამარხულ ზსოვანს „ზევიდგან კეციკეცად აწვენენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსელასა“.

პატრო ჰქვანდო შეგვიძლია ვარგად დავინახოთ, თუ როგორც ცდილობდა გოგებაშვილი თავისი მოთხრობები რაც შეიძლება დამაჭრებელი ყოფილიყო. მან იცოდა, რომ ყმაწვილს არაფერც იყო არ დაინტერესებს, როგორც ამბავში დამაჭრებელი ფაქტები. ბავშვი, რომელიც ვაწუწავებდალად ეძებს პასუხებს, თუ რა მოხდა ასე, რისთვის ხდება ეს, რა მიზეზით, ერთი სიტყვით, მისი ცნობიერება კაუზალურია, პირველყოვლისა მოითხოვს მიზეზის ახსნას და თუ ვერ ჰპოვა, უმარყოფილო რჩება. გოგებაშვილს კი არ სურს მკითხველი უკმაყოფილო ან

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962 წ., გვ. 62.
2 იქვე, გვ. 61.



დაეკვივებოდი იყოს. მეორე ნაწარმოებშიც — „ხატის მიწვნი“ აღწერილი სურათს და-
მკვრებლობას რომ მისცეს, თუ რატომ დას-
ნეულდა სოფელ ვარიანთან თბილისში წამოუ-
ვანილი პატარა კაცო, და რა საშუალებით გა-
ნიკურნა (არა ზატით, არა შელოცვით, არამედ,
შობლიურ სოფელზე სევდის ვაფანტვით —
უკან დაბრუნება რომ ვაიგო), ავტორი ფინალ-
ში ასეთ რუმიკას მიმართავს „რას მოვითვინებ-
დი მაინც, თუ შემდეგში, როცა სწავლა გამიბ-
ეგებოდა, მე ვარააზნედ მეტად შემაკვარდუ-
ბოდა თბილისი, როგორც ყველა სწავლისა, გა-
ნათლებისა. რას მოვითვინებდი მეოქი, ვაჰოზი,
იმიტომ, რომ ეს პატარა კაცო ვიყავი მე და ეს
ამბავი მოვითვინებდა სიყმაწვილის დროის შემთხ-
ვევისა და სხვა არაფერი“¹.

რაც შეეხება ისტორიულ მოთხრობათა დამა-
კვრებლობას, გოგებაშვილი თვითონვე მიუთით-
ებს, რომ ზოგიერთი მათგანი გადმოცემას,
ხოლო უფრო მომჭრებელი ნაწილი ამოღებულ-
ია ისეთი ისტორიული წყაროებიდან, როგორ-
იცაა „ქართლის ცხოვრება“ (შემა-
ტანეთა წიგნი), ან კიდევ სხვა მეცნიერული
პროშვები (ტოტო, დუბროვინი, ალექ-
სანდრეობებიანი, ვენერალ ქიშკი-
შვიის ნადირ-შაის ცხოვრება, ცაგარე-
ლის მიერ გამოქვეყნებული ისტორიული დო-
კუმენტები და ა. შ.). ამგვარ ნაწარმოებთა
რავს განეკუთვნება, მაგალითად, „ასპინძის
ოპია“, რომელშიაც აღწერილია ტოტო-
შენის ლალატის მიუხედავად ერეკლე მ-
ფის დიდი გამარჯვება, კობტა ბელადისათვის
თავის გაგდებინება და მტრის — ოსმალ-ღუკუ-
ბის ჯარის სრული განადგურება 1770 წელს ას-
პინძაში.

როგორც „ასპინძის ოპია“, ისე „თავ-
და დე ბულნი ქართველნი“ პატრიო-
ტულ, გმირულ თემასზეა აგებული, ისტორიული
წყაროების გამოყენებით. მკითხველს აღუვებს
1609 წელს თათრების წინაღმდეგ ცხირეთთან
მღვდელ თედორე² მიერ გამოჩენილი ისეთივე
გმირობა, როგორიც რუსეთში ივანე სტანიწინა
ნაიდანი. შეუძლებელია არ აგაღელვოთ ითამ
ზედგინობის თავდადებამაც, რომლის შედეგად
სოკვილის გადარჩა გიორგი მეფე (მე-15 საუ-
კუნე). მეფის ლოგანში იოთამი მიწვა, აცოდა,
რომ შეთქმულნი აპირებდნენ ღამით მეფის
მოკვლას). აღწერილია აგრეთვე მონგოლების
წინააღმდეგ (მე-13 საუკუნე) ცოტნე დადიანის
მიერ გამოჩენილი გმირობა. გარკვეული ას-
რით, პატრიოტული გრძნობის გამოხატვას ემ-

სახერხება მოსე წინასწარამეტყველს ლეგენ-
დარული ცხოვრების გადმოცემა. მეტად ორი-
გინააღრია „ერეკლე მეფე ტყვედ წაყვანი-
ქალნი“, რომელშიაც პატრიოტის წინააღმდეგ
მიანური სიბოძე თან ახლავს. მტერთან ბრძო-
ლაში მოხერხებულობას, გულადობასა და ნამე-
ცობას ემსახურება „სხივი წარსულისა“,
რომელშიაც აღწერილია გრიგოლ სურამელის
გამკრიახობა მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლა-
ლაში. ფანტასტიკური ელფების მიუხედავად,
მკითხველი გრძნობს, რომ ავტორის მიზანია
ღრმად ჩაუნერგოს მკითხველს მტერზე ვაჰარა-
გების იმედი უკიდურესი განსაცდელის კამათ
(ჩაღატარ ნოინის პროვოცირებული მოკვლის
შემდეგ ქართველთა ლაშქარის სრული განადგუ-
რება მოულოდ). ამგვარი მასალების ფინზე
გოგებაშვილი ჰქმნიდა მკითხველის ის-
ტორიულ მოთხრობებს, მსგავსად იმასა, რო-
გორიც არის „საბაბაქო თავგადასავა-
ლი ტახტის მემკვიდრისა“. ნაწარ-
მოებში მოთხრობილია ლაშქარის გიორგის
უკანონო შვილის დავით ულუს ისტორია,
გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ მინდ-
ვით, მისი სამიწელი წამება ყმაწვილობის
დროს, მამიდის (რუსუდანის) დაბუნების გამო,
და ის მთავარი იდეა მინიშნებული, რომ ბო-
რობება და უსჯელი ვერ დარჩება,
როგორც ვერაგობას უყოვლითვის
საშინელი ბოლო აქვს. და, პირაქით,
მოთხრობაში — „ქართველთა მეფე
გლეხის ქობის სტუმრად“ ავტორი იმ
აზრის დამცველად გვევლინება, რომ სიყვარს
სიყვით მოსდევს. დამარცხებული და მარტოდ
დარჩენილი სეიმონ მეფე (მე-16 საუკუნე) სო-
ფია კათოლიკის ვინაობის გამოშვლად, მწიერ-
მწერტავი მივიდა ღარიბი გლეხის ქელიაის
ოჯახში, სადაც გულწრფელად ვუთმასპინძლდ-
ნენ, თუმცა არ იცოდნენ იგი ვინ იყო. შემდეგ,
როცა მეფემ დრო იშოვა, დიდად დასაშტქრა
ეს გლეხი და აზნაურობა უბოძა — სიყვით სი-
კეთით გადაიხდა.

მამაკობისა და მოხერხებულობის მაგალითია
ქართველი ეჭიბის (მეფის ამაღლს უფროსდა)
დევით ახალციხელს (ივანე ახალციხელის შვი-
ლის) თავდადება. იგი უფროსობდა ბათო ყაენ-
თან გამზავრებულ ივანე ათაბაგის შვილს
ავაგის ქართველთა ამაღლს, იმის შაშით, რომ
მონგოლებმა ავაგი არ მოჰყლანო, ეჭიბა ბათოს
ეჩენა, როგორც ავაგი, ხოლო ეს უკანასკნელი
წარუდგინა ეჭიბად. ბოლოს სიმართლედ ვამე-
ლენდა. ბათო ყაენმა ორივე დააჯილდოვა თავ-
დადებულობის გამო და სანაქებო ბრძანებაც
მისცა.

ორ მოთხრობაში — „ასპინძის თავდადე-
ბული გლეხი“ და „საშინელი სას-
ჯელი შოღალატისა“ ორი დამირაპირე-
ბული სურათია აღწერილი. პირველი ეჭიბატავს

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9.
1952 წ., გვ. 74.
² ამ თემასზე მშვენიერი მოთხრობა დაწერა
შემდეგ ცნობილმა ქართველმა მწერალმა და-
ვით სულიაშვილმა.

სამსია არაგველის ცნობილ გმირობას კრწანისის ომის დროს (1795 წელს), მათთვის უკედანი რეგლის აგებას ხალხის გულში, მეორე კი აგ-ეოწერს საინო ბარათაშვილის შტრასიძეებს მოლაღატ უორღანაშვილებზე (მე-16 საუკუნის ბოლო).

მოკლედ ასეთია გოგებაშვილის, როგორც საბავშვო მწერლის, მხატვრული შემოქმედრობის კონსპექტური მიმოხილვა. ამ შემოქმედრობას დღემდე არ დაუკარგავს მიმზიდველობა, ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულება და სატირიტულ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

4

თვითონაც ძალიან დაკვირვებელი, მშვენიერი საბავშვო მოთხრობების ავტორი გოგებაშვილი, ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებისათვის, ავმაღლებინა მისი ავტორიტეტი და საყოველთაო კენჭმარობაზე დაეხმარებინა მისი აზრი, რომ მწერლობის ამ გვარს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ერის ცხოვრებაში. ის ვერ ურავდებოდა იმ აღმართებს, რომლებიც საბავშვო ლიტერატურას გულგრილად ეკიდებოდნენ, ოლიმპის მწვერვალიდან დასცქეროდნენ, მაინდათ, რომ იგი მხატვრული აზროვნების დაბალი გვირაბი და მხოლოდ საშუალო ნიჭის მწერალთა სამოქმედო ასპარეზია. გოგებაშვილი, პირიქით, მშვენიერად ასახულებდა თავის მოსახრებებს: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო სამირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებით მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებელი, თუ იგი ღარიბია საყრდენი ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მავრად ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი ვარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“.

მაგრამ ეს დებულებები ებიზოღურნი როდი იყვნენ დიდი პედაგოგის კრიტიკულ შემოქმედრობაში. გოგებაშვილს არსად შეუცვლია თავისი აზრი, რომელიც პირველად შეამუშავა, და ბოლომდე დაიცვა. იმავე წერილში¹, საიდანაც ზემოთმოტანილი ამონაწერი გაეკეთათ, ხაზგასმით არის მითითებული, თუ რა გავლენას ახდენს ლიტერატურის ეს გვარი აღსაზრდელებზე და რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის ფი-

ციუს ჩამოყალიბების, კაცად მისი გადმოყვანის საქმეში საყმაწვილო მოთხრობების სერია. თუ თქვენს შვილს, — პატარაობისაგან მარჯველ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები წიგნითავე თავისკენ. აგრძობინებენ საიმოვნებას, გულს საამურად უღელდებენ, გონებას უფარვიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღებებენ და უშუალოდ კიციბენ, იცოდნენ, რომ თქვენ გვრძობათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისათვისაც უკეთეს მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნობა, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუტოლებელი ყოველი დღიური საქმიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, პაერი თიღტეებისათვის. მაგრამ თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხეობიანს საკითხავს ნაწარმოებას, თუ თქვენს საშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია ან საცხაი უნაყო და უმარყო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საქმიროებად არ შეიქმნება, და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვი-საგანა².

ასე საღად, გონივრულად, მშვენიერად თვალთ უყურებდა იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურას, მის როლსა და მნიშვნელობას, ცდილობდა ავმაღლებინა მხატვრული აზროვნების ან უაღრესად თავისებური დარგის ავტორიტეტი, ცხადყო საყმაწვილო ლექსების, მოთხრობების, როგორც აღზრდის რეალური ფიტორების არსება. აღარაფერს ვამბობთ თვით განზოგადების ღირებულებაზე, რომ საბავშვო ლიტერატურა არამარტო აღზრდას ემსახურება, მთელი ერის ცხოვრებაში, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობაში ერთერთი სამირკველის როლსაც ასრულებს.

მაგრამ ერთია არსებობდეს საბავშვო ლიტერატურა და მეორეა მისი შესწავლა, ათვისება, გზები თუ მეთოდები დასახული მიზნის რეალურ ფაქტად ქცევისათვის. გოგებაშვილიც არაფერად იცოდა, რომ თუ უზრუნველყოფილი არ იქნებოდა საბავშვო ლიტერატურის ათვლანევი ნორმალური შესწავლის პირობები, ვერაფერს ვაეკეთებდა საუკეთესო მოთხრობა, მშვენიერი ლექსი, მიმზიდველი ზღაპარი, უღამაზესი ლეგენდა, ლიტერატურა, საერთოდ, მაშინ წყვეტს თავის ამოცანას, როცა მას შეუძლებელი უყავს, რომელსაც ესმის, რასაც კითხულობს, და წაიხიბულს ღრმად აღიქვამს.

რა არის ამისათვის საჭირო?

ათბქოს ცოტა რამ: ვარგი საბავშვო ნაწარ-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 10.

² ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ყურნალის — „ნობათის“ რეცენზია, 1884 წელი.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 11.

მოები და მოზარდი ადამიანის დაინტერესება. თუ პირველი ძველ ამოცანას უსაზღვრებდა, მეორესაც იგივე სირთულე პირკავს. ვთქვათ ორივე ამოცანა გადაწყვეტილია — პირველიც და მეორეც, საკმარისია თუ არა ეს? არა, საკმარისი არ არის. ვალდებულნი ვართ შევწავლო, უნდა იცოდნენ გრამატიკა. ეს სრულიად უიპველია. მაგრამ გოგებაშვილმა იცოდა, რომ გრამატიკის კანონების დაზუსტება საბოლოოდ მაინც არ წყვეტს თვით ენისა და ლიტერატურის ღრმად შესწავლის ამოცანას. დიდი პედაგოგი იმბროდა გრამატიკის ცალმხრივი განყენებულად, ჩვენ ვიტყვით, მეტაფიზიკური სწავლების წინააღმდეგ და შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ენის ბუნების, მისი ძალის, მისი სიღამაზის ბრწყინვალე მცოდნე ისეთ მოსაზრებებს აყენებდა, რომლებსაც დღემდე არ დაუტარებთ თავიანთი ნარებულსა, ზოლო ბევრი მათგანი ინარჩუნებს ქვეყნარტოდ მეცნიერული აღმოჩენის პრიორიტეტს.

ზოგადად მაინც გავეცნოთ ამ დებულებებს. სრულიად უიპველია, რომ „უთოვრესი და საუკეთესო ღონისძიება ენას შესწავლისათვის“ არის „ხალხის ვინების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვათაშუალო პროზა, ერთის სიტყვით ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეუიხებობისათვის. ამ რისთვის ვინიერულად შედგენილს სალიტერატურო ქრესტომატიას, რომელშიაც არის მოქცეული... ნაღები პროზისა და პოეზიის, შეუღარებელი მნიშვნელობა აქვს. გრამატიკა არის მხოლოდ დახმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქტიკულ ცოდნასა. მაგრამ გრამატიკამ რომ ეს საშახტური გავეციფიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვდ და იყარობდეს უტუქარს კანონებს ენისასა“.

შემდებელია დიდი პედაგოგის ამ უადრესად მართებულ დებულებას არ დავეთანხმობთ, ისიც არ ვავითვალისწინოთ, რომ გრამატიკის სწავლებაში მის მიერ შენიშნული ნაყო-სიშორალე, განყენებულობა, ვაკუუთილის მოსაწყენება ჩატარება დღემდე როდია ყველგან აღმოფტრალი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, პედაგოგ მ. ნასიძის გრამატიკის სახელმძღვანელოს შესახებ კამათში გოგებაშვილის მიერ წამოყენებულ, დასაბუთებულ დებულებას, რომ „ქართულს ენას აქვს არა ოთხი ბრუნვა, რომ გორც ბრძანებს დიმიტრი ივანეს ძე (უფიანი — გ. ქ.), არა ხუთი, როგორც ამტკიცებს ბატ-

ნასიძე, არამედ შვიდი, სახელდობრ: სახელდობითი (ბატარა კაცო), ნათესაობითი (ბატარა კაცისა), მიცემითი (ბატარა კაცისა), მტრისკანონითი (ბატარა კაცისა), მოქმედებითი (ბატარა კაცისა), ცელილებითი (ბატარა კაცად) და წოდებითი (ბატარა კაციო). არც მეტი და არც ნაკლები...“

გოგებაშვილის ეს მოსაზრება ვაიხარა მომდევნო თაობამ ქართული გრამატიკისთვის, მართოდღე იმ შესწორებით, რომ „ცელილებით ბრუნვას“ „ეითარებითი ბრუნვა“ უწოდა. გამართლდა წინასწარმეტყველებაც — მომავალი ირწმუნესო ამ კუპმარიტებსა. გოგებაშვილი მაშინ ამბობდა: „...ჩვენ სრული იმედო გვაქვს, რომ ამის შემდეგ ყოველი განიერი ქართული, ყოველი შეგნებელი მასწავლებელი აღიარებს, ირწმენს არა ათს ბრუნვას ბროსესავით, არა რეასა ანტონი კათალიკოსის, მისი მიმდევრების და პროფესორის ჩუბინაშვილისავით, არა ექვსსა პლატონ იოსელიანისავით, არა ოთხსა ბატონის დიმიტრი ივანეს ძე ყოფიანისავით და არა ხუთსა ბნნასიძესავით, არამედ შვიდა, თანხმად ჩვენის საბუთებისა და მოსაზრებისა... ადამიანი, ადამიანისა, ადამიანსა, ადამიანმა, ადამიანით, ადამიანად, ადამიანო“.

შეიძლებოდა კიდევ გავეცგრძელებოდა მსყელოთა გრამატიკის საკითხებზე, მაგრამ ეს სპეკულური კვლევის საგანია და ჩვენს სფეროში არ შემოდის. მაგრამ რაც ითქვა, საყვებით აღსატურებს გოგებაშვილის ნათელ, სწორ პოზიციას გრამატიკის არსისა და მისი სწავლების საქმიანადში. როგორადაც არ უნდა ვედავოთ გრამატიკის ცალკულ საკითხებზე, უიპველია, გოგებაშვილი იყო ერთი სერიოზული მკვლევართაგანი ამ დარგში და შეეძლო ნამდვილად კარგი სახელმძღვანელო შეექმნა. მისი „მოკლევგრამატიკა ქართული ენისა“, რომელიც შესულია თხზულებათა მე-9 ტომში, დამთავრებული არ არის. რაც არის, მნიშვნელოვანია არამარტო გრამატიკის სახელმძღვანელოს, არამედ, ქართული გრამატიკის ისტორიული განვითარების თვალსაზრისითაც.

5.

მთელი თავისი მეგეიღრებით, როგორც აღვნიშნეთ, გოგებაშვილი განმანათლებელია, და მისი შეფასება, ყველა ღირსებისა და ნაყოლის აღნიშვნა, ამ სიბრტყეზე უნდა მოხდეს.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 101.
 2 იქვე, გვ. 124.
 3 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962 წ., გვ. 375-486.

როგორც განმანათლებელი, გოგებაშვილი არ არის თავისუფალი, მაკალითად, იმ მკდა-რი აზრისაგან, რომ „მეთხვე ბერძენ ერის წარმატებისა არის ეკლესია“, რომ თითქმის შესაძლებელი იყოს გონებისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის არამარტო შერევა, მეტიც, ერთად ცხოვრების აუცილებლობა. ყველაზე აშკარად ეს უკანასკნელი ჩანს იმ წერილიდან, რომლებიც გოგებაშვილმა გერმანულ მასიუმს ძე ქიქოძეს — იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს (1825-1896) მიუძღვნა. იგივე წერილი დაიბეჭდა 1896 წელს ერთ — ივერიაში („ლიტერული საზოგადოება“, ან სხვა სახელწოდებით ცნობილი — „მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი), მეორე რუსულად «Новое обозрение»-ში („იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ, როგორც ჰედაგოგი“) 2. მართალია, იგივე წერილი გამოქვეყნდა გაბრიელის სიკვდილთან დაკავშირებით, მსავსადა ნეკროლოგისა, მაგრამ ავტორმა თავის ნაშრომებს უფრო თეორიული ასპექტი მისცა და გოგებაშვილს ჩაერთო, კერძოდ, იმის შესახებ, თუ როგორ ერთმანეთს მოიხვედნენ ავტორიტეტის განსვენებულმა, რაცა 60-იან წლებში რუსულ ენაზე (1858 წელს) პეტერბურგში გამოვიდა მისი შრომა «Основания опытной психологии» და «Современник»-ში დადებითი რეცენზია მოათავსა დობროლიბოვიჩისა. ყოველივე ეს იმდენად კოლორიტულად არის გადმოცემული გოგებაშვილის წერილში, რომ გვიჩვენებს ვრცელი მონათხრობით, ამ ნაწევებს არამარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ უყურებდნენ ქართველი სამოციანელები რუსული მნიშვნელობის იდეოლოგიურ ბრძოლას, არამედ, თეორიულიც.

გოგებაშვილი წერს: „რომელ ჩვენთაგანს, სამოციანი წლების მოღვაწეს, არ ახსოვს ეს გასტარებული და აღზნებული პოლემიკა, რომელიც გამოართა სამოციანი წლების დასაწყისში „სოვერენიკი“ და „რუსკი ვესტნიკი“ შორის აღმინანის ბუნების საკითხის გარშემო? როგორც ცნობილია, პირველი ატარებდა პატრიარქალისტურ შეხედულებას აღმინანის შესახებ, ხოლო მეორე — იდეალისტურს. მთელი მოაზროვნე რუსეთი გაყოფილი იყო მონათხრობით: ანაჲდა „სოვერენიკის“ მხრებელ მიმდევრებდა და იურევიჩის განმარტებულ დამცველებად. „სოვერენიკის“ შეხედულებას ყველაზე სრულად გამოხატავდა ჩერნიშევსკის სტატია: ან-

ტროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“, რომელსაც ყველაზე მეტად უმჯობესდებოდა არა თვით კატოლის სტატუსი, არამედ კატოლის სულელო აკადემიის პროფესორ იურევიჩისა ტრანკტი სახელწოდებით — „მეცნიერებლად აღმინანის სელის შესახებ“, რამაც უძებდა წინაშე იყვნენ ავტორი პირველ პლანზე და მალე მიანიჭა მას ფილოსოფიის კათედრა მოსკოვის უნივერსიტეტში.

„სოვერენიკი“ იურევიჩის სტატიისადმი გამოიჩინა სრული უპატივცემლობა, შეურაცხველი ყოფილა დაიცინა, შეურახლებლად დასაქ მას ყოფინა. ასევე მოეპყრა ის ამ საკითხში თითქმის ყველა თავის მოწინააღმდეგეს, რომელსაც თვლიდა უგულო, შაბლონურ, არავლწრველ მეცნიერულ კეთილმინდობისაგან და ქვეშევრდკ რწმენას მოკლებულ დამცველებად.

სწორედ ამ მომენტში დაიბეჭდა არქიმანდრიტ გაბრიელ ქიქოძის მეცნიერული ნაშრომი სათაურით „ცდინეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. მოსალოდნელი იყო, რომ ამ შრომასაც იგივე ბედი ეწვიდა მაშინ ყველაზე უფრო პოპულარული ექვანლის მხრივ როგორც იმავე იდეალისტური მიმართულების სხვა ნაწევებს, რომ ავტორისა და მის წინაშე დასტურებდნენ. ანდა უკეთეს შემთხვევაში, ამ შრომას დემოლით აუვლიდნენ გვერდს. მოხდა კი პირიქით. „სოვერენიკი“ არათუ აღნიშნა ამ შრომის გამოხელა, არამედ თავისი საუკეთესო კრიტიკოსის დობროლიბოვის სახით გამოიჩინა მისდამი სრული გულწრფელობა და პატივისცემა და უსრული ავტორის შემდგომი წარმატება ფილოსოფიური საკითხების დამუშავების სარბიელზე“ 1.

ყველაფერი ეს სრული ქვეშევრდკებაა. დობროლიბოვის წერილში მართლაც იყო ნათქვამი რამდენიმე თბილი სიტყვა ავტორის მიმართით, როგორც ეს საერთოდ ახაიათებდა ნეკრასოვის, ჩერნიშევსკისა და დობროლიბოვის „სოვერენიკის“ ქართული ლიტერატურის კულტურის, მეცნიერების სტრუქტურის მსჯელობის დროს. მაგრამ იმ ნაწილ იყო მიმჭამული, კერძოდ, ის იდეალისტური თვალსაზრისი, რაც ამ წიგნში გაბრიელ ეპისკოპოსმა, მაშინ არქიმანდრიტმა განავითარა, და რის გამოც ასე მოეწონა იურევიჩს. დობროლიბოვი აღნიშნავდა, რომ მარათლია, არქიმანდრიტ გაბრიელს წინაა რვე ახლს არაფერს ვერებება, საკუთრივ, ფსიქოლოგიის ძველი წიგნების წინააღმდეგ, მაგრამ იგი განსხვავდება მათგან გადმოცემის მეთოდითა და ფიზიო-

1 იაკობ გოგებაშვილი, თბზულუბანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 10-15.

2 იქვე, გვ. 37-46.

3 Н. А. Добролюбов, Собрание сочинений, т. IV, 1962 г., стр. 258—263.

1 იაკობ გოგებაშვილი, თბზულუბანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 37-38. თარგმანი ეკუთვნის გრ. შავკარიანს.

ლოგიური ფაქტების შედარებით დიდი რაოდენობით, რაც შეადგენს მის უცილობელ ღირსებას¹. აქდანაც ნათელია, რომ დობროლუბოვს სწორედ ეს მხარე მოეწონა გაბრიელის წიგნში, თან სინაწლი გამოთქვა, რაკი ამ ფაქტებია ანალიზში დანიხა „განსაკუთრებული თვალსაზრისი“, რაც საშუალებას არ ამძღვედა ავტორის სრული პასუხი გაეცა ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებისათვის, ხოლო ზოგიერთი შეიშენელოვანი კითხვა კი სულ უპასუხოდ მიატრია. დიდმა კრიტიკოსმა ისევ მოიწონა, რომ წიგნი იწყება ვარჯიანი მსგავსებების ანალიზით, დაწერილებით არის ნათქვამი გრძობის თვითმული ორგანოს ავტორების შესახებ, ახსნილია თვით ალქმის პრაქტიკა. ავტორი ავითარებს, — წერს დობროლუბოვი, — რომ თვლი კი არ ხედავს საგნებს, ყური კი არ იმეხს ბგერას, არამედ შთაბეჭდილებანი, მიღებულნი ამ ორგანოების მიერ გარეშე სავნებისაგან. გადაცემიან გრძობიერი ნერვების შემეფოხთ ტენია. ამასვე ამბობს იგი ალქმისა და დანარჩენი სამი გრძობის შესახებ. ყველაფერი ეს ჯერჯერობით, მგონი, დამაკმაყოფილებელია“. მაგრამ დობროლუბოვი შემდეგ არ ეთანხმება ავტორს, როცა ეს უკანასკნელი წარმოადგენს მტკიცებას, რომ თვით ტენიცი კი არ შეიძლება ჩაითვალოს „შემგრომებ საწყისად“. ჩვენ ხალხით დავეთანხმებოდით ავტორს, რომ მას ნამდვილად დამეტოვებია ეს დებულება. არ შეიძლება ვადაწვევტიო საკითხი მხოლოდ სანახევროდ და იმევე დროს ამტკიცო, რომ იგი ვადაწვევტილია საბოლოოდ. ამით შეიძლება მოატყუო გონებაანღუნგი ადამიანები“, — წერდა დობროლუბოვი. „საჭირთა თქვა, და დამტკიცო კიდევ. ცარიელ სიტყვებს კი ახლა უკვე აღარ ერწმუნებთან“, — დასძენდა რეცენზენტი.

იმ ბრძოლაში, რომელსაც დობროლუბოვი ჩერნიშევსკისთან ერთად აწარმოებდა იდეალისტურ-მეტაფიზიკური სისტემების წინააღმდეგ, კერძოდ, ცხადყოფდა, თუ რა ზიანი მოაქვს მეცნიერების სახელთ უნაყოფო კვლევებებს, როცა ფაქტები თვისთვის რჩებთან და დაკვირვებები თავისთვის, გაბრიელის წიგნზე თბილი სიტყვა, ისიც იმდროინდელ ყველაზე მოწინავე ჟურნალის — „სოცრემენიკს“ ფურცლებიდან, უმკველად დიდი მოვლენა იყო. თვით გაბრიელის ძალიან ნიჭიერად დაწერილი წიგნი ამის საფუძველს იძლეოდა, მაგრამ, შეეძლოთ სასტიკადვე გაეკრიტიკებინათ, იდეალისტური კონცეფციების გამო; საკითხი კი უმკველად ვადაწვევტი იმ ვარემოვებამ, რომ

„ედი სიკეთე უსიქოლოგიის საფუძველები“ არ იყო დაწერილი იმ წლებში, როცა სახარაონიციები მეცნიერებაში გზავნიდნენ მასში ნაქლებად ჩანდა ის „თვით ნებობა“ და „ხეებუ ნებობა“, რომლის შესახებაც დობროლუბოვი ასე მკაცრად ლაპარაკობდა.

და გოგებაშვილი უმკველად მართალი იყო, როცა აუენებდა კთხვას: მიინე „რატომ დაუშვა „სოცრემენიკმა“ ასეთი გამოცდა“² ქართული ავტორის მიმართ? ამ კთხვას მაშინაც სრული საფუძველი ჰქონდა, როცა თვით გოგებაშვილის სტატია დაიწერა, და ახლაც ინტერესს იძლეოდა არ არის, ენიანდა იდეალიზმის წინააღმდეგ რახარაონიციების უკანაპირა. სო ბრძოლა საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო სატყუნი წიგნში ცოტა რთვი იყო სწორედ ასეთი შეხედულებები, იდეალიზმის მიეული სიტყვა. გოგებაშვილს სწამდა: „სოცრემენიკმა“ ეს იმითვე გააკეთა, რომ გაბრიელ ენიციკლის „ნაშრომში დანიხა არა შობიერობა, არამედ სრული დამაყრებლობა და გულწრფელობა, უმწიველო მეცნიერული კეთილსინდისიერება, ახარენების ზერხთა თავისებურება, ვადმოცემის კლასიკური სიმარტივე, საფუძვლიანი ცოდნა ფიზიოლოგიისა, რომლის მონაცემებს ავტორი საფუძვლად უდებდა თავის ფსიქოლოგიურ დასკვნებს“. დობროლუბოვი მართლაც აღნიშნავდა ზოგიერთ ამ ღირსებას. არ ეთანხმებოდა სატყუნი წიგნის ავტორს, როგორც ენახეთ, ვონებოს საკითხში, მოკვადა არგუმენტები მოლენოტის (თუმცა ენიციკლში ეს ავტორიტეტი ამოავდო, იმის გამო, რომ ამტკიცებდა: „ფოსტორის ვარემ ახრი შეუძლებელია“), ფლერანსის, ლიბიხის ცდებიდან და თხზულებებიდან, დასასრულ აღნიშნავდა, რომ „ჩვენ სრულებით არ უკვე ვადებთ მის (გაბრიელის — გ. ჯ.) ძირითად დებულებებს“, არამედ, «...желаем только, чтобы он, не пускаясь в отвлеченности и фразеологию, указал нам на более положительные факты, которыми он приведен был к высказанному результату; а теперь мы все-таки остаемся в недоумении...»³

რეცენზიის ეს ბოლო სიტყვები მეტად ზრდილობიან ლიტერატურულ ფორმაში გამოხატავენ რახარაონიციების საერთო დამოკიდებულებასაც მეცნიერებისათვის „უფრო და დეობითი ფაქტების“ საჭიროებისადმი. ამ „უფრო დადებით ფაქტებს“ უნდა დაესაზრებინათ იდეალისტიკური ფიციკული

¹ Н. А. Добролюбов. Собрание сочинений, т. IV, 1962 г., стр. 259. ხაზი წერია — გ. ჯ.

² იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 38.
³ Н. А. Добролюбов. Собрание сочинений, т. IV, 1962 г., стр. 263.

რი, განეცნებულ იქნა და განეცნობინათ კომარაგორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საფუძველზე. ეს იყო რანსონიანების იდეალო, მათი თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი მიზანი. ისინი მხარდობდნენ რელიგიისა და მეცნიერების შეთანხმებულ ცხოვრებას. ამ მხრივ შედარებით განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ზოგიერთ ქართველ განმანათლებელთან. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი ამტკიცებდა, რომ „სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანჯარისებრი, ან აღმერიდებლად გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისა და იეროქების შინაგანს მხარეს, ცხოველ-ყოფილს ზნეობრივს პრინციპებს, დედაპირებს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული კომარაგორის სარწმუნოებას, როდი უშლის თავის მემკონს, მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენად დიდი არაშხადა, რამდენადაც იგი დიდი მეცნიერია. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს დიდი მეცნიერი და ფილოსოფოსი ბეკონი, რომელიც, ისტორიკოსების სიტყვით, იყო მეჭობამე, ვერაფერ შეგობარი, გამეცმი, საშინელი ეგოისტი...“

სამაგიეროდ, უცნოსის ნოტონი, უდიდესი მეცნიერი და ამასთან კომარაგორის მოსახლენი, იყო იმისთანა მაღალი ზნის პატრონი, რომ თვით უდიდესებს მტრობასაც კი არ შეეკლო მიყვებინა ჩრდილი მისი ბრწყინვალე ცხოვრებისათვის. ამავე ღირსებით ბრწყინავდა ჩვენს დროში ფრანგი პატერი, პირველი მეცნიერი საფრანგეთისა და ამასთან ღრმა მოსწიშნე ქრისტიანი.

ეს მაგალითები და მრავალი სხვანი გვაჩვენებენ, რომ სარწმუნოების და მეცნიერების მოთავსება პარმონიულად შესაძლებელია არა მარტოსას უღიერო პირთათვის, არამედ უმადლესად განეითარებულ მეცნიერთათვისაც.

არ გამოვლენებით ფაქტებს ფრანცისკ ბეკონის, ისავე ნოტონისა და ლეი პასტერის შესახებ. მათი ბიოგრაფიები იმდენად ცნობილია, რომ გოგებაშვილს შეეძლო თავისი მსჯელობისათვის კატეგორიული ფორმაც მიეცა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია იმის მტკიცება, რაც ქართველ პედაგოგს ღრმად შეუთვისებია — თითქოს შეძლებოდეს სარწმუნოებისა და მეცნიერების პარმონიულ მოთავსება ერთად. რა თქმა უნდა, წარსულის ბევრი მეცნიერი ღრმად მოსწიშნე იყო, მაგრამ უდიდესი აღმოჩენებიც კმონდა, როგორც

დეკარტესა და პასკალს; მაგრამ ეს არ ნიშნავს მეცნიერებისა და რელიგიის ერთმანეთის გვერდით „პარმონიულ მოთავსებას“ პატრონობის, ძალმომრების, ეპოქის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კანონი უფრო მოქმედებდა, ვიდრე პარმონიის შესაძლებლობისა. მეორეს მხრივ, წარსულის ასევე ბევრი მეცნიერი ათეისტი იყო, ავტორი არაერთი დიდი აღმოჩენისა, მაშასადამე, სარწმუნოება სულ არ დისკრედიტა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაშია რწმუნება და გონება, შეცნობილია და რელიგიისა და გონების ურთიერთობაშია გვაძლავს მარტონის მტკიცება, რომელიც აბსურდული რწმუნებისა და წამაყვანა გონების, მეცნიერების განმადიდებელი თეზისი. მარტონის პარტეტანტული თეოლოგების დამოწმებით ამკარა ვახადა, რომ ქრისტიანობას არ შეუძლია თანხმობით იცხოვროს გონებასთან, შეუფრთხილეს გონებას.

ამ არ არის საჭირო მეტი იმეცას ამ საკითხზე გოგებაშვილის ფილოსოფია განმანათლებლის ფილოსოფიაა და, ცხადია, მატერიალისტური ანტიმეცნიერებისა და დანაშაულებით.

6

მაგრამ სრულიად ელემენტარული კომარაგორისა, რომ პედაგოგიკა, როგორც სისტემა არ უნდა იყოს, შეპირებულა არა მარტო გარკვეული ფილოსოფიური მოძღვრებით, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, არამედ, სოციალურ-პოლიტიკურ წინამძღვრებითაც. ამიტომ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გოგებაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსს, მით უფრო, რომ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საგრძნობ ნაწილს სწორედ პუბლიცისტური წერილები შეადგენს.

გოგებაშვილის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა განმანათლებლურია უველა თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებით. ეპოქის მასშტაბით აღებულა, იგი უმკველად პროგრესულია, თუმცა იმავე ეპოქით შეზღუდულია. მაგრამ, როცა გოგებაშვილის ლიტერატურა სოციალურ დონისთვის, უველა ხელის მიუხედავად, იმ დროისათვის მიიწევა პრო-

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 11. ხაზი ჩვენია — ვ. ჯ.

1 დაწერილებით იხ. ჩვენს წიგნში „ხელოვნება და სინამდვილე“, ტ. I, 1955 წ., გვ. 353-354.

გრესულს ვეწოდებთ, ჩვენ იმ კონკრეტული ვითარებიდან გამოვდევართ, რომ განმანათლებელს მეტი არც შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭკარი უნდა დაესვა მთელი თავისი დოქტრინისათვის, რომელიც თავიდანვე შემუშავებული ჰქონდა, რომელიც ასე თავდადებით ემსახურებოდა, რომლისთვისაც მხად იყო თავი გავეწია. მნიშვნელოვანი იყო იმის აღიარება, რომ გლეხობა, მშრომელი მასა ექსპლოატირებულია და საბჭოთა ყოველმხრივ უბრძოლეთ ამ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გვიან, მაგალითად 1901 წელს, „ქართულ მიმართულებაში“ გოგებაშვილი შემთხვევით არ წერდა: „ერთს ძირითადს სუნს ჩვენის ქვეყნისას შეადგენს ის საველლო მოვლენა, რომ ბატონ-ყმობა, ვადავარდნილი ჩვენში ფორმალურად 1864 წელს, ორმოციწელს წინააღმდეგ, დღემდინ ჩვენში ფაქტიურად არსებობს, დღემდინ ჩვენებური საწვალ გლეხები მოვლენი არიან აძლიონ მემამულეთ მეოთხედი მოსავლისა და სხვა გვარდაც ემსახურის მათ... საქართველოს გლეხები... გინდღიან უკიდურესს ნაყოველთაობას მიწისასა და ამათთან იძულებულნი არიან იხადონ მეოთხედი მოსავლისა, რაც მათ აუტანელს გაჭირვებაში ამყოფებს. დროა, დიდი ხანია, დროა ბოლო მოვდოს ამ სოციალურს განგრენასა“. თვით ეს ტერმინი „სოციალური განგრენა“ კარგად გამოხატავს გოგებაშვილის პოზიციას ექსპლოატაციის წინააღმდეგ, თუმცა, განმანათლებლის შესაქად, შეზღუდულია „მთელი ერის ინტერესებით“, როგორც ილია ჭავჭავაძის ბრძოლა სოციალური ბორცების წინააღმდეგ¹

აქ აუცილებლად უნდა შევნიშნათ, რომ გოგებაშვილი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში ერთგულად მისდევდა ქართული განმანათლებლობის იმ მაგისტრალს, რაც გასული საუკუნის 60-იან წლებში თერგდაძღვეულეებმა შეიმუშავეს. იგი ასევე მტკიცედ იცავდა განმანათლებლების დოქტრინას ეროვნულ საკითხში. მცირე ერების ინტერესთა მოსარჩლე, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, ის ყოველთვის იმ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომ დაეშვებოდა ერთი ერის მიერ ჩაგვრა მეთრესი, ვინც აღვივებს ერთა შორის შერსა და მტრობას, დანაშაულს ჩადის; ერთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის

ბის გაძლიერება, რასაც ქართველი განმანათლებლები პრაქტიკულად ანხორციელებდნენ. გოგებაშვილის სამოქმედო დევიზი იყო: „ჩვენმა ილაშქრებდა იგი ყველას წინააღმდეგ, ვინც შეეცდებოდა ერები ერთმანეთისათვის წაეცს სიანებინა. მისთვის სულ ერთია იყო, ვინც ამას აცთებდა — ეკრძო პირი, თუ პრესის რომელიმე ორგანო. გოგებაშვილი ყველას შეუპოვრად ესწმოდა ხოლმე თავს. ერთგან წერდა: „ყოველი უკუღმართი ნაბიჯი რომელისაჲ ქართულის პერიოდულს გამოეცმისა, რომელსაც შეუძლიან მტრის ხელში მისცენ იარაღი ჩვენს წინააღმდეგ, შეიარყოს ეს მოუცვრელი ვაწყოზილება კავკასიის ერებისა ქართველობისადმი და ძირი გამოუთხაროს მათ ხათრს და პატივისცემას ჩვენდამი, უნდა ჩათვალოს არა მარტო შეუდობად, არამედ მტრად მშობე დანაშაულობად“².

შეუძლებელია ამ დებულებას საცხებით არ დავეთანხმოთ. მარტო შეეცდომა უი არა, ნაძვილად დიდი დანაშაულია ყოველი ნაბიჯი, რომელიც ერთა შორის მეგობრობასა და კეთილგანწყობილებას დაარღვევს. გოგებაშვილის მხედველობაში ჰქონდა ქართველების ევთილი დამოკიდებულება რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, იმიერ კავკასიის მცირე ერებისადმი. ერთი მხრივ, იგი ებრძოდა ცარისტულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მეორე მხრივ, ცდლობდა კავკასიის ხალხები რაღ შეიძლება მჭიდროდ დაეკავებინათ რუს ხალხთან, მშობლარუსულ კულტურასთან.

ეროვნულ საკითხში როგორც გოგებაშვილის, ისე თერგდაძღვეულების ამოსავალი დებულება იყო ეროვნული მიმართულება, ეკრძოდ, იმის ცხადყოფა, რომ „ხალხის განვითარება და ვაძლიერება ყოველად შეუძლებელია, ეროვნული პრინციპის გარეშე. თვით ეკრძო ადამიანი მხოლოდ მაშინ იმსუგება შესაბამი ძაღლით, როდესაც იგი აღიზრდება ისე, როგორც მოითხოვს მისი თავისებური აგებულება — ფიზიკურად და ფსიქიკურად, მით უმეტეს ეს უნდა ითქვას მთელი ერზე. ერთ თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნება. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთს მაგალითსა, რომ ერს ელაღატოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის, და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს... მაგრამ ამ „ეროვნულს პრინციპს, ეროვნულს მიმართულებას და ეროვნულს კულტურას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკურს სემპარატურთან... პოლიტიკურს

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 251-252. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. შ.
2 დანწყოლებით იხ. გიორგი ჭიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ., გვ. 672-675.
3 იქვე.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 380.

სეპარატიზმს დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნიათ თვით იმ ქართველთა წრეში, რომელიც გამსჭვალელია ეროვნული, მამულიშვილიანი მიმართულებით. თვით ეს პირნი დარწმუნებულნი არიან, რომ ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა — იყოს საქართველო განუყოფელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური: საკეთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით... ამიტომ ქართველებს სეპარატიზმს დააბრალვეს მხოლოდ მტერი, ცილისმწამებელი, პროვოკატორი, გამსჭვალელი ბორჯიტი წადლით — გააჩლიქებინათ ქართველების წინააღმდეგ რბივსივლი ლინისძეებანი¹ ეს იყო, ემიგრებთ, როგორც გოგებაშვილის, ისე ილია ქაქუცაძის, აკაკი წერეთლის, საერთოდ, ანერგადლეულების ძირითადი პრინციპი ეროვნულ საერთოებად, არც ის იყო შემთხვევითი, რომ მთელ თავის ჰელაგოგაურ საქმიანობას, როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულს, გოგებაშვილი ერთად შორის მეგობრობის ნიშნით წარმოართავდა.

მათი მავალითა მისი დამოკიდებულება აფხაზი ხალხისა და აფხაზეთში განათლებილადმი.

მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, განსაკუთრებით 1877 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“, გოგებაშვილმა ძირითადად სწორი პოზიცია დაიკავა აფხაზ ხალხთან დამოკიდებულების საკითხში. ერთი მხრივ, ის ჰკმობდა „პოლიტიკანობას აფხაზეთში“, რომლის მიზანი იყო აფხაზები დაეშორებინა საქართველოსათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თვლიდა მათთვის დახმარება გაეწია „აფხაზური დედანისა“ შესაქმნელად². გოგებაშვილი იქვე დასძენდა: „თუ ადგილობრვ ვერ შესძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გამოუგზავნონ თბილისში „წერაკითხის საზოგადოებას“ და იგი დიდი სიამოვნებით გამოსცემს თავისი ხარკით... პირადად ჩვენ შხად ვართ ყოველი დახმარება აღმოუჩინოთ, შეძლებისდაგვარად, ტრადიციული მშობის და ერთობის მოკეთებებს, შეტადრე ახალის მწიგნობრობის შექმნას და გამოცემაში“³.

თუ რამდენად სწორი პოზიციაზე იდგა გოგებაშვილი, გვიჩვენებს დასადასტურებლად მოვიტანოთ ზოგიერთი მოსახრება მისი სტატიიდან —

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955 წ., გვ. 327.

² დამწერლობითი იხ. ვიორგი ვიხლიაძე, „ილია ქაქუცაძე“, 1966 წ., გვ. 375-376, 654-657.

³ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955 წ., გვ. 174.

⁴ იქვე, გვ. 174-175.

„აფხაზეთის შესახებ“, რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა. ამ უარესად საინტერესო წერილში იგი ავითარებს შეხედულებას: „რომ, თუ ჩვენ, ქართველები მთავრობებს და ქართ მშობლიური ენა და მშობლიური ქართული ლიტერატურა განვაითაროთ, მოვალეობას უნდა ვგაძინოთ იგივე ენისეროთ სხვა ერების, კერძოდ, აფხაზებისათვის. აფხაზები და ქართველები იდითვე ერთად ცხოვრობდნენ, ეს არის ისტორიული ტრადიცია. „ქართველები ყველა საუკუნეში ზემობდნენ ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობას, რომლებიც მათს სამეფოში შედიოდა, და ანიჭებდნენ მათ ყველა უფლებას, რითაც თვითონ სარგებლობდნენ“. დავით აღმაშენებლის არაიშვიათად დადიოდა სომხურ ტაძარში და მაშამიადურ მეჩეთში“, ხოლო „თამარ მეფემ XII საუკუნეში აკრძალა სიკვდილით დასჯა და მკაცრი ფიზიკური სასჯელის გამოყენება არამართო ქართველების, არამედ სომხების, თათრების და სხვათა მიმართაც“. სხვა ერთადმი ჰემონერმა დამოკიდებულებამ გარკვეული რაოდენ შესაძლელა საქართველოს არსებობის შენარუნუნებაში და ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. ქართველები ყოველმხრივ უნდა დაუმხრონ აფხაზებს „აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელო სუბსტიტუციონალი“, და რაც უფრო კულტურული გზის დაადგებიან, მით უფრო შეიძლება აფხაზი და ქართველი ხალხებს „გარეგანი ერთიანობა“ „შინაგანი სოლიდარობითა და ინტენსიური ძმობითო“⁴.

ასეთი იყო, ძირითადად, ის პრინციპები, რაც გოგებაშვილს სახელმძღვანელოდ მიიჩნდა პედაგოგიკის დარგში ეროვნული პოლიტიკისათვის.

7

ჩვენ დამწერლობით ვერ შევხებით იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკისტიკას. პოლიტიკური ხასიათის მისი მრავალი წერილიდან, როგორცაა, მაგალითად, „პრობლემა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ“, „რესპუბლიკური პარტიის დაკემა ამერიკაში“, „ირლანდიის უფინდება“, „დიდებულ წადლი დიდებულის მოხუცისა“ და სხვა, საესეთი ცხადი ხდება, რომ გოგებაშვილს განმანათლებლის ნაციონალურებანი თანახლავს, მაგრამ ამავე განმანათლებლობის ყველა დირსებაც მოსდგამს. მოავარი ის არის, რომ პედაგოგიკაშიც გოგებაშვილი ნათლად ჩანს, როგორც დემოკრატი, პემანისტი, განმანათლებელი, თავისი დროის მოწინავე ადამიანი. გოგებაშვილის პედაგოგიკა ცალკე

⁴ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955 წ., გვ. 201.

შესწავლის, ცალკე მონოგრაფიის საგანია და ეს საქმე უნდა გააკეთონ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიკოსებმა.

ჩვენს მიერ აღნიშნული დადებითი თვისებების გარდა, კიდევ ერთი დიდი ღირსება ჰქონდა ახლი ქართული პედაგოგიის მამას — უაღრესი პრინციპულობა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების მიმართ. ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში მას არ უღალატია იმ საქმისათვის, რომელსაც თავისი მოქმედების ასპარეზად გაიხიდა. ნურც იმას დავევიწყებთ, რომ გოგებაშვილი საშობღვაწედ გამოვიდა უკვე წინასწარ შემუშავებული გარკვეული პროგრამით, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, და არ სჭირდებოდა ამ კრედიტს რადიკალური გადაშეშვება, როგორც ეს პრობლემატის ეს ემბრავება ხოლმე.

ბრწინვალე პოლიტიკურმა ტალანტმა გოგებაშვილს დიდად შეუწყო ხელი არამარტო ბოლომდე დაეცვა თავისი პრინციპულობა, თავისი შეხედულებების სისტემა, არამარტო ემბილიზინა ქართველობის შტრეში, არამარტო მოგვარებინა მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების შექმნაში მოწინააღმდეგენი, არამედ, განეფანტა არაერთი ედომილება, რასაც შეეძლო ერთნულ განმათვისებულბული მოძრაობისათვის გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა. გოგებაშვილი იყო ნაჭიერი, შეუდრეკელი, ღრმა ცოდნით აღჭურვილი პოლემისტი და შემთხვევითი არ არის, რომ მისი მემკვიდრეობის საგრძნობ ნაწილს სწორედ პოლემიკური წერილები შეადგენენ. როგორი სიცხარითაც არ უნდა იყოს ეს სტატიები დაწერილი, ხოლო, ვინ არ იცის, რომ ამგვარად წარმოებულ პოლემიკას ყოველთვის შეუძლია მოკამათე ჭეშმარიტებას ააყენოს, გოგებაშვილი არსად არ ჰკარგავს წინასწარობას და არ ღალატობს ჭეშმარიტებას, უმნიშვნელო გამოინაკლისის გარდა, როცა გარკვეანი მიზეზები შეუძნეველად იწყებენ მოქმედებას.

როგორც პოლემისტი, ილია ჭავჭავაძის შემდეგ უეპველად გოგებაშვილს უნდა დაეთმოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ქართველ სამოციანელთა შორის. მას ჰქონდა ძლიერი ლოცვა, ნათლად, გამართლად წერის უნარი, ეხერხებოდა ხელსაყრელი ფაქტების მიგნება, ზასათდებოდა ჩინებელი გონებაშახვილობით. პოლემისტისათვის მეტიც არაფერია სჭირო. ძალიან კარგი იქნებოდა ვინმეს რომ დაეწერა გამოკვლევა — გოგებაშვილი-პოლემისტი! ბევრ საკვლევის-მოს ნასაუდა თვითონ და იმდროინდელ არაერთ მნიშვნელოვან საკითხში ჩვენც ვაკვარყვევდა.

გოგებაშვილი დატოვა უაღრესად საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ვინც ვინც იცნობდა პირადი მიმოწერისა, რომლის ადგილსაც უნდა აიღონ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, გოგებაშვილი ადგენდა მოხსენებებს, ანგარიშებს, წერდა ვრცელ განცხადებებს, იმუშავებდა წინადადებებს, რაც ეგზავნებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას. მთელი ეს მასალა შესულია თხზულებათა მე-9 ტომში და ძვირფასი წყაროა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისათვის. მგერამ ეს მემკვიდრეობა მარტოოდენ პედაგოგიურ სფეროს არ მოიკავს. ხშირად ეხება ლიტერატურის საკითხებსაც. კერძო წერილებში ილიას, აკაკის, ზახანაშვილის, ბოკეაძის, გუნიას, თაყაიშვილის, ანასტასია და გიორგი თუმანიშვილების, სერგეი მესხის, იონა მეუნარგას, დაეთ მიქელაძის — მეველეს, თედო სახოკიასა და იაკობ ფანცხვასაღმი აღძრულია ქართული კულტურის არაერთი საკითხი, წერილების ეს კრებულა 2, საიდანაც ჩვენ არაერთი ამონაწერი უკვე მოვიტანეთ ნარკვევის წინა თაყებში, ნათლად მოწმობს, თუ რა ფართო იყო იაკობ გოგებაშვილის ინტერესთა წრე და რა შვიდროდ იყო იგი დაკავშირებული თავისი დროის, თავისი ერის საჭირბორბოტო საკითხების ვადამყვეტისთან.

8

როცა გვიდა ძირითადლ მანც ვავარკვიოთ ამა თუ იმ მოღვაწის ადგილი თავისი ერის ისტორიაში, ჩვენ, ცხადია, ყოველთვის იქიდან ვამოედვიართ, რაც მას უშუალოდ ვაუყუთებია. მგერამ იმასაც ვითვალისწინებთ, რასაც თვით ეს მოღვაწე თავის თავზე ამბობს, თუ კი ასეთი რამ შთამომავლობას დაუტოვა. სხვა საკითხი, დაეთანხმებით თუ არა ამგვარ მოღვაწეს საკუთარი თავის შეფასებაში, მგერამ იგნორირება აქ სრულად დაუშეუბელია.

გოგებაშვილის მეველეარისათვის მდგომარეობა ძალიან ხელსაყრელია. პოლემიკურ წერილებსა და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს, თუ როგორც ვახსებდა იგი საკუთარ მოღვაწეობას. ნაწილობრივ ეს ჩვენ უკვე ვნახეთ, როცა ვახასიათებდით მის დამოკიდებულებას ცალკე პრობლემებისა და პიროვნებებისადმი. მგერამ ერთგან, კერძოდ, „დროებასთან“ კამათის დროს, ისიც სიცოცხლის ბოლო წლებში (1909), გოგებაშვილი იტლბული შეიქნა თვითონვე აღენიშნა თავისი და მსახურებანი, ჩამოყალიბებინა კრედო, რომლითაც საშობღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა და

¹ დაწერილებით იხ. გიორგი ჭიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ. გვერდებს არ ვუთითებთ, ვინიდან ეს დებულება ერთი ძირითადი ამოსავალი წერტილია ჩვენი ვრცელი მონოგრაფიისა.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962 წ., გვ. 179-287.

² იქვე, გვ. 291-370.

რომელსაც უმწიკვლოდ ემსახურებოდა. ეს არის ერთგვარი „აღსარება“, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რას აცთვებდა და რისთვის იბრძოდა ახალი ქართული პედაგოგიკის მამა ამ „აღსარებაში“ განმანათლებლის მთელი პროგრამა, კერძოდ, აღნიშნულია, რომ გოგებაშვილი იცავდა განათლებას დედაენაზე, ავტოკეფალიას, თვითმმართველობას. საეკლესიოშია, რომ თვითმმართველობას იცავდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძე, რაც ჩვენ სპეციალურად გვიარკვევთ ერეკლე მონოგრაფიაში¹. არის სხვა, უპირისპირად სანტიტრესო მომენტები და ამიტომ უმჯობესი იქნება სიტყვა თვით გოგებაშვილს მივსცეთ.

წერილში — „პროცესები“ — „დროების“ შესახებ არის, რომელიც 1909 წელს დაიბეჭდა, გოგებაშვილი ამბობდა: „...არას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემს ორმოცის წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მეცნიერებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე, ქართული ეკლესიის განათვისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართულ ენის გლეხების ხელში და სხვ. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულობით, ერთნაირი შიშობით და შინაარსით. და ვერც ერთი ცილის შეამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდა მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე ვამოვიცილები საზოგადო ანპარტეზზე შექმნილი ქართული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტიც ოდენადაც არ მიიღალატნია არცერთხელ, არას დროსა. მე არას დროს არ დამიწევია. თუ რისი შემოღობა ჩვენი პატარა ერის. „მაქსიმუმი შესაძლებელია“, ასეთი იყო ჩემი დევიზი, და არას დროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაჭებდით, რადგანაც ცაში წიროების დედა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველი კი ხელიდან გამოცვალის სახლსა და თვითონაც სიყვლილს გზას დაადგეს“².

ეს უპირისპირად ნათელი, შოლ სისტემატექნიკული პროგრამა, რომელიც გოგებაშვილმა არსებითად თავისი მოღვაწეობის დამთავრების პერიოდში დაახასიათა, შეიცავს იმეუ იდეებს, რაც მოცემული ვაჟის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობაში. თვითმმართველობის გარდა, ილია ჭავჭავაძე იცავდა ავტონომიას,

დედაენაზე განათლებას, ავტოკეფალიას, ეკლესიისთვის მმართველობას, მკითხველს შეუძლია ყველაზე უფრო კავშირის შეხედულებანი ვრცლად გაიკნოს ჩვენს მონოგრაფიაში და დარწმუნდეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევდა საეკლესიო მართლმადიდებლობის 60-იანი წლების მოღვაწეობის მართლმადიდებლობის შემოქმედებელი, ღრმად მოფიქრებული, იმედით აღსავსე რეალური პროგრამით გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე. რატომ უნდა, ისინი ზოგიერთ საკითხში შორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყველაზე ახლოს ერთმანეთთან უკვეყლად იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და აკაკი წერეთელი. შეიძლება ვთქვათ აიხსნას გოგებაშვილის ძალიან მეგობრული დამოკიდებულება სხვანაირად ღრმად თერგდალეულთან და მათი დედალის უმაღლესი შეფასება. ილია ჭავჭავაძეს მან „...თავისთვის“ უწოდა, ხლო აკაკი — „...თავისთვის“ ქართული პოეტისათვის, „პატარა საქართველო“ რუსთაველთან, ბარათაშვილთან, ილიასა და ვეფხისტყაოსნის ერთადერთი უკვეყლივი ამის შემდეგ ბუნებრივი იქნება, თუ შევეცდებით განვსაზღვროთ თვით იაკობ გოგებაშვილის ადგილი, რომელიც მას ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში უკვეყლა ეს ადგილი და რომელი სულ მოკლედ ასე შეიძლება დაეხასიათოს:

გოგებაშვილმა შექმნა ახალი ქართული პედაგოგია, რომელიც მეცნიერულ საფუძვლებს ემყარებოდა;

კრიტიკულად გადაამუშავა მოწინავე პედაგოგური სისტემები და არც ერთ მათგანს იგი ბრძანდარ ვაკყოლია;

სწავლა-აღზრდის თეორია მჭიდროდ დაუკავშირა პედაგოგიურ პრაქტიკას, როგორც ამ დარგში უკვე მართლებს კრიტიკიკოს;

შექმნა სრულიად ახალი, უნიკალური სახელმძღვანელოები — „დედაენა“, „ბუნების კარგი“, „არსსაკვ სლოგი“, რომლებზედაც ათეული წლების მანძილზე იბრუნებოდნენ ქართველი ახალგაზრდობის თაობები;

თერგდალეულთან ერთად აღმართა ბრძოლის დროსა დედაენაზე სწავლებისათვის;

დაიცვა თვითმმართველობა, ავტონომია, ავტოკეფალია, რასაც იმ დროისთვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა;

სპეციალური საკითხებში, მართალია, განმანათლებლობას არ ვასცილებია, მაგრამ მისი დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი უკვეყლად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო;

მეცნიერულად დაამუშავა ქართული გრამატიკა და მისი ეფექტური სწავლების საკითხები, რაც მჭიდროდ დაუკავშირა ლიტერატურის, კერძოდ, საბავშვო მწერლობის განვითარებას;

შექმნა პედაგოგიურად გამართული საბავშვო მოთხრობების მთელი ციკლი და ერთერთი პირ-

¹ გიორგი ვინჯაძე, „ილია ჭავჭავაძე“, 1966 წ., გვ. 707-711.

² იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955 წ., გვ. 286. ხალი ყველაზე ჩვენი — გ. ვ.

ველი ადგილი დაიკავა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში;

თარგმანულუბიან ერთად (ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.), გააღრმავა და გააფართოვა ერთგულ-განმათავისტფლებელი სწრაობა, რომლის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, სულისჩამდგმელი თეოფანე იყო;

თავისი დროის საპრობორტო საეთხებს გამოხმავრა, როგორც პუბლიცისტი, და ამ დარგში მისი მეშვეობითაა პროგრესული, თანამოქმედობით განმანათლებლობისათვის დამახასიათებელ ყველა ნაწლს;

გოგებაშვილმა ის გააკეთა ახალ ქართულ პედაგოგიკაში, რაც ილია ქავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ახალ ქართულ ლიტერატურაში.

საქმაოდ სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან ერთად, გოგებაშვილს ჰყავდა მეგობართა და მშველეთა ასევე ძლიერი წრე. მათ შორის პედაგოგიის დარგში ყველაზე გამოჩენილია ლუარსაბ ბოცვაძე, რომლისადმი ზრუნვისა და პატივისცემას გოგებაშვილი ყოველთვის იხენდა. იგივე გადმოგვცემს ბოცვაძესთან თავისი ნაცნობობის დაწვებას 1894 წელს „ივერიის“ ფურცლებზე (№ 192) გამოქვეყნებულ წერილში: — „ი დ ე ვ ი ნ ს ი ს ი უ ა ც ი ა“: „ეს მასწავლებელი გახლავთ ბ-ნი ბოცვაძე. იგი იქმნა ვაწწყსებელი კავსიის სკოლაში მასწავლებლად ბ-ნი გიოსელიანის რეკომენდაციით. მე სრულიად არ ვრეტლვარ ამ საქმეში, რადგანაც პირადად არ ვიცნობდი ამ მასწავლებელს. ჩინებელი მოღვაწე გამოდგა, სკოლა მშვენიერ ფეხზედ დააყენა, კავსიის ქართველების გული მოინადირა, კარგი სახალხო ბიბლიოთეკა დააარსა და ქართულის ენის ვაგრცელებას იმ შორეულს ქალაქში ფეხი ააჩარბინა. წარსულის წლის დამლევს მან «Новое обозрение»-ში დაბეჭდა ლვეციის წიგნის «Курс русского языка» გარჩევა და ბოლოში ირითღე ფრაზით გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ წიგნს «Русское слово» ბეჭით სკობიანო, მე ეს გამოცედილებით ვიცოი, და მასწავლებლებს ურნია პირველი წიგნის მაგვიტარა მეორე იხმარეთ... (ტიტოვ კახიძემ) დაგვიარჩუნდა, რომ ბ-ნი ბოცვაძეს სენდისგად, მარჯვედ და მხენდ მოჰყავს საქმე... ბ-ნი ბოცვაძე ზმობად ბეჭდავს გონიერს პედაგოგორს სტატიებს „მწვემში“ და ამითი ეზმარება სახალხო და სამარველო სკოლების დაყენებას რიგიანსა და ნაყოფიერს გზაზედ. ამას ისიც უნდა დამუშატოი, რომ ბ-ნი ბოცვაძე თავის სკოლაში უფასოდ ასწავლის ქართულს გლობასა და მშვენიერი ხორა დაარსა. ამისთანა მასწავლებელი სანთლით არის საძებნელი, ქებისა და წაქეზების ღრისია“!

რამდენიმე ხნის შემდეგ, 1902 წლის 2 თებერ-

ვალს ალექსანდრე ხახანაშვილს გოგებაშვილი წერდა: „ბოცვაძის სტატია «Не естественность естественного метода» ნებმა აწიქუნდა დაიბეჭდოს. ცალკე წიგნაოდ, მიუხედავად იმისა, მოთავსებულ იქნეს იგი «Вестник воспитания»-ში თუ არა“!

თანდათან გოგებაშვილისა და ბოცვაძის ერთობა იმდენად ახლო შეიქნა, რომ მოძღვარი სრული ნდობით ეყიდებოდა თავის უერთგულეს მიმდევარს. ამიტომ წერდა ხოლმე მას: „ისიც თქვენ ამგობიანებთ, მეც იმას მივეცემ უპირატესობასა“². ბოლოს უკანასკნელი ალსარებაც გაანდო და საშუალო განსაცენებელს მოგვარებაც დაავალა.

მაგრამ არის ერთი ფაქტი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით, ვინაიდან ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად პრაქტიკულ საფუძველებს ემყარებოდა ეს ერთიგობობა.

როცა ეტრნალ „განათლებლში“ ლუარსაბ ბოცვაძემ ბიბლიოგრაფია მოათავსა გოგებაშვილის რუსულის მეთოდის ახალი გამოცემის შესახებ, რომელშიაც ურჩევდა მასწავლებლობას „გულდაღებით გადაიკისხეთო“, მაგრამ მხედველობიდან გამოჰარა, რომ იქ მთელი გვერდები იყო გამოტოვებული. თანაც ორჟოველი აზრი გამოსთქვა „კითხვა-წერილის მეთოდის“ უპირატესობაზე „წერ-კითხვის მეთოდთან“ შედარებით, გოგებაშვილმა პასუხი არ დააყოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო, წინ მხოლოდ ითხი თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. უმალ დაწერა — „უცნაური რეცენზია“. ეს პასუხი მან დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „როგორც მეთხველი ზედავს ჩვენ მართალნი ვყოფილვართ წინადაც, მართალნი ვართ, მით უმეტეს, ახლა, როცა ვასწავლით ვერ კითხვასა და მერმე წერასა, რასაც მოთხივს პედაგოგორი პრინციპი... ვადადი მარტვილიდან რთულზე, ადგილიდან მხელზე“³. გოგებაშვილი აქაც მართალი იყო, ხოლო მართლადი პრინციპი „კითხვა-წერილის მეთოდის“ უპირატესობისა, სრულიად გამართლებელი, ეს პრინციპი ემყარებოდა პედაგოგიკაში ძველთაგანვე აღიარებულ კუშმარტებას, მიუხედავად მოწინააღმდეგეებისა, რომ სწავლება უნდომი მდინარეობდეს ადგილიდან — მხელისაგან, ნაცნობიდან — უცნობისაგან, მარტივიდან — რთულისაგან; მისი დარღვევა შეიძლება მხოლოდ განსაყუთრებულ, კერძო შემთხვევებში, როცა კონკრეტული მავალით ან თუთი ბავშვი გვიძებულეს პასუხი

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962 წ., გვ. 350.

2 იაკობ გოგებაშვილი, თხზულება, ტ. 9, 1962 წ., გვ. 292.

3 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 8, 1961 წ., გვ. 432.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954 წ., გვ. 368-369.

ართულიდან დაიწყო, მაგრამ განმარტებაში მარტოების ჩაურთველად მიზანს მაინც ვერ მივალწვევთ !.

პრინციპულ ერთეფრობაზე დამყარებულა შეგობობა გოგებაშვილისა და ბოცვაძისა მხედველობიდან არ გამოპარვია ქართულ პეტესს, ევროდ, ვაზეთ „კოლხიდის“ ერთეფრობის, რომელშიც 1912 წელს გამოთქმა „ორთა კავშირი“ კი იხმარა. გოგებაშვილის ბრძოლას ბოცვაძემ გულწრფელად დაუჭირა მხარი და მისი სიყვდილის შემდეგაც ბევრი ვაჟეთა დიდი პედაგოგის მეშვეობითის მასაცავად.

ამ შემკადრებობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია ბრძოლა ახალი ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის, რომლის ფუძემდებელიც „დედაენის“ ავტორი იყო.

როგორც ცნობილია, თავიდანვე გოგებაშვილი იბრძოდა ე. წ. „ნათელი პედაგოგიკის“ წინააღმდეგ. ამ ცნებაში იგი გულისხმობდა პედაგოგიის იმ დოგმებს, რომლებზეც თავისი დრო მოჰყავს, მაგრამ მაინც იხმარებოდნენ, ერთი სიტყვით, გულისხმობდა „დოგმატიკური პედაგოგიკის“. ატეხილად აცხადებდა ინსტიტუტურ გატაცებას ძველით, მიიჩნდა, რომ იგი ღრმად იჭდა ადამიანში და უწოლდა უნა, იმის განმეორებისავე, რაც ვაცობრიობას უკვე განვილი ჰქონდა. მიუხედავად დისტრეგის, უშიშისა და მიროპოლისის ფასდაუდებელი სამაშტრისა სახალხო განათლების საქმეში, გოგებაშვილის აზრით, მათ ვადადგეს რეკრესიული ნაბიჯი, რაც ხელი შეუწყავს „წიკი-კიოთხეის მეთოდის“ საყოველთაოდ განმტოციებას. უშიშის ერთგული, როგორც ვხედავთ, შემოქმედებითად დებულობს თავისი მასწავლებლის პრაგრესულ მოძღვრებას, მაგრამ არ ეთანხმება ზოგჯერ შეხედულებას, რაც გაკრიტიკებულია რუსულსა და ქართულ ენებზე დაწერილ მეთოდურ წიგნებში რუსული ენის სწავლების შესახებ .

ამ წიგნების დეტალური განხილვა ძალიან შორს წაგვეყვანდა, მონოგრაფიული გამოკვლევა იქნებოდა საჭირო. მოკლედ თუ ვაღმოგვცემთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: გოგებაშვილი ებრძვის რუსულ ენაში ვრთინიშების შეტანას, როგორც ქართულს — რუსიკიშების გაპატონებას, ვინაიდან ამათ რთულდება ენის სწავლება, მიზანი რჩება მიუღწეველი. მთავარი კი ის არის, რომ სახელმძღვანელომ «Русское слово» ვაავლილოს და დაიქაროს მოზარდი თათბის მთერ სახელმწიფო ენის მტკიცედ შესწავლა. მაგრამ საქმეს ართულებს მკვეთრი განსხვავე-

ბა, რაც რუსულსა და ქართულ ენებს შორის არსებობს, როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული ნორმების მხრივ. ამიტომ ქართულ მეთოდურ სახელმძღვანელოს, თუ რჩებოზღნდს სწავლობს «Русское слово»-ს მეშვეობით რუსული ენა სკოლებში, გოგებაშვილი, შესწავლისა და სახელმძღვანელო პრინციპების გარკვევის შემდეგ, იწყებს ლექსიკური განყოფილების დაბამათებით. შემდეგ ეხება რუსულ ანბანს, სადაც პირდაპირ არის გასაბეღელი, რომ ავტორი უპირატესობას ანიჭებს „კითხვა-წყობის მეთოდს“ — „წიკი-კიოთხეის მეთოდთან“ შედარებით: ეს საკითხი ვრცლად არის განახილვებული მომდევნო თავში, რომელშიაც მნიშვნელოვანი კითხვა-წყობის მეთოდის უპირატესობაა. უშიშის, კოლოფოვის, მიროპოლისის, ბენაკოვის, დისტრეგისა და სხვათა მოსაზრების წინააღმდეგ გოგებაშვილი ამხელს, ერთი მხრივ. „წერა-კითხვის მეთოდის“ ნაკლოვანებებს, მეორე მხრივ კი გვიჩვენებს „კითხვა-წყობის მეთოდის“ უპირატესობას. რაზეა დამყარებული წერა-კითხვის სისტემა? აყენებს კითხვის გოგებაშვილი და იძლევა შემდეგ პასუხს: «На томображении, главным образом, что человек сначала выучился письму, потом чтению, или точнее — стал писать, чтобы написанное читать. Стало быть, заключают педагоги, система письма-чтения является согласной с природой вещей, естественной, вследствие чего ее строго держались-де все древние народы. Раньше всего на это заметим, что хотя среди педагогов немало лиц, державшихся воззрений Дарвина, тем не менее ни один из них не станет защищать мнение, что ребенок должен ознакомиться сначала с протоплазмой, а затем с окружающими его существами, на том основании, что последние произошли от первой».² ამის შემდეგ დასაბუთებულია, თუ რატომ ვაბატონდა ძველად წერა-კითხვის მეთოდი, რომელიც ბუნებრივობით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ, იუცილებლობით, ევროდ. ის ვარსებობდა თამაშობდა მთავარ როლს, რომ არ იყო წიგნის ბეჭდვა. წერა წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას, რომ ადამიანს წერა-კითხვა შეესწავლა. «...древний человек держался способа письма-чтения не потому, что считал его естественным и разумным, а потому, что обстоятельства делали совершенно невозможным другой, более педагогический удобный и полезный способ — чтения-письма. Обстоятельства эти теперь из-

1 ამ საკითხზე ვრცლად არის მსჯელობა წიგნის წიგნში — „ეთეტიკური აღზრდის პრინციპი“, 1968, ტ. 1, გვ. 19-21.

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1961 წ., გვ. 17.
2 იქვე, გვ. 25.

чезли, а потому должен исчезнуть и древний способ обучения и уступить место более совершенному и более плодотворному методу»¹.

ეს არის კითხვა-წერის მეთოდი, რომელიც დამყარებულია პედაგოგიურ მოთხოვნაზე — ადვილიდან გადავიდეთ ძნელზე, მარტივიდან — რთულზე. რა უფრო ძნელია — წერა, თუ კითხვა? აყენებს საკითხს გოგებაშვილი და იძლევა შემდეგ პასუხს: ეჭვი არ არის, რომ წერა უფრო ძნელია, ვინაიდან მხამხარეული ასოს, მისი მოხაზულობის შეთვისება უფრო ადვილია, ვიდრე შენ თვითონ გამოსახო იგი, სწორედ ისევე, როგორც ნახატის შეცნობა შეუდარებლად უფრო ადვილია, ვიდრე თვით მისი დახატვა.

ამიტომ კითხვა-წერის მეთოდის შედგენას უნდა, მისი გამოყენება უნდა ქართულ სკოლებში გოგებაშვილმა ჩასთვალა «მოუტყვევებელ შეცდომა»-ს. სწორედ ამ მეთოდით, — დასძენდა გოგებაშვილი, — ქვეყნის მრეწველ წარმატებები მოაპოვეს ეპოქომ საფრანგეთში და ფოველმა გერმანიაში. დოქტორობიც სტუფანი და აენარაიუსი უპირატესობას ანიჭებენ კითხვა-წერის მეთოდს, ხოლო სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შედგებოდა სუვერთესო პედაგოგებისა და ექიმებისაგან გერმანიაში, დაადგინა კითხვა-წერის მეთოდის აუცილებელი გამოყენება სწავლების პირველ წელს.

ყოველთვის ამის შემდეგ, გოგებაშვილმა გააკეთა დასკვნა: «...все лучшие руководства русских педагогов к обучению грамоте, как-то: «Родное слово» Ушинского, Азбука Водовозова, Азбука Бунакова и другие, построенные на методе письма-чтения, подлежат радикальной перестройке. Иначе эти издания будут находиться в явном противоречии с рациональным взглядом, установившимся в самое последнее время... После всего сказанного должно быть ясно, почему мы русскую азбуку «Русского слова» составили по способу чтения-письма, а не по методу письма-чтения...»²

ასე დაბეჭდილი მოთხოვდა გოგებაშვილი კითხვა-წერის მეთოდის გამოყენებას, დარწმუნებული, რომ ამ გზით რუსული ენის შესწავლა უფრო საფუძლიანად, უფრო გონივრულად მოეწყობა, ვიდრე ამის გაცემა შეეძლო ძველათქველ წერა-კითხვის სისტემას.

დღი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გოგებაშვილის მიერ თვალსაჩინო გაკვეთი-

ლები ანალიზს, «საკითხავი წიგნის დახატვას, რელიგიურ-ზნობრივი განყოფილებისა და ლექსიკონის ასნა-განმარტებებს»³. გოგებაშვილმა პირველმა შეაქვინა სწავლის ული და რუსული ენების შედარებითი გრამატიკის ნარკვევი⁴ რუსულ ენაზე და ცალკე წიგნად გამოცა 1898 წელს. არანაკლებ მნიშვნელობა ჰქონდა 1896 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომსაც — «Разбор учебных руководств по русскому языку». წიგნში ვრცლად იყო განხილული უშინსკის «Родное слово», რომელიც იმპარებოდა კავკასიის სკოლებში. მიუხედავად ავტორის დიდი დამახტრებისა, რუსი პედაგოგის ეს სახელმძღვანელო შეუფერებელი იყო კავკასიის, მათ შორის ქართული სკოლებისათვის. თუ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა დიდი პედაგოგის უშინსკის სახელმძღვანელო, რაღა უნდა ყოფილიყო მასზე ვატილებით დაბლა მდგომი ავტორების — ეოლპერის, ლევიცის, ჩერნიავცის სახელმძღვანელოები?

ვიღებ საერთო წიგნს — «Русское слово»-ს შედგენდა, გოგებაშვილი მხარს უჭერდა ცნობილი ქართველი პედაგოგის, უფროოდ დანუბულ გერასიმე კალანდარიშვილის (გარდაიცვალა 1874 წელს) სახელმძღვანელო — «Начальный курс русского языка для грузин». გოგებაშვილმა პირდაპირ ტიტანური შრომა გასწია ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მკვიდრ ნადაგზე დაყენებისათვის. ამ მხრივაც ნამდვილად სიამაღლითა მისი პრინციპულობა, ენერჯია, შეუპოვრობა. თეორიული და პრაქტიკული საკითხების პარალელურად, გოგებაშვილი ცალკე შესწავლის საგნად გამოყოფდა როგორც ქართული, ისე რუსული შრიტის დამახასიათებელ თვისებებს, ვინაიდან მიანდა, რომ მათ დღი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ენის შესწავლისათვის. 1902 წელს ბროშურად გამოცა — «О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения». არანველებრივი გარკვეულობით, დიდი დამაყრებლობით განმარტა, თუ რა არის ერთის ან მეორის დამახასიათებელი თვისება და როგორ შეიძლება ავიდებოდნო თვიდან მოსალოდნელი დაბრკოლებანი. მართალია, ქართული ასოები გაცილებით უფრო რთულია რუსულთან შედარებით, მაგრამ აქვს შემდეგი უპირატესობა: ქართულში ბგერა და ასო სრულ თანხმოებაშია, რაც აადვილებს შესწავლასა და წერასაც. ეს არის უპირატესობა, იშვიათად რომ გვხვდება, ფიქრობს გოგებაშვილი, ევროპულსა და აზიურ ენებში. სწორედ ამან მისცა საფუძველი გამოჩინილ რუს ენათმეცნიერს პეტრე უსლარს კატეგორიულ ფორმაში გამოეთქვა თავისი აზრი ქართულ ენაზე. გოგებაშვილი იმოწმებს უსლარს, რომელმაც ჩვენს

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 8, 1961 წ., გვ. 27.

2 იქვე, გვ. 33.

ქართულ ალფაბეტს „თითქმის ყველაზე სრულყოფილი უწოდა ყველა არსებულ ალფაბეიტთაგან“ («едва-ли совершеннейшим из всех существующих алфавитов»)¹.

არც ერთ ქართველ მოღვაწეს იმდენი არ უწროშია ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებულ მალაღონეზე დაყენებისათვის, რამდენიც იაკობ გოგებაშვილს. ვარდა იმისა, რომ მთელი სახელმძღვანელო შეადგინა და ვრცელი მეთოდური გამოკვლევაც დაწერა. გოგებაშვილს ეხდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით ეწერა მოხსენებით ბარათები, ახსნა-განმარტებები, გამოკვლევები, რეცენზიები, პასუხები რედაქციებსა და კერძო პირებისადმი. საქმარისთა წიკითხთ მისი „უდაჯოგოური საკვირველება“, რომელშიაც ლევიცის პედაგოგიური უსუსურობა ისეა გამოაშკარავებული და დასაბუთებული, რომ შეუძლებელია ავტორმა არ მოგახიბლოთ თავისი ლოგიკური მსჯელობით, ღრმა ცოდნითა და ქეშმარიტებისადმი უანგარო სპეხატობით. ყველგან და ყველაფერში ფაქტებზე დამყარებული პრინციპებლობა — აი გოგებაშვილის დამახასიათებელი თვისება, როგორც პოლემისტიკისა. ამით შეიძლო მან დაემარტებინა საქარო პაექრობაში მოწინააღმდეგენი და დაეცვა ქართველი ხალხის განათლების ეროვნული პრინციპები.

9

მაგრამ ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ გათეთონობიერებას, მისი შეგნებული თაობების აღზრდას გოგებაშვილმა ყველაზე მეტი სამსახური თავისი განთქმული სახელმძღვანელოებით გაუწია. მოყოლებული 1865 წლიდან, როცა პირველად გამოვიდა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეობისა“, შედგენილი სრულიად ახალგაზრდა ავტორის მიერ (გოგებაშვილი იმ დროს 25 წლისაც არ იყო), თითქმის მთელი სამოცი წლის მანძილზე ზედოზედ იბეჭდებოდა მისი სახელმძღვანელოები — „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“, საკითხავი წიგნები, მოთხრობები, განმარტებები ამ წიგნებით სარგებლობის შესახებ, მასწავლებელთათვის რჩევა-დარიგებანი და სხვა მეთოდური მითითებანი. თუ რა მეცნიერული სიზუსტით, პედაგოგიისა და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით ადგენდა იგი თავის სახელმძღვანელოებს, შევეიძლია დავინახოთ იმ ორი წინასიტყვაობით, რომლებიც დართული

აქვს „ქართულ ანბანს“ (1865 წელი) და „დედა ენას“ (1876 წელი). წინასწარ უნდა შევინშინოთ, რომ ავტორი თავისივე, უეჭველია ძირითადად სახელმძღვანელოება ცნობილია რუსი პედაგოგის ვასილ ანდრეას ძე ზოლოტოვის (1804—1882) მიერ შედგენილი ორი სახელმძღვანელოთი. პირველი გამოვიდა 1856 წელს სახელწოდებით — «Русская азбука наставлением как должно учить», ხოლო მეორე 1858 წელს — «Таблицы для взаимного обучения чтению и письму». მაგრამ გოგებაშვილი უაღრესად შემოქმედებითი აღმძინი იყო, არასოდეს მიღწეულით არ ემყოფილდებოდა, მთელი ცხოვრების მანძილზე ავითარებდა, სრულყოფდა მეთოდებს, ბუნებრივია, თავის სახელმძღვანელოებსაც. სხვას რომ თავი დაეანებოთ, საქმარისთა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ორ წინასიტყვაობას გავეცნოთ.

„ქართული ანბანი“ წინასიტყვაობაში — „მასწავლებელთათვის“ გოგებაშვილი არღვევს „ჩვეულებრივი ანბანების მეთოდს“, რომელიც იწყება „ცალკე ასოებიდან“, არღვევს იმიტომ, რომ „ასოები ცალ ცალკე არა საგანს არ აწვენებენ, არა პაზრს არა ხატავენ“ (აქ უნდა შევინშინოთ, რომ გოგებაშვილის ორთოგრაფიაში ყერ კიდევ ჩანს ძველი გრამატიკული სკოლის დანარჩევები). მას კი სურს სწავლის დაწყება ბავშვისათვის იყოს თავიდანვე შეგნებული აქტი, აზრს უკავშირდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია „ძველმა მეთოდმა“ ბავშვს „შეაძლოს სწავლა... და წაართვას მას წადილი სწავლისა“. ეს იქნება მავნებელი. — საქმარისთა და ფიქრობს გოგებაშვილი, — და მიმართავს ზოლოტოვის მეთოდს, ანალიტიკურს, რომელიც თავიდან გვაშორებს, სწავლის დაწყების დროს, უაზრობას. „მეთოდი ზოლოტოვისა, — წერს გოგებაშვილი, — რომელზედაც არა შედგენილი ეს ანბანი, არღვევს ზემოხსენებულს ნაელთვეანებას. ეს ანბანი იწყების სიტყვებიდან. მაშასადამე, ყმაწვილი პირველვე დაინახავს სწავლაში პაზრს: იმიტომ, რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე პაზრსა, აწვენებს რომელმე საგანსა. მაშასადამე პირველთვე ყმაწვილი შეხედავს სწავლას, როგორც გონიერულ საგანს და წახალისდება...“¹ აქ პრინციპი საცხებით სწორად იყო მიგნებული. პედაგოგიურად გამართლებული, მაგრამ, თუ რამდენად შეეძლო მისი დაემყოფილება ანალიტიკურ მეთოდს, ყერ კიდევ სადღე ქვას წარმოადგენდა. ჰანუც გოგებაშვილს არც უთქვამს, რომ ეს მეთოდი უნაყოფო ან სრულია, მისთვის ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამორკვეული, ყერ-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 8, 1961 წ., გვ. 241.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 5, 1957 წ., გვ. 7.

ძოდ, იმ მხრე, რაც შეეხებოდა აქველი მეთოდის უტყუარებას. ამიტომ აღნიშნა — ზოლოტოვის მეთოდი არღვევს ზემოხსენებულს ნაქუთუავენებასო. მაგრამ, რომ იგი სრულიან იდეალურია, არაად არ არის ნათქვამი.

ამაგიეროდ ძირითადი პრინციპი — სწავლა დასაწყისიდანვე უნდა იყოს „გონიერული აქტი“, ბავშვს უნდა ვაუფადილოთ „კითხვის მიწვევა და ვაგონება (ვაგება — ვ. ჯ.) წყაობულისა“, ბავშვი „ცოტა ცოტათი... შრომას (უნდა) მიეგვიოს“, საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ „უმწიფელი სწავლავდეს წაახალი-სოს“, ამიტომ საჭიროა მასში მოთავსდეს ისეთი მასალები, რომლებიც ადვილად საკითხავია, სასარგებლო და სასიამოვნო იქნება — გოგებაშვილისათვის ყოველივე ეს თავიდანვე სავსებით გამორკვეული, დადგენილი, მთელი ცხოვრების მანძილზე უცვლელი ჰქმნარიტებანი იყო. ამ ჰქმნარიტებათათვის მას არასოდეს უღალატა. მეთოდს რაც შეეხება, სულ სხვა სერათი ვაქვს. მეთოდს გოგებაშვილი პრაქტიკულად ამოწმებდა, ანალიზებდა მის კონკრეტულ შედეგებს, ხელადადი სწავლებისათვის ერთად ნაკლებად, და გასაჯერო არ უნდა იყოს, თუ „დედა ენას“ 1876 წლის გამოცემის „წინასიტყვაობაში“ მკითხველი შეიტყობს, რომ ანალიტიკური მეთოდი მან შეცვალა სინთეტიკურით, ზოლო ბოლის აირჩია ანალიტიკურ სინთეტიკურ მეთოდს.

რატომ მოხდა ეს?

ანალიტიკურ მეთოდს უეჭველად თან ახლავს პირველი კლასის მოსწავლისათვის გარკვეული სირთულე, სიმწელე, ზოლო სინთეტიკურს — საადვილე. ორივეს შეერთებაში გოგებაშვილი ხელადადი პედაგოგიურად გამართლებულ ნაბიჯს, თან ითვალისწინებდა ინტერინდულ მდგომარეობას, როგორც ბავშვების შინაურ (ოჯახურ) მოშადებას, ისე თვით მასწავლებლების უღრსად დაბალ კვალიფიკაციას. მისი დასაბუთება ასეთი იყო: „თავის დროზე ჩვენ ავხსენით რა გარემოებებშია და მოსახრებებშია ვაგვხადა იმულებული მოგვეტყუებინა უფრო ძნელი, ანალიტიკური მეთოდი და მოგვეცა უპირატესობა უფრო ადვილი სინთეტიკური მეთოდისათვის. ეს მიზეზები იყვნენ: შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უმეცრება ჩვენი სახლობის სფეროს სწავლების ხელადადი: მცირე რიცხვი სკოლებისა, მათი მოუწყობლობა და მტკნარი უხეირობა მასწავლებელთა პერსონალისა, რომელიც შესდგებოდა პრინტიციებიდან და მღვლებიდან. ეს საბუთები ეხლა აღარ არსებობენ: სწავლება უმეტეს ნაწილად გაცივდა სახლებიდან სკოლებში, ამ სკოლებში მასწავლებლობა დაიჭირეს ყმაწვილმა კაცებმა, რომლებიც ბევრად თუ ცოტათი მოშადებულნი არიან თავისი თანამდებობის ქეროვანი აღსრულებისა-

თვის და რომელთაც მარჯვე მოხმარება რთული მეთოდისა ძრად არ უნდა ვაუტორდუქსებდნენ. ჩვენ დროიანათ დაინახეთ დებულებები ანალიტიკურ მეთოდსა და ამასთან იგი დაგვეკავშირებინა სინტეტიკურ მეთოდთან. მაგრამ, რადგანაც სპეციალისტები მინც თითქმის არ მოიაზრებინან ჩვენ ხალხურ სკოლებში მასწავლებელთა, ამიტომ ამ ანანის მეთოდი უნდა მოგვეყვანა საადვილის უქანსცნელ ზარისხამდის. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელადადიანელობდით იმ პასრით, რომ ზარისხი მეთოდის სარგებლობისა პირდაპირ დამოკიდებულთა მის მარჯვეთ მოხმარების საადვილზედ და უკეთესი მეთოდი უარესზედ შეგნებელია და ვადამრკვევი ბავშვების გონებისათვის, თუ მის ზეირიანათ მოხმარება შეუძლებელია სპეციალურათ მოუშადებულ მასწავლებელთათვის“¹.

მეთოდისაღმი ასეთი ფრთხილი, დაკვირვებული, პასუხისმგებლობის გრანობით სავსე დამოკიდებულება თავისთავად მოწმობს გოგებაშვილის შეცნიერულ ასპექტებს სახელმძღვანელოების შედგენაში. მართალია, ამ შეგვიძლია ვავიზირათ დიდი პედაგოგის მოსახრება, თითქმის „ხეირობით, ისტორიულნი და სხვა საგნები ყმაწვილის გონებას ჭერ სულ არ ეხებიანო“², მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ „ბუნება, საზოგადოთ და ყოველი, რაც-კი ვარშემო არტყია ყმაწვილს“, მისთვის „ადვილად გასაგონი, სასიამოვნო და სასარგებლოა“. ჩვენი დაკვირვებით, 3-4 წლის ასაკიდან ბავშვები უკვე აინტერესებთ ხეობრივი საგნები (ზღაპრები ხომ „ხეობისა ვარეშე წარმოუდგენელია, სადაც უმოთხრესად კეთილისა და ბოროტის საწყისთა ბრძოლა), აგრეთვე ისტორიული თავადადასაქლები. მაგრამ კითხვა „რატომ“, ესოდენ დამახასიათებელი ბავშვის გონებისათვის, უეჭველად მოითხოვს „დედაენაში“ საკითხავი მასალის სწორედ ამ კუთხით შეტანას უპირატესად ბუნების მოვლენებზე, როგორც ამას გოგებაშვილი აკეთებდა. მთელი მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა სახელმძღვანელოების შედგენის, ვაგრკელების, წლიდან-წლამდე სრულყოფის მიმართულებით აღნიშნულია არამარტო შრომის, დიდი ბრძოლის ნიშანდებებითაც და ყველაგან ვამოაჩენს ხოლმე ახალი ქართული პედაგოგის მამას, როგორც შეცნიერს, მოახრკენეს, მწერას, პატრიოტ მოქალაქეს, პრინციპულსა და მართალ ადამიანს. „დედა ენის“ შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“³. — ამბობს გოგებაშვილი. მგონი, ძნელია

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 5, 1957 წ., გვ. 105.
² იქვე, გვ. 11.
³ იქვე, გვ. 771.

მისი შემოაბის შინაგანი არსების უკეთესი დახასიათება.

მაგრამ ეს არ არის საქმარისი. გოგებაშვილს რაინდობად უნდა ჩაეთვალოს ახალი ქართული პედაგოგიკის არამართო პრინციპების დაცვა, არა მარტო ამ პრინციპების მიხედვით ბრწყინვალე სახელმძღვანელოების შექმნა, ეს თავისთავად ცხადია. არამედ, ბრძოლა ხსენებულ სახელმძღვანელოთა მტრებისათუ არაკეთილშობილურ თაწინააღმდეგე არც ერთ მის სახელმძღვანელოს, მიუხედავად აშკარა ღირებულებისა, უბრალოდ უნდა არ გაუკადავს. როცა შეარზულები და რუსიფიკატორები თავს ესხმოდნენ ქართველ პედაგოგს, ეს სავსებით ვსაგები იყო. მაგრამ გელისტკივილს იწვევდა ზოგიერთი ქართველი მოღვაწის ლაქიობით შთაგონებული ახირებული მოქმედება. მარტო «Русское слово»-ს, ჩვენს მიერ შემომოსხენებულ კონკურენტთა ვარჯა, უმირისპირდებოდნენ თავიანთი „სახელმძღვანელოებით“ კორხანილი მიხედვეი, ბანოვი და სოკოლოვი. როგორც სილოვან ხუნდაძისადმი კერძო წერილში თვით გოგებაშვილი აღნიშნავს, ზავადსკიშ და ვოსტოროვიშა მას „საქმე ვაუპირეს“—პირველმა «Русское слово»-ს „მოსპობის“ ცდით, ხოლო მეორემ „დედაენის“, „ბუნების კარის“ და «Русское слово»-ს „გაუქმების“ განზრახვით¹. გოგებაშვილს აქაც ბრძოლა უხდებოდა არამარტო რუსიფიკატორე-

ბის, არამედ იმ ლაქიების წინააღმდეგაც, რომელნიც ეროვნული დაღიერებას ეძებდნენ¹. შაა არაერთგზეს მოღსენიერსაწინე-ლი ცილისწამებაც. საქმარისია მარტო იმ ფაქტის ვახსენება, რომ „მოგზაურობა“ 1905 წელს, უკვე მოხუცი პედაგოგი, აუვად მოიხსენია, ხოლო მისი „დედა ენა“ მონათლა, როგორც „წარმატობის დამწერგველი ჩვენს მოზარდ თაობასა და ხალხში“. რას იზამ ისტორიის ზოგიერ დაუქერებელი პარადოქსებიც მოსდგამს!

მაგრამ იყვნენ აღმძიანები, მათ შორის ისეთი კოლონები, როგორც ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებიც კარგად ხედავდნენ გოგებაშვილის დიდ ღვაწლს; იყვნენ აღმძიანები, რომლებიც ქართველ პედაგოგს უწოდებდნენ „შამას“, „ალმზრდელს“, „მეგობარს“, „უშეშარ რაინდს“, „მატრიოტს“—არ იშურებდნენ ყველაზე საამაყო უპითეტებს მის შესამკობად. ეს ამხევებდა უანგარო მოღვაწეს—იყოზ გოგებაშვილს, რომელიც ვრძნობდა, თუ როგორ იყავა და ჭეშმარიტება გზას შეუბოვარ ბრძოლაში. რა გმირობა იყო საჭირო ამისათვის და თვითონაც რაინდული თავგამეტებით იღვა ახალი ქართული პედაგოგიკის სადარაჯოზე. ხოლო, როცა თვით რაინდი დაცა, ბრძოლა არ შეწყვეტილა, გააგრძელეს დიდი ქართველი პედაგოგის ღირსეულმა მემკვიდრეებმა, რომლებმაც არსებითად დამოთერეს ახალი ქართული პედაგოგიკის ისტორია.

¹ იყოზ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1962 წ., გვ. 358.

¹ იყოზ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962 წ., გვ. 357.

სამშობლო ქვეყნის დიდი მოახაზე

1907 წლის 30 აგვისტოს, სოფელ წიწამურის მახლობლად მოსუიდელმა ნაძირალეზმა სიცოცხლეს გამოასალმეს ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლო ქვეყნის მზრუნველი მამა და მოამაგე ილია ჭავჭავაძე.

ავაზაკების მიერ გულგანგმირულმა, მომბრუნებამ მგოსანმა არაგვის პირად, მტკრიან ვახუშტ, მწარე ტანჯვაში დალია სული.

მაგრამ ის მოკვდა ვეჯაკურად და შებრალემა არ უთხოვია მტრისათვის. მისი უკანასკნელი სიტყვები: „რას სჩადით!“ — მრისხანე გაფრთხილება იყო, მიმართული საქართველოს მოძულეებისადმი, ყოველი ჭურის შეებნელი ძალეებისადმი, რომლებიც ლამობდნენ ქართველი ხალხის დამონებას, მისი მიწა-წყლის მისაკუთრებას, მისი კულტურული საუნჯეების მოსპობასა და განიკვებას.

თუ დიდი სახალხო პოეტები გამოიხატებულნი არიან თავიანთი ერის ფიქრისა და ვრწმობების, მისი გულის ნაღებისა — და ეს ნამდვილად ასე არის — მაშინ ქართველი ხალხის გულის ნადები, მისი რისხვა და მწუხარება ილიას მოკვლის დღეებში საუკეთესოდ გამოხატეს საქართველოს დიდმა მგოსნებმა აკაკიმ და ვეჯაკ-შაველამ.

თავის უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკიმ ასე მიმართა თავის დიდ თანამებრძოლსა და თანამოკალმეს:

„შენ შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისყენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღალადებენ... თუ საქართველოს სიკუ-

დილი არ ეწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და პტონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენის სიკვდილით წინაუწარ მის სიკვდილს და თვალთ ვერა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი ვახუშტისა და მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და ამა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან ვარს... და ვინ იცის, ვეგებ სიკვდილით მაინც ვანამტყიყო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმავო! საუკუნოდ იყოს სხენება შენი!“

ვეჯაკ-შაველამ საგანგებო ლექსი უძღვნა მოკვლულ მგოსანს. მან ილიას სამშობლოს საფარი და თელღვინული დარაჯი, ამასთან მისი საწყლობის მოზარე უწოდა, სხვა ლექსში ვეჯაკიმ ილია დანახა უბადლო მამულიშვილად:

ვიწყა თავისი სამშობლო
თვით ღმერთზე მეტად იწამა
და დიდად ბატარა ერი
გულმა ითვისა მისამა.

ასე გამოხატეს ილიას დაღუპვით გამოწვეული სახალხო მწუხარება ქართველი ერის დიდმა მგოსნებმა აკაკიმ და ვეჯაკ-შაველამ. მართლაც უბოჟო იყო და უაღრესად გულწრფელი ქართველი მშრომელი მსგების მწუხარება იმ სამკლოვიარო დღეებში, ილიას დაკრძალვა გადაიტყა ქართველი ხალხის ეროვნულ დემონსტრაციად ცარიზმის წინააღმდეგ, მრისხანე მტკრად, რომელიც მიმართული იყო თვითმპურთბელერი რეჟიმის ერთგული ლაქებისადმი.

ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი და სულის ჩამდგმელი, ქართველი ერის ეხოტრების უბადლო მხატვარი, ხალხის სულის მესაიდუმლე და გულთამხილავი მომღერალი იყო ილია.

წელს, 12 ივლისს ღვეან ასათიანს შეუსრულდა დბადებიდან 70 წლისთავი, ვებჭდავთ ილია ჭავჭავაძეზე მის წერბლს, რომელიც მოგავაწოდა მწერბლის მეუღლემ თინა ასათიანმა.

ილიას უდიდესი, ისტორიული დამსახურება ქართული ხალხის წინაშე მდგომარეობს იმ დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემების წამოწვევაში, რომლებიც საარსებო, გადამწყვეტი ძირეულ პრობლემებს წარმოადგენენ საქართველოს ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე — მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველოს სპეციფიურმა ისტორიულმა ვითარებამ ილია ჭავჭავაძის ყურადღების საგნად გახადა ორი ძირეული პრობლემა — რომელთა გადაწყვეტას მან შესწირა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა, თავისი დიდი გონება, მთელი თავისი სასიცოცხლო ენერჯია. ეს პრობლემები იყო ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლება — პრობლემები, რომლებიც გამოსავალ პუნქტს წარმოადგენენ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის და რომლებიც გარკვეულ ხასიათსა და მიმართებას აძლევდნენ ქართულ მწერლობას, პრესას, კულტურულ შემოქმედებას გასული საუკუნის მთელ მანძილზე.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება, იდეური შინაარსი და თემატიკა მისი ლექსების, პოემების და მოთხრობებისა განისაზღვრება სწორედ ამ ზემოაღნიშნული პრობლემებით. უფრო მეტიც — მისი დიდი პუბლიცისტური შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა გაუგებარი გახდება ჩვენითვის თუ ვაუთავისწინებელი არ იქნება ამ პრობლემათა სპეციფიური ბუნება.

ილია ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებას მშობელი ხალხის წინაშე, უპირველეს ყოვლია, წარმოადგენს ის ოპოზიციური, რევოლუციური სული, რომელიც მან დაიწვია ქართულ ინტელიგენციასა და მშრომელ მასებში თავისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დღეებიდანვე. მისი პირველი პოეტური ნაწარმოებნი უკვე გაედენთიღონ იყვნენ ამ რევოლუციური სულისკვეთებით.

ილიას ცნობილი ლექსები — „გუთნის დედა“, „ნანა“, „კომუნის დაცემის დღე“, მისი პოემები „აჩრდილი“ და „კაცო ყაჩაღი“, მოთხრობები „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი“ სასტიკ პროტესტს გამოხატავენ უსამართლო სოციალური წყობილების წინააღმდეგ.

გავიხსენით თუნდაც ცნობილი სტროფები „აჩრდილიდან“:

„წრომისა აღსნა — ევ არის ტვირთი
 ძლევაჲმოსილის ამ საუკუნის,
 კაცთა ღელვისა დიდი ზეართი
 მავ აღსნისათვის მედგრადა იბრძვის.
 ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
 ვანახლებსა გრივალის ქროლის,
 ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
 ქემშარბტებით აღძრულსა ბრძოლას, —
 და დაიშხურევა იგი ბორჯილი,
 შემფგრბებელი კაცთა ცხოვრების,

და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
 ესე ქვეყანა ავლავ აფუკვადებისსა...

ეს სტრიქონები იწერებოდა პარხის კრძენის დამარცხების ერთი წლის შემდეგ, იმ კომუნის, რომელსაც მგზნებარე სტრიქონები მიუძღვნა ილიამ საჯანგებო ლექსში. პოემას „აჩრდილს“, ისევე როგორც „კაცო ყაჩაღს“ და სხვა პოეტურ ნაწარმოებებს სოციალურ თემაზე უდიდესი რეზონანსი ჰქონდათ ქართულ მოწინავე ახალგაზრდობაში. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს ნაწერები იღვივებდნენ ჩვენს ხალხში რევოლუციურ სულისკვეთებას და ოპოზიციურ განწყობილებას კაპიტალისტურ-ემპიმულური წყობილებისა და მისი დამცველი თვითმპყრობელები რეჟიმის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ილიას მიმართ საკვებით შესაფერი იქნება თუ გავიხსენებთ ვ. ლენინის ვენილურ სიტყვებს, გამოთქმულს სტატიაში „გერაცენის ხსოვნა“-ს. „რევოლუციური ქაღალდები ხალხისადმი მიმართვა, — ამბობდა ვ. ლენინი, — მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები ამორებს თესვას მკისაგან“ (იხ., ტ. 18, გვ. 19).

ილიას მხატვრული ნაწარმოებებით დათვლილ იდეებს, როგორც ექვთიათ, ამაოდ არ ჩაევილით და მათ თავისი დღეფასებითა სამსახური გაუწიეს საქართველოში პირველი რევოლუციის იდეური მომხადების დიად საქმეს.

ილია თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში განსაყუთრებული თანაგრძნობით უსავამდა ხაზს გლეხობის როლს ქართველ ხალხის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

როგორც დიდი და ქვეშაობიტი რეალისტი, იგი სიმართლით ხატავდა გლეხობისა და თავდაზნაურობის კლასობრივ გათიშელობას. ხაზს უსვამდა იმ უძირო უფსკრულს, რომელიც გახსნილი იყო ამ ორ წოდებას შორის. „კლახის ნაამბობში“ მან პოეტურად გამოსთქვა ფორმულა ამ წოდებრივი ანტაგონიზმისა: „ბატონსა და ყმას შორის სუყარულის ხიდი არ გაიღებაო“. ამ „ხიდატეხილობის“ იდეა მან, როგორც დიდმა მხატვარმა, სრული ობიექტური სიმართლით ასახა თავის შესანიშნავ „ოთარაანთ ქვრივში“.

თუ როგორია იყო ილიას შეხედულება მშრომელ გლეხობასა და თავდაზნაურობაზე, ეს საუკეთესოდ ჩანს მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერებიდან. იგი გულწრფელი თანაგრძნობით იხსენებდა გლეხურ მასებს. „ჩვენი უმეტრებით ვარემოცელი ხალხი, უბრალო გლეხობა, — ეს უმრავლესობა ქართულ-ლობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნული იმედებისაო“, — წერდა ილია ერთ თავის სტატიაში (ტ. 7, გვ. 14). პოემა „აჩრდილი“ ილიამ მოკვსა შეეძარავი სურათით ამ ველური ექსპლოატაციისა, რომელსაც განიცდიდნენ და-

ტონუზობის უღელში გაბმული ქართული გლეხები. ღრმა პროტესტანტული სულით არის გაღვნილი სხვა ნაწარმოებებიც, დაწერილი სოციალურ თემაზე — „მუშა“, „გუთნის დედა“ და სხვ.

უაღრესად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ილია სიციოცხლის მინილზე გამსჭვალული იყო ცხოველყოფილი ინტერესით სოციალურ პრობლემებსადმი.

ცნობილ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც 1899 წლის დამლევსაა დაწერილი, ეკვთვება ილიამ დიდი თანაგრძნობით მოიხსენია სოციალისტური წყობის ის იდეალი, რომელიც შეგუშვებულ იქნა მე-19 საუკუნეში. ერთი დიდი და საბუღოვანი საქმე შეცხრა-შეტე საუკუნისა, სხვათაშორის, ის არის, — წერდა იგი, — რომ მავარს საფუძველზე დაყენა და ფრთა ვაშლევინა კაცთმოყვარულს მოძღვრებას... „მართალია ამ მოძღვრების დასაბამი დიდი ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნეში ეს მოძღვრება ვანადიდა, გააძლიერა. ვანდობოთვა და დიდება რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწუო მოძღვრებად გარდაქცა“.

ილიას სიტყვით მე-19 საუკუნე მე-20-ეს ანდრომად გადასცა ვანბორცილემა ზემოსხუნებელი მოძღვრებისა, რომლის ძირითად პრინციპებს შეაღგენს: სოციალური უთანასწორობის მოსპობა, კლასების გაუქმება, ქონებისა და შემოსავლის თანაბარი განაწილება: „ღამანთა / შორის, მშრომელი კლასის ფეხზე წაიძვრება“. „მეცნიერება, — წერდა ილია, — ამ მე-19 საუკუნის ანდრომად უღარესსა და უღიდესს სავამს სხვის ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“ (ტ. 6, გვ. 7).

ილია ქვევავაძის ცხოვრების მთავარ საქმეს მინის ქართული ხალხს ერგუნული თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ამ იდეას მან მიუძღვნა მთელი თავისი სულიერი ძალები, მთელი სიციოცხლე. თავისი საუკეთესო მშატერულ ნაწარმოებებში მან გამოხატა ქართული ხალხის იცნება ეროვნულ თავისუფლებაზე, თავისი შემოქმედი ძალების აღორძინებასა და გამოვლინებაზე.

საინტერესოა, რომ ილიამ პატრიოტიზმის იდეის ყველაზე გულწრფელ, ყველაზე ღრმა გამოხატველად თავის ნაწარმოებებში დასახა ქართველი მშრომელი ხალხი, და არა გაქსუებული, გადავარებული ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც ზინ-მედლებზე მიჰყიდა თავისი სამშობლო მეფის თვითმყრობელობას, ვანთავა მამა-პაპული მიწა-წყალი, აბუჩად აიგდო მშობლიური ენა და კულტურა. ვანხსენეთ რა გულწრფელი სიტყვებით გამო-

ათქმევიანებს ილია თავის „გლახის ნაამბობში“ გლეხკაცს ვაბროს მშობლიური ქვეყნისადმი წმინდა სიყვარულის გრძნობას:

„ჩემისთანა უთვისტომო ადამიანსათვის, ამაბობს ვაბრო, — ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის სა-ქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი კრიმე, ჩვენი აყენა საქართველო, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველო, ჩვენი ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთავარ, და თუ გული გაქვს, გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?“

ან ვავიხსენით მეორე ადგილი ისევე გლახის ნაამბობიდან: „სიციოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედი-საა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჟერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვასკე-ლავები მამინ არა სჩანან“... შეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ „მგზავრის წერილებში“ ილიამ პატრიოტიზმის იდეის მტვირთველად და თავისი საპროგნაზო პრინციპების გამოხატველად უბრალო მოხვევე გლეხი ლეო დენია გამოიყვანა.

ახლა ავიღოთ ქართული პრივილეგიებუ-ლი წოდება. თითქმის ყველგან თავის მშატერულ ნაწერებში თავადაზნაურობა ილიას ვამოკყავს სამშობლოსადმი სრული ნილილობით გამსჭვალულ სოციალურ ფენად, წოდებად, რომელიც საკეთარ ინტერესებს მუდამ უფრო მალდა აყენებს მშობლიური ქვეყნის სასიციოცხლე ინტერესებზე.

ვანსაკუთრებული სიმკვეთით ქართველი თავადაზნაურობის უბადრუკი ეროვნული ნილილიზმი ილიამ ვეიჩენა ცნობილ სატირებში: „რა ვაკეთოთ, რას ვმტერბოდით“, „ბედნებური ერი“, აგრეთვე „პასუხის პასუხი“. ამ როგორ მიმართავდა ილია თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ახალი ინტელიგენციის სახე-ლით:

ჩვენი ქვეყანა
მკვდარი თქვენგანა
თქვენებრ ჩინებზე არ ვავცილია...
ლიბერალიზმა,
პატრიოტიზმა
სალანდვად სიტყვად არ ვავცილია:
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჟერებზე არ ვავცილია.
ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩერად არ ვავცდო-
მა...

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია ზრდიდა და აღიევბდა ქართველი ერის გულში სამშობლო ქვეყნის სიყვარულის, პატრი-

ოტიზმის კეთილშობილ გრძნობას. სამშობლო ქვეყნის განთავისუფლების იდეას ანაცვალა მან მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილი. „დროის სატყვიარი“, როგორც ის უწოდებდა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას, შას ნებას არ აძლევდა მარტო მწერლობისათვის შეეწირა მთელი სულიერი ძალისხმევა. არა, ის სათავეში ედგა ყველა ქართულ საქმეს და წარმოადგენდა მათ ერთი მიზნისაკენ — ეს იყო სამშობლოს განთავისუფლება ცარიზმის მძიმე უღლისაგან, ეროვნული დამონებისაგან. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ილიას მოღვაწეობა, როგორც ქართული ხალხის ნაციონალიზაციის მოძრაობის მეთაურისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. დიდი და დღევანდელია ეს ღვაწლი. ილიას და მისი თანამებრძოლების — დიდი ქართველი მწერლების და მოღვაწეების — აკაცი წერეთლის, ნიკო ნაყოლაძის, ვიოროვი წერეთლის, ვევა-ფშაველას და მათთან ერთად მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შეერთებულმა შრომამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოაფხიზლეს ქართველი ერის სოციალური და ეროვნული თვითშეგნება, აღაორძინეს ქართული კულტურა, ქართული პრესა და მწერლობა, შეიტანეს ხალხის ფართო მასებში განათლების სხივი და დანერგეს მის გულში ბრძოლის სულისკვეთება და შეურიგებლობის გრძნობა მზავრელი ძალებისადმი, მემამულურ-აპიტალისტური წყობილებისადმი, მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმისადმი. ამით საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებმა და უპირველეს ყოვლისა, მათმა მეთაურმა და სულს ჩამდგმულმა ილია ქაქვიამამ ნაყოფიერი ნიადაგი მოუზარდეს 1905 წლის რევოლუციური მოძრაობას, ხელი შეუწევს საქართველოს რევოლუციურ მემართა კლასს თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გახდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი.

თი რაში მდგომარეობს საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალიზაციის მოძრაობის მოღვაწეთა და პირველ რიგში, ჩვენი სახელოვანი პოეტისა და პუბლიცისტი ილია ქაქვიამამის დღევანდელი ამაგი სამშობლო ქვეყნის წინაშე ქართველი მშრომელი ხალხის წინაშე.

„ყველა დროს თავისი ტყვილი აქვს, — წერდა ილია ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში, — და გაგება ამ ტყვილისა ზვედრია მარტო ზინებულ კაცებისა, და ქვეშაირი მესტორი, ვითარცა გამკითხველი, ჟერ ამ დროების ქერქში უნდა ჩაქდეს და შერე განიკითხოს თვით დროების შეიღონია (თხზულებანი, 1941, ტ. 2, გვ. 346).

ილიაც თავისი დროების შეიღი იყო და მისი შემოქმედებაც უპასუხებდა თავისი დროისა და საზოგადოების მოთხოვნებს.

მაგრამ ეს გარემოება სრულად არ ნიშნავს იმას, რომ ილიას ნაწარმოებებს [ტრუქუნა] და გარდაამავალი მნიშვნელობა [ქვეშაირი] მქონდა, ილიას მხატვრული შემოქმედება უკუდავია, ის ცოცხალია და მთლიანად შემოღის ჩვენი საბჭოთა კულტურის საგანძურში, როგორც შესანიშნავი გამოვლინება ქართული მხატვრული გენიისა, როგორც დაუშრეტელი საღარი მალაი და კეთილშობილური იდეებისა.

ბევრი რამ ილია ქაქვიამამის მსოფლმხედველობიდან, მისი ნათელი და ღრმა აზრებიდან განავრძობს ცხოვრებას, არ ჰკარავს თავის ცხოველყოფელ ძალას და აქტუალობას ახალ დროსა და ვითარებაში. ბევრი ამ ნათელი იდეებიდან სამარბოლო იარაღად ემსახურება საბჭოთა თათბებს და ხელს უწყობს ჩვენი ხალხის ძლევისათვის სელას კომუნისმის ნათელ სამყაროსაკენ.

ბევრი პრობლემა, ლიტერატურული თუ პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც აღვლევდა ილია ქაქვიამამის თაობას რამდენიმე ათეული წლის წინათ, ზოგჯერ დღესაც, ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში, ახალი სახით და ახალი ფორმით იცნება ჩვენი საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, როგორც ცოცხალი, საღვლისო, აქტუალური საკითხი. ამ პრობლემის გადაჭრის დროს დიდ ინტერესს შეიცავს ის თვალსაზრისიც, რომელიც თავის დროზე გამოთქმული იყო ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის შიგრი.

აიღოთ თუნდაც ქართული სალიტერატურო ენის საკითხი, რომელიც ასე ფართო საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სინამდვილეში, როგორც უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა.

ქართული საბჭოთა მწერლებისათვის შესანიშნავ მაგალითს და მისაბამ ნიმუშს წარმოადგენს ამ შემთხვევაში ილია ქაქვიამამის. როგორც მწერლის მემამობა ენაზე, მისი ვიჯანტური შრომა, ჩატარებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოსაყალიბებლად ხალხის ცოცხალი საღამარყო ენის შესწავლის, დამუშავებისა და დამტლების საფუძველზე.

„არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“ — ამბობდა ილია და საბჭოთა იმპროვაცია ქართული ენის დაცვისა და სიმშინდისათვის.

ჯერ კიდევ თავისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისშივე ილია გამოვიდა როგორც მებრძოლი ქართული სალიტერატურო ენის სიმშინდისათვის, მისი ხალხურ სამეცხველო ენასთან დაახლოებისათვის.

მამა-მამათაგან გადმოცემულ სულიერ საუწყებებიდან ილია ენას მიიჩნევდა ერთ-ერთ უმთავრეს საუნჯედ და მოუწოდებდა ყველას მისი შეუბღალავად დაცვისაკენ. „სხვისა სრ

ვიცი და ჩვენ კი შობელ მამასაც არ დავთმობთ ჩვენ შობილერ ენის მიწასთან გასწორებას — წერდა ილია თავის პირველ კრიტიკულ წერილში, — ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საყურებზეა, მაგას კაცი ცოდვილის ზღლით არ უნდა შეეხოს».

ამიტომ იყო, რომ ილია სასტიკად ილაშქრებდა იმ ლიტერატორების წინააღმდეგ, რომლებიც დაიდევრად, უპასუხისმგებოდ ვეცოდნენ ენის სიწმინდის საკითხს. „ლიტერატურა — ხალხის კვება, ხალხის გონება, გრძობა, ფიქრი, ჩვეულება, და განათლების ხარისხია“ — ამბობდა ილია, ამიტომ ის ყოველი მწერლისაგან მოითხოვდა ცოდნასა და მაღალ კვალიფიკაციას. „უნიჭო და ამასთან უცოდნარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, — ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულის მკითხველისას“, ილიას აზრით, ნამდვილი მწერლის ერთ მთავარ დამახატებელს ხალხის ერთობლივი საუფროსი გამოამყარებდაც წარმოადგენს — ნიჭიერი მწერალი მისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმეო“, წერდა ილია.

შეტად საინტერესოა ილიას შეხედულებები ენისა და აზროვნების ურთიერთობის შესახებ. ერთ თავის ადრინდელ კრიტიკულ სტატიაში ილია წერდა: „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“ (მასუბი, თხზ. ტ. 2, გვ. 23). „სადაც აზრი არ არის, — იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე შე არსად არ გამოვიდა, რომ უაზრო ენა იყოს სადმე. აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“ (მასუბი, თხზულებანი, 1941 წ. ტ. 2 გვ. 25).

მეორე ადგილას, ილია სხვა სიტყვებით გამოთქვამდა ამავე შეხედულებას: „მეტყველებს ნიჭის ისეთი მარჯობაა უნდა როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრება“ (იქვე, გვ. 57).

ძალიან საინტერესოა ილიას მოსაზრებები სალიტერატურო ენისა და სახალხო ენის, საშობლო ენის დამოკიდებულების შესახებ. ილიას აზრით, მწერალი თავის ლექსიკურ მარაგს უნდა გამუდმებით აკუმულაციროს საერთო-სახალხო ენის მარაგიდან. მწერალმა, ილიას სიტყვით, „უფრადღება უნდა მიაკციოს დაევირევიან ხალხის სიტყვის გამოთქმასა“, რადგან „ენას კანონს თვით ენა აძლევს“ და არა სქოლასტიკოსების მიერ შექმნილი თეორიული სახელმძღვანელოები.

მაგრამ ილია ჰეკეაქაძე მარტო ხალხის ცოცხალ საშობლო ენას არ თვლიდა სალიტერატურო ენის საფუძვლად. იგი მოითხოვდა, და საყურებით მართებულად, რომ ცოცხალ სახალხო ენასთან ერთად სალიტერატურო ენა დაყრდნობოდა ლიტერატურის მიერ თავის ისტორიულ განვითარებაში გამოყენებულ

ენობრივ საფუძველს, რომ მას შობილერ გამოყენებინა კლასიკური ლიტერატურის ენა. შესანიშნავია ამ მხრივ ერთი ადვილი მაგალითი კრიტიკული წერილიდან, სადაც ილია განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული კლასიკური მწერლების ენისადმი. „როცა ვკითხულობდი (რეკავს ერისთავის მიერ თარგმნილ „შეშლილს“, — წერს ილია თავის კრიტიკულ სტატიაში, — სწორედ უნდა მოვასხროთ, ხან გვეყნებოდა და ხან გვეწუებოდა. რომ ეგერო ენო ენად ვნახეთ საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგლონა თავისი ლეოტიანი სიმღერები თავად ალექსანდრე პუშკინამ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა (მაგ., უფროოდ დამარბულმა ჩვენმა იმეშმა), მარშონიულად და ნაღვლიანად დაამღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლად-ზეგარდმო შეთავსებული წერილი ლექსებში... ცოტა ქვემოთ იმავე წერილში ილია პირდაპირ მოითხოვს, რათა თანამედროვე საბრუნველო ენამ გამოიყენოს წინა თაობის პოეტების ენობრივი მიღწევები:

„რომ არა გვეყანდნენ რუსთაველი, ალ. ჰეკეაქაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ თარგმანი, კიდევ კო, რომ გვეყანან, რატომ არა ვსწავლობთ იმთ მშვენიერ ლექსებში მშვენიერს ენას?“ (ტ. 2, გვ. 10).

თუ რა დიდ მუშაობას ეწეოდა ილია ჰეკეაქაძე ენის დაუღლებამზე, ამის შესახებ არსებობს მრავალი საინტერესო მოგონება ილიას თანამედროვე მოღვაწეებისა. იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე, იაკობ მანაგეტაშვილი და სხვა მწერლები, რომელთაც სტადისზე დაბრუნების უთანამშრომლიათ ილიასთან, მოუშენა ყოფილად ჰემარიტად გოლიათური მემუნიონისა, რომლებიც ილია ეწეოდა, როგორც საერთო მხატვრულ ნაწერებზე, ისე სხვის მასალებზე. რომლებიც დასაბუქდად შემოდიოდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში.

თავის სალიტერატურო მუშაობაში ილია ჰეკეაქაძე უპირველესად ანგარიშს უწევდა მასობრივ მკითხველს, ქალაქის მშრომლებს, გლეხობას, სწორედ იმ დამალ სოციალურ ფენებს, რომლებიც თავის მხრივ ასაზრდოებდნენ და კებადდნენ მწერლობას ცოცხალი, სალაპარაკო ენის ლექსიკური მარაგით.

„ივერიის“ რედაქციის თანამშრომელი ი. მანაგეტაშვილი გვიამბობს თავის მოგონებაში, რომ „ილია იყო პირველი შთამაგონებელი, დაუღდავი მჭადაგებელი იმ აზრისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართული გაზეთი ან წიგნი, მეტყველოდეს მთელი საღამოები გაკვირებია და სჯამასი გვექონია იმის შესახებ, თუ ვინ არის დღეა ჩვენი მკითხველი, ის სად უნდა ვეძიოთ ეს მკითხველი, ილია იტყვოდა ხოლმე: „ჩვენი ღიდაკობა, ჩვენი წარჩინებულნი

მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარი, იმათ ქართულად და ქართველობად ორივე ფეხებზე ჰკიდიათ. ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაცვა იქნებოდა", მამსა-დამე, გადაგვარების გზაზე დამდგარი არისტოკრატიისათვის შრომა ამო იქნებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, ილიას აზრით, „ზე არ კვდება თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვთ. აი, თუ სწორად ეს ფესვები მაგრად გვეჭნება შენახული, კარგად მოვლილი, მამინ ჩვენი საქართველოს განაყოფილი არ მოელის, კვლავ გამხმვდება და გაძლიერდება. დეე, ჩვენი წარჩინებულნი განადგურდნენ, როგორც გამხმარი კენწეროები, ამათ ადგილს სვია, უფრო ღონიერი და განსაღი ყლორტები მოევა. და აი, სწორედ ამ ფესვებს უნდა ამოვართ ჩვენი. ამ მდაბო ხალხისათვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვებრუნოთ. ჩვენ მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი უკნება მხოლოდ მამინ, თუ იმათი ენით დაუფყვებთ ღაბაჩას, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ჟურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი უკნება ჩვენი მუშაობისა. აი ვისთვის უნდა ვუჭირობდეთ, ვისთვის უნდა ვებრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ“ (მოგონებანი, გვ. 81).

ილია პავლეაშვილს ქართველ მწერლებს პირადი ლიტერატურული შრომით კლასიკური მავალი მისცა იმისა, თუ როგორ უნდა ესწავლა მწერალს ხალხისაგან მისი ენა, მისი მეტყველება, როგორ უნდა დაუფლებოდა ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე დამუშავებულ პოეტურ საუნჯეს. წლების მანძილზე ახალგაზრდა ილია უშუალოდ ცხოვრობდა ხალხში, მჭიდრო ურთიერთობაში იყო მშრომელ გლეხობასთან, მდიდრდებოდა ხალხური სიბრძნით, პოეზიით, ენობრივი მასალით.

თანდათან სწავლამ გარკვეული ბეჭედი დასვა ილიას ნაწერებს. მისი კლასიკური შედეგებზე — „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანი“ და „კაკო-უაჩალი“ — შედგება ქართული ხალხური მეტყველების იდეალური შერწყმისა ქართული კლასიკური სალიტერატურო ენის სტილისათა.

გარდა ლექსიკური მასალისა, გამოთქმებისა და აფორიზმებისა, ილიამ დიდად ისარგებლა ხალხური პოეზიით და საანდაზო მასალითაც. როგორც ილიას ტექსტის მკვლევარებმა აღიარეს, მართო ზემოხსენებულ სამ მოთხრობაში ილიას გამოყენებია ორმოცდაათამდე ხალხური ანდაზა და აფორიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ხალხისაგან ნასარგებლები სიმდიდრე, ისევე ხალხს დაუბრუნდა ილიას უკვლავ ნაწარმოებთა სახით, ათასჯერ უფრო მალა პოეტურ ხარისხში აყვანილი. ილიას მხატვრულმა შემეყიდრობამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის სულიერ აღორძინებას და კულტურულ ამაღლებას. მისი შემოქმედებითი ძალების გამოღვივებამ ახალი ცხოვრებისათვის.

ილიას შეხედულებებიდან, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ ცხოველყოფილ ძალას, საინტერესოა აღინიშნოს მისი შეხედულებანი პაროქენისა და საზოგადოების ურთიერთობაზე, პაროქენის როლსა და დანიშნულებაზე ხალხის, საშრობლოს, კაცობრიობის წინაშე. როგორი იყო ილიას მიერ გამოქმნიებული იდეალი პაროქენისა, კემმარტი ადამიანის და მოქალაქისა?

ილიას ნაწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მის ნეგროლოგებს და სიტყვებს ცალკეულ ქართველ მოღვაწეებზე. ამ ნეგროლოგებში ილიას გამოთქმული აქვს მრავალი ღრმა და მნიშვნელოვანი მოსაზრება.

რა მიაჩნია ილიას ადამიანში მოთავსად მნიშვნელოვან ღირსებად? ამ ღირსებად მის მიაჩნია ხასიათის სიძლიერე და სიმტკიცე. ბრწყინვალე წერალში, რომელიც ილიამ მეფის აგენტების მიერ ვერაგულად მოკლულ ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს უძღვნა, იგი წერდა:

„მძლეთ მობურთალნი ქვეყნიერების მოღვაწე მარტო დიდ ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღირსი მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებიან გელთასრულობა, დიდხასიათობა, ამისდამიუხედავად. — ტრილი ემარჯუათ თუ ემარცხათ.

უოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქაფლობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცს წინაშე უყლია უნებელით თავს იხრის მოწინებით და სასუბითა“ (1887 წ. ტ. 2, გვ. 516).

სხვა წერილში ილია ასე განმარტავს დიდებულებოვან თვისებას:

„მხოლოდ დიდ-ბუნებიათ კაცთა თვისებათ ერთხელ რწმენილი და აღიარებული ვიხატავენ თავის სიცოცხლის სავნად და მას ქვეშ დაუვონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისივე ნიშნად იმისა, რომ კემმარტიება მეტად უღირსს, ვიდრე საკეთიარი სიცოცხლე“ (1886 წ. ტ. 2, გვ. 49).

ილიას აზრით, საქვეყნო მუშაობას უღიღესი პასუხისმგებლობით უნდა მოეციდოს თითოეული ადამიანი. რა არის ამისათვის საჭირო? საყოველღეო საზოგადოებრივ მუშაობას, — ამბობს იგი, — „გამუდმებული თაედღება უნდა დიდი გელმოღვივნა, დიდი ღონე ზნეობისა, დაუცხრომელი სიყვარული, დაუღალავი ბეჭიობა და გაუტეხლობა გულ-პატროსნის მუშაისა და გამარჯვისა“ (1887 წ. ტ. 2, გვ. 532).

ილია მკითხველთა საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ ქება-დიდებას ასხამს საქმისათვის თაედღებულ ნიჭიერს და გამარჯ ადამიანებს: „ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია“, — წერს ილია, — და ამ აზრის დასამტკიცებლად იშველეებს ვოლტერის

არს, — „უფულობა და უქონლობა კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაი — ამბობს ვოლტერი“ (1891, ტ. 2, გვ. 534).

ილიას აზრით, მხნე, გამარჯე და საქმეში უკანდაუხვეული ადამიანები ერის, ქვეყნის ძალღონესა და ციხე-სიმაგრეს წარმოადგენენ, და მათ მიერ განვლილი „ღვაწილით დაქნილი“ გზა მთელი სყოლაა იმათთვის, ვისაც „კაცობრიობისათვის გული ერჩის“. ილიას თქმით, მისი დროის ქართველობის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მან „მარტო წუწუნი იყოს“ და არა „საქმის აჩენა, საქმის ვატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და კიდილი“ (1898 წ., ტ. 2, გვ. 540).

შესანიშნავია ილიას აზრები, გამოთქმული მის მიერ დიდი და პატარა საქმის შესახებ.

დიდი ტაქტიით და სიფრთხილით ავტებს გულისხმავი ბრძენი ილია თავისი დროის ახალგაზრდა ინტელიგენციას — რათა ყველანი უცლებლად ჩაებან საქვეყნო საქმეში და ყველა მოქვიდოს ხელი საზოგადოებისათვის. სასარგებლო სამუშაოს, მიუხედავად იმისა — დადი იგი თუ მცირე თავისი მოცულობით. ილიას მართებული რწმენით, ადამიანის მოვალეობა მარტო საქმის ერთგულებით და ვაჯირობით არ უსაძებს. ყოველ საქმეს ადამიანისას სხვა საზომში მოეპოვება — ეს არის ზნეობრივი საზომი, ურთმლისოდაც ფასი ეყარება ადამიანის შრომას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი. საინტერესოა ამ მხრივ ილიას ერთი კერძო წერილი, ვაგზავნილი ყვარლის მამულის მთურებისადმი 1875 წელს.

„თუ დღერთი გვამს, — არიგებს ამ წერილში ილია თავის ახალგაზრდა მოურავს, — ეს ანდერძად გვონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უბატიონება არ გაურიო. ვახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ, ქალაქის გარდა, არის კიდევ სვირდის, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარება უზნეობაზედ შეუძლებელია. ზნეობრივ პრინციპებს და რადიკალურ გაყოფებულნი საქმე სახეობა არასდროს არ იქნება არაფისათვის... მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვანებ წინ, სვირდის ბრძანების ვასრულებ ხოლმე“... (ი. კ. თხზ. ვედევან შ. ც., ყფმთბ, გვ. 75).

ასეთი არის ილიას შეხედულებები ადამიანის პიროვნებაზე, მის როლად და დანიშნულებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თვისებათა იმ კომპლექსზე, რომელთა ერთიანობა ხელს უწყობს საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანთა ხასიათის გამოთქმვას.

ეჭვი არაა, რომ ილიას მიერ წარმოადგენილი იდეალი პიროვნებისა ძალიან უახლოვდება საბჭოთა მოწინავე ადამიანის ტიპს, კომუნისმის მშენებელი ადამიანის იდეალურ ხასის.

ილიას უკუდავი იდეებიდან ჩვენი საბჭოთაობა მთლიანად ლებულობს მის ჰუმანისტურ იდეებს, იდეებს ხალხთა მშობისა და შეგობარებისას, მის უზომო სიბრუნელს აღმინათა მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისადმი, იმპერიალისტურ ერთა მიერ კოლონიური ერების ჩაგვრისა და დამონებისადმი.

ილიას ის ნაწერები, სადაც ეს იდეებია ხორც-შესხმული და დიდი დამაყრებელი ძალით გადმოცემული, ისევ ცოცხლობენ, არ კარგავენ თავიანთ სიმახვილესა და შთამავრებელ ძალას.

ილია ერთი უდიდეს მქადაგებელთაგანი იყო რუსეთის იმპერიაში შეშავალ ხალხთა მშობისა და შეგობარული კავშირისა. ჩერ კიდევ პოემა „ანრდილიში“ მან ინატრა კავკასიის ხალხთა მომავალი მჭერი კავშირი და მიუძღვნა მას მაღალპოეტური სტრიქონები:

„როდის-ღა ენახავ მშვენიერსა, ამ ქვეყანასა თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვალეცა აღდგარსა...“

...როს ეს ტოტნი ერთ ცხოვრების ერთ-არსებნას ეხლა გავრდინი, ერთ მდინარეზედ შეროთღებია?

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძღავრ კავკასიისა ერთისა აზრით, ერთის ფაქრით ვანდიდდებთან? (ანრდილი, თავი 24).

პოემაში „ღელა და შვილი“, რომელშიაც ილია მომავალი დროების ერთი სურათი ააბა, არის ერთი ადგილი, სადაც ქართველი დედა ხედავს რა კავკასიის მოძმე ერთა შეკავშირების შემოსეული მტრის მოსაგერებლად, წარმოსთქვამს ასეთ მნიშვნელოვან სიტყვებს:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს
კასპის ზღვიდამ შავ ზღვამდისა ერთ ფიქრსა ფიქრობს.
და ეგ ფიქრა მთელ კავკასის თავისუფლებას...
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვარა“.

პოეტის ეს ოცნებით დახატული სურათი რეალურ სინამდვილედ იქცა საბჭოთა ხელსუფლების პირობებში. და ილიას ეს უკუდავი სტრიქონები არა ერთხელ იქნა გახსენებული 1942 წლის მრისხანე დღეებში, როდესაც გერმანულ ფაშისტთა ვაშლკეცებული ურჯოები, კავკასიის მისადგომებზე მოსულნი, ლამაზდნენ ჩვენი ქვეყნის ვანადგურებას. მაგრამ ვერაგ მტერს ღირსეულად დაუხვდა „მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმოაქვინავი“.

ილია მოითხოვდა რუსეთის იმპერიაში მოსახლე ერების თანასწორუფლებიან კავშირს და თანამშრომლობას, განურჩევლად ამათვიმ ერის რიცხობრივი რაოდენობისა.

ილიას ეს ოცნებაც გამწორცილებულია. ძველი რუსეთის ხალხები დიდი ხანია შეროთუბულნი არიან თანასწორუფლებიან ერთა ოჯახში.

ნათია მნახვილი

გამაზადებელი სიყვარული

სამამულო ომის ყველაზე მძიმე პერიოდში გამოქვეყნდა გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პოემა „გიორგი მეექვსე“. ეს ნაწარმოები ქართულ საბჭოთა პოეზიაში სამართლიანად არის აღიარებული ერთერთ საუკეთესო პოემად. იგი გამოირჩევა კომპოზიციური მთლიანობითა და მიმზიდველი კოლორტით. საქართველოზე თემურ ლენგის თარეშის წარმოსახვით პოეტი, ასოციაციების უწყვეტი ნაკადით, გვიხატავს პიტლურ და მძვინვარეობას წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა ზალს. ამ ისტორიული პოემით გრ. აბაშიძემ ბრწყინვალედ გააგრძელა ქართული კლასიკური ლიტერატურის სისახელო ტრადიცია.

მწერლები ისტორიაში უმეტესად დიდ პიროვნებათა მოღვაწეობის წარმოსახვისაკენ მიიწრაფიან, ან თავიანთ გმირებს ერის ისტორიული აღმავლობის ეპოქაში ამოქმედებენ. ამ შემთხვევაში თვით გამოსახავი საგნები და მოვლენები ეხმარებიან მათ, აწვდიან თავიანთ ბუნებაშივე არსებულ ანალოგიურ, მიმზიდველ თვისებებს. ამგვარ მიმართებას ისტორიული თემატისადმი ყოველთვის გააჩნია მეტ-ნაკლებად შესაძინევი რომანტიკული ელფერი. ამიტომ, რომ დიდ პიროვნებათ შესახებ არსებული მშრალი ისტორიული ქრონიკებიც კი ემოციურად იყითბება.

გრიგოლ აბაშიძემ ჩვენი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდი აქცია პოემის ობიექტად. ეს არის პერიოდი თემურ-ლენგის შემოსევებისა, როცა საქართველო ბარბაროსული ზოცვა-გლეჯისა და ნგრევა-დაბრუნვის ასპარეზად იყო ქვეული.

სამამულო ომის პერიოდის ლიტერატურის ამოცანას სასეზონო შევსებამეზა საქართველოს ისტორიის ამ მწვანედღით პერიოდის მხატვრული გაყოცხლება. წარსულისა და აწმყის სტრა-

თების დაპირისპირება ესთეტიკურ მთლიანობად გვევლინება. თავისთავად კომპარული ისტორიული ფაქტი ესთეტიკური განცდების წყაროდ იქცევა იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ნათელ სახეს ვკვრებთ.

ამ პოემაში გრ. აბაშიძეს სიზუსტით არ გადმოაქვს ისტორიული რეალიები, ეს მას არც სჭირდება პოეტიკისათვის მთავარია გამოსახავი ეპოქის საერთო სული, ის მოტივი, ის იდეა, რომელიც მკვეთრ რეზონანსს პოელობს დღეს. იგი ეძებს აღნიშნული ეპოქის ტიპურს, დამახასიათებელს, ნიშანდობლივს და, ამდენად, რეალურს. მისი მიზანია, აჩვენოს ქართველი ზალის გმირული შემართება შემოსეული მტრის წინააღმდეგ, მისი გაუტეხელი ნებისყოფა, შეუდარებელი თავდადება, პირალი ინტერესების უგულვებელყოფა და აღიარება საერთო, საზოგადო ინტერესებისა, ამიტომ მწერლის თვალთახედვა სწორედ ამ მომენტებზეა ვამახვილებული. გრიგოლ აბაშიძეს მკითხველი კი არ გადაყავს ისტორიაში, არამედ ისტორია მოაქვს ჩვენამდე. მისთვის ისტორია თემა და არა მიზანი. ამ ფონზე განვითარებული დრამატისმით იგი ბრწყინვალედ პასუხობს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს. ამიტომ მივიდა ეს შესანიშნავი მხატვრული ქმნილება ასე ახლოს მკითხველის გულთან. ამის ხელი შეუწყო იმ დახვეწილმა მხატვრულმა სახეებმა და ხერხებმა, გმირის ხასიათის ჩვენების იმ მალაღმა ოსტატობამაც, რითაც ეს პოემა ხასიათდება.

პოემა „გიორგი-მექვსის“ მოქმედების დინამიკა და პირველივე სტრიქონებში ჩაქსოვილი გმირის ხასიათის ძირითად მტრისებებს უცებ შევყავართ ტყვილით, შიშით, გოცეობითა და სიამყით სასუ სამყაროში, რომელსაც მდგომარე-

ობის შესაფერისი კოლორიტი საოცრად ემოციურსა და შთამბავებელს ხდის.

„კარვის კარბთან მიწვდა ჩიბრული,
ფუმოლი დადა წინანდებური,
ჩაფიქრებული და მოღუშული
ტახტზე მდუმარედ იქდა თეშური“.

ამ მდუმარე, დაბნულ ფონზე შებოსნებმა შემოიყვანეს თვალახვეული და იარაღაყრილი უცხო ვაჟაკი, რომელმაც ისე გადასცა ვეზიხს გრანდილი, რომ საღამზე წელშიც არ მოშვილდულა. მუქარით იყო სავსე ქართულთა მეფის— გიორგის შემონათელი. წერილთან ერთად მისი მომტანის თავხედობამ და ვაგუტებლობამაც გვანარისსა თეშური და ეს თავხედობა გვიარამ მარგველი ვაჟაკური მარგვენი ფსაღ დაღუსეა. მკლავმოკვეთილი და სიცხიანი გვარამი მასთან დიღუგში მოგზავნილ დასტაქარს აღსარებამა გავაღუშის თავისი ცხოვრების გზას...

ძუძუმტენი იყენენ ისა და ქართველთა მომავალი მეფე—გიორგი მეექვსე; ერთად იზრდებოდნენ და გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი. ბედნიერი იყო მათი ბავშვობა, მაგრამ ბოლოს მაინც მოხდა ის, რის წინაშეც უძლურია ხშირად გონება. ძუძუმტენი გლეხის ასულის — ნათიას ტრფობამ შეიპყრო და ერთ ქარქაშში ვერ მოთავსდა ორი ხმალი... გამძვინვარებულ თეშურთან რისხვითა და მუქარით აღსავსე წერილის მიტანა, გიორგი მეფის შთაგონებით, დაბნაზის ერმა გვარამ მარგველს დააქისრა. ეს ეღრობა კი სიკვდილს ნიშნავდა. მტრის ბნელ დიღუგში გამოიჩქრა, რომ ნათია, რომლის ტრფობამაც აქ მოიყვანა გვარამი, თურმე დასტაქარის ასული ყოფილა... შემდეგ ვაჟარე მტრის ბანაკიდან, მონაღოლთა ურდობისა და ქართველთა ქარის სამკვდრო-სასიციოცხოლო შერკინება, რომელშიც გამოვლენილია ხმაღუშურცხვეწული ქართველი ხალხის გმირობისა და ვაჟაკობის სტიქია, და ბოლოს მთავრე ცეცხლის ვენბად შემხდარი დედათა მოწასტერი...

პოემაში მთელი სამყარო თავგადასავალი მშობელი მიწის დაუოკებელი სიყვარულის ფაქის და ამალბებულ ფონზე ვითარდება. ავტორი ეგზოტიკური მომენტებით ამბავებს სიუჟეტს, უღრუსად მიმზიდველი ფერებით არის წარმოდგენილი გვარამისა და გიორგის ბავშვობა, სიპახუე, გლეხებთან ძმაღვათცევა, ქორწილი და პერბის გლეხის ოჯახში.

საუკუნეთა შორეთში გმირთა სახეებს სცილდება ის მიწიერი და წვრილმანი თვისებები, რომლებიც აწყროში უფრო მევეთრად შეიჭრნაბა. ამ შორეთზე ფონზე მოვლენები მძიმედ და დამბული საშით წარმოვედგება. პოემაში გიორგი მეფესა და გვარამ მარგველის ონფლიქტ ერთის სიავეთა და მეორის სიყარვით როღია გამომგაღენებული. გიორგის საქციელი (გვარამის

მის გავზავნა ურდოში ელხად), რომელიც მძიმე შედეგს გულისხმობს, შეგნებულ და ღრმა პორტებზეც კი არ არის აღმოცენებულ, მარგველადამიანურ სისუსტეზე. იგი, როგორც წინამეტყვითა, რა თქმა უნდა, კარგს არ გულისხმობს, მაგრამ ვერ კიდეც არ ნიშნავს მოუტევეზლად ცოდადამიანობას.

ჩვენს კრიტიკაში შენიშვნის სახით გამოითქვა აზრი, თითქოს პოემა „გიორგი მეექვსეში“ მერთალად არის ნაჩვენები მთავარი გმირის — გიორგის სახე, იგი ვერ არის წინა პლანზე წამოწეული და პოემა სათაურად უფრო გვარამ მარგველის სახელს იმსახურებს, ვიდრე გიორგისას. ჩვენი აზრით ეს იმის შედეგი კი არ არის, თითქოს გიორგის სახე პოემაში სრულყოფილად არ იფოს ნაჩვენები (როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს), არამედ იმისა, რომ პოემაში მეორე, უფრო დინამიური სახეა მოცემული. პოემაში მოქმედების სიმძიმის ცენტრი გვარამ მარგველზეა გადატანილი და, ცხადია, ნაწარმოებსაც იმ გმირის სახელი უნდა ერქვას, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ყოველშემოხვევაში, თუ უშუალოდ ამ გმირის სახელი არა, იმის სახელი მაინც არ დაერქმევა, ვინც მეორეხარისხოვან გმირად არის მიხნეული. ექვი არ არის, რომ გვარამ მარგველი უფრო აბლოს მიდის მკითხველთან. ამ მთავებლილბას კქმნის თუნდაც ის მანერა, რომლითაც ავტორი გვარამ მარგველის სახეს ხატავს. გვარამ მარგველის თხრობით მიყვეებით პოემაში მოვლენათა განვითარების ძირითად ხაზს, პოემის დასაწყისშივე სასტიკი დამპყრობის — თეშურის წინაშე ეს გმირთა აღმართული — ამაყი და მუშდრეველი, უშიშარი და დამცენელი. იგი ვარგველდენენებს მოვლენათა სიმძადრეს, მაგრამ გვარამ მარგველის ყოველი ფიქრი თუ ნაბიჯი გიორგი მეექვსით არის მოტივირებული. სწორედ ეს უკანასკნელია პირველ-წყარო იმ მიზეზებისა, რომლებიც გვარამ მარგველის მოქმედების შედეგებს უღდას საფუძვლად.

ეს ფაქტი, რომ ვრიგოლ აბაშიძის პოემაში მთავარი გმირის სახე გაშუალებით, სხვისით არის ჩვენამდე მოტანილი, არ ნიშნავს გიორგის სახის მერთალად ჩვენებას. გმირის მოშორებულ პლანზე გადატანა ნაწარმოების ნაკლი კი არ არის, მხოლოდ მანერაა შწერლისა.

გიორგი მეექვსე თავისი ბავშვობისა და ყრმობის ეპოზოდებით, პოემაში ნაჩვენები თავისი ცხოვრების ნაწილით ჩვენს წინაშე იმ სათავგადასავლო ფონზე წარმოდგება, რომლისაც გვარამ მარგველი მხოლოდ და მხოლოდ მონაწილეა.

ავტორის დიდი ყურადღება დაუთმია გიორგის პორტრეტული გამოსახვისა თუ მისი ხასიათის სრულყოფილად ჩვენებისათვის. ნათელი პორტრეტი ფერებით არის დახატული ახალგაზრდა მეფის გულწრფელი და უიღბლო სიყვარული,

მისი მეფური ღირსებები და ზომიერი ამპარტავნობა, ხალხის სიყვარული და ღრმა პატრიოტიზმი. თვისებათა ეს ერთიანობა სავსებით დამაჯერებელ მხატვრულ სახეს ქმნის. ვერამ მარგველი გიორგის სახის სრულყოფილად ჩვენების საშუალებაა, რომელშიც ეს სახე განიცდება, როგორც პიქტურში, დიდი და ამაღლებული.

გიორგი მეექვსე, ასე ეძვრათ, გაორებული ბუნების პიროვნებაა, ერთსა და იმავე დროს დიდებულთა და პატარა ადამიანიც. ნაწარმოების შიგლი დრამატუზმი სწორედ ამ ზნაითაა არის მიღწეული.

გაორებული ბუნების გამოხატვისათვის საჭიროა ხილვა იმ შინაგანი წინააღმდეგობისა, რომელიც გრძნობისა და გონების უძლიერ გულისხმობს: ეს უძლიერი უმადლესი ხელოვნების პრიციპია.

გიორგი მეფის გმირობა, გამბედაობა, სიმამაცე ნათელი ზღბა პოემის შემდეგი სტრაქონებიდან:

„მეფე მხეცქმნილი გლეჯდა ვეფხურად,
სიხება, კისკისად სცემდა ფიცხელი,
სისხლი ეცეა და სისხლი ეხვრა,
ცხენიც მტრის სისხლით ჰეადა წითელი.
მეხვიით ტეხდა მისი მახვილი,
ქარიშხალივით ქროდა ხმლიანი,
ქარს ამხნევებდა მისი ძაბილი
და სეფე დროში გორგასლანა“.

გრიგოლ აბაშიძემ მკვეთრი პოეტური ფერებით დახატა გიორგი მეექვსის დიდი მამულიშვილობა, ფრად დამაჯერებლად ჩააწნა უაბუცი მეფის პირადი ტყვილი დიდ ეროვნულ ტრაგედიაში. ქართული ეროვნული სიწმინდის სიმბოლოსთან — ტაძართან ერთად გაეხვია ცეცხლის ალში ის, ვინც მეფის აღერსიც ეი აირიდა, ვინც მეფის სულში დაანთო სიყვარულის ჩაქტრობელი ცეცხლი. ტაძრისა და გულის შეღახვას ეი არავის დაანებებს გიორგი.

„ცეცხლმა დამარხა, რაც სანუკარი
გაანდა, ვაშრა, ჯავრით ვახვედა,
ვახედა მტრების ბანაკს მუქარით
და გაუშტერა თვალი თავზედალ.“

მერე მოსწია ხმალს ჩაფტკრებით,
დაპკრა და ისე სწრაფად ჩაავგო
და დმერას შემტყცა: „სანამ ვიქნები,
თემური ვმუსრო და ვანანავო!“

შეამბეჭდავი და დაუფიწყარია ეს მონუმენტური სახე ვაეკაცისა, რომლის სულში ერთად დაგუბებულა ტყვილი, რისხვა, შერისხიბების სურვილი, მუქარა და ცრემლი, მისი და შეუაბეებელი ცრემლი.

მეფეთა ოლიმპიურად წარმოდგენა მიწიურდება მწერალთა ხელში. მეფეულ მკურთხეული მთელი ქვეყნისა — ადამიანების, მათი სიხვერად ღმერთის კვარცხლბეცზე ჰეათ წარმოდგენილი, ცივი გონების, მშვიდი, შორსმკვლავი... მავრამ ქვეყნის მკურთხეულია მკერდშიც ჰგერს ჩვეულებრივი ადამიანის გული, რის ვამოც ისინიც შორხილად იდრეკენ ქედს მიწურთა წინაშე. ქვეყნებში, რომლებიც მათ ხელთ უბყრიათ, თურმე არიან გულების ასეული, რომელთა წინაშე უძლურია მათი ძალაუფლება, იარაღი...

გიორგის მონღოლთა ურცხვ ვართან შერკინება შეფლია, იმ ცეცხლს ეი ვერ უმგლავდება, მის გულში გულების უბრალო გოგონამ რომ დაანთო.

გრიგოლ აბაშიძის მეფეებს გულების ქალები უყვართ (ლაშა გიორგი რომან „ლაშარელს“ ვშირი და ვიორგი მეექვსე). მათი გულწრფელი, ალალი და თავგანწირული გრძნობა თითქმის ეხმარება ილექსანდრე ჰეავაიძის მიერ სიყვარულზე ნათქვამს:

„შენგან მეფე მონას ეყმოს,
შენგან პრემი ხელად რებდეს“.

ერთი მხრივ, მწერალს საამისო საბუთს საჭარტელოს ისტორიის წყაროები აძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, მეფეთა ჩვეულებრივობაში ჩვენება მეტად დამაჯერებელსა და ბუნებრივს ხდის ნაწარმოებს.

გულების ტყაპუში ვადაცმული მეფისა და მისი რანდის სოფლებში მოგზაურობის უჩვეულო სურათი მომხიბლავი უბრალოებით ვანვაცდევინებს ხალხის ცხოვრების ხალს ბუნებას, უხალო - სილამაზეს და კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის გიორგის ხასიათს. მეტორწინე გლეხთა რეალისტური სახებები, ბუნების ულამაზესი ფონი დროებით აშორებს გიორგის ანგარებითა და ყალბი, დამღლევი ეთიკეტო სავსე სასახლებს და გრძნობათა ბუნებრივობასაც ეწევა.

პოემაში დღერბილი სცენა სოფლის ქორწილისა მხატვრული თვალსაზრისით, პლასტიკურობის, პორტრეტული გამოსახვის საუკეთესო ნიმუშია, რომლის შექმნასაც პოეტი მდიდარი ქართული ხალხური გამოთქმების გამოყენებით იღწევა:

„გლეხის ოჯახში იყო ქორწილი,
ესვათ, ქვევრები აღარ დაენდოთ,
იღვა თამადა ყანწგამოწედილი
და ჯიხეს უესებდნენ საალავერდოლ.“

გაეხარიაჩ, კარგ სუტრას შევხვდით,
კვამლის, ღვინის და ორთქლის ბურანში,
ამხეღარბოდა დედოფალს მკერდი,
მეფის აშლოდა ნორჩი უღვაში.



მორთულნი, ნაზნი და მოკაშმულნი სხვადასხვაფერად, როგორც პებლები, სუფრაზე ისხდნენ ტურფა ასულნი, ეყავის გულის დაღონებლები.

დახატულ პავდნენ, ისხდნენ კობტანი, მაგრამ ვერ იყო მათთან ვერც ერთი გოგონას მსგავსი ჩვენი მოწყვიანის, მასავით ტურფა და ტანწერწერტი...

არ ამოჩებდა თვალს უფლისწული, არ იზიდავდა ღვინო ანკარა, თითქო დღევითან იყო მისული, მათ საჭმელს პირიც არ დააკარა.

გოგონს მეც ზოგჯერ თვალს შევასწრებდი, და წითლდებოდა შექვის მთოველი, მაგრამ მხოვინა საესე ყანწები და დამავიწყდა წუთით ყოველი".

პირველი ნახვით შეუყვარდათ ძუძუმტეებს ნათია.

ქართული მოყრამებელი სიყვარულის ტრადიცი, რომელსაც იგავმთეწვდომელი პინნი უშტერა დიდმა შოთამ, ორივე რაინდს ამ სიყვარულის ჩრდილად აქცევს და ლანდებოვით აბორიალებს მის ნაკვალევზე. გიორგი მაინც

„ქრებოდა მარტო, როგორც მპარავი, არ ასვენებდა ჩემი ნალველი, არც ახლობელი ახლდა არაფინ, არც იყო ვინმე მისი მნახველი“.

მაგრამ სხვა არის ქალის რჩეული, და უიღბლო მიწერი ერთზედა ამყარებს იმედს, ეს არის უფლისწულის ბრწყინვალე საბელი. მეფე ამქვეყნითი დმრითია და იქნებ მან დასძლიოს უხილავ ძალას—გუთო და მმორჩილებელს, მაგრამ მეფის ტიტულმა ეყარაფერი შეჰმატა გიორგის გლუნი ქალის თვალში, გარდა მოყრამელებისა. ეს არის პინნი აღამიანის ბუნებრივი მისწრაფებისა, ბუნებაში მორალური სიწმიდის ძიებისა რომანტიკა.

ქალის გრძნობებში არავითარი ცვლილება არ მოუხდენია იმ გამაშვალებელ მოვლენებს, რომელთა გამო ხშირად სხვანაირდებიან აღამიანები ერთმანეთსაღმი, ვერ შეცვალა ის უშყარესი შთაბეჭდლება, რაც მის გულში გვარამის პირველი ნახვით შეიქმნა:

„იღა გიორგი, ჰგავდა ერთიან მებდაცემულს და მუხლმომოცილის, მხოვია, საჩქაროდ აღამიანთაში საუფლისწული შესამოსელი.

მივხვდი: უბრალოდ ვერ შეაყვარა თავი და ზრახვა ვერ აისრულა,

სატრფოს მოღობას ცდიდა ამგვარად, სურდა, რომ ეცნო ქალს უფლისწული

„ჩქარა ჩიიცვა ახალთახალი სტავრა უცხო და ფარმა მდიდრელი, იღვა ბეჭბრტველი და ტანმალა, სახემკაციო და წარბმომულიღელი“.

ის გულწრფელი გრძნობა სიყვარულისა, რომელსაც გიორგი შეუპყრია, აღამიანობის თვალსაზრისით ფრიალ წმიდა და მშვენიერია. პიროვნებაში არსებულ წინააღმდეგობას შინაარსი აქ არ გვევლინება ზნეობრივისა და უზნეოს უბრალო შეპირისპირებით, რომლის მიმართაც მკობხველს ემარჯვება უყოყმანო პასუხი—ერთის სიმამათითა და მეორის ანტიპათით დაჯილდოება. ასეთ შემთხვევაში გრძნობები მარტვიდება. კრიგოლ აბაშიძეს არ უტყბნდა ასეთი მარტვი ვხა. აქ წინააღმდეგობას ქმნის გრძნობათა ბრმა ძალა და ფსიხელი გონებრივი თვალსაზრისი. ნებულობისა და გონების ასეთი დამპირისპირება ქმნის აღამიანის ნამდვილ შინაარსს.

ცივი გონების პოზიციიდან გიორგი ვალდებული ზელი აიღოს იმ აღამიანის სიყვარულზე, რომელიც ყოველად შეუფერებელა მისთვის საზოგადოებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით და რომელსაც სხვა უყვარს, მით უმეტეს, რომ ეს სხვა გიორგისათვის ყველაზე მახლობელია. მაგრამ ძალა, რომელიც მიწერი მეფის გულში ბატონობს, მისდა უნებლით, ყოელისშეძლება. ეს ძალა იზიდავს თავისივე ტუბილ, გაუვალ ბურუსში გაბვეულ გიორგის, ტენდირების ამ სტიქიაში სულდამელობს იგი. მეგობრობა დიდებული და წმიდაა, მაგრამ სიყვარულის უსასტიკესი სტიქიონი ზოგჯერ მასაც ახსნებრებს.

სტვისი საქციელის ბრძნული განმწა, მორალური ბრალდების წამოყენება ძნელი არ არის, უფრო ძნელია სიყვარულის იღვმალი მაგნიტერი ველიდან თავის დაღწევა, თვითგვემა, ყველაზე სანეკვარის უარყოფა, გულის ამოღოქვა, უარის თქმა აღამიანზე, რომელიც თითქოს მხოლოდ შენთვის შეუქმნია განგებას, მასში მოუთავსებია ყველაფერი, რისკენაც ისწრაფოდ, რასაც ელტვოდი, რასაც ეტებდი. მხოლოდ ის ერთია განსაზიერება შენი ყველა მშვენიერი ოცნებისა, ის ერთი და სხვა არავინა უიმისოდ, მის ფიქთ კი საშინელი სიყარევე, მარტობა, უმინობა იწყება და თითქოს სიცოცხლე თავის ნამდვილ ბრს კეარავს შენთვის.

გრძნობის ტრლებში შეუპოვრად მიყვება გულისთქმას მეფე გიორგი. მეფურ დიდებას არ შეხვერის თავის დამდაბლება და თავის რაინდებთან სურვილების გათანაბრება. მოვალეობა ვერ შეზღუდავს მათს საწყაულს აღუვსებელს, რისთვისდა უნდათ გამგებლობა ამა ქვეყნისა,

თუ იმ მათობებელ, გულწინარეობაზე ბედნიერებას ხელი უნდა ჰკრან? წრფელი და გულმინდობილია გიორგი. იგი მზად არის ყველაფერი მიტანოს სიყვარულის სამსხვერპლოზე — მეფის გვირგვინიც კი. მეგობრობის რაოდენ ღრმად მწმინთ, რა გულწრფელი ნდობით სტოვებს იგი თავის მიჯნურს გვირგვინს. მამის სიკვდილის უბედურებამ იგი ერთხანს სასახლეს მიიყვანა, იმ გულდაჭერებით მოჰკიდა ხელი ქვეყნის საქმეებს და ერთხელაც არ გაუღვია გულში ეჭვი მღვიმეში მარტოდ დარჩენილ ქალ-ვაჭურმერე კი უბიძგეს, შენ უმოწყალოდ მოტყუებულნი მიჯნური და მეგობარი ხარო. ამიტომ გათავსდა გიორგიმ თავისი ძუძუმტე ურდოში გასაბუნჯავად.

ჰქონდა კი გიორგის გათავისწინებული თავისი საქციელის საშინელი შედეგი? თუ ტრაგიკულმა ისტორიულმა ვითარებამ და ბოროტ, მეშურნე დიდებულთა გამჭირდებამ ენამ უბიძგა აქეთ? არა, გიორგი არ იყო გულქვა! ხმალმოპარკვებელი, ქედმობდილი და თვალცრმლიანი, იგი მხოლოდ ცეცხლში დამწვარ ნათიას როდი დასტიროდა. კვამლის ბურანში მან მკერდზე მარჯვენადკიდებული გვირგვინი შენიშნა. ცეცხლმა ერთად შთანთქმა, რაც სანუკვარი გაანინდა ქაბუც შეფეს, სატრფო და მეგობარი!

ზეწინ ისტორიული სინამდვილე მებრძოლი აღმამისი რაინდული თვისებებით ზრდიდა ქართველ ვაჟაკებს. ვაჟაკური ძლიერებას, გამბედაობას, სიამაყეს ისინი მტრისასაც კი აფასებდნენ. მოკლედ, სხარტად და ნათლად გვიჩვენებს გრიგოლ აბაშიძე გიორგი მეექვსის დიდ რაინდულ ღირსებებს. გიორგის მოსწონს სამართალ ამხედრებული თემურის სიამაყე და სიძლიერე. მტრის ღირსების ცნობა მტრობას მაღალი ასპექტით წარმოგვიდგენს:

„შეფეს ეამა არწივის ნახე,
თან რომ მოსდევდა გუნდი ციართა,
ერთი დახედა სისხლიან ლახვარს
და ცხენი წამსვე მისკენ მიმართა“.

ეს სტროფი ბრწყინვალედ შესრულებული ბატალური სცენის პრელუდიაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორმა გიორგი მეექვსე შორიდან გვიჩვენა, გვირგვინ მარჯველის საშუალებით ვაგვიღო. თეთი გვირგვინი მარჯველი კი მკითხველთან უფრო ახლოს არის. გიორგი მეექვსე მკითხველსაც თანაგრძნობას არ საჭიროებს. გვირგვინი — ეს ტრფიანობაზე და რაინდი, თავის ცხოვრებას გულწრფელი აღსარებით გაღმორგევეს, რის გამოც ერთგვარად ლირიკული ელფერიც არის წარმოდგენილი.

ავტორმა უჩვეულო, ლიტერატურისათვის უცნობ ფაქტში ჩააწინა გიორგისა და გვირგვინის დამოხილება. ძუძუმტე მათი ცილობის დეტალი სათქმელს თავისთავად შთაბეჭდავს და დაუვი-

წყარს ხდის; ასე ვთქვათ, პლასტიკური, თვალსაჩინო ესთეტიკური ფონი შესანიშნავად არის შერჩეული. საზოგადოდ, უწყნარ ფაქტებს რომ გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებებს ვერ ვხედავთ უმოტივო მისაღის გამოყენება. განსაკუთრებით პოემა „გიორგი მეექვსეში“ ყოველ წინასწარ თქმას თუ ფაქტს თავისი მიზეზ-შედეგობრივი ფუნქციით აკისრია.

განხილულ მაგალითში (ბავშვების ცილობა დედის ხალიან ძუძუმტე) ავტორი წინასწარ მიგვანიშნებს ამ გმირთა მომავალ დამოკიდებულებაზე. ასეთივე ფაქტია ერთგულების ნიშნად გვირგვინის მთავარი სატრფოს წინაშე საკუთარი მარჯვენის დაღვივება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ აღმამისთა შორის ჩამოვარდნილი მტრობა ძნელია სამართლებრივ პრინციპებში ჩამოყალიბდეს, უფრო ზუსტად, ამ გარეგან დანაშაულებრივ ფაქტთან არა გვაქვს საქმე. ავტორი ღრმად იხედება აღმამისა სულში და საოცარი სიმართლი აღწერს მის ყოველ ნიუანსს.

დიდა გვირგვინის გულში მეფის ერთგულება და სიყვარული, მაგრამ აღმამანი, უწინარესად, თავისი „შე“-საგან გამოდის და უსამართლობას შერისიძებნის მართალი გრძნობით უპასუხებს. გვირგვინსაც აღეშურის სამაგიეროს მიზღვის გრძნობა. ამ გრძნობას არა აქვს მარტივი მიზეზები: შეფემ წართეა და მიწისსტრის კედლებს შეაბრუნა მისი სატრფო, ხოლო თვითონ გვირგვინის სასიყვედლოდ გაწირა, არაფრად ჩააგდო მისი გულწრფელი და ალალი აღსარება იმ წერილით ნათქვამი, რომელშიც გვირგვინს შთელი სული, მთელი ტკივილი ჩააქსოვა, საოცარი სიამაყით აუხსნა მეფეს და მეგობარს თავისი უნებური შეცოდების მიზეზები, გულმხრევალედ შეავედრა უბედური სატრფო. განუსყვლად გათთულა ფეხქვეშ გვირგვინის აღსარება, სიყვარულიც, მეგობრობაც, რა შეიძლება იყოს ამისი პასუხი, თუ არა გვირგვინის ფიქრი:

„ფეიქრობდი: სწრაფად გადავალ ლიხით,
ყმებს მოეწყოლებ მთებში გამდგარი,
სანამ კედლები გარს მკრავს ციხის,
ვერას დამკლავს მეფის ლაშქარი“.

მაგრამ ფეიქტის მიღმა არის ფხიზელი გონების განსჯა და რაინდის შეგნებაში ამ განსჯას სასოწარკვეთილება და აღმფრთხილება თანდათან უთმობს ადგილს. გვირგვინს შეუძლია შერი იბოოს მეფეზე, მაგრამ ხელები ძმათა სისხლში მოცხვრება, სიმშობლო დამკლავობს, როგორც მოღალატეს.

ღრმა და განუზომელია ნათიასდმი სიყვარული, დუოკვებელია წუთრული ბედნიერებისა, მაგრამ არსებობს ყველა გრძნობაზე დიდი გრძნობა; ყველა სიყვარულზე დიდი სიყვარული — სიყვარული სამშობლოსი, სამშობლო მიწის! ეს ყოველსაშემდეგ გრძნობა იმორჩილებს



გვარამს და შეურცხვენილი და პირგაუტეხელი მიპყაეს გულწიელი რაინდი თავგანწირვის ძნელ გზაზე.

თავგანწირვას თავისი განსხვავებული სახეები აქვს. წუთიერ აფექტზე აღმოცენებული გზება გაცილებით იოლად არის მიხედული, მშვიდი გააზრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კი თავისი განწირვისა, უფრო რთულ ფსიქოლოგიურ მომენტთან არის დაკავშირებული.

გვარამი ბოლომდე რჩება ერთგული მეგობარიც და სატრფოსიც. ერთის სამსახურალოზე მან ეფაკუტრი და შეურცხვენილი მარჯვენა მიიტანა, შერისასზე — უანგარო სიცოცხლე. მარჯვენამოკვეთილმა რაინდმა ბარჩენილი მეორე ხელით მაინც იხსნა შეჯვარების მახვილისაგან. მას მეორე სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ამ სიცოცხლესაც ისევე უწყობაზოდ ჩაფრთხილავდა ანთებული ტამბის თაღებზე, სატრფოს ვადისარჩენად.

გვარამი მეთხველის გულში ცოცხლობს, როგორც საოცრად გულწრფელი, უშუალო, თავდადებული, უშიშრო, შეუპოვარი და მაინც საოცრად სათუთი სულის რაინდი.

ტრაველის ტრიალის შესამე გვირია ნათია.

ნათია გულწრფელი გრძნობით დააქილდოვა ავტორმა და ამით ვაუსეა ზახი მის ზნეობრივ სიუაქიზესა და სრულყოფილებას. მას წრფელი და უზალო სიყვარული ამოქმედებს.

გულვის ტყაბუკადაცმული ჰაბუკი შეუყვარდა ნათიას და მისი სიყვარულის წინაშე დამარცხდა მეფეთა ყოელისუმქმლობა. ქალის წარმოდგენაში არაფერი შეცვალა გვარამის ეინაობის ვამქლანებად. წოდებრივი მდგომარეობა მას არც ხელის შემწყობად მიანია და არც შემზღულველად. იგი მხოლოდ ერთადერთ დემარს ემონება და ეს დემარტი სიყვარულია.

პოემა „გვირაგი მეექვსე“ მჭიდრო კომპოზიციის ნაწარმოებია. მასში ყოველ გულწრფელ გმირსაც თავისი ფუნქცია აქვს დაყისრებული. დსტაქტის — თურმანისის სახემ პოემაში მრავალ მოვლენას მისცა მიმართულება, მრავალი მოვლენა გახადა თვალსაჩინო. ის გვაცნობს ნათიას მძიმე ბავშვობას. მან გახადა დამაყრებელი გვარამის ურდოდან გაპარვის ფაქტი.

უცხოეთში ვარდაჭეუნილი გმირი გულში სათუთად იხანავს საშობლოს სიყვარულის წმიდა გრძნობას. მას ავტორმა ღრმად პატრიოტული სიტყვები ამოქმედია:

„არ ვმართებს ვაყაეს სულით დაცემა ბედთან ბოლომდე ესინჯოთ ჰილილი,

მავრამ სიყვლილი თუ არ აგეღებო.

საშობლოსათვის ვიგობს სიყვლილი-

ერქინეული

ვერავი მტერი თემერი, როგორც მომხმანე ქალაქად აღედგობელი, ძლიერი და შეუპოვარი პიროვნება, სწორედ იმ ამაღლებულ დინებას ერთვის, რაც ამ ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი. ავტორმა გვიჩვენა გმირული უპირატესობა გვარამ მარჯველისა თემურის წინაშე. მჭიდვარე ლომმა გვარამს მაჯაში მოკვეთა მკლავი და ეგონა, ამით დამარცხებდა მას, მავრამ

„დაბერილი თემურს უცქერდა მშვილი, როგორც უცქერენ უძლურ კაცუნას, მის თვალში რაღაც სიყვლილზე დიდი იჩვენა თემურს და შეამარწუნა“.

იქნებ მთლად დამაყრებლად ვერ მოიანს ის ფაქტი, რომ გვარამ მარჯველს თემურისათვის ისე ეცქიროს, „როგორც უცქერენ უძლურ კაცუნას“, იმ თემურისათვის, რომელსაც თამამად შეეძლო გაემეორებინა ბიბლიის სიტყვები: „მოვედ მოფენად არა სიყვითისა ქვეყანასა ზედა, არამედ მოვლენად ცეცხლისა და მახვილისა“. გმირობის გვარამისეული მავალითი საამაოდ ცოტა იყო, მავრამ მტრისაღში შერისძიებისა და სიძულელის გრძნობამ ავტორს ცოტათი გადაახვევინა ობიექტურობიდან და სასურველობის ტენდენციით განავითარა მოვლენა. ეს ტენდენცია თავისთავად სასიამოვნო გრძნობის აღძვრის ცდუნებით არის აღჭურვილი და მკითხველსაც საამოვნებასა და საამოყეს ანიჭებს გვარამის გამარჯვება. მაშასადამე, ავტორის მიზანი საესეებით გამართლებულია.

გრიგოლ ამაშიძე თავისი ერთი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ჩემი ცხოვრებისა და პოეზიის ერთერთი ნიშანი მუდამ იყო აქტუალობა. მაშინაც კი, როცა ისტორიულ წარსულს მკვამართავდი, მე მუდამ ისეთ ეპოქებასა და ადამიანებს ეხატავდი, რომლებიც როგორღაც შეესაბამებოდნენ ჩემსა და ჩემი დროის ადამიანების ფიქტურბსა და მისწრაფებებს“. და მართლაც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ აქტუალობაზე, რომლითაც თანამედროვეობის თემებზე დაწერილი მისი ნაწარმოებები ხასიათდება, პოეტმა საქართველოს ისტორიული წარსულიდანაც ისეთი ეპოქები აქცია ღრმა შემეცნებითი ინტერესისა და ანალიზის საგნად, რომლებიც ჩვენი ეპოქის პრობლემებს ეხმარებათ.

გრიგოლ ამაშიძემ ამ პოემითაც კვმარტივი სულიერი ფსიქულობა შექმნა და ღრისეული მამულიშვილის ალაღი სიტყვა უთხრა მკითხველს. ეს კი ის ქალი ძალაა, რომლის მიმართაც იშვიათად თუ რჩება ვინმე გულგრილად.

მთარ ბაქანიძე

ნიკო ლომოური უპრაინაში

გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა, საზოგადო-მოდერნიზმ და შემოქმედმა ნიკო ლომოურმა თავისი ცხოვრების გარიგრაზე უკრაინის ქველისძველ ქალაქს, კიევის მიასურა. ახალგაზრდა ყმაწვილმა კიევში ოთხიოდე წელი გაატარა და თავისი ქაბუკური შთაბეჭდილებები მრავალი ღირსშესანიშნავე ფაქტით გაანდობდა.

ნიკო ლომოური სისტემატერი განათლება გერ გორის, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში მიიღო. სულის შემზრთავმა გარემომ, უცილობამ და უგნერობამ, რაც სასულიერო სასწავლებლებში იყო გამეფებული, მომავალ მწერალს სწავლის წყურვილი ვერ დაუკარგა. მით უმეტეს, რომ განათლებისადმი ინტერესის ვადვიტებისა და ცხოვრებაში სწორი გზის არჩევაში სასწავლებლის სულთაშუთავ ბერებს შორის ისეთი შექერანი ელაფდნენ, როგორც იაკობ გოგებაშვილი იყო.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლე, ნიკო ლომოური გულის ფანცქალით მოელოდა კლასში მისი სათაყვანებელი მასწავლებლისა და ადამიანის იაკობ გოგებაშვილის გამოჩენას. მის ყოველ ფრზას, მის ყოველ მოძრაობას საყვარელით აღფენებდა თვალს პატარა მოწაფე და ცდილობდა ყველაფერში მისთვის მიეზამა. განუზომელი იყო ის შთაბეჭდილება, ნიკო ლომოურზე რომ მოახდინა ქართველი ხალხის საამაყო მოდერნიზმ იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც, კიევიდან დაბრუნების შემდეგ, თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს.

ნიკო ლომოური ამის თაობაზე წერდა: „მეოთხე კლასში მასწავლებლად იაკობ გოგებაშვილი იყო. გეოგრაფიას გვასწავლიდა. პირველად ქართულად ვეიხსნიდა, მერე რუსულად

და გაყვეთილს იქვე. კლასში ვსწავლობდი. ესეთი გაყვეთილი პირველი და უცნაური ხილა იყო ჩვენთვის. კაქაქურ ზეპირობას და ცემატყეპას დარეუტნი მოხსენებულ გაყვეთილებს სარწმუნოებრივი თაყვანისცემით შეაქცეოდნენ. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ იაკობი დამოუკიდებელი ხასიათის კაცი იყო: ბერებს არ ემონებოდა, ეკლესიაში არ დადიოდა, ლობერალური იყო აზროვნებით და საქართველო უყვარდა. ყველა ეს ზლიერ გავლენას ახდენდა ბურსაყებზე და ისე შევცქეროდით ამ პატიოსან კაცს, როგორც იდეალს. ცხადია, რა დიდი გავლენაც ქნებოდა ამს ჩვენზე. მას ვბაძავდით ყველაფერში, ზშირად წერდომანებშიც კი, შავ, ლაბაჩაყის კილოში, სიარულში და სხვ. ეს იყო პირველი სხივა ჩვენს სიბნელით მოცულ ბურსაყელ ცხოვრებაში“¹

სწორედ იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოდერნიზმმა გახდა გზის მარწვენებელი შექურა მომავალი მწერლისათვის. ნიკო ლომოურიმა გავლლო სემინარიის სულისშემზრთველ გარემოს და ცხოვრების სარბილზე გამოსულმა ქაბუკმა ხალხისა და ქვეყნის სამსახური დისახა მიზნად.

1875 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ნიკო ლომოური კიევის გაემგზავრა. მას სურდა ექიმი გამოსულიყო. მაგრამ საექიმო სასწავლებელში სწავლამ ფული სჭირდებოდა. ნ. ლომოურს ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა, მაგრამ სწავლია წყურვილი კი ჰქონდა. ამიტომაც მოხდა, რომ მომავალი მწერალი სასულიერო აკადემიაში შევიდა. სადაც სწავლა ძირითადად სახელმწიფო ხარჯზე შეეძლო.

როგორც პროფ. ს. ზეცაშვილი აღნიშნავს,

¹ ნიკო ლომოურის ავტობიოგრაფია „ლიტერატურის მატანე“, წიგნი 1-2, გვ. 512.

„სასულიერო აკადემიაში სწავლისას ნიკო ლომოურს განსაკუთრებული პეკიათობით მოეცადა ხელი თვითგანვითარებისათვის, რადგან აკადემიის „მეცნიერებაში“. რომელნიც არც ედ ისე იტყუებდა ნიკოს, ბევრს ვერაფერს მისცემდა მომავალ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს“¹.

ნიკო ლომოური ამ დროს, უნდა ვიფიქროთ, საფუძვლადან ეცნობოდა რუსული რევოლუციური აზრის ბელადებს ნაწერებს, უდაბრებდა მათ მოწინავე ქართულ მოღვაწეთა ნაწარებს და ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად თავის დასკვნებს აკეთებდა. „...წიფიკობზე დაბრუნდებოვი, ჩუჩნიშვესკი, გლეზ უსენსკი, ნეკრასოვი, — წერს ავტობიოგრაფიაში ნ. ლომოური, — ამით ერთი ათად გააფართოვეს ჩემი შეხედულებანი, ვრძინობანი, რწმენანი გლეზის შესახებ“².

ნიკო ლომოურმა კალამს კიევში გამგზავრებაზედ მოჰკიდა ხელი. იგი ქვერ კიდევ თბილისის სემინარიაში სწავლის დროს ეტრანლ „მნათობში“ აქვეყნებს ლექსებს თავისი გუარისა და სახელის მიწერით, ხოლო ვახუტ „დროებაში“ სემინარიისთვის შესვლინობით კორესპონდენტებს თავსებს.

სამეცნიერო ლატერატურაში აღნიშნულია, რომ მომავალ მწერალს თავისი სამოღვაწეო გზა იმათივედ მტკიცედ, გარკვეულად აურჩევია. იგი „ხალხის მოკეთა“, ხალხის ინტერესების დაუღრმადი მსახერი და გუშაგი ხდება.

ქვერ კიდევ სრულად ახალგაზრდა მწერალი „მნათობში“ ათავსებს ისეთ ლექსებს, რომლებშიც უაღრესად პროგრესული შეხედულებებია გამოხატული.

1875 წლის ოქტომბრის დამდეგს „თქვენი-ბერის“ ფსევდონიმით „დროებაში“ გამოქვეყნდა ნიკო ლომოურის ფელეტონი „ხმა მონასტრიდან“. ამ წერილთ იწყება სერია ფელეტონებისა, რომელთა წერასაც ნ. ლომოური მომდევნო წელსაც განაგრძობს.

ფელეტონი იწყება კიევური შემოღგამის აღწერით, კიევური შემოღგამის აღწერით ავტორი იმპრომ იწყებს ფელეტონს, რომ სერს მკითხველს უჩვენოს ზამთარს მოახლოება და მასთან დაკავშირებით ესაუბროს ღატაი ხალხის სიზღვივეზე, ვაჟიანტრებულ მღგობარეობასა და, ამასთანავე, შეძლებული აღამიანების უზრუნველ ყოფაზე.

ზამთარი, ავტორის თქმით, ავის მომასწავებელი იყო დარინი ხალხისათვის, ხოლო მღიდრებისათვის იგი სრულად არ იყო საშიში, რადგან მათ სასმელსაჰქმელი თუ თბილი ბინები არ აკლდათ.

ნიკო ლომოური ასეთი უსამართლობა შესანიშნავ კონტრასტულ სერას იძლევა. „მუხედეთ ამ მშვენიერ შიდა სახლმწიქანში“³ მდიდარი მალაზიებით და გავეყნებულად მითი, — წერს იგი, — გახედეთ ამ ჩვენ წინ გაშლილ მომალაში დნუპრის ნაპირებსაც, სადაც მრავალი ფილუკები და გეგები მომღგარანი.. ვისია ეს ამოდენა ხილი, პერი, შეშა და სხვა ათასი სავაჰრო, რომლებითაც ეს გეგები და ფილუკები პირთამდისინ არიან საცენი! ვისია ეს ამოდენა ხმელი და ნედლი თევზი; ეს სახმარი ტყე, კირი, აგური, — რომლითაც დაფარულია დნუპრის მარჯვენა ნაპირი? — ეს ვეღუენის ეს უველაფერი?....“⁴ კატეგორიული ტონით კითხულობს ავტორი და თვითონვე ირონიულად პასუხობს — რა თქმა უნდა, იმ მდიდარი ხალხისა, რომელთაც „საწყევლს“, აბა როდი შეუძლიათ გასწვდნენ მოსკოვის, პეტერბურგის და სხვა ქალაქების მშვიერ მოსახლეობას.

ნიკო ლომოური მკითხველს უჩვენებს კიეველი ბატონყავების სიმდიდრეს, შეძლებულობას და იქვე ესაუბრება იმ ხალხზე, ღატაე ხალხზე, რომელსაც არა აქვს სახლი, არც შეშა, არც ტანსაცმელი და საკმელი“⁵ და რომლისთვისაც ზამთარს შოაქვს „ათასგვარი შევიწროება, ტანჯვა, კვენესა, სიყვდილი“ იგი ირონიულად იხსენებს იმ „გულისხმიერებას“, რომელსაც მდიდრებუ იხენენ მშვირი ხალხისადმი, „ისე წიარებაზე არ წაბრძანდება, რომ თითო ვროში არ დავრიგოს საყდრის კარებთან ნამწკრივებულ გლეხებს და მათხოვარი ისე არ მივა მასთან, ნაბოჭები არა წამოიღოს რა“⁶. „ესრეთ მწუალობელა აქაური შეძლებული კაცი“ — დაცინვით დაძქნს ავტორი.

ნიკო ლომოური განცვიფრებულა კიევში მათხოვართა სიმრავლით, და თვლის, რომ ამის მიზეზი ზრომის ცუდი ანაზღაურება უნდა იყოს. „ეს ნამდვილი და ცხადი ქვეშარბიტე-ბაიი“, წერს იგი.

მწერალი ხედავს, რომ ამ ქვეყანაზე არ სუფევს სამართლიანობა, რომ ხალხის დიდი ნაწილი სიღატაკესა და გაჭირვებაში დაფიცს სულს, ხოლო ერთი მუქა მდიდრები, ფუფუნებაში ჩაბარულნი, ნეტარებით, განცხრობით ცხოვრობენ.

ამ გარემოებებით მწუწებელი ავტორი პირდაპირ მოართავს იმ აღამიანებს, რომელთაც ცხოვრებას საშინელებაზე თვალის დახტევა სურთ, — ერთი გვიჩვენეთ, უმსგავსო ქვეყნის ღირსეულ მოვილებო, გვიჩვენეთ — სად არის ის სიმშვენიერე და განწყობილება ბუნებისა და ცხოვრების მოვლინებათა შორის, რომელსაც აგვი ოცო საუკუნეა რაც მოუხვენ-

¹ იქვე, გვ. 513.
² ს. ხუციშვილი „ნიკო ლომოური“, 1951, გვ. VIII.

1. იქვე, გვ. 2.
 2. იქვე გვ. 1.
 3. იქვე გვ. 2.

რად და ხმაშლია ჩაგეჩხავით უტრებში? ნეთუ სრულებ ამის წინააღმდეგი არა სუფევს დედა-მამაზე?!!

მიუხედავად ასეთი მიიმე მდგომარეობისა, ნიკო ლომოური მანაც არ გვევლინება ისეთ ავტორად, რომელსაც ხელი აქვს ჩაქნეული ცხოვრებაზე და დაკარგული აქვს ხელოვნული კეთილი დღის იმედი. „რა გახმული ტანყვა და ვაება იქმნება აღმთინისათვის ჩვენს დედამიწაზედ ცხოვრება, — წერს იგი, — რომ მას არა უჭონდეს წარმოდგენა, იმედი მომავლისა!“.

ეს იმედი მომავლისა ჰქონდა მწერალს და დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მას ამ იმედის ძაფი არ გაწყვეტია. არასოდეს ჩაუტყვევია ხელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაზე.

ამათკაა მნიშვნელოვანი კივიის სასულერიო აჯადომიის მოსწავლის, ნიკო ლომოურის პირველი ფელეტონი „ხმა მონასტრიდან“.

1876 წლის იანვრის ნომერში „დროებამ“ გამოაქვეყნა ნიკო ლომოურის მორბივი ფელეტონი „ხმა მონასტრიდან“.

ავტორი გადაკრულად იწყებს საუბარს იმის თაობაზე, თუ რა აღტაცებით ვეგებებოდა იგი ათოთორმეტი წლის წინ თბილისში დღესასწაულებს და გვისახელებს ამ სიბრძნის გამოამწვევ მიზეზებსაც.

პირველი მიზეზთაგანი უოფილა დასვენება, ოღონდ დასვენება იმ სახელმძღვანელოებისაგან, რომელთა შესწავლაშიც დამეუბნებდა ენებენება სემინარიულს. მკაცრად აკრიტიკებს სასულიერო სემინარიის სახელმძღვანელოებს, ახასიათებს მათ როგორც „უსიციკებლო და უსმინარსოს“¹, სასულიერო სემინარიის სახელმძღვანელოების ამგვარი დახასიათება ჩვენთვის უცნობი არ არის, მაგრამ ამას ზედ ისიც ერთობდა, რომ თვით მასწავლებლებიც უვლანი როდი იყვნენ ამ საბატო სახელს ღირსნი.

ნიკო ლომოური ერთგან იგონებს ფილოსოფიის მასწავლებელ კოეროვს და ფხოვა-მათე-მარტიოს მასწავლებელს კოროლევსკის: „კოეროვი, — წერს იგი, — თავისი მეტისმეტი ჩქარა და აღტარებული ლაპარაკით უფრო წაგავდა წისქვილის სარკველას, ვიდრე მასწავლებელს და როგორც სარკველას კაენიდან აღმთინი აზრს ვერ გამოიტანს, ასე ამ კაცის ვითომდა ლექციებიდან არაფერი გამოჰქონდათ რა მასწავლებლსაც. შემოკრუნულდებოდა კლასში, დასკუდებოდა სკამზე და იმავე წამს კარგი იორდა ცხენით გაკარავდა... კლასში კი ათასნარიო უწესრიგობა იყო გამეფებუ-

ლი: ზოგი ყველსა და პერს გულანად შეწყვეტოდა, ზოგნი ქალადსა თქმუბობდნენ, ცრუთი რომ გრძელ სკამზე გვეწოდებოდნენ და ხერხივდა, მეორე პერსის გულსაგან პაწია გორგოლებს აეთებდა. ამასთანვე მთელ კლასში იდგა დაუხრულელები გუფენი ორმოცი კაცის დამალხმინი ლაპარაკის, ჩხუბისა, კითხვისა და ხშირად გალობა-სიმღერისაც“.

ასე უწინაარსოდ ტარდებოდა დეკანოზ კოროლევსკის გაყეულიები. „დიწვებოდა თუ არა მისი გაყეული, — გადმოგვცემს ნ. ლომოური, — ნახევარ კლასამდე სულ ერთობად კარში გაიხევებოდა. ფაჩრებოდან ქუჩაში გადადიოდნენ და იქიდან იმავე წამს ტრაქტორში ამოჰყოფდნენ თავს.“

უდი პედაგოგების „წვალობით“ სემინარიელებს უკარგებოდათ უოველგვარი ინტერესი ამ საგნებშიაღში, რომელთაც ისინი ასწავლიდნენ.

ფელეტონის ავტორის აზრით, სემინარიელი-სათვის დღესასწაული მითაც იყო სასიხარულო, რომ თავს განარდებდა სასწავლებლის სასტიკ რეჟიმსა და სულისშემშეთავ ატმოსფეროს. სემინარიის ყოველგვარი გამოწვეული უოფნა მათ როგორც ფიციურ, ისე მინიგან სამყაროსაც ასეამდა დაღს. ამის გამო იყო, „რომ თბილისელი პებლიცა საქაროდ ვეცნობდა ხოლმე თუ ვინ ებრძანდებოდათ ჩვენ, ჩვენგან ჩვენი რეკომენდაცია არავისთვის საჭირო არ იყო... შებზებდ გვეწერა ვინც ვიყავით. ჩვენი სუფთა ტანამყელი, ჩვენი გამხმარი, ვაფეთლებული სახე, ჩვენი ჩაცვიენელი თვლები, უსიციკებლო სიბრული, შეშინებული კერდღელისავითი ცქერა, — ვვლანეს ჩვენს მაკეპრალს საქაროზედ ეზობრებოდა თვალში!“ — წერს ფელეტონის ავტორი.

ნიკო ლომოურის, როდესაც ამ ტრიტიონებს წერდა, — თვალწინ ედგა თბილისის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ვალენტო, „კაცი გაუნათლებელი, ბლუ, ლოთი, ზნეობადაცემული, უოველმარად გაწნილი და გაიძვირა, რომელმაც გამოიყენა რა თავისი ძალაუფლება, სემინარია მისწველეთათვის საჭირობულედ გადააქცია და შრავალ ნიმიერ მოწაფეს სწავლაზე ზელო ჩააქნევია.

სწორედ ამ ვალენტის მეცადინეობით სემინარიამ გამეფებულმა სასტიკმა რეჟიმმა, შიმშილმა, აღმთინური თამოყვარებობის სისტიმატრად შელახამ გადაამწვებინა სემინარიელებს კუთ ესწავლებინათ რექტორიაათვის.

როგორც ამას უფრო მოგვიანებით იგონებს ნიკო ლომოური, სემინარელებმა 1870 წელს „გადაწყვეტეს ისე ეცემნათ მიხელეფათთვის, რომ სადაც თავისი დაეყვებნათ, იქ არც სემინ-

¹ თქვენებური, „ხმა მონასტრიდან“ „დროებამ“, 1875, № 115, გვ. 1.

² იქვე.

¹ „დროებამ“, 1876, № 11, გვ. 1.

ნარიელები დაიწყებოდა... ერთდროულად თათქმის სამასამდე მოსწავლე გამოეჩინა ზემოთ აივანზე და შეიქმნა უცებ საშინელი ყვირილი: „პური გემიან, პური გემიან“, იმ იმედით, რომ ამ ხმარზე ვარჯთ გამოიღონ მოხელეებიო. ისინი არ გამოვიდნენ. მაშინ ბუნტოვნიკებმა¹ მხოლოდ ესა და მოხერხეს, რომ დაუწყეს რექტორის ფანჯრებს სროლა და რამდენიმე შეშაც ჩაუღწიეს“. ამ შეთქმულებაში თვით ფელეტონის ავტორიც იღებდა მონაწილეობას.

სწავლამორეფერებელი სემინარელები თვითონ ელილობდნენ ნაკლის შეესებას, გონებრივი ხარვეზების ამოცხებას და წიგნებს ეტანებოდნენ. მათი სუფარული ავტორები იყვნენ დარკინი, პეშინი, თუ სხვანი. მაგრამ რადგან მათ ამ მისწრაფებას სწორ ზეღმძღვეანელობას ვერ უწყვედნენ სემინარიის რეაქციონერი „უდაგოგები“, ბევრი ნიჭიერი ბავშვი გზას ასცდა. სემინარიაში გაქვებულნი საერთო სიტუაცია ყოველმხრივ ბოჭავდა ბავშვთ ნებს და ზღუდავდა მის შესაძლებლობებს.

სასულიერო სასწავლებლის უარყოფითი დასასიალებინს დროს, მისი ჰედაგოგების ვაჭრიტეებისს, ნიკო ლომოურის ისიც არ გამოჩენია მხედველობიდან, რომ თბილისის სასულიერო სემინარიას თავისი მანათობელი შექტრები ჰყავდა. ასეთებდა თელიდა იგი „ბრწყინვალე ლამპარს განათლებისა და კაცთმოყვარობისა“ იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხედაძესა და გიორგი იოსელიანს. „მათ მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, — იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი, — საგნებს აწავლიდნენ კარვად, შეგირდებს ადამიანურად ეუბრობდნენ, ვეაძლედნენ საკითხავ წიგნებს, ვეაყვარებდნენ სამშობლოს ენას და ლიტერატურას“. მაგრამ, სუბედროდ, ამ დიდებული ადამიანების ირგვლივ კედლად იყო აღმართული შეგბეული რეაქციონერების მთელი ჭკუფი, სემინარიის რექტორის მეთაურობით. როდესაც ნ. ლომოური სემინარიის მძიმე ცხოვრებზე წერს, მას სწორედ სემინარიის რექტორი და „ძმანი მისნი“ ჰყავს მხედველობაში და მათ მიერ სემინარიაში შექმნილ რევიმს აკრიტიკებს.

შეიძლება ითქვას, რომ „თქვენებურის“ ეს ფელეტონი არის ერთგვარად თელის გადავლება წარსულ, გუშინდელ ცხოვრებზე საქართველოში და, ვარკვეული დასკვნების გამოტანის ცდა.

1876 წლის 17 მარტს „დროებაში“ დაბეჭდა ნიკო ლომოურის მორავი წერილი „ხმა მონასტრადამ“.

ამ ფელეტონში ნ. ლომოური გამოხამტეხის სურათს ზატყს. ბუნების გამოცოცხლებას ადამიანთა შინაგან საყვარლოში მომზდარ ქერებს უეაწიკრებს.

გაზაფხულის მაცოცხლებელი ძალის გავლენით ადამიანის სულიერ სამყვარო ცხოველღელებზე ხდება, მას „თითქმის მიწოდებულ ფრთები ესხმის და დაფაციეებულს სისხარულით და სისწრაფით უნდა გაფრინდეს ამ დაუსრულებელ თავისუფალ სივრცეში“, წერს ნ. ლომოური. „თითქო ჩვენ სამარტყვიანოთ და დამაკინრად განაგრძობს იგი, — ჩვენ თავს ელიდებთ და ვამყობთ, მაშინ, როდესაც ჩვენი მოქმედება, ცხოვრება ცხადთ ამტყაყება, რომ ჩვენს ვართ უგუნური და უმგაგური მონები და რაც უფრო საზნადარია, მონებმა მგულებიანა და მელღიანა“.

ასე შეაკრად ახასიათებს ავტორი ხალხის მყველღელებსაც და მმარტყველს წინაშე თანქაქინდრულ ხალხსაც.

ამ ნარკვევში უტრადსაღები ის არის, რომ მისი ავტორა მკითხველს ვაჭრის ორმავ ბუნებზე შეიუთობებს.

ხალხის ოფლსა და შრომაზე მოსტყებელი ვაჭარი, რომელიც ხალხს უღმერთოთ აძრობს ტყავს, — ცოდავს ღვთის წინაშე“, საღამოთი ეს სისხლისმწოველი წურბელა უწყინარ, ღვთისმომში და კაცთმოყვარე მლოცველად იქცევა. ორავი მგზულხე დაცემული ღმერთს სულს ვაღარჩენს ევედრება. „სასაცილო ის არის, რომ ამავე ვაჭარს საღამოზედ თქვენ ნახავთ რომელსამე ეკლესიაში ორთავე მგზულხეზე დამოიღს და გულ-მხურვალად ღვთის მავედრებელს! ქრისტიანად ასეთი უნდა!“

ნიკო ლომოურის ამ სტატიაში კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული. მისი შეხედღელებით. ადამიანმა დროის შესაბამისად უნდა შეიკეალოს თავისი შეხედღელებანი ამ სამყაროსა თუ ცხოვრებზე. ადამიანი ყოველთვის ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს ცხოვრებას და წარსულის ტრადიციებს არ ეღბაყვებოდეს. იგი უნდა ოზრდებოღვს და ვითარღებოდეს, წინ მიდიღოდეს, მომავალს შესტყროღდეს.

„რას იზამთ თქვენ, მკითხველო, რომ თქვენმტანისამოსმა, ვაცყეთის გამო, აღარ დაგეფართო სიციღებთ ანუ მზის სხივებისაგან? — ეკითხება ავტორი მკითხველს, — „სხვის შევიყვარე“ — ბრძანებთ თქვენ, კარგი და პატრიოსანი! მაშინ რაღას იზამთ, რომ „ამირანდარეყვანიანები“ და „ქალ-ვაგიანები“ თქვენზედ აღარავითარ გავლენას არ ახდენს? „თუ „ამირანდარეყვანიანებს“ და „ქალ-ვაგიანებს“ — იტყვენ თქვენ — „ჩემზედ აღარავითარი გავლენა არა აქვთ — ეს იმას ახვენებს, რომ სწავლა და დარიღება, გამოხატღენი მათში, აღარ აკმაყოფიღებთ ზემს ვონებიოთს და ზნეობით მო-

¹ „დროება“, 1876, № 11, გვ. 2.
² იქვე.
³ „დროება“, 1876, № 28, გვ. 2.

თხოვნილებათ. მამასადავ უნდა შევცვალო ისინი იმგვარი სწავლით, რომელიც დააკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებდა...¹

წ. ლომოური ამ ფელეტონით აღიარებს, რომ აღამოიწვება ცხოვრების მხარდაშლარ უნდა იარონ, ან უნდა ჩაებღავტონ მხოლოდ წარსულს და უგუნურად არ უნდა დაბეჭდონ თვალეზი მომავლის სხივის არ დასანახად. იგი მოუწოდებს აღამოიწვებ იბრძოლონ ბედნიერების მოსაპოვებლად, რადგან ბედნიერება შესაძლებელია ამ ქვეყანაზე.

ნიკო ლომოური არ ფერობს ან არ წერს ამ სტატიაში იმ გზაზე, რომლითაც შესაძლებელი იყო ამ ბედნიერების მოპოვება, არც იმ ახალ იდეურ „ტანისამოსს“ ახასიათებს გარკვევით, რომელიც ახალმა თაობამ უნდა მიიღოს შესაბამისად, მაგრამ დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ ეს სამოღვაწეო პროგრამა ნიკო ლომოურისათვის წმინდა ხალხისნური იყო.

ნიკო ლომოური გარკვევით აღიარებდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში „ხალხისნობა, სახალხო მიმართულება... გადამცემა მთელი ჩემი სიცოცხლის გზის მარეგულირებელ კანსტრუქტორად“.²

თავის მომდევნო ფელეტონში ნიკო ლომოური მკითხველს აცნობს კიევის იმ ლავრას, რომელსაც ვაცოლებით უფრო ადრე, რამდენიმე საუკუნის წინ, ქართველები კარგად იცნობდნენ. ეს ის ლავრაა, უკრაინელთა საამიყო ისტორიული ძეგლია, რომლის მონაბრძნისეც ქართველებსაც შეეძლებოდა წვდომა.

ქართველთა და უკრაინელთა ამ ისტორიულ ერთიანობაზე სტატიაში ავტორი არას ამბობს, მხოლოდ ფელეტონის დასასრულს, როდესაც ბერმა ვაგო, რომ მისი სტუმარი იყურიელი იყო, განაცხადა — „იყურიელი მოტრიალი ხატები ვაძუქს ჩვენი“ და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ნიკო ლომოურის გაუწყვეტილებია სიტყვა და მისთვის სხვა რამ უკითხავს...

კიეველი ბერები ცხოვრებაზე არაერთხელ წერს თავის ფელეტონებში ნიკო ლომოური. იგი მათ ხან თვითონ სამყოფელში, ეკლესიაში მყოფთ გვიხატავს, ხანაც ქუჩებში გამოპყავს, სადღესასწაულო პროცესიაზე.

ერთ თავის ნარკვევში ავტორი აგვისაბავს კიეველების დღესასწაულს 15 ივლისს (ვლადიმერის მიერ ძველი რუსების მონათვლის დღე).

ამ სტატიაში ავტორი შესანიშნავად აქვს გამოყენებული პარალებელი. ელაღიერის ძეგლისაკენ მიემართება დიდი და პატარა, ყველაფერი გამოიყოფილებული, „აქ ჩანდა აღამიანის სიცოცხლე“, — წერს იგი, — რისი და-

ნახვით მტერიც კი გაიხარებდაო, „მაგრამ რას სად არის ლოლიკა მამინ რუფესაკე ზალკუნეთის ნახევარ კენწულზედ ეკლესიის მხარეს სიცოცხლეს ეღება ბოლო, ჩვენ კიეველები კი ამგვარ რაღაცეებითაც ვაგზოაფილებთ ჩვენს ნამდვილ კაცობრიულ მოთხოვნილებათ“.³

უაღრესად მოხდენილი პარალებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ხერხით ავტორი თავის ფელეტონებში ხშირად აღწევს პეტიციონისტურ სიმბავილეს.

ნიკო ლომოური სხვა დროს საგანგებოდ ჩერდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ომის საკითხზე. იგი ომის არსს არ სწევდა. სიღრმეში და არც ცდილობს მისი გამოშვევით მიზეზების დახასიათებას, მაგრამ რუსეთის ჩინოვნიკების, ეპარქებისა და სულიერი წოდების დამოკიდებულებაზე ამ ომი. სადმი კი ორიოდ სიტყვას ამბობს. „ამ დროს, — წერს იგი, — როდესაც რუსეთის ჩინოვნიკობას, ეპარქობას, და სასულიერო წოდებას თავისი მფარველი და მრავალ მოწყალე განმამთავისუფლებელი. მონარხი მიუძღვით წინა“⁴. ყველა მათგანი შხად არის ვაილის ომის შესაწირავი თანხა. მაგრამ ყველას მანაც სასულიერო წოდებაზე გაუსწრო. ეკლესიის მსახურნი დღენიადაც მოუწოდებენ თავიანთ მრევლს — „წადით ვისაც შეგიძლიათ, დაეხმარეთ რითაც შეგიძლიათ, რათა გინდევნილ იქმნენ ის ყვეელი ემშაკის მანქანებანი დედა-მამის ზურგიდამ“.⁵

მართალია, ლეთის მსახურნი ყველაზე მეტად აქტიურობდნენ, მაგრამ თვითონ ბალკანეთის მხარეს გამგზავრებას ჩრდილში დგომას აქოზინებდნენ.

ლეთის მსახურების სატირული გამამთრახები: ნიშნის გავლენის ავტორი ამავე სტატიაში, როდესაც მკითხველს ესაუბრება იმ „ჭერიჭას შესაბამისი შორთელ სასულიერო წოდების“ წარმომადგენლებზე, რომლებიც მის წინ ჩაეღიან. ნიკო ლომოური გადაკერით ამბობს, რომ ამ ლეთის მსახურის სამოსელში გამოხატული სასულიერო წოდება ხალხს სძარცვავს და მის ხარჯზე ცხოვრობსო. „ხალხო რაა?“, — ამბობს იგი, — ხალხო, ანუ ამწყანებელი ევლი... რომელზედც სამოვრათ გამოდის ათასი უმშავისი მხეცო... მაგრამ ავტორის სყერა, რომ ეს ასე არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. სყერა, რომ ამ უსიღნისობას მალე მოეღება ბოლო, რადგან ამ შეუთახობრებს „ხალხთან ჩატანებელი შტამი... ვაჰკომინებო... ფეხებს“... ნიკო ლომოურის აზრით, ეს დრო არც თუ ისე შორის უნდა იყოს. „ამბობენ, — დასძენს იგი, — ამგვარი შხამიანი ბალახები ძრვილ

¹ „ღროება“, 1876, № 28, გვ. 3.

² წ. ლომოურის წერილი დავით ქარაიშვილისადმი.

³ „ღროება“, 1876, № 81, გვ. 1.

⁴ „ღროება“, 1876, № 81, გვ. 1.

⁵ იქვე.

ვებისათვის, მაგრამ ის შიშით იყო...
 ეხლა ისევე ლიპარიტი ვარ და ჩემი გზი-
 დან ვერა ვერ გადამაცდენს. ამბობენ
 რომ წმინდანები ჭირში ისე მაგრდები-
 ან, როგორც ქვევრში ღვინო, და ბო-
 ლოს, ერს საფლავიდანაც ათრობენ და
 სისხლს უღუღებენო, მაგრამ მკვდრე-
 თითაც რომ დგებოდნენ წმინდანები,
 მათი აყოლა მე არ მარგებს. მე, ლიპა-
 რიტე კიკოძეს კიდეც დამცინებენ, რომ
 მნახვევს მწარედ აზღუქუნებულს, იმი-
 ტომ რომ ერი ღვაწლს ყველას არ უფა-
 სებს, ერს მხოლოდ ის უყვარს, ვინც
 თავის მტერია. მე კი ქვეყანა მიმაჩნია
 ჩემთვის მოსათალ დუმად...“ ეს მონო-
 ლოგი გლეხური ინდივიდუალიზმის
 შიშვლად გამოვლინებაა და პატარა
 კაცის ცინიკური სიბრძნის ელფერიც
 დაჰკრავს. დიდებულების გამყიდველუ-
 რი პოლიტიკის, უხეში ძალის ბატონო-
 ბისა და ეროვნული დაკნინების ხანაში
 ეს ძირმწარე მცენარე ადვილად ხარობს
 და თავის შხამს უხვად აფრცელებს. ამი-
 ტომ ლიპარიტი სასაცილოც არის და
 საშიშიც. მისი ქოსატყუილობა ერთი
 შეხედვით საზიანო არ უნდა იყოს, მაგ-
 რამ მწერალმა ამ ტიპს ზღაპრის გულ-
 უბრყვილობა ჩამოაცალა და შეგნე-
 ბულად გააშიშვლა მისი მავნე ბუნება.
 ერთი შეხედვით „დავით მეგრე“ გმი-
 რობის აპოლოგიის გაქარწყლებასაც
 უნდა გულისხმობდეს, მაგრამ არა სა-
 ერთოდ, არამედ ყალბად გაგებულ,
 ცრუ გმირობისა. ლიპარიტის კითხვაზე,

სად არის კახაბერიო? გოსტაშაში ბა-
 სუხოზს „იქ არ ყოფილა“. „მამ კომ-
 კის თავე ვინაა გადმომდგარი?“ უკეს
 მისი გულა გაეკეთეო“, უპასუხებს
 გოსტაშაში. ბრძოლებიც, ინტრიგებიც,
 ვაეკაცობაც აქ განგებ გამარტივებუ-
 ლია, უტრირებულაია, რათა უფრო
 მკაფიოდ გამოჩნდეს სიმბოლის,
 ორპირობის, სიხარბისა და მლიქვ-
 ნელობის ნამდვილი სახე. კახაბე-
 რის მაგიერ ციხეზე შემდგარი გულა
 ცრუ გმირობის სიმბოლოა. მის ვარშე-
 მო დგანან მშიშარა მეფეები, მოლა-
 ტე დიდკაცები, გამყიდველი ფეოდა-
 ლები და სულმოკლე ქოსატყუილები.
 და იმავე დროს ქვეყნად ცხოვრობს
 კახაბერის სული, საღაც არის მისი გა-
 უტეხავი ხმალი და ხალხს შეუძლია
 ისევე წარმოშოს ნამდვილი გმირი.

ოცდაათ წელიწადზე მეტია პ. კაკა-
 ბაძის თხზულებანი ტრიალებენ ქარ-
 თულ ლიტერატურასა და სცენაზე. და
 როგორც სწვევია ნამდვილი ტალანტით
 აღბეჭდილ ქმნილებებს, ისინი დღითი
 დღე იზრდებიან მკითხველის თვალში,
 მეტ სიყვარულს, პოპულარობას იხვე-
 ჟენ. ადამიანის სულიერი აღზრდისათ-
 ვის ბრძოლაში პ. კაკაბაძის კომედიე-
 ბიც აქტიურად მონაწილეობენ, ცრუ
 დიდებას, სულიერ მეშინაობას, სულ-
 მოკლეობას, მშიშრობასა, კარიერიზმსა
 და სიყალბეს დაუზოგავად ამათრახე-
 ბენ.

მიმცემს, თუ კი ეს წადილი ადამიანის ბუნების კანონების წინააღმდეგ არ მიდის. ამ ცოდნაზედა ააშენე ლეკურღმა თავისი კანონმდებლობა და, როგორც საზოგადოთ დავინახებთ, არც მოსტყუვდა თავის განზრახვაში.¹

ნაყო ლომოური შემდგომ იხსენებს ბუღას საქმიანობას, მისი აზრით, „ბუღდამ მიიღო აქ ლეკურღის რელია“² ამ შემთხვევაში ინდოეთში ლეკურღის ამოყვანის უფრო მეტი ძალით, რუმცა სხვა ფორმით გამოეხატა თავი.

ბუღამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ინდოეთში იმიტომ, წყის აქტორი, რომ... „იყო და ადამიანის ბუნების მოქნილობის თვისება და ამ ცოდნით მიღწეა მანაც თავის მიზანს“³

შემდეგ აქტორი ლაპარაკობს კრისტიანობაზე, კათოლიკობაზე, იეზუიტებზე და თანდათანობით გადადის ხალხის განათლების მნიშვნელობაზე. მისი მტკიცე რწმენით, „სასოფლო შკოლების განმრავლება, ხალხის განათლება დახ მშვენიერი და პატიოსანი საქმეა“⁴

მწერალი ხალხში განათლების შეტანისა და სახალხო განათლების აქტიურობის პროპაგანდისტია, მისი აზრით, ხალხში განათლების შეტანას შეუძლდა მშრომელების ამოყვანა გაქარვებული მდგომარეობიდან, რადგან მათი უბედურების წყარო სწორედ განათლებლობა.

როგორც ცნობილია, ნაყო ლომოურმა ხალხის განათლების საქმეს შეაღია თავისი ცოდნა და ენერჯია.

ნაყო ლომოური სახელოვანი ქართველი პედაგოგი იყო და მით უმეტეს საინტერესოა, რომ სწავლა-აზრდის საკითხებს იგი ჯერ კიდევ კიევის აკადემიის სტუდენტობის დროს აქცევდა ყურადღებას, გულთან ახლოს მიჰქონდა იგი.

კიევიდან გამოგზავნილი სტატეიები მრავალმხრივ არის საინტერესო. ისინი მეტყველებენ ახალგაზრდა მწერლის სულიერ ინტერესებზე, გვაძლევენ საშუალებას განვსაჯოთ, თუ რა გზით მიემართებოდა მასი გონებრივი განვითარება. ამ ფელეტონების მიხედვით ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ნაყო ლომოური იმ დროს უკვე მტკიცედ იდგა მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაოზე, რისთვის გამოთქვამდა მისი იმეამინდელი მძიმე მდგომარეობის გამო და ხალხს ხვალისდელ ბედნიერ დღეზე ოცენობდა.

კიევიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში იკვეთება ნაყო ლომოურის მომავალი საბრძოლო-სამოღვაწეო გზა. ამ ფელეტონებში მოიხაზა ძირითადი და მოკიდებული მშრომელი ხალხისა თუ სოციალურ პოლიტიკური ყოფისადმი.

რომელიც ფართოდ და ღრმად ვაიმარე შემდგომი სახელოვანი პედაგოგის, კემპარიტი მამულაშვილისა და ხელოვანის სოლომონაშვილის.

ნაყო ლომოური კიევის უნივერსიტეტში სწავლებდებოდა ინტერესს იხსენა რუსი რევოლუციონერი-დემოკრატებისადმი, განსაკუთრებით კი ნაყო ლომოურს დობროლობოვის შემოქმედებისადმი. იქ თარგმნა ნ. ლომოურმა ნ. დობროლობოვის ლექსები — „ქადაგების ძალა“, „ვეკუსიანი“ და სხვ.

ნ. ლომოური დაინტერესებული იყო კიალოვის, გრეტეს, მაკოლეისა და სხვა პოეტების შემოქმედებით. განსაკუთრებით მოხიბლა იგი უკანასკნელი კობზარის ტარას შევჩენკის მხატვრულმა სიტყვამ. იგი ჯერ კიდევ კიევის აკადემიის მოსწავლე, ქართულ ენაზე თარგმნის რეპეტიის ვეღლაზე სანთილ მტრის — ტარას შევჩენკის პოემას „მუშა ქალს“.

ტარას შევჩენკის ამ პოემაში ასახული აქვს დედა-პოეტიკას ხედი. უკრანელი მწერალი ამ თემას რამდენიმე გზის უბრუნდება თავის შემოქმედებაში, მაგრამ ყოველთვის ახალი ეტობიდან ამტკებს მხარტობელა დედის მძიმე ცხოვრებას.

„მუშა ქალში“, რომელიც პოეტმა 1845 წელს შექმნა, წარმოსახულია დედა-პოეტიკას, განას მძიმე განსდები. იგი იძულებულია თავისი ზეილი ბავშვი ეშვილო, შეძლებულ მიხატვას მიუღღოს და შემდეგ თვითონვე მიიკითხოს მათ და მოქაშავირედ დაუდგეს. განას ვერ მიუტოვებია თავისი ბავშვი და ამ გზით მარცხ, შესაძლებს უოველდღურად მიხედოს და მოუაროს მის პირშობს. ასეთ ტრაგიკულ ეთარებაში ატარებს მთელ სიცოცხლეს განა და მხოლოდ სიყვითლის წინ გამოიტყდება თავის შვილს — რომ იგი მისი შშობელი დედა.

ნაწარმოებში აშკარად მოსჩანს, თუ როგორი სიმკაცრით ილაშქრებს აქტორი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

„მუშა ქალში“ იმთავითვე მიიჭყრო კრიტიკოსთა ყურადღება, ნაყო ლომოურს დობროლობოვმა ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა. „მთელს ეს მოთხრობა მშვენიერა ხდება ამ სრული უბრალებით. — აღნიშნავდა იგი, — რომლითაც წარმოსახულია მთელი ეს ამბავი. არც ერთი ფრაზირებული ადგილი, არც ერთი ყოველწინა ლექსი; ყველაფერი ისე თანხარად, წყნარადა, თითქოს დედის მორჩილია, რეშმა ერთგულბა; თვით პოეტის სულში გადინაცვალაო“.

იქნებ ფრანკო სავანგებოდ აღნიშნავდა პოემის შესრულების უბრალებებსა და უშეთლობას, ლექსისა და ამზის ბუნებრიობას.

შესაძლოა, სწორედ ამ ბუნებრიობამ მიიზიდა ქართველი მწერალი, როდესაც იგი სათარგმნელად შეეჩენკის ამ ნაწარმოებს ირჩევდა ან, უფრო შესაძლოა, იგი იცნობდა მისთვის

¹ „დროება“, 1877, № 62, გვ. 3.

² იქვე, გვ. 1.

³ იქვე.

⁴ იქვე.

საკვარელი პოეტისა და მოაზროვნის ნ. დობოლოძის შეხედულებას ამ პოემაზე და ამავე უკანასკნელ არჩევანი.

ნიკო ლომოურის მიერ თარგმნილი ეს პოემა დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ეტრნალ „ივერიაში“, 1881 წლის მაისის ნომერში, ნ. ლის ხელმოწერით.

ნიკო ლომოურს შეეჩვენოს ლექსი ნათარგმნი აქვს რამარცხლოვანი შაირით, რომელიც უკანასკნელი ლექსის ფერას კარგად ეფარდა. თარგმანში კობზარის აზრი გამოკვეთილად და მოხდენილად არის გადმოცემული და „მას, რომინაღის სინოყიერებ არ აცლია“.

ამ დღეებით მხარებთან ერთად, ნიკო ლომოურის თარგმანს ხარვეზებიც ვაჩინია. იოსებ გრიშაშვილის მართებული შენიშვნით, „არ შეიძლება დავეთანხმოთ მთარგმნელს იმაში, რომ პოემაში მოხსენებული უკრაინელი სახელები ქართული სახელებით მოქმედებდეს. მაგ., ნასტე — ნიტალი, დედანში ვუკს „მარკო“ კვირან ქართველი მთარგმნელი კი სამხარაოდ თარგმნის ამ მარკოს: „სიკო“, „სიყენა“, „სიშინი“.¹

თუმცა, ნ. ლომოურის სასარგებლოდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძველად სახელების „გადმოქართვება“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ხოლმე.

როგორც ამ უნდა იყოს, ფაქტი ის არის, რომ ქართველ მოღვაწეთაგან უკრაინელი კობზარის შემოქმედებას პირველად ნიკო ლომოურის კალამი შეეხო და პირველი მისი ნაწარმოებია, რომელიც ქართულად ახმოანდა, „მეშა მკალი“ იყო“. უკრაინელი ერის დიდი მკვანის ნაწერის ქართულად გადმოტანა იმპროვიზაციის უღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ნიკო ლომოურმა ამით დიდ საქმეს დაუდო სათავე და მისი დამსახურება ამ მხრივაც უძეოდ აღნიშვნის ღირსია.

კვიციანი ნიკო ლომოური მუყაითად უფდა საწერ მაგიდას და ბეჭითად შვიკადინებოდა. მაგრამ, ამავე დროს, თავის ადამიანურ მოვალეობასაც არ ივიწყებდა. „მეგობრისადმი დახმარება, ზრუნვა მათი განვითარებისათვის, ამხანაგური თანაგრძობის გაწევა კირსა და ლბინში მისი სპეტაკი ბუნების შინაგან მოწოდებას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ნიკო ლომოურს პატრიოსტეშია და სიუყარული ეპყრობოდა არა მარტო კვიციანი მყოფი ქართველი სტუდენტობა, არამედ პატრეს სტუმრდენ აკადემიის სტუდენტებიც“².

ნიკო ლომოურმა კვიციანი ჩასვლისთანავე თავი მოუყარა ქართველ ახალგაზრდობას. მათ დაიწყო შეხედულება. შეკრებების დროს სა-

უბრობდენ საქართველოზე, ქართულ ლიტერატურაზე, ქართველი ერის ისტორიაზე შეხედულების ბევრ ქართველ მოზოლიერი ენა დაიწვებული ჰქონდა. ნიკო ლომოური ეხმარებოდა თანამემამულეებს არა მარტო მოზოლიერი ენის გახსენებასა და უკეთ დავლუბნო, არამედ საქართველოს ისტორიისა და ცხოვრების შესწავლაშიც.

კვიციის სხვადასხვა სასწავლებლებში იმ დროს რამდენიმე ქართველი სწავლობდა, მათ შორის იყო შემდგომში გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი.

დავით კლდიაშვილი ცხრა წლისა იყო, როდესაც, ორმოც სხვა ბავშვთან ერთად, სამხედრო განათლების მისაღებად გაისტუმრეს. დავითი კვიციის სამხედრო გიმნაზიაში მოხვდა. პატარა დავითი არდადეგებდაც კვიციში ატარებდა და მალე სულ დაიწვედა ქართული ენა. გარდა ამისა, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვისათვის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მრავალი საკითხი ბუნდოვანი და უცნობი იყო.

ამ დროისათვის უნივერსიტეტის სტუდენტმა კ. ლორთქიფანიძემ ნიკო ლომოურს აცნობა სამხედრო გიმნაზიაში დავით კლდიაშვილის ყოფნა, ნიკოსაც, ბევრი არ დაუბანება. და „ერთ დღეს, — მოგვიხსრობს დავით კლდიაშვილი, — სამივენი (ლომოური, მისი ილერიძე იე. ვაფრიანაშვილი, ო. ბ.) მოვიდნენ გიმნაზიაში ჩემს სანახავად. ჩემს სისხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამით გაცნობის გამო, განსხვავებულად მომესიყვარულენ და წასვლისას დამპირდნენ შემდეგ კვირისათვის აკადემიაში წასუყანას“.

ნიკო ლომოური დავით კლდიაშვილს ესაუბრა საქართველოს წარსულისა და ქართული ლიტერატურის შესახებ, „ტკილიმა, ილერაიანსა ლამარაკმა, ლომოურის დამასისათებელი თვიონება რამ იყო, პირდამირ მომიხიზლა და შემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი“ — წერს დ. კლდიაშვილი.

თანამემამულენი მეორე კვირას კვლავ შეხდნენ ერთიმეორეს. ლომოური ამჟერადვე აღიხანს ესაუბრა დ. კლდიაშვილს სამშობლოზე და მის დიდ წარმომადგენლებზე და თან წასაკითხავად ვატანა „ივერიის“ რამდენიმე ნომერი, სადაც ილია ჭავჭავაძის პოემა „დამიტრო თავდღუბული“ იყო დაბეჭდილი. „ლომოურმა ამიხსნა ეს პოემა, — წერს დ. კლდიაშვილი, — მომიყვა დამიტროის ისტორია და გახელებული სიხარულით დამიტრეს. იმ დამეს არ დამძინებია“.

როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული (ს. ბუციშვილი, ი. ბოცაძე), ნიკო ლომოურის დამსახურება დავით კლდიაშვილის მიმართ მხოლოდ ის კი არ იყო, რომ მან სამხედრო გიმნაზიის ქართველ მოწაფეს ქართუ-

1 ი. გრიშაშვილი, შეეჩვენო და ქართული მწერლობა, თბულებანი, ტ. IV, 1964, გვ. 193.

2 იქვე, გვ. 197.

3 ი. ბოცაძე, ნიკო ლომოური, 1966, გვ. 19.

ლი ენა შესაწევლა, არამედ ის, რომ დაკვირვებულმა უმარწვილმა კაცმა იმოკლეთვე შეაზნა დაიეთ კლიაშვილს მწერლის ნიჭი და შეეცადა, რომ მომავალი სამხედრო მსახური მუხის მსახურად გამოეღობო.

ნიკო ლომოურის უმჯობესი მეცადინეობით სცადა დაეთო კლიაშვილმა მწერლის ნარ-ეკლიან გზაზე შედგომა.

1915 წლის 20 იანვარს ქ. ფოთის ეპისკოპოსი ნიკო ლომოურის სწერდა: „თუმცა თქვენი პირიყენება მუდამ გაცისკროვნებული იყო ჩვენს წარმოდგენაში მადლიანი და საყვარელი ადამიანის შარავნდებით. მაგრამ ჩემმა სა-მწეხაროდ, ამ უკანასკნელ დღეებში ერთმა გარემოებამ კიდევ გამოასყეცა და დღლად გამოცხოველა ასეთი ჩემი წარმოდგენა.

ახალწლის შემდეგ ჩემს სანახავად ფოთში ჩამოვიდა ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი დაიეთ კლიაშვილი... მესაიფის დროს ამ ტკიბილმა კაცმა მიამბო, რომ ქართული ენა შემოყარა და კალამი ამაღლებინა ნიკო ლომოურმა, როდესაც ის კიევის აკადემიაში სწავლობდაო. ასეთი თანაგრძობით და მღელვარებით აზრებებდა თქვენს სახელს, რომ მეტი სიამოვნებისაგან გული აზირებდა. ბელეტრი ხართ, ძვირფასო, რამე ასეთი კაცე შევიძენიათ სამშობლოსათვის, თქვენ რომ სრულებით არა დავეწერათ რა, მინც დავეიწყარო იქნებოდათ ქართული ერისათვის, რადგან ბატონი კლიაშვილი თავის მწერლობას თქვენი პირადა გავლენის შედეგად თვლის“.

დაიეთ კლიაშვილის მოგონებანა ნიკო ლომოურთან დაკვირვებული — კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის დახსენებაში გვხვებარება. „ზნორად მეც დაედიოდი აკადემიაში და აქ თავის თათში ლომოური გვიკითხავდა თავის ახლად დაწერილ ლექსებს, — წერს დ. კლიაშვილი, — ერთხელ, მასსივს, თავისი ტკიბილი ზნით წვაკითხას მოთხრობა „ალი“, რამაც აუწერელა სიხარული გამოიწვია ჩვენში“.

ნიკო ლომოური კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს ცდის კალამს ბელეტრისტიკაში. „ალი“ 1878 წელს კიევიში მუოფთობის დროს დაეწერა, — იგონებს დ. ლომოური, — ეს მოთხრობა ლაპარაკის დროს ანტიონ ფერცელაძეს უძაგებია (ფსიქოლოგი ვიყავი მანინ). მომწერეს და ცუდად იმოქმედა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელშიც დღლად აქებდა „ალს“, იაკობსაც ექო და ამ გარემოებამ საბოლოოდ გადასწყვეტინა მოთხრობების წერა“.

ეს მოთხრობა ნიკო ლომოურმა 1879 წელს გამოაქვეყნა „ივერიაში“, შემდეგში იგი ზ. კვიციანიის წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1883 წელს.

თავის წინასიტყვაობაში ზ. კვიციანე მალად

შეფასებას აძლევდა ახალბედა ბელეტრისტი პირველ ნაწარმოებს. „ეს მოთხრობას“ კალი პირველად დაბეჭდა 1879 წელს „საქართველოს ივერის“ მუოთხე წიგნში. ამ მოთხრობის მოვლენამ ერთობ კარგი იმედი მოგვეცა ჩვენ. ის ნაბიჯი, რომელიც იწყება 1859 წლიდან „სტრამის ციხით“ და ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე „გლახის ნაამბობით“ და ორი თუ სამი სხვების მოთხრობებით, თითქმის ამ მოთხრობის გამოსვლამდის მათი შესაღარი არა დაწერილა რა, ვარდა ილია ჭავჭავაძისავე „მგზავრის წერილებსა“, რომელიც დაბეჭდილია 1871 წელს ფერნალ „კრებულს“ წიგნებში. 1879 წელამდის ჩვენს მწერლობაში გამჭრალი იყო ისეთი მწერლების ნაწარმოების ბეჭედა და კითხვა, რომელნიც ყოფილიყვენ იმ დირსებისა, რასაც ჩვენ ზემოთე მოხსენებულს მოთხრობებს ეანიჭებთ. 1879 წელს კი მოულოდნელმა იმედმა მოგვიტანა მოთხრობა „ალი“ და ამ მოვლენით ჩვენმა მწერლობამ შეიძინა ერთი მოვლეთესო და ხელუფენური მოთხრობა „ალი“, ახალგაზრდა და ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები. ამ მოთხრობამ ისეთი გავლენა იქონია ჩვენს საზოგადოებაში, რომ იგი არამც თუ მარტო განახლებულ დასში გავრცელდა, არამედ დაბალ შევს ხალხშიც“.

ნიკო ლომოური თავისი მოთხრობით „ალი“, ისე როგორც კიევიდან გამოგზავნილი ფელეტრებით, ქართულ ლიტერატურაში აეთარებს ახალ ყანრს. სოციოლოგიურ ნარკვევს. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი საერთოდ დამახასიათებელი იყო როგორც ქართული, ისე რუსი ხალხისთვის შემოქმედებისათვის.

ამ ჰატარა მოთხრობით ნიკო ლომოური სავესებით გარკვევით დაღა ხალხისან მწერალთა პოზიციაზე და, შეიძლება ითქვას მან თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა შემდგომში ძირითადად ამ მიმართულებით წარმოკრა.

ნიკო ლომოური ბუნებით პედაგოგი იყო. მართალია, კიევის აკადემიაში ყოფნის დროს მას არ ჰქონდა საშუალება გამოემყდენებინა ამ მხრივ თავისი ნიჭი, მაგრამ იგი შინაგანად უკვე ემზადებოდა იმ დღის ასპარეზისათვის, რომელსაც პედაგოგობა ჰქვია.

სავესებით სწორად აცხადებს პრიოფ. ს. ხეიოშვილი, რომ ნიკო ლომოურის „მხატვრული შემოქმედება პედაგოგიური მუშაობის ერთი მთავარი მხარეა. თავისი მოთხრობებით მწერალი ფართო მასებთან ამაღდა კავშირს, უფრო დიდ აუდიტორიასთან ჰქონდა საკმე. მწერლის მიზანი იყო ქართველი გლეხობის გონების გახსნა განათლების საშუალებით. მისი აზრით, გლეხობის ჩამორჩენილობაზე იყო აღმოცენებული აგრეთვე ცრუმორწმენეობა. ნ. ლომოურის მხატვრული შემოქმედების მიზანი იყო ბრძოლა უკულტურობისა და ცრუმორწმენეობის წინააღმდეგ, ბრძოლა უწიფერობისა

და უსწავლელობის მაინე შედეგების წინააღმდეგ“ 1.

ამ აზრის ნათელი დადასტურება იყო ქართული მწერლის პირველი ნაწარმოების „ალი“ გამოქვდა. უკვე ამ ნაწარმოებში გამოვლინდა შემდგომში ნიკო ლომოურის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშანთვისება.

„ალი“ სოციალური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც ავტორმა მადალმატერულად და რეალისტურად შეძლო აესახა საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი ცხოვრების მიმე სურათები. ამასთანავე, როგორც ეს აღიარებულია, „ალი“ იყო მატერიალისტური ფილოსოფიის თვალთახედვით დაწერილი პირველი მსატერული ნაწარმოები ავტორისა. იგი იყო „სოციალურად მამხილებელი კრიტიკული ნაწარმოები და პირველი თანამედვერული ანტირელიგიური ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში“.

ქართული გლეხის ჩაგვრისა და ტანჯვრ მრავალ მიზეზთა შორის მწერალმა გლეხობის ნამორჩენილობა, გუნათლებლობა, ტელტურობა აღიანახა. ცრუმორწმუნეობა თუ საელტო ჩვეულებანი, ავტორის აზრით, იყო იარაღი, რომლითაც გაბატონებული კლასი მოქმედებდა ისედაც დაჩაგრული გლეხობის წელში კიდევ უფრო გასატეხად.

ნიკო ლომოური თავისი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოებით მკითხველს უჩვენებდა, თუ როგორ დაიდება ერთ დროს შეძლებული არამედნაათ ოქახი ცრუ რწმენის გამო, და როგორ გამოიყენეს მათ მიერვე გამოგონილი ალი ჯერ მღვდელმა, შემდეგ ბლადიმინმა, განსაკუთრებით კი დიაკონმა ზაქარია, რომელმაც მოახერხა თავის მამულისათვის შენატებისა არამედნაათთ კარ-მიდამო და ხასამა გაბრიელამ, რომლის ბედშიაც მოექცა არამედნაათ ოქახიც.

ნიკო ლომოურმა თავისი პირველი მოთხრობით „ამილა ის მწევე სოციალური უთანასწორობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურკაპიტალისტურ საქართველოში“.

„ამ ნაწარმოებმა განასზღერა კიდევ მისი საწერლო მოღვეულობის მომავალი, ამ მოთხრობამ მიმართლება მისცა მთელ მის შემოქმედებას“ 2.

ნიკო ლომოური თავისი პირველივე ბელეტრისტული ნაწარმოებით გვერდში ამოუდგავლახის ნაამბობის“ ავტორს და მხარდახმარ პო-

ქვეებოდა მის ეროვნულ-განმათავისუფლებულ დაიდ დროშას“ 1.

ამიტომაც აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ფაქტს, რომ „ალი“ დაწერილი და შემოქმედებითად გააზრებული იყო კიევში, კიევში აიღვა ფეხი ლომოურმა, როგორც ბელეტრისტმა.

ნიკო ლომოური კიევში ყოფნის დროს თვალს არ აცილებდა საქართველოს ცხოვრებას.

1875 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს საზოგადოებრიობის, მშობლიური ერის მდგომარეობით შეწუხებული ნიკო ლომოური კივიდან ბარათს სწერს სერგეი მესხს. ამ ბარათში იგი აღნიშნავს: „საქართველოს სძინავს, მაგრამ მცუდარი არ არის, როგორც ჰგონიათ! საქართველო კი აღვიძებს! ამაში ეჭვი არ არის! მანამდის კი ყოველი ნამდვილი ქართველის მიზანი უნდა იყვეს ტანჯვა, რომ მან თავისი ტანჯვით მომავლის ბედნიერება მოამზადოს“ 2.

ბარათის ბოლო ფრაზა წმინდა ხალხონური გააზრებისაა. მაგრამ ეს არ არის ამჯერად მთავარი. ამ ტექსტის მიმართ საინტერესო მოსახრება გამოითქვა პროფ. ს. ხუციშვილმა. მან ნიკო ლომოურის ბარათსა და აუცი წერეთლის ლექსს შორის აღნიშნა მსგავსება, რომელიც ქართველი ხალხის პოლიტიკურმა კითარებამ 1880 წელს დიდ პოეტს დააწერინა:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაოლვიძებს...
კიევ შენატრის იმის სიკვდილს უმალ მასვე დაამიწებს“ 3

ისე დაემთხვა რამდენადმე ერთიმეორეს ორი მამულშილის აზრი სამშობლოზე.

ასეთი მრავალფეროვანი იყო შემდგომში სახელოვანი მამულშილის ნიკო ლომოურის ჰაბუკობის წლები, რომლებიც მან უკრაინის ერთერთ უძველეს ქალაქში, კიევში გაატარა წლები, როდესაც იგი დაუბლოვდა ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრებს — უკრაინელებს, ვაიცინო და შეიჯარა უკრაინული ლიტერატურა, უზიარა გენიალური კობზარის — ტარას შევჩენკოს მადლიან მუხას, და თავის ერთ ქართულ ენაზე „მეშე ქალის“ სახით მოუვლინა პირველი მერცხალი, რომელმაც საქართველოში დიდ კობზარის პოეზიის სურნელება მოიტანა.

1 ი. ბოცვაძე, ნიკო ლომოური, 1966, გვ. 59.
2 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, წერაკითხვის გამავრცელებული საზ. ფონდი, ხელნაწერი № 5103/9.
3 ს. ხუციშვილი, ნ. ლომოური, თბზ., ტ. 1, გვ. 25.

1 ს. ხუციშვილი, ნ. ლომოური, მოთხრობები. 1951, გვ. X-XI.
2 ს. ხუციშვილი, ნიკო ლომოური, თბზ., ტ. 1, 1963, გვ. 11-12.

გონივრული კარგობა

ქართული ფილოსოფიური აზრი სოციალისტური რევოლუციის პირველ მტაპზე

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ხანა დაიწყო ქართული ხალხის ისტორიაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა სახალხო მებრუნობის ძირითადი ვარჯიშები, ახალი ყოფისა და კულტურის დამკვიდრება, სოციალისტური საზოგადოების აშენება. ამ რთულ ისტორიულ პროცესში ქართველმა ხალხმა დაძლია ექსპლოატორული კლასების წინააღმდეგობა, თავი დაიდრია ძველი იდეოლოგიის ვაგდენას, ენობა ზარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას.

მაგრამ მებრუნებელი იდეოლოგიისაგან გათავისუფლება და პროლეტარული იდეოლოგიის განმტკიცება ერთბაშად და უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მას წინ უჭლოდა შეუტრიაებული იდეური ბრძოლა, როგორც ცნობილია, გარდამავალ პერიოდში საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა სახის იდეალისტური და მებრუნებელი თეორიები. ქართველი მოაზროვნეები — შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კახანელი და სხვები იდეალიზმის წიაღვზე იდგნენ. ამიტომ მარქსისტული ფილოსოფიის გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო მათი იდეალისტური შეხედულებების მხილება.

XX საუკუნის 20-იან წლებში ჩვენში არსებულ იდეალისტურ თეორიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და შედარებით დამუშავებული იყო ალეთოლოგია. მისი შექმნა დაკავშირებულია შ. ნუცუბიძის სახელთან. ალეთოლოგია ფილოსოფიაში ახალი მიმართულების შექმნის ცდაა. შ. ნუცუბიძის პირველი ნაშრომების — „ბოლკანო და მეცნიერების თეორია“ (1913), „ბუნებისათვის ცნებისა“ (1919) — გამოკვეყნება ნიადაგის მომზადება იყო ალეთოლოგიური იდეალიზმისათვის. მისი ძირითადი პრინციპები კი ჩამოყალიბებულია 1922 წელს გამოცემულ წიგნში „ალეთოლოგიის საფუძვლები“.

ალეთოლოგიური იდეალიზმის თანახმად, ფილოსოფია შესწავლის სინამდვილეს, რომელიც არსებობს როგორც კემშარტიკის სისტემა. სინამდვილე და კემშარტიკა განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. კემშარტიკა „ზედ აყრავს“ სინამდვილეს, როგორც მისი გარკვეულობა. სინამდვილე ყოველთვის მოცემული, გარკვეული, ე. ი. კემშარტიკი სინამდვილეა, იგი მუდამ არსებობს აშკვარად და არა სხვაგვარად. სწორედ ეს აშკვარად არსებობა არის კემშარტიკა ანუ კემშარტიკი სინამდვილე. „მეცნიერება, — წერს შ. ნუცუბიძე, — არკვევს კემშარტიკ საგნებს, ფილოსოფია კემშარტიკებს, როგორც საგანს, და ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში მარტოოდენ მასალა ე. ი. საგანი სისტემის ანუ კემშარტიკების გარეშე და მეორეში კემშარტიკა საგნის გარეშე. რამდენადაც ჩვენ ამ ორი მომენტის განუყრელობას ვიცავთ, იმდენად ჩვენთვის არ არსებობს სინამდვილე, რომელიც არაა კემშარტიკა და კემშარტიკა, რომელიც არაა სინამდვილე“.¹ აქ ჩვენ საქმე გვაქვს კემშარტიკების ონტოლოგიური სახისათვის, რაც ნამდვილი იდეალიზმია. სინამდვილე მისთვის არსებობს როგორც „კემშარტიკა თავისთავად“. კემშარტიკაა სინამდვილის განმსაზღვრელი ძალა, აბსოლუტი. ყოველივე მისგან გამომდინარეობს და მისით არსებობს.

შ. ნუცუბიძე ეხება შემეცნების საკითხსაც. შემეცნება, მისი აზრით მიმდინარეობს სუბიექტ-ობიექტის გარეშე. იგი აყრტიკებს იმ განოსოლოგიურ თეორიას, რომელიც კემშარტიკებს უწოდებს ობიექტის ზემოქმედების შედეგად სუბიექტის თავში შექმნილ სერატს და

¹ შ. ნუცუბიძე, ალეთოლოგიის საფუძვლები, 1922, გვ. 13-14.

ავენებს მისი ადეკვატურობის საკითხს. სუბიექტობაზე დაბრკობაა შემეცნებისათვის. შეშეცნება არის თავისთავად არსებული ქვეშარტების გადაქცევა ქვეშარტებად ჩვენთვის. სინამდვილე თავისთავად არსებული და გარკვეული ქვეშარტებაა, რომელიც შემეცნებამ ჩვენთვის გარკვეული და ნაცნობი უნდა გახდეს. „ქვეშარტება თავისთავად და ქვეშარტება ჩვენთვის ის ბუნებრივი საზღვრებია, რომლებშიც ისლება შემეცნება. სინამდვილე, როგორც არსებული, გამობატულია ქვეშარტებაში თავისთავად, შეცნობილი იგი ხდება ქვეშარტებად ჩვენთვის.“¹ ამას ანთროპოლოგებს რედუქციის მეთოდი.

ამჟამად ჩანს, რომ ალეთოლოგია ფილოსოფიური იდეალიზმია. შ. ნეტუბიძემ ვერ შექმნა ახალი მიმართულების შექმნა. მაგრამ მის ცდას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო დასაულებლისადმი ინტელექტუალური დამოკიდების წინააღმდეგ გალაშქრება, რომელსაც დიდი გამოსაურება მოჰყვა. ალეთოლოგიას მიმდევრებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგეებიც. მას იმთავითვე გამოუცხადეს ბრძოლა ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა. მარქსისტულმა კრიტიკამ (პ. შარია, გრ. მკვიფილი და სხვ.) აჩვენა, რომ ალეთოლოგია, როგორც იდეალისტური და გულმეტყუერი თეორია, უცხო და მიუღებელი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. იგი აზრს აცხადებდა პირველად და დამოუკიდებლად. რომელიც გარკვეულობას ანიჭებს ობიექტურ რეალობას, ქმნის და განაგებს მას. მატერიალიზმის საბირსპირთა მისი გნოსეოლოგიური თეორიაც. ობიექტური ქვეშარტება სუბიექტის ცოდნის ის შინაარსი კი არ არის, რაც დამოუკიდებელია მისგან და მთელი კლასობობისაგან, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, არამედ რეალური სინამდვილის აზროსეული დანამტია, ობიექტად ქცეული აზრია, რომელიც შემეცნების შედეგად ისევ სუბიექტს უბრუნდება.

მარქსისტული კრიტიკის ობიექტად იქცა ს. დანელიას იდეალისტური ფილოსოფიურ-ისტორიული შეხედულება. ს. დანელია რევოლუციის წინა ხანაში ეხებოდა სოციალურ საკითხებს. აკრიტიკებდა ლოიბს კოლონიური პოლიტიკის გამო და იცავდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. მაგრამ, შორს იდგა რა მარქსიზმისაგან, მას არ ჰქონდა სწორი აზრი ეროვნული და სოციალური საკითხების გადაჭრაზე მისი შესახებ. ს. დანელია ეროვნულ საკითხს აძლევდა უბრატესობას სოციალურის წინაშე, ჰადაგებდა კლასთა შერეგებას, უარყოფდა სოციალისტურ რევოლუციას. განვითარების მეტაფიზიკურმა კონცეფციამ მას საშუა-

ლება არ მისცა დანება რუსეთის რევოლუციური კლასი, პროლეტარიატი, რომელიც მოწოდებული იყო სოციალისტურ რევოლუციის გზით მოესპო სოციალური და ეროვნული ჩაგვრა და უკვე პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ გაამტყუნა ს. დანელიას იდეალისტური თეორია. ცხოვრება წავიდა მარქსიზმის მიერ ნაჩვენები გზით. მაგრამ რევოლუციის პირველ ეტაპზე იგი კვლავ განაგრძობდა მდღარ მთოდოლოგიურ პოზიციას დგომას. მის წმომგები: „ქვეშარტების გვარა“ (1923), „ანტიმისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“ (1925), „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“ (1926) და სხვ. ამჟღავნებენ ავტორის დიდ ერუდიციას, მაგრამ ატარებენ ობიექტივიზმისა და იდეალიზმის ნიშნებს. ფილოსოფიის ისტორია ს. დანელიას შიანდა პოზიტიურ მეცნიერებად, რომელსაც ეყვებოდა არა რეალურ ცხოვრებასთან ფილოსოფიური თეორიების დამაკავშირებელი ძაფების აღმოჩენა და მათი განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესწავლა, არამედ მხოლოდ წარსული აზროვნებით ვითარების აღწერა და სისტემატიზაცია. ს. დანელია იცავდა იდეათა ფილაციის თეორიას. იგი ზოგჯერ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიულ გარემოს, ვიდრე საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ მხარეს.

წმინდა ფილოსოფიური პრობლემებიდან ს. დანელიამ განიხილა ქვეშარტების საკითხი. ყველაზე ნათლად აქ იჩინა თავი მისმა იდეალიზმმა. ს. დანელიამ ქვეშარტების ონტოლოგიურ გავებას, რომელსაც შ. ნეტუბიძე იცავდა, სუბიექტივიზმი დაუბირსპირა. მან უარყო ქვეშარტების ობიექტურობა, იგი მთლიანად „შეს“, სუბიექტს დაუკავშირა. ქვეშარტების გვარი, ს. დანელიას აზრით, ფსიქიკურია, ხოლო ფსიქიკურის სუბსტრატია არის „შე“, ამიტომ ქვეშარტება არ არსებობს მისგან დამოუკიდებლად, მას არა აქვს მიმართება რეალობასთან, იგი ზედროფლია. მარქსისტულ კრიტიკის უუფარდლებლად არ დატოვებია. ს. დანელიას იდეალისტური შეცდომები, არც მისი დამახრება უყოფილა დაიწყებული ანტიკური ფილოსოფიის შესწავლის დატყუნი.

გარდამავალი პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის იდეალისტურ-აგნოსტიკური ხასიათის მანჯებელია ის თეორიული პრინციპები, რომლებიც განვითარებულია კ. კაპანელის წიგნებში: „სული და იდეა“ (1923) და „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი“ (1925). კ. კაპანელი ჩამოყალიბებული იდეალისტიკა, კანტიანური ფილოსოფიის მიმდევარია. მისი მსოფლმხედველობა პესიმისტური იდეებით არის გამსჭვალული და მიმართულია იმ რევოლუციური ენთუზიაზმის წინააღ-

¹ შ. ნეტუბიძე, ალეთოლოგიის საფუძვლები, 1922, გვ. 85.

მდგ. რომელსაც ჩვენში 1921 წლის თებერვალში მისცა დასახელება კ. კაპანელის აზრით, არ არსებობს მატერია უსულოდ და სული უმატეროოდ. მატერია სულის უძრავი მდგომარეობაა, სული მატერიის დინამიური სახეა. სულია ერთადერთი მოძრავი აქტიური ძალა, უნივერსალური ენტელექტია, ყველაფერი მისგან იქმნება და ისპობა, იგი „მუდამ ქსოვს და შლის რთვორც პენელმას დაზვა ოდისევსის მოლოდინში“. კ. კაპანელი უარყოფს ობიექტურ კანონზომიერებას. აღიარებს ბუნებასა და საზოგადოებაში შემთხვევითობის ბატონობას. ივრკულატივისტია. ამქვეყნად ყველაფერი დროებითი და წარმოებალია, ცხოვრება უპირობა და ამოება, — ამბობს ის.

კ. კაპანელის ფილოსოფიურ-ესთეტიკური და ლიტერატურული შეხედულებების წინააღმდეგ გაილაშქრეს ა. დედუჩიამ, მ. გოგობერიძემ, გ. ჯიბლაძემ, ა. ჩავლეიშვილმა, ს. ზენდაქმ და სხვებმა. უნდა ითქვას, რომ კრიტიკას უკვალოდ არ ჩაუვლია. კ. კაპანელი, სხვა ქართველ მოაზროვნეთა მსგავსად, იმულებული ხდება ანგარიში გაუწიოს ცხოვრების განვითარებას და მის მეცნიერულ ნაყოფს, მარქსისტ-ლენინიზმს, რომელმაც გაბატონებულ იდეოლოგიური მდგომარეობა მოიპოვა.

საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის საფუძველზე და ამ პროცესში მოპოვებული წარმატებების შედეგად, ქართული ფილოსოფიური აზრი 20-იანი წლების შუა პერიოდთან იწყებს შემობრუნებას მარქსისტული მატერიალიზმისაკენ. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უშალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხებს. ისტორიის მატერიალისტური გაგება ვახდა ფილოსოფიის დარგში ეპოქის მჯიშისკენის ბარიეტრია. ბუნებრივია, ამ დარგში, უნდა ეჩინა თავი ცვლილებებს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში, და ეს მართლაც ასე მოხდა.

ქართველა მოაზროვნეები დიდ ინტერესს იჩენენ სოციალოგისაჲში და ცდილობენ ისტორიული მატერიალიზმის გამოყენებით გადაწყვიტონ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების (რელიგია, მეცნიერება, ზელოვნება, ფილოსოფია და სხვ) წარმოშობის, სპეციფიკური ნიშნების, ურთიერთკავშირის და საზოგადოებრივ ყოფიერებაშიან მინართების საკითხებს. ისინი საყურადღებო აზრებს გამოთქამენ ენაა და აზროვნების კავშირის, განათლებისა და ადრტურის განვითარების, სოციალისტური რევოლუციის ამოცანებისა და მნიშვნელობის და სხვა საკითხებზე, იწყებენ ბრძოლას ბურჟუაზიული სოციალიზმის წინააღმდეგ. საზოგადოების განკარგობაში მატერიალური წარმოქმნის როლი მდგომარეობს თანდათანობით გარკვეული ზეება.

მარკულა ნაბიჭი ამ მხრეზე ზეუბნებზე გადაღა 1925 წლიდან მან თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო სტორიული მატერიალიზმის კურსის წაითება და იგი შეცნობილია კულტურაგაძების შეთვლოვით ცხოვრებაზე საფუძველად გამოცხადა. მარქსისტული ფილოსოფია მატერიალიზმის დასრულებული სისტემაა, და ისტორიული მატერიალიზმი, შ. ნუცუბიძის აზრით, სწორედ ამის გამოხატულებაა. იგი აღიარებს ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოების განვითარებაში. ისტორიული მატერიალიზმის მოწოდებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ასსნა და რევოლუციური გარდაქმნა. შ. ნუცუბიძისათვის ცნობილია, რომ მარქსისა და ენგელსის „მიერ შექმნილი ქვეყნისა და ისტორიის გაგების თეორია მიეღა იმ დამთავრებულ სახეობაზე, რომლის შემდეგ იგი, ჭკვორც სრულიად ჩამოქნლი იარაღი, მისგანვე ისტორიულ დასაყრდენად აღიარებული პროლეტარიატის საბრძოლველ იარაღად იქცა“!

შ. ნუცუბიძე განასხვავებს ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი ცხოვრების ორ მხარეს — საზოგადოებრივ ყოფიერებას და საზოგადოებრივ ცნობიერებას და სწორად წყვეტს მათი დამოკიდებულების საკითხს. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები — ფილოსოფია, ზელოვნება და ა. შ. მას დახასიათებული აქვს როგორც ცხოვრების ასახვა. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ დაყავშირებული არიან ერთმანეთთან. მათი საფუძველია საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც განსაზღვრულია საარსებო საშუალებათა წარმოებით, ყოველი ეპოქის სააწროთო ძალები და მათი საფუძველზე აღმოცენებული წარმოებითი ურთიერთობანი ქმნიან საზოგადოების განსაზღვრულ სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს საზოგადოებრივ ცნობიერებას და საერთოდ ზედნაშენის რთულ და უპირამზარ შენობას.

სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი გასაქანი მისცა მეცნიერებასა და კულტურის აღმავლობას. მან „შესტარა ისტორიის კარი“ და ამოცანად დაისახა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეტული გარდაქმნა. მისი განმარცილებების იარაღია პროლეტარიატის დიქტატურა. შ. ნუცუბიძე ამუდნებს ამ ისტორიული პროცესის ამოცანებისა და მნიშვნელობის დრმა ცოდნას. მის ერთ-ერთ არსებით მხარედ მას მეცნიერებისა და კულტურის განვითარება მიანია. ეს კარგად ჩანს მისი წერილებიდან: „რევოლუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში“ (1927), „ოქტომბერი და კულტურული რევოლუცია“ (1928) და სხვ. მეცნიერებ-

1. შ. ნუცუბიძე, ჩერნიშევსკი როგორც მოაზროვნე, ეფრ. „მნათობი“ 1928, № 11—12, გვ. 186.

ბას შ. ნუცუბიძე რევოლუციას ადარებს, მისი ამოცანაა ხელი შეუწუოს კაცობრიობის პროგრესს. შეცნობება ევლტერის ხერხემალია. პროლეტარიატი, შ. ნუცუბიძის აზრით, უნდა დაეპატრონოს კაპიტალისტური საზოგადოების მეცნიერულ და ევლტერულ მონაპორებს და შემდგომ განავითაროს ისინი. ჩვენი ქვეყნის ევლტერული რევოლუცია ოქტომბრის გადატრიალების შედეგია. „ევლტერული რევოლუცია, — ამბობს შ. ნუცუბიძე, — შესაძლებელია ვახდინო მის შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლების შესვერი და მპყრობელი ვახდა“¹.

ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების აღიარება შ. ნუცუბიძემ მარტო საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომით ყი არ გამოხატა, არამედ აგრეთვე ისტორიის იდეალისტური თეორიების წინააღმდეგ ბრძოლით. იგი აკრიტიკებს ა. ბოგდანოვის ემპირიოზინიზმს, რომელსაც უნივერსალობის პრეტენზია ჰქონდა და იცავს მარქსისა და ენგელსის მიერ აღმოჩენილ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას. განსაუხრებელი დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის — შენგლერის რეაქციული თეორიის უკუგდებას, რომელსაც შ. ნუცუბიძემ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.

როგორც შ. ნუცუბიძე ვიჩვენებს, შენგლერი უარყოფდა ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოების განვითარებაში, ქადაგებდა მისტიციზმს და სუბიექტივიზმს. მისი თეორია ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიზისის შავალთაბა მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ა) სინამდვილის (და მასთან ისტორიის) გაგებაში მიჩნელობის აბსოლუტიზმის მოხსნა — ბრძოლა ობიექტური „კანონის“ წინააღმდეგ; ბ) ბედისწერის იდეოლოგიის მიღება-არსებულის სიმწვავის შემსუბუქება და მომავლის ვოლუნტარიზაცია; გ) ბედისწერაში აუცილებლობის შეგნება, მის გასაგებად პოზიტურ-მეცნიერული გზის უარისყოფა და მისტიური გზის არჩევა².

ბედისწერისა და პესიმიზმის ქადაგებას მარქსიზმი უპირისპირებს მოძღვრებას ობიექტური აუცილებლობის არსებობისა და ადამიანის მიერ მისი შეცნობის შესაძლებლობის შესახებ, დრმა ოპტიმიზმს, რომელიც ახალი კლასის დამახასიათებელია. შ. ნუცუბიძის სიტყვებით, მუშათა კლასი, რომელსაც ისტორიულმა მატერიალიზმმა ბრძოლისა და გამარჯვების ნათელი

პროგრამა დაუსახა, შენგლერის თეორიით თავს არ იტყუებს, მეცნიერული სოციოლოგიის გზაზე დგას და იბრძვის კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის. ამ პროცესს დაუკავშირა თავისი მოღვაწეობა შ. ნუცუბიძემაც და ამით გადაამწყვეტა ნაზივი გადაღვა წინ იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ.

რთული ევოლუცია განიცადა ს. დანელიამაც. იგი ხელა მაგრამ თანდათანობით ეთხოვება ჰველ პოზიციას და უახლოვდება მარქსისტულ ფილოსოფიას, აკრიტიკებს იდეალიზმს, როგორც ადამიანის მოქმედებისათვის, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ თეორიას. ფილოსოფიური აზრის განვითარების უმაღლეს საფეხურად ს. დანელია თვლის დიალექტიკურ მატერიალიზმს, რომელიც მარქსისა და ენგელსის მიერ გამოყენებულ იქნა მარქსიზმის ასახსნელად და მეცნიერული სოციოლოგიის საფუძველი გახდა. საზოგადოებრივ ცხოვრებას ის უწოდებს ობიექტურ რეალობას, რომელიც მუდმივ ცვლილებაში განიცდის, მისი ცვლილების შესაბამისად იცვლება და ვითარდება ადამიანის აზრით, შეხედულებაც, კერძოდ ფილოსოფიაც. „სოციოლოგიის ცხოვრება, — ამბობს ს. დანელია, — რეალობაა, ის ვითარდება და მას ისტორიაც აქვს; რეალობაა ფილოსოფიაც და ამიტომ არც ის არის მოვლბული განვითარებას“¹. ს. დანელია აღიარებს სინამდვილის დიალექტიკურ ცვლილებლობას და მასში ადამიანის აქტიური მომწილეობას. ის აკრიტიკებს ჩერნიშევსკის იმის გამო, რომ „ემპირიული სინამდვილე მას წარმოუდგენია მეტაფიზიკურად, როგორც უცვლელი რეალობა, რომელიც გარედან ეყრდნობა ადამიანს და აძლევს მას კანონს. ჩერნიშევსკიმ კარგად არ იცოდა, რომ სინამდვილე არ არის ეკრა, რომლის წინაშე პირქვე უნდა დაემოხოს ადამიანი, ჩერნიშევსკი ვერ სწვდა იმ აზრს, რომ სინამდვილე დიალექტიკურ ცვლილებაშია და ეს ცვლილება ხდება არა გარეშე ადამიანთა საზოგადოების ზეგავლენისა; მისთვის საზოგადოების როლი მსოფლიოში გაურკვეველი დარჩა, ისე როგორც გაურკვეველი იყო ის. ენგელსის სიტყვის თანახმად, ლედევი ფოიერბახისათვის, რომელზედაც დამოკიდებული იყო ჩერნიშევსკი“².

ადამიანის აქტიურობა დამოკიდებულია წარმოების იარაღებზე, წარმოების იარაღების შექმნა, ს. დანელიას აზრით, განახლებებს ადამიანს გარეგანი ბუნებისაგან, აქცევს მას სოციალურ ცხოველად და მის სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს. ის წერს: „ადამიანი უპირველეს ყოვ-

¹ შ. ნუცუბიძე, ოქტომბერი და ევლტერული რევოლუცია. ვერც. „ქართული მშენებლობა“, 1928, № 11—12, გვ. 131.

² შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1966, გვ. 420.

¹ ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია, 1929, გვ. 15.

² ს. დანელია, ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები, 1941, გვ. 121.

ლისა სოციალური ცხოველია, რომელსაც აქვს უნარი იარაღის კეთებისა და აგრეთვე განვითარებული სულიერი ცხოვრება, სარწმუნოება, ზნეობა, ხელოვნება, სამართალი. მეცნიერება, რომელიც არცერთ ცხოველს არ გააჩნია, ვართ აღამაინსა¹. რაც უფრო განვითარებული იარაღები აქვს ადამიანს, მით უფრო დამოუკიდებელი ხდება ის ბუნებისაგან და მით უფრო განვითარებულია მისი სულიერი ცხოვრება. საზოგადოებრივი ცვლილების წყაროა წარმოების იარაღების განვითარება.

ს. დანელია მარქსისტულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს იყენებს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების (ფილოსოფია, რელიგია) წარმოშობისა და განვითარების ასახნელად. მის მრავალრიცხოვან შრომებში გარკვეულია ფილოსოფიის არსი, მისი ძირითადი საკითხი და მიმართულება. ფილოსოფიის ისტორიას იგი ახასიათებს როგორც მეტერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიას და აშკარად გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას მატერიალიზმისადმი, უარყოფს იდეალიზმს და მისთან ერთად რელიგიას, რომელიც მეცნიერების მეტრია. რელიგია, ზებუნებრივი ძალეების არსებობის რწმენა, მისი წარმოშობა დიკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც ადამიანი დამოკიდებული იყო ბუნებაზე. თავდაპირველი რელიგიური წარმოდგენები პრიმიტიული იყო, მათი „მთავარი ნიშანია ბუნების კონკრეტულ მოვლენათა თაყვანისცემა, გამოწვეული უმთავრესად იმ შიშის გრძნობით, რომელსაც პირველყოფილი საზოგადოების გაუნათლებელი წევრის შეგნებაში ეს მოვლენები იწვევენ“² სწორი იარაღების განვითარებამ და საზოგადოებრივმა პროგრესმა შეცვალა რელიგიური წარმოდგენები, მოხდა პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა. „როდესაც ცხოვრებაში გამოვარდა ადამიანს მისი მისწრაფებანი, როდესაც მის მიერ გამოვლენებულმა ტექნიკურმა იარაღებმა გააძლიერეს ის და უფრო დამოუკიდებელი გახადეს გარებუნებისაგან, შეიძლება აღამაინოს შეზღუდული ბუნებაზე“³. რელიგიასთან ბრძოლაში ს. დანელია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებას, რომელიც ბუნებრივ ძალთა მოქმედებას ხსნის არა ღმერთის, არამედ ობიექტური მიზეზობრიობის საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ს. დანელიას შეზღუდული რთული საზოგადოებრივი მოვლენის — ენის არსისა და განვითარების თავისებურებათა შესახებ. დღეს საყოველთაოდ

ცნობილია, რომ ენა ადამიანთა ერთგვარობის საშუალებაა. ენის შემწეობით უდრეხებენ უზარებენ ერთმანეთს თავიანთ ურთიერთს ურთიერთგაგებას. ენა წარმოიშობა და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. ენა არ არის კლასობრივი მოვლენა. იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც ანტიკონსტრუქციული კლასები არსებობენ, ენა ერთიანი და საყოველთაო-სახალხოა. იგი შექმნილია ხალხის მიერ და თანაბრად ემსახურება მის ყველა წევრს. ენას დიდი გამოვლენა ახასიათებს. მისი ცვლილებისა და განვითარებისათვის საუკუნეებია საჭირო. ენის განვითარება ხდება არა მხოლოდ ენის ერთიანად მოსმობისა და ახლის ერთიანად შექმნის გზით, არამედ ძველი ენის თვისებრივი ელემენტების თანდათანობით კვდომისა და ახალი თვისებრივი ელემენტების თანდათანობით და ხანგრძლივი დაგროვების გზით. უეცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში ადგილი არა აქვს.

დაუცერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ენის რაობის მეცნიერულ გაგებას ჩანასახის ფორმით ეპოვებით ს. დანელიას მცირე მოცულობის პოლემიკურ წიგნში „რუსული ენის რაციონალიზაცია, თუ გაუგებრობა?“, რომელიც მან 1927 წელს გამოაქვეყნა. მართალია, აქ ზემოხსენებული ყველა დებულება ისეთი მწყობრი ფორმით არაა ჩამოყალიბებული, როგორც ეს შემდეგ ვახდა შესაძლებელი, მაგრამ მისი ძირითადი შინაარსი დატულია ერთი ენის, კერძოდ, რუსული ენის მიმართ. ს. დანელია აყრდნობს ა. ანდრეევს, რომელსაც სურდა ხელოვნურად შეეცვალა რუსული ენის ლექსიკური ფონდი და გაემარტივებინა მისი გრამატიკული წყობა. ს. დანელიამ მის რაციონალიზატორულ წინადადებებს არაჩვეულებრივი სისულელია უწოდა. მან დაასაბუთა, რომ ენა შექმნილია ხალხის მიერ, იგი საუკუნეების იტლშიდან მომდინარე ხალხური განძია და მისი კანონმდებელიც ხალხი უნდა იყოს. ენა მოქმედებს და ცოცხლობს მანამ, სანამ მოქმედებს და ცოცხლობს მისი შემქმნელი ხალხი, სანამ არაა ამოწურული ხალხის შემოქმედებითი ენერჯია, მისი შრომისა და აზროვნების უნარი. რუსული ენა, ს. დანელიას აზრით, შექმნილია რუსი ხალხის გენის მიერ და იგი გამოხატავს მის ბუნებას, ხასიათს, ცხოვრების თანმიმდევრულს. რუსული სალიტერატურო ენა მიღებულია ხალხური ენიდან, ეყვარება ხალხის მიერ შექმნილ ლექსიკურ ფონდს და გრამატიკულ წყობას და არ არის ეიწრო კლასობრივი მოვლენა. იგი საყოველთაო და სახალხოა. დიდი მეცნიერული ერთეულია და საზოგადოებრივი ცხოვრების „თანამედროვე მეცნიერული გაგება“ დებულება ს. დანელიას სწორად გაუაწყურა ენის კლასობრიობის საკითხი, მან დაასაბუთა, რომ არ არსებობს ბურჟუაზიული

¹ ს. დანელია, სოკრატის ფილოსოფია, 1936, გვ. 8—9.

² ს. დანელია, ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა, 1927, გვ. 53.

³ იქვე, გვ. 56—57.

და პროლეტარული ენები, ბერძენული და პროლეტარული გრამატიკა. ამ მხრივ გამოწვეული არც რუსული ენა და მისი გრამატიკა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ არ მოამწივებს რუსული ენის რადიკალურ შეცვლას. რევოლუციური აქტი ენის შეცვლა შეუძლებელია არის და უსარგებლოც. მაგრამ ენა აბსოლუტურად უცვლელი როდია. იგი იცვლება. ოღონდ — უეცრად, ერთმაშად კი არა, არამედ ნელა, თანდათანობით. „ენაში, — წერს ს. დანელია, — შესაძლებელია მხოლოდ უწყვეტი ნელი, ევოლუციური მიმართება, სადაც ყოველი ახალი ნაბიჯი ეწყობება წინას და მისაღვან სესხელობს თავის ძალეს“¹. ს. დანელია სხვა საკითხებსაც ეხება და ა. ანდრეევთან ბრძოლაში მტკიცედ იცავს ამ შეცვლად უსარგებლობას, რომელშიც მოქალაქეობრივი უფლება მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში მოიპოვა ჩვენში.

იდეალისტური მარქსისტული მატერიალიზმისაგან ქართული ფილოსოფიური აზრის შეზღუდვება, რაც იდეოლოგიური ვითარების კანონზომიერება იყო ვარაუდობდა პერიოდში, ისინი კ. კაპანელის შემოქმედებამდე. მისი გამოხატულებაა მისი წერილები — „ოქტომბრის რევოლუცია და იდეოლოგია“ (1927), „ქალაქი ბრძოლა და რელიგია“ (1930), „ოქტომბრის რევოლუცია და რელიგია“ (1930) და სხვ. კ. კაპანელი თავის ორგანოტროპიზმის თეორიით შეეცადა დაახლოვებოდა ისტორიულ მატერიალიზმს. სინამდვილეში მისი თეორია გეოგრაფიული მიმართულების თავისებური სახე, მარქსიზმისა და ბიოლოგიის იდეოლოგიური სინთეზი იყო.

ორგანოტროპიზმი, კ. კაპანელის განმარტებით, ნიშნავს მდგომარეობისა და არსის, გარემოსა და ორგანიზმის შემოქმედებით ურთიერთობას, ორგანიზმის შეგუებას გარემოსთან, მის ცვლილებას გარემო-პირობების შემოქმედების შედეგად. „მდგომარეობასა და არსს შორის, — ამბობს კ. კაპანელი, — არსებობს მუდმივი ურთიერთობა შემოქმედებითი ხასიათისა. მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. შემოქმედებით ურთიერთობის მდგომარეობასა და არსს შორის, რომელიც სამყაროს ყველა კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძებთ ორგანოტროპიზმს“². ყოველი მოვლენა, არსი შეგუებულია გარემოსთან და არსებობს იმდენად, რამდენადაც უძლებს მას შემოქმედებას?

ორგანოტროპიზმის თეორია ევლუციონიზმისა

¹ ს. დანელია, რუსული ენის რაციონალიზაცია, თუ გაუგებრობა? 1927, გვ. 11 (რუს. ენაზე).

² კ. კაპანელი, სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი. 1925, გვ. 20.

მოგვდომებია და გამოჩვეულადაც ითქმის, რადგან იგივე ხასიათის ამდენი გამოკება არ შეიძლება უბრალო ახარება ან აკრიტიკება იყოს, არა, ეს უქმარობა ავტორისა, სწრაფვა მეტი სრულყოფისკენა, სურვილია, ფინია, ვნება ხასიათის მოთაუბნისა, ხელოვანს ენება. მამ რაც — მამალხინე ლირიულადა მოხაზული პირველ მოთხრობაში, ამბავიც ლირიულია, თუმცა ვითარდება ისე, ნოველის მოულოდნელობა რომ ჰქვან. მაგრამ მაინცა რჩე-

ბა პოეტური შთაბეჭდილება, თითქოს მალღობსა ვითხელდებო. ეს დახვეწილი სტილის ბრალიც არის, ანუ ლირსება დახვეწილი (სტილიზაცია) რასაც უნდა მივაწეროთ, სულტანთა მამალხინე არ არის დასაქლებული, ხასიათი შემდგომ განვითარებას მოითხოვს. მოითხოვსო და მიხვევა ავტორი, მეორე მოთხრობას უწერს მამალხინესა, ამ მოთხრობას „მამალხინეს ბიჭ“ ჰქვან და, ცხადია, ბიჭი უნდა იყოს ამბავის ცენტრში, მაგრამ ნურას უცაცრავადო, კვლავ მამალხინეს უჭირავს სადავები, იზრდება იმისი ხასიათი, სცილდება ლირიულ მონახასსა, ეპიურ კრილივ გადღობს; ხოლო, რაც შეეხება მესამე მოთხრობას — „მამალხინეს სიკვდილი“ — პო, ეს უკვე სხვა რამ გახლდა, ნატეხია დიდი ეპოსისა, მადლიანი ნატეხი. ამდაგვარად იზარდა ხასიათი, სხვადასხვა მოთხრობაში გადაიხაცვლა, იზარდა და მოთავდა; თხრობაც იზარდა, იზარდა ლირიზმიდან ეპიკაშიდა, იზარდა და სრულყო ხასიათი. თერაც ასევე არის, „ტყის ძახილში“ ის პოეტური სახეა, პოეტურად ამდგრებული ქალიშვილია, მოთხრობა პასტორალია ჰგავს, ჰგავს ეი არა, მართლაც პასტორალია, სიმღერა პატიოსანი, ალლი სიუჟარტლისა, ბუნების სიმშინდისა და გარნობის სიმშინდისა. ვინმე რომ მოინდომოს და სტრიქონები გააწყოს მარცვალთა რაოდენობის მიხედვითა, ვინ იცის, აღარც გამოირჩეს ეგრეთ-წოდებული თეთრი ლექსისაგანა. პო, ვინ იცის, აღარც გამოირჩეს და პასტორალია-მეტე, ამიტომაც მოგახსენებო. ხოლო შემდეგ „უმშარწყალში“ უკვე ვინმეა თერა, — დედა, ნერწყუნებელი ცხოვერების სიავთა, შეშინებული იმავე ბუნებასთანა, გაზაფხულისას რომ ისე ლამაზი იყო, შეშინებული ზამთრის სიმკაცრესთანა, ადამიანის სიმკაცრესთანა. აქ თვითუფლი სურათი, თვითუფლი მდგომარეობა სცილდება ლირიულსა თუ გრაფიულ მონახატებსა, ფერწერის მარჯვენი არის შესრულებული.

ბუნებრივია შემომქმედის ესეთი სელა მხატვრული პროზის აღმართუდა, სელა ლირიულიზმიდან ეპიკობამდისა, სელა გარძნობელობიდან განსქამდისა, სელა კემარირიტი და მარავალინავალი. ამ სელას ვერავინ ასცილებია, რაოდენ დიდი სახელიც უნდა ვაიხსენოთ ძველთაგანა თუ თანამედროვეთაგანა, ჩვენთაგანა თუ უცხოელთაგანა, ვერა, ვერ ასცილებია, ხოლო თუ ასცილებია, იქ უფრო შეზღუდულბანი უნდა ეყმოთ, ვიდრე თავისებურბანი. ეგრეთ-წოდებული ლირიული პროზის თეორია უფრო შეზღუდულობის თეორია უნდა იყოს, ვიდრე მოდერნული ძიებებისა. მოდერნი მხატვრულ პროზაში სხვა რამეა, სულ სხვაა და არ შეიძლება იყოს დანაწერება ხასიათისა, დამლაფრებისა, აქუწ-დაქუწ დილოვისა, იმა უყოლოინაობითა, ვითომდა, მოდიო ერთი ნახეთ, იმის იქით რა ქვეტექსტები იგულისხმებო.

არც ასე ადვილი მოსაპოვარი ყოფილა ქვე-ტკვისტი, არცა ზერეულ მიმბაძველობას მოპყო-ლია წარმატებანი. მოდერნი სხვა რამე გახალეთ მხატვრულ პროზაში; მთელ ქვეყანას რომ არ მოვედოთ და თუნდაც მხოლოდ ქოისი გავიხსენოთ, ეპიკური სტილი გავგახსენდება მაშინვე, რადგან ქოისი ეპიკოსი ვახლდათ. დიდი მოდერ-ნისტი, დიდი ეპიკოსი იყო; მოდერნი სხვა არის მხატვრულ პროზაში, ვერადწოდებულნი ლირიკული პროზის თეორია ვერსაიდან ვერ მიუდგება, ვერადავერ მისწვდება რამდენიც უნ-და აიყალოს... პროზის სპეციფიკობა, თავი-სებურობა და არსობა ყოველთვის ხასიათების გამოცვეთა ყოფილა, ხოლო თუ ასკილებია ზა-სათების გამოხატებას, ხასიათების სრულყოფის ზერხებას, მარცხი განუდია. სქემატურობა და ჭარბი ლირიზმი ყოველთვის დაბრკოლება ყო-ფილა პროზაიკოსის განვითარების გზაზედა, ე-საც ვერ გადაუღახავს ეს დაბრკოლება, ვერ-რავითარ თეორიას ვერ დაუხსნია, ვერა, ვერ გადაურჩენია, ეს ტრაგედია გახალეთ მწერლისა, კრიტიკოსისა თუ თეორეტიკოსისა — შარ-გი... და ნურც გავივიკირდება, რომ ბევრი იწე-რება „ოლონდ“ ხასიათები ცოტა რჩება.

ვიორგი შატერაშვილმა ვაქაცურად აიარა აღმარებითი კვშიარბიტი პროზაიკოსისა ლირიკე-ლი სტილიდან ეპიკურ სტილამდისა, „ჩემი ძვე-ლი სახლი“-დან „მეკვდრის მზე“-ამდისა, აიარა და ვადაღვა დიდ უღელტეხილზე, საიდანაც უფრო ნათლად გამოჩნდა ვრცელი სარბიული შზის ამოსვლიდან შზის ჩასვლამდისა. აქედან გამსჭვრიტა წუთისოფელი ბრძნული თვლითა, გააიმბოლოა დრუბლებს შეჩინილი სხივები ჩასული შზისა და ბედი კაცისა ვაიარა ამ სიმ-ბოლოთი. ეს ბედი შკაცრია, უღმობელია, ჭერ ცხოვრებისა ვანაა უღმობელი, გაუტანელი, მე-რე ხასიათის ვანაა, შინაგანი ბუნების ვანაა, იმ კი-დილის ვანაა, რაც შივევ გამართულა, ადამი-ანის არსებაშივე ვაჩრუბულა, ვარაღებულა სულსა და გულში. რათელ ვახლდათ ეს ხასი-ათი, სამწლო იყო გამოსახატადა, მეტად სამ-წლო და სახიფათოცა, — ერთი ადამიანის ორმაგი ხასიათი უნდა ვადმოცა, სხვა ხასი-ათებს რომ თავი დეანებოთ, ორმაგი და ერთი-მეორეზე უფრო უტეხა, შეუვალი; ერთიმეორე-ზე უფრო უტეხი და ერთიმეორეზე განწირული, საცოდავი, შესაბრალოსი, სამწლო ვახლდათ, მაგრამ შეშებდა, შეშებდა და სძლია. ოლონდ, ვინ უწყის, რამდენჯერ შექოქმანდა ამ დიდ კი-დილშია, რამდენჯერ ვაიმხნევა თავი და შეემა ვულადგულა, ვინ იცის, ვინ უწყის, ზოლო თვი-თონვე სწერს: „თბილისში ახლა ყველასა სძი-ნავს. მხოლოდ მე ვფიქრობ. ვეძებ სიტყვას და ვედილობ თქვენს ვაციოცლებას, მეც თქვენსა-ვით ვეპოლები საჭილადო სიტყვის მძიმე ლოდს. უნდა აუწიო მძიმე ლოდი, ლოდი საჭილადო

სიტყვისა... ვაითუ ქვეშ მომიტყვისო და თქვენ-სავით დამლუბოს. მე ამისი არ მეშინია, თუ ვერ აუწიე ლოდი საჭილადო სიტყვისა მძინე-და-ღებულნი ვარ. თუ აუწიე, თუ ოღონე მძინე ქვე-ვუტარე ქარი, თუნდაც მოვეკდე, არ მეშინია“.

„მეკვდრის მზე“-შია ჩართული ეს სიტყე-ბი, თითქმის ბოლოშია ჩართული, როცა უკვე მოთავებულყო ხასიათი ამ ნაწარმოების ვმი-რისა, მოთავებულყო, დასრულებულყო; რო-ცა ავტორს უკვე ავტაცა საჭილადო ქვა სიტყვი-სა, ავტაცა და ხიზაშხარელისა არ იყოს, ვად-ეგდო დარბრტული ცხენის ზურგზედა. მაშინ საოქმანოც აღარაფერი ჰქონდა, მოთავებული-ყო, გამახატულიყო ერთგოთი თვალსაჩინო და იშვიათ ხასიათთანაა ბოლოდრკონდელ ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ უკვე სხვა რამ ესახე-ბოდა, წინ ედო აბო თბილელის ამბავი, კიდეე ერთი დიდი საჭილადო ქვა ედო წინა, წინ ედო და დასტანებოდა... სიძებული აღარაფერი ჰქონ-და, დასტანებოდა ეპიკოსის მკლავებითა.

მაგრამ თურმე დამთავრება აღარ ეწერა ამის რიშანა. დარჩა რამდენიმე ფრაგმენტი, დიკარ-ვა ახლებურად ვააზრებული ხასიათი, დიკარვა დიდი ფიქრი ადამიანზე, რომელი ადამალა რწმენამა. კიდეე ერთი ფიქრი დიკარვა... ბო-ლო დროს, ეტყობოდა, პიესის დაწერა მოე-დომებინა. იმისი რამდენიმე პიესა დაიდა ჩვენს თეატრებში, თანადროულ კონფლიტებს შე-ეხებოდა, თავის დროზე საქმთო წარმატებაცა ჰქონდა. ოლონდ ბოლო დროს რომ პიესაზე ფიქრობდა, ის უკვე ისტორიელი უნდა ყოფი-ლიყო. სანდრო ახმეტელს იგონებდა, იგონებდა სინანულითა, მაშინ ახლავარდა ვიყავი, სხვა ჭარი მიჭროდა და ვერ მიეუხვიდო. ეს მაშინა 1933 წელი ვახლდათ, როცა ვიორგის პირველი პიესა დაიდა რუსთაველის თეატრში. მაშინ უნატრია სანდრო ახმეტელსა, ახ, ერთი კარგი პიესა რომ მომცა ალექსანდრე ბატონიშვილ-ზეო!.. იმ უამრავ ბატონიშვილთაგანა მხოლოდ ის იყო ნამდვილი სახელმწიფო კაცი, კვშიარი-ტად ტრავიკული მხოლოდ იმისი ბედი იყო. — ამას იგონებდა, ამას ნანობდა, მაშინ ვერ მიეუ-ხვიდო, ნანობდა და ფიქრობდა სანდრო ახმე-ტელსა და ალექსანდრე ბატონიშვილზე.

აღსრულება აღარ ეწერა... უცებ მოდუნდა, უცებ დიკარვა ზალისი, მძიმე ვადამყოფობამაც უცებ დარია ხელი. თვითონ ალბათ დიდხანია მიმხვდარიყო, მაგრამ არ ავარანობინებდა არავი-სა, არ შეაწუხებდა თავისი წუხილითა, იყო მარ-ტო თავის ნალველთანა, თავის ფიქროთნა და თუ მართალია ძველი ლეგენდები, პოეტრი უფოლ სიმულრითა ვედებო, იმისი სიმულრაც ეს იქნე-ბოდა: „მზე ჩადის, ტივი დამოლია, მივეურავ ერთი ტივის ზე...“

მობრუნებიდან...

1895 წ. 9 წლის უმაწვალე გორიდან, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა, თბილისში ჩამოიყვანეს. პირველი ექვსი წლის მანძილზე ბიძაჩემის (დედის ძმის) ნიკო ხუდადოვის ოჯახში ვცხოვრობდით. აქ მომამზადეს და მიმაბარეს ვეთა მე-2 გიმნაზიაში.

ნიკო ხუდადოვი იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციაში საკმაოდ შესამჩნევი პიროვნება გახლდათ და მის ხელგაშლილ, სტუმართმოყვარე სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი საზოგადოების იმეამინდელი მოღვაწეები; აქ შევხვედრებოდით ილიასა და აკაკისაც. ჩემს ბავშვურ მეგობრებს ყველაფერი ვერ შემორჩა იქ გაგონილი და ნანახი, მაგრამ ზოგი რამ ისე მყარად და წარუშლელად ჩაიხეჭდა ჩემს ხსოვნაში, რომ დღესაც ცხადად თვალწინ მიდგას.

თბილისში ჩემი მარტოდ ცხოვრების დროს ჩემი მშობლები ხშირად მაკითხავდნენ. განსაკუთრებით მიყვარდა მამაჩემი (მწერალ ნიკო ლომოურის) ჩამოსვლა; ის ჩამკიდებდა ხელს და თავის შეგობარ-ნათესაებში დამატარებდა, მასეირნებდა, ათასგვარ რაიმეს მიამბობდა თბილისის წარსულსა და აწმუთზე. მამას მეგობარანაცნობებს დიდი ნაწილი ჩვენი თვალსაზრისით საზოგადო მოღვაწეები იყვნენ და გასაგებია, რომ ამ სტუმრობათაგან ბევრი რამ მე ისე დამახსოვდა, რომ შემდეგ, მთელი

სიცოცხლის მანძილზე, ტკბილ და საამაყო მობრუნებად დამჩნა.

ალარ მაგონდება ზუსტად, რომელი წელი იყო. მამა ჩამოვიდა და გაკვეთილების დამთავრებისათვის გიმნაზიაში მომაკითხა; ჩვეულებრივად გასეირნება შემომთავაზა. ამჟერად არავისთან შეგვივლია და ერთი (სოციალისტთა) — როგორც მაშინ ეძახდნენ) პირდაპირ ვაკეში ვამოწვიეთ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქალაქის განაპირას გავედით და მამამ შეეტრეს რაღაც მშენებლობასთან გაჩერება სთხოვა. მშენებლობაზე საკმაო ხალხი ირევოდა. წინ ერთი საშუალოზე ცოტა მაღალი, შავქვეროსანი კაცი შემოგვეგება; იგი და მამაჩემი ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვივნენ, იმ კაცმა მეც მომიიღერა და მშენებლობაზე გაგვიძღვა. ეს გახლდათ ჩვენი სასიქადლო მამულისშვილი ნიკო ცხევაძე. მამის და ნ. ცხევაძის საკმაოდ ხანგრძლივი საუბრიდან მე, ცხადია, ყველაფერი არ მაგონდება, მაგრამ ერთი ნაწილი, ეფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გონებაში. ნ. ცხევაძე მამას უხსნიდა, რომ აქ ქართული გიმნაზია შენდებოდა და უამბობდა, როგორი იქნებოდა ეს შენობა.

— კი მაგრამ, ასეთი დიდი შენობა, ამდენი და ასე დიდი ოთახი, რისთვის ჰქირდება გიმნაზიას? — შეეკითხა მამაჩემი ცხევაძეს (საუბრის შინაარსს მე, ცხადია, მხოლოდ მიახლოებით ვადმოცემ).

ცხევაძემ მიმიხედა და საიდუმლო იერით, ხმადაბლა უთქვამს:

— ნუთუ, ჩემო ნიკო, შენ ჩვენი განზრახვა არ იცი?! ნუთუ ილიას შენთვის არ უთქვამს, რა გეგმები გვაქვს, რა დამავალა მან? ჩვენ ხომ გიმნაზიას არ ვაშენებთ, აქ უნივერსიტეტი იქნება, ჩვენი ქართული უნივერსიტეტი. საერთოდ, მუდამ თავშეკავებულ მამას

მასალა მოგვაწოდა ივანე ლომოურის შეიღმა ნოდარ ლომოურმა. **ჩედ.**

1 ნიკო ხუდადოვი ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო, მონაწილეობდა რევოლუციურ მოღვაწეობაშიც. მისი ინციტაციით მისივე კლინიკის გარშემო ვაშენდა ის ტაძარი, რომელსაც ამჟამად ხუდადოვის ტყვეს უწოდებენ. ნიკოს და სოფიო, ნიკო ლომოურის მეუღლე იყო.

ისეთი მღელვარება შევატყვე, რომ განსაყუთრებული ყურადღებით მივუვლე ყურის საუბარს. მამა ეჭვს გამოთქვამდა: „ნებას არ მოვეცემენ, ხარკებს ვერ აუხელოო“ და სხვ. მაგრამ ცხედავად ვატყუებოთ უმტკიცებდა, ჩვენსას გავიტანოთ, ილია შესძლებს შეუძლებელსო. ამგვარი ფრახც დამამახსოვრდა: — იმათ რომ კთხოხ, ჩვენ ქართულადაც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ აქ ელსამარჯობით და ეჭვით კიდევაც (ვინ იყვნენ ეს „იმათ“ შე უკვე კარგად შესმოდა იმ დროს).

...შემდეგ ცხედავად ჩემკენ მობრუნდა, თავზე ხელი დამადო და ღიმილით წარმოსთქვა: „ვინ იცის, ჩემო ნიკო, ამ შენმა ბიჭმა ჩვენს უნივერსიტეტში მიიღოს უმაღლესი განათლება“. მამას თვალბზე ცრემლი შეენიშნე, მეც არაბოლოც ველო, რომ იტყვიან, ბუთო მომამწეა, ვიგრძენი, რომ აქ რაღაც დიდი ამბის შესახებ საუბრობდნენ. მიუხედავად ჩემი მცირეწლოვნებისა (მე მაშინ 12-13 წლის ვიყავი), მამაჩემისა და მ. ხუდადოვის ოჯახებში მე უკვე ბევრი რამ მქონდა გაგონილი ჩვენი ხალხის წარსულსა და აწმყოზე, მის მაშინდელ მძიმე მდგომარეობაზე. ისე რომ, მამას და მ. ცხედავადის საუბარი ჩემთვის არც ისე გაუგებარი იყო.

გამოთხოვებისას მამამ ცხედავადს უთხრა: „ამ ცოტა ხანში ჩემი მოთხოვნები (თუ არ ეცდები „წინაპართა აზრდინი“ და „ხერხი ჭობია ღონესა“ დასახელო) უნდა დაიბეჭდოს; შე უარის თქმას ვაპირებდა ვისამრგელოზე. მაგრამ ეხლა ფულს ავიღებ და მთლიანად შენ გადმოგიგზავნი. დაე ჩემითაც შეემატოს ორი-ოღე აგური უნივერსიტეტს“.

უკან ბეღლით აღარ წამოვიყვლივართ. ფეხით მოვსერიწობდით ნელ-ნელა და მამა მიხსნიდა რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ხალხისათვის საყუთარი უნივერსიტეტის შექმნას, ოცნებობდა, რომ მისი შეიღები ამ უნივერსიტეტში ისწავლიდნენ. აღბათ ამ საუბარმა უფრო დამამახსოვრა ჩვენი უნივერსიტეტის საძირკველთან ორი ნიკოს საუბარი.

არ გამართლდა ნიკო ცხედავადის ვარაუდი და მამაჩემის ოცნებაც მხოლოდ ჩემი უფროსი დის თამარის მიმართ განხორციელდა: ჩვენ სამშინი მხოლოდ მან დამათვარე ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მამა ამას ვეღარ მოესწრო.

მე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1906 წელს პეტერბურგს გავემგზავრე, სადაც 1911 წლამდე უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ამ ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მამაჩემის რჩევითა და თხოვნით, შევედი მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინს-

ტიტუტში (ამჟამად ტიბირიაზევის სასოფლო-სასაფლო-სამეურნეო აკადემია).

პეტერბურგში ჩემი ყოფნის პირველი უნივერსიტეტში, მიუხედავად მამის (და მამის) მოკრატული და რველუციური ტრადიციებისა, რეაქციის ბატონობის წყალობით ისეთი ვითარება იყო, შექმნილი, რომ აქ სწავლამ ჩემი ინტელექტის წინსვლა-განვითარებაზე და მეცნიერების არჩეულ დარგში საფუძვლიან მომზადებაზე, გულწრფელად რომ ვთქვა, რაიმე ღრმა კვალი არ დაუტოვებია. ერთადერთი, რაც წარმეღელად დამარჩა მესხიერებაში, ეს იყო განსვენებული მეცნიერის, იმ ხანად უნივერსიტეტის დოცენტის ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსებული ქართული ისტორიისა და ლტერატურის შემსწავლელი წრის შემადგა, რომელშიაც ჩაება პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აქ, ამ წრის სხდომებზე შევხვდი პირველად ივანე ჯავახიშვილს. ხომ ბევრი რამ დამიწერა ივანე ჯავახიშვილზე, ხომ დიდად არის იგი დაუხედავადი დღეს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, დეწლი ამ დიდი ადამიანისა, მისი განუზომლად დიდი დამსახურება ჩვენი ერის წინაშე მაინც არ არის ყურთვანად, მოვლი სიღრმითა და სიგრძელ-სიგანით შეფასებული. როგორც ისტორიკოსი, მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი რომ დიდი იყო, ყველამ კარგად იცის, მაგრამ არ არის ყველასათვის, განსაყუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის, ცნობილი ივანე როგორც ერავეწული მოღვაწე, მოქალაქე, ერავეწული საქმის მებრძობი. ივანე ჯავახიშვილი XX ს. საქართველოს ისტორიაში არის მოვლენა, რომელიც არ არის ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილ-შეფასებული.

მე ეს სენტენციები აქ იმიტომ დამკვირდა რომ ივანე ჯავახიშვილზე ეს ჩემი შეხედულება უკვე იმ დროიდან შემეჭმწა, როცა მას პირველად პეტერბურგში შეხვდი. ცხადია, შემდგომ, მასთან შეხვედრებისას მასთან მეშობის პირობებში, მისი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგების დანახვა-გაცნობისას, ეს აზრი უფრო განმტკიცდა, მაგრამ უკვე მაშინ, პეტერბურგს, სულ ახალგაზრდად, მან ჩემზე ისეთი წარმეღელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იმ დროიდან მე მოჭადღებელი ვიყავი ამ ადამიანით. მოჭადღებულ-დატყვევებულ არა მარტო მისი პიროვნებით, მისი ბუნებითი ინტელიგენტობით, მისი სათანოებით, არამედ მისი განსაკვირვებელი ერუდიციით, უღიღესი განათლებით, ღრმა ცოდნით და, რაც თითქმის მოულოდნელი იყო ამ გარეგნულად სუსტ-არამეუღებრივად რბულ ადამიანში, მისი რკინისებური ნებისყოფით, უღიღესი ორგანიზატორული ნიჭით, მისი უნარით აყულებინა, დაერჩა. თან წაყვანა ხალხი გარკვეულა

1 ნიკო ლომოური, გარდა ვაჟის — იულონისა; ჰყავდა კიდევ ორი უფროსი ქალი — თამარი და ნინო.

მიზნისაყენ, ხოლო მისი მიზანი მედამ მაღალი, კეთილშობილური და ეროვნული იყო.

ამ პეტრეპეტრეს, კვლავ გაივარე ქართული უნივერსიტეტის სწავლა და თანაც ეს უკვე აღარ იყო არაღაც შორეული ოცნება, რომლის ოდენსმე გამოცდილებაზე ფიქრობდნენ, არამედ ეს იყო რეალური საქმე, რომელსაც პრაქტიკულად ამზადებდნენ.

სამწუხაროდ, ძალან მალე მე იძულებული შევიქნენ ჩამოვშორებოდი ამ წრეს. შემდეგ მოსკოვში სწავლა, რუსეთში პრაქტიკული მუშაობა, საქართველოში — ცხინვალში უბნის აგრონომად, მერე ლორეს მაზრაში სამსახური... და სწორედ აქ, ჩემს „რეზიდენციაში“, დაბა ეორანოვოცაში ჩემი დის თამარის აღტაცებულ წერტილიდან შეეცაყე ჩვენი ერთი დიდი ხნის სურვილისა და ოცნების აღსრულება — ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

მაგრამ უშუალოდ უნივერსიტეტს მე მხოლოდ 1920 წელს დავეუკუშორდი. ამ დროს მე მიწათმოქმედების სამინისტროში სოფლის მეურნეობის ინსპექტორად ვმსახურობდი. უნივერსიტეტში 1919 წ. ჩამოყალიბდა ახალი — აგრონომიული ფაკულტეტი, რომლის პირველი დეკანი იყო მსკოვანი და ცნობილი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ხოლო მის ერთგულ თანამშემწედ და მთელი მუშაობის ფაქტიურ მზიდავად ამ გარდაცვლილი გიორგი რციხიანი.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ამ ორი პიროვნების არჩევა და დანიშნვა ახლადდაარსებულ ფაკულტეტის ხელმძღვანელებად შეტად საგულისხმო და მაღალშედეგიანი აღმოჩნდა. პეტრე მელიქიშვილი — ცნობილი მეცნიერი და ოდესის უნივერსიტეტის დამაარსებელი პროფესორი, საქართველოში ჩამოვიდა უკვე როგორც ლეწლმოსილი, დიდი პედაგოგიური გამოცდილებით შეიარაღებული, მთელ რუსეთში და საზღვარგარეთაც ცნობილი მეცნიერ-ქიმიკოსი, მამინდელი რუსეთის პროგრესული პროფესორის ერთგული თვალსაჩინო წარმომადგენელი და მთი საუკეთესო ტრადიციების მატარებელი.

პ. მელიქიშვილის დიდი ლეწლი, მისი მეცნიერული დამსახურება კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის, ამიტომ მე აღბრუნების ვიტყვი მის შესახებ. მაგრამ ამ ქვეყანაში ისე წყაფდა გიორგი რციხიანი, რომ მის უახლოეს მეგობარ-თანამშრომელთა გარდა, ბევრმა არაფერი იცის მის შესახებ. ამიტომ მე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო მის დამსახურებასაც.

გ. რციხიანი იმ მიღწევათა რიცხვს ვუთხროდა, ვინც ჩემად და უპრაქტეზიოდ მუშაობს, ვინც მედამ კეთილსინდისიერად, მოვალეობის სრული შეგნებით ასრულებს მასზე დაისრულებულ მოვალეობას, მაგრამ თვითონ არსად არ

ჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე თავისთავად კეთდება და არავინ ხედავს, როგორ ამ საქმეს უკან არის შრომით, ვერცხე უსწავლელები, უძლიერ ლამაზები, ძალმინი უსწავლელები დასაბუა. ამ ასეთი იყო გ. რციხილად და მის ამ თვისებებს ემატებოდა დიდი განათლება და ერთდროა, საგნის შესანიშნავი ცოდნა და ნიჭი, კუთხარიტი მოქალაქეობა და პატრიოტიზმი. ზოგიერთს რომ გ. რციხილის საქმის შეათედი გაუგებებინა, ქვეყანას აიღებდა, ვიორგი კი ყოველთვის ცდილობდა ჩრდილში დარჩენილიყო.

ბევრ პირს (მათ შორის თქვენს უმორჩილეს მონასაც) ასახელებენ ხოლმე საქართველოში აგრონომიული მეცნიერების დამაარსებლად. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ამ დარგის შემოქმედება შორის სწორედ გ. რციხილადს ეკუთვნის ერთგვითი პირველი ადგილი. მთელი ხომიმივე აგრონომიული ფაკულტეტის დაარსებისა, მისი საქმიანობის პირველი წლების ყველა სიმწველე სწორედ გ. რციხილადს დააწვა მხრებზე და მან ეს ტვირთი აზიდა კიდევ.

1920 წლის აგვისტოს ბოლოს ჩემთან სწორედ გ. რციხილად მოვიდა და აგრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სახელით შემომთავაზა უნივერსიტეტში ლექციების კითხვა ასისტენტის თანამდებობით. მე უნდა წამეკითხა ერთი მიწათმოქმედების ექსპტი. ზედმეტია იმის თქმა, თუ როგორის აღფრთოვანებით დავთანხმდი: ჩემს სიხარულს საზღვარია არ ჰქონდა როცა შეეცაყე, რომ ჩემს კანდიდატურას დაეთანხმა თვით ბატონი ივანე. აგრონომიულ ფაკულტეტზე მამინე ერთი მიწათმოქმედების კათედრა არ არსებობდა და მე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრაზე მიმიწვიეს ასისტენტად.

არასოდეს დამავიწყდება პირველი, საცდელი ლექცია. საცდელი მოგახსენებთ, რადგან იგი. ჭაუჭიშვილი არასოდეს არ ღებულობდა უნივერსიტეტში ახალ ლექტორს — რა წოდებისა და ხარისხისაც უნდა ყოფილიყო იგი — თუ წინასწარ საცდელ ლექციას არ ჩაატარებინებდა. ახალბედა ლექტორებისათვის კი საცდელი ლექცია ორი იყო: პირველს, სტუდენტთა გარდა, ორისამი კაცი ესწრებოდა, მეორეს კი, როგორც წესი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მთელი შემადგენლობა: მას უნდა გამოეტანა სწორედ დამკვეთა, ივარგებდა თუ არა ახლამოწმეული პირის ლექტორად. პირველი საცდელი ლექციის დროს დამსწრეთა მცირერიცხოვნება აიხსნებოდა იმით, რომ ახალბედა ლექტორი შეჩვეოდა ელდტორისა და არ დამფრთხალიყო.

ძე ზედმა მიიუხლა. სწორედ იმ დღეს, როდესაც მე დღის 1 საათზე პირველ საცდელ ლექციასზე უნდა შეესტლიყავ (თუ არ მეშლებდა ეს 16 სექტემბერი იყო), დღის 10 საათზე

შემდგარა ფაქტობრივად სამეცნიერო საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრებს გადაუწყვეტიათ, რომ ხელმოკრულ შეკრება ჩემს მიერვე საცდელ ლექციებზე დასასწრებად აღარ ღირდა და ბანკში დასწრებოდნენ ჩემს ლექციას. პ. დელოტიშვილი ყოყმანობდა, მაგრამ გ. რცხილაძემ დათვრილი საშასტრი გამოიწია: მან განაცხადა, რომ მე იმდენად მომზადებული სპეციალისტი და ოქროსპირი მოლაპარაკე ვარ, რომ შესანიშნავად შევძლებ პირველივე ლექციებზე მთელი საბჭოს წინაშე თავის გამოჩენას. როგორც მან შემდეგ ამბობდა, ამით მას ჩემი პრესტიჟის აწევა უნდოდა.

და აი, როდესაც მე ერთი საათით აღრე მივედი უნივერსიტეტში, გამოეცხადა გიორგი და ლიმილით მათემატიკა განსაცდელი იყო ჩემს თავს. მე ისედაც ველავდი, მთელი დამე არ შეძინა და სარკის წინ ლექციის რეპეტიციას გადავიდი; როცა ვაევი, რომ თურმე ორსაათი კაცი კი არ დამსწრებია, არამედ მთელი სამეცნიერო საბჭო, კინაღამ გულწამფიქვად გადაჭრით განაცხადე, რომ არ შევალ ლექციებზე და საერთოდ უნას ვამბობ ლექტორობაზე. გ. რცხილაძემ სასაცილოდ ამიღირო, მერე დამიყვავა, დამამშვიდა. დაირეკა ზარი და კიბეებს შევედევით — ლექცია შესაბამისად თულზე მქონდა... და აქ ბედის ახალი დარტყმა: კიბეზე იყ. ჯავახიშვილი შემოგვხვდა. მისებური თანახმანობით ტკბილად მოგვესალმა და, რომ შეიტყუა, საითაც მივდიოდით, თვითონაც ისურვა დამსწრებოდა, შეტრიალდა და აუევა კიბეს. თავზარი დამეცა, მუხლები მომეკვითა, შემდეგ უცებ მოეტრიალდა და დაეშვი კიბეზე; მოგზაობი ისე, თითქოს უკან მოსაკლავად მომდევინა ვინმე. თუმცა უკან მართლაც მომდევინა გ. რცხილაძე და სულ ჩოლოყაშვილი! სამდინეროდ, კიბეზე მგონი არაიენ შემოგვხვდებოდა, თორემ ალბათ ჩვენი ნამდვილი ჭიდაობის მომსწრენი გახდებოდნენ. მიუხედავად გამწარებულ წინააღმდეგობისა, გ. რცხილაძემ და ს. ჩოლოყაშვილმა ბოლოს მძლეოს და ძალისძაღად ამიუყანეს ზევი.

გაქცევის ერთი ცდა კიდევ მქონდა აუდიტორიის კარებთან, მაგრამ ჩემმა შეზღუდვაგებმა ხელი მკარეს და აუდიტორიაში შემავადეს.

¹ სოლომონ მიხეილისძე ჩოლოყაშვილი ი. ლომოურის უახლოესი მეგობარი და თანამოღვაწე იყო. იგი საქართველოში აგრონომიული მეცნიერების, კერძოდ მევენახეობის ერთერთი ფუძემდებელი, შრავალი სამეცნიერო-საკვლევო და წესებულების დამაარსებელი, მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოების ავტორი და ქართველ მევენახეთა შრავალი სპეციალისტის აღმზარდელი იყო. იგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. გარდაიცვალა 1944 წ.

როგორ ჩავატარე ლექცია არც კი მახსოვს. დამსწრეთა სახეებს რაღაც ნისლით ვხედავდი, ჩემი საუბართი ხმა არ მესმირის. სამწუხაროდ, ამ ტრაგიკული დღის მომსწრენი, ჯარდნი-ზაგინერეთი მაშინდელი სტუდენტისა, დღეს ცოცხალი აღარაიენა.

ლექციის შემდეგ ჩემთან იყ. ჯავახიშვილი, პ. დელოტიშვილი და ა. ბენაშვილი მოვიდნენ, ხელა ჩამომართვეს და მომილოცეს უნივერსიტეტის ლექტორობა. ეტყობა, ლექცია არც ისე წყალწაღებული იყო, როგორც მეგონა. ცოტა ხნის შემდეგ დამიამბეს საბჭოს სხდომაზე, მომეცეს ორიოდე შენიშვნა და უკვე ოფიციალურად დამავალეს კურსის კითხვა. ასე დაიწყო ჩემი მოღვაწეობა უნივერსიტეტში, რომელთანაც კავშირი კიდევ დღემდე ახი ვამიწყვევია და სადაც ვავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო და ჩემთვის განსაკუთრებით სარგებლიანი წლები. აქ დაეუფლე ჩემს დარგს, აქ მივიღე მეცნიერული შეშაობის ჩვევები, აქ გაიწვრთინე შევადგობაში, აქ მივიღე მოქალაქეობრივი წრთობა და თუ ბედნიერება მქონდა რაიმე მცირე წვლილი შემეტანა ჩვენი ეროვნული მეცნიერების და უმაღლესი განათლების საქმეში, ამას სწორედ პირველ რიგში უნივერსიტეტს უნდა ვუმაღლოდ.

ზემომოტანილი კომპიური ეპიზოდი გასართობად როდეს მოვყვები. ამ ეპიზოდში ბევრი არაა მისი საგულისხმოდ და დამატებელი ჩვენი ხელნაწერი თაობისათვის.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების, ფაქტობრივების, კათედრების ხელმძღვანელები უგადვებულყოფენ საცდელ ლექციებს. მათ ხშირად წარმოადგენს არც კი აქვთ იმანზე, თუ რა ავლადების პატრონი იესა თუ ის ლექტორი და, რა დასამალი, არც თუ იშვიათად ეს ავლადებმა ერთბაშად მცირე, ლექტორი არც თეორიულად, არც პედაგოგიური ჩვევების, არც ენობრივი გამოართულობის მხრივ არ არის მომზადებული იმისათვის, რომ ასწავლოს ახალგაზრდობას. იმ ძველ უნივერსიტეტში კი, მიუხედავად მასწავლებლთა სიმცირისა, ეს არ ხდებოდა. უნივერსიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელებს შეგნებელი მქონდა, რომ სჯობს ესა თუ ის სავანი სულ არ ასწავლო (ამ ხარვეზს კაცი სხვა გზით შეავსებს), ვიდრე ასწავლო მდარედ, უპირატესად, დამახინებულად, გული აუტრთო ახალგაზრდას სავანზე — ამ ხარვეზის გამო-სწორება ძალზე ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც.

ჩემი შიში ლექციებზე შესვლის წინ ასევე არ იყო მართო სასაცილო. ჩვენ სხვაგვარი შეხედულება გვქონდა უნივერსიტეტში ლექციების წაითხვის საპატიო უფლებებზე. დღის ახალგაზრდა ზოგჯერ ინსტიტუტის მერბადანვე შედის აუდიტორიაში და წარბეუხებულად იფერებს ლექტორობას, თუმცა ხშირად ამის

საფუძველი არ გააჩნია. ჩვენ კი გვესმოდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გვეკისრებოდა, როცა უნივერსიტეტის, ჩვენი ერთგუნული alma mater-ის აუდიტორიაში გვიშვებდნენ და აბა რა გასაყვირველია, თუ ვლელავდით და განვიცდიდით, როცა წუდებოდა საკითხი ჩვენი უნივერსიტეტში მიწვევისა.

ჩვენი თაობის კაცს აზრად არ მოუვიდოდა თვითონ უთხოვა, ან, მით უფრო, მოეთხოვა უნივერსიტეტში მიგვიღეთო. არც ერთი ჩვენთაგანი ამ პატივის ღირსად არ ცნობდა თავისთავს და თუ დაგვიძახებდნენ, ღირსად

ჩაგეთვლიდნენ, დიდ ბედნიერებად მიგვანდა ეს პატივი.

ეროვნული

მახსენდება, ჩემი დებუტის განცხადებით დეგ ივანე ჭავჭავაძელმა ერთერთი საუბრის დროს მოთხრა: "შეგატყვეო, რომ ძალზე დელავდით და სწორედ თქვენმა ამ დღემაც გადაგაწვევტინა თქვენი მოწვევა დაგამტკიცებინა, ლექტორი, რომელიც უნივერსიტეტში პირველად წაიკითხავს ლექციას და არ აღელდება, ჩვენ არ გამოგვადგებაო." ჩამდენი საბრძნეა დიდი ივანეს ამ სიტყვებში!..



დავით ქორიძე

ცნობები თინათინ ციბას ცნობრეპაჲს

თინათინ ციბას (Ziba) „მხილებლობისა“ და „მოახლოებისა“ შესახებ შეხედულება, როგორც ეს ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი (მაგ. აკად. კ. კეკელიძე წერს: „ქეთევანის საყვარელი მოახლე თინათინ ციბა (ჩაზი ჩვენია, დ. ქ.), რომელიც ქეთევანის მოწამებრივი საცდლის შემდეგ სპარსეთში ცოლად შეურთავს ცნობილ ვერობიელ მოგზაურ პეტრე დელა-ვალეს და ამ გზით განთავისუფლებულა ტყვეობიდან“. „ქართული ქალები შაჰ-აბას პირველის კარზე“, 1948, გვ. 373), არ უნდა იყოს სწორი.

1617 წელს ქართველ ფეოდალებს აღსაზრდელად მიუყვანიათ 7 წლის პატარა ქართველი გოგონა თინათინ ციბა და სპარსეთში დროებით მყოფ, ახალგაზრდა იტალიელ პატრონ, ცნობილ მოგზაურსა და სამხედრო პირ, ფილოლოგსა და პოეტს პეტრო დელა-ვალესთან (1586-1652), რომელიც 1614—1626 წლებში მოგზაურობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1617 წელსვე დელა-ვალეს მოსურვებია ეს გოგონა, თინათინი, გაეცნო ქეთევან დედოფლისათვის. „ცოლის გარდაცვალების შემდეგ — წერს დელა-ვალე. — მოვიყვინინე თინათინი პატარაობაში მყოფ ქეთევან დედოფალთან და გავაცანი მას“.

„ჩემი დიდიხნის სურვილია, — ამბობს პეტრო დელა-ვალე, — ეს ქართველი პატარა გოგონა, თინათინი, გაეცნო მის უდიდებულესო-

ბას — კახეთის ყოფილ დედოფალს, ქეთევანს თავყანისაცემლად, რომ მან იგი თავის ქალბატონად იცნოს. ჩვენს მიერ წინდაწინ გაფრთხილებულმა მოძღვარმა ადრევე შეატყობინა ქეთევან დედოფალს ქართველი გოგონას მოსვლა. მისმა უდიდესობამ ნება დართო, რომ მისი თანამემამულე მასთან მიეყვანათ“.

სპარსეთში ტყვედწაყვანილმა, კახეთის დედოფალმა უცხოელ მოგზაურს უამბო თავისი ცხოვრების ამბები და ქართველი ერის თავგადასავალი. შემდეგ ქეთევან დედოფალმა გოგონას დაათვალღერებინა თავისი სახლი, სამლოცველო და საეურადღებო საეკლესიო ნივთები.

თინათინიც მოუყვა კახეთის დედოფალს მშობლებისა და თავის თავგადასავალს, რაც სპარსეთში ჩასვლის დღიდან გადახდა. ქეთევან დედოფალს, — გადმოგვცემს მოგზაური, — თავის ენაზე დაეღაპრა. მისმა უდიდებულესობამ ქართულის გავონებისთანავე გოგონას მიუღერსა მათთვის ჩვეული ცერემონიით და თინათინმაც სამაგიერო მადლობა უძღვნა დედოფალს. ქეთევანმა გოგონას უამბო თავისი და შეიღიშეიღების უბედურების ამბები. ქეთევანმა მხოლოდ ახლა მოიგონა ვისი შეიღიცი იყო გოგონა. არა მარტო მამამისი გაიხსენა, არამედ ყველა მისი წინაპრები, რომლებიც არანვეულბრევი ხელშეწყობითა და პატრივისცემით სარგებლობდნენ ქართველთა შეფუებისაგან“.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს (მ. თამარა-შვილი, დელა-ვალე), იტალიაში დაბრუნებამდე, მოგზაური, ახალი შეუღლით (თინათინით) ჯერ წასულა ინდოეთში, 1624 წლის სექტემბრამდე. რადგან ინდოეთიდან სპარსეთში ჩამოსულთ გაუგაო ქეთევან დედოფლის წამების (1624 წლის 13 სექტემბერს აწამეს) ამბავი. ირი წლის შემდეგ, 1626 წლის მარტში კი ცოლ-ქმარი რომში დაბრუნებულა.

ქეთევან დედოფლისა და თინათინ ციბას სპარსეთში ტყვეობისა და სპარსეთიდან ქართველი ქალის რომში ცხოვრების მასალების თარგმანი, იტალიური ენიდან („მოგზაურობა სპარსეთში“, 11, 1664, გვ. 385—405) მოგვაწოდა ბუენ გიორგაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

სამშობლოში ჩამოსულ მოგზაურს იტალიურ ენაზე აღუბრალო, როგორც კახეთის დედოფლის ქეთევანის ტრაგიკული თავდასჯალი და მისი წამების ამბავი, ასევე თინათინ ციხას ცხოვრების ზოგიერთი მოწვევით.

იტალიაში ჩასული პეტრო დელა-ვალე რომის პაპმა — ურბანოს მეორემ მიიღო და მას დიდი და საპატიო თანამდებობა მისცა.

სამსახურთა და მეუღლეთ კმაყოფილი პეტროს ცხოვრება ლალად და უზრუნველად მიმდინარეობდა. ცოლ-ჭმარს სამი ბავშვი შეეძინათ. მაგრამ ამ ბედნიერებას მალე შეეკვეცა ფრთები, თინათინ მეუღლე გარდაეცალა.

როგორც ვხედავთ, ამ ქართველი ქალის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის, მისივე მეუღლე, იმ ეპოქის ცოცხალი მოწმე, დიდი მოგზაური, ქეთევან დედოფლის თანამედროვე და ახლო მცნობი პეტრო დელა-ვალე, მოგვსმინათ მას:

„სპარსეთში ყოფნის დროს, 1617 წელს, ოჯახში მოგვეყვანეს 7 წლის ქართველი გოგონა, რომელსაც მთ ენაზე ერქვა თინათინ ციხა. ჩემმა მეუღლემ ამ პატარა ქართველ გოგონას დაარქვა მისთვის საუფარველი სახელი მარინა, რაც ქართულად მარამას ნიშნავს.

საქართველოს ერთი კუთხის — კახეთის ბატონებმა, რომლებიც ქეთევან დედოფლის ვასალებიცაა (ერთი მოთვანის ნათლიაცაა ვარ), ჩვენმა შეგობებმა უყვლა მისი მოკავშირენი 1617 წლის ივნისში მოიყვანეს ჩვენს ბინაში და ერთად გვთხოვეს, რომ ბავშვი ჩვენს მფარველობაში აგვეყვანა და მზრუნველობით გაგვეზარდა. ქართველ მებატონეთა თქმით, გოგონა დიდი გვარიშვილია და კახეთის უფილი დედოფლის თანამემამულე, იგი ჩვენი ზედამხედველობითა და მზრუნველობით გამოიყვება და აღიზარდა. ამ ბატონებმა, რომლებიც შეგობრებად მიგვანინა, დიდი ხნიდან გვთხოვეს, რომ ჩვენთან შეგვენახა და გვეზრუნა მის აღზრდაზე.

თინათინ ციხა დედ-მამით ოპოლია. მისი მამა მოუკლავთ სპარსელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. დღევანდელმა სპარსეთის ხელმწიფემ (შაჰ-აბას I, დ. ქ.) ომი აუტეხა მის (თინათინის) ქვეყანას და მთლად დაანგრია, თინათინის დედა კი სპარსეთში დაიღუპა, კახელების ვადასახლების ცოტა ხნის შემდეგ.

ქართველ ბატონებს (გოგონას ახლობლებმა, დ. ქ.) ეწიონდათ, რომ ეს ფაქიზი პატარა ქალი, თინათინი, ასე ოპლად რომ დარჩა, და მისი ახლო ნათესავებიც გადაყენებულ ზელმწიფეს არ უნდოდა.

მ. შინამ და მე დიდი სიხარულით მივიღეთ და დავთანხმდით წინადადებაზე, რომელიც ჩვენ წამოგვიყენეს; არა მხოლოდ ბატონების პატივისცემისათვის, რომელთა მიმართ გვეუბრდა რამე სამსახური ვაგვეწია, რომ მათთვის სასი-

მოვნო დარჩენილყო, არამედ აქ სამეცნიერო და ლევის სამსახურს, ქრისტიანულ სარწმუნოებას და თუ ვნებავთ იმასაც, რომ ჩვენს უწყალო არ გვეყვდა და გადაეწყვიტეს მისი აღზრდა, როგორც მართლა ჩვენი ქალიშვილისა, და ყოველთვის პატივი გვეცა მისთვის, მით უმეტეს, ეს ბავშვი ძალიან ლამაზი იყო, რაც ძალიან გვიწყობდა ხელს იმაში, რომ იგი დიდ-ად შეგვეყვარებოდა.

ჩვენ, რადგან ზელმწიფეს (შაჰ-აბასს, დ. ქ.) მისი დროშის ქვეშ მივეყვებოდით შტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ გოგონა (თინათინი), ჩვენი ვანკარვლებით ისპაჰანში დაეტოვებოდა ერთგული ბერძენი მფარველობაში. ამ პატარა ქალის შეთავაზებულ დაეტოვებოდა აგრეთვე შერად კეთილი ქალბატონი მ. შეიმი და დაევალებოდა განსაკუთრებული ზრუნვა გამოეჩინა მის აღზრდაზე. ეს ქალბატონი იყო ნაზარ ბეგის მეუღლე, რომელიც კათოლიკურ-სარწმუნოებას აღიარებდა და იყო ზედმიწევნით განათლებული და თავისიან მინდობისანი.

ამ ბატონებმა — მ. შეიმა და ნაზარ-ბეგმა შემოგვიყვეს, რომ თავისთავზე აღებდნენ ზრუნვას პატარა თინათინის აღზრდაზე.

როცა ისპაჰანში დაებრუნდით, — წერს პეტრო დელა-ვალე, — ჩვენ სახლში მივიღეთ თინათინ ციხა, რომელიც მისი უდიდებულესობის ქეთევან დედოფლის, დ. ქ.) ქვეყნიდანაა და ამავე დროს მისი კანონიერი ვასალია... იმ კეთილსაგებულოდან, რომელსაც ქეთევან დედოფალი ჩემზე უკეთ იცნობს.

ოპოლი თინათინ ციხა გამოიყვება და აღიზარდა ჩვენს სახლში მას შემდეგ, რაც მას დედა ისპაჰანში ტყვეობისას გარდაეცალა.

ჩემთვის საგრძობი მწუხარებაა, რომ ჩემი მეუღლე ახლა ცოცხალი არაა, რადგან იგი ქალი იყო. მას ბევრი დრო ექნებოდა ყოველდღე მისულიყო თავისი მოვალეობა შესრულებინა დედოფლის წინაშე, მაგრამ ღმერთმა ეს წყალობა ჩემთვის არ ინება, მაშინ ჩემი მზარდიან არ დაეყოვნებ შესრულებას, როგორმე უნდა მოვეშახტო მთელი ჩემი შეძლებით. შემდეგ მივაყვანინე თინათინი ქეთევან დედოფალთან და ვაეცარი მის.

ამ ცერემონიის შემდეგ დედოფალმა უბრძანა იქ მოყოლო — ქალბატონებსა და ქალიშვილებს ბაღში სასიეროდ და გასართობად წაეყვანათ თავისკვეყნელი, პატარა ქართველი თინათინი.

სადილობისას თინათინს პატივი დასდო და დედოფალმა თავის სეფრებაზე მიწვიდა, სადაც არავის არ ჰქონდა უფლება დაქდომისა, თუ არა განსაკუთრებულ პირსა, რომელსაც დედოფალი პატვის სცემს და განსაკუთრებული უფრადებით ეძევა.

ქეთევანი დიდი კმაყოფილი იყო აგრეთვე იმისა, რომ ქართველი გოგონა მტკიცედ იცა-

და ქრისტეს სარწმუნოებას, გმობდა და საფუძვლიანად აკრიტიკებდა მამკადონობას. დედოფალმა თინათინი გააფრთხილა, არ უნდა ელაპარაკა თავისუფლად ურწმუნოთა ქვეყანაში, რადგან ამით თავისთვის დიდ ხიჯათს უშნადებდა.

ცოლის გარდაცვალების შემდეგ გავეშაღე იტალიაში წასასვლელად, გაყოლაზე თინათინ ციხაც დამთანხმდა მიუხედავად იმისა, რომ დედოფალი რამდენჯერმე ჰკითხავდა ხოლმე გოგონას, თანახმა იყო ჩემთან წასვლაზე იტალიაში თუ არა.

დედოფალი უკეთ მიიხსენებდა მასთან დარჩენილიყო — სპარსეთში, მაგრამ ამზე უარი თქვა თინათინმა. დედოფალი არწმუნებდა მას, თუ იტალიაში წასვლა ერჩივნა, მაშინ აღარ დედაპარაკებოდა ამ საკითხზე. დედოფალი ფიქრობდა, რომ ჩემგან მიიღებდა თანხმობას, რომ მე გოგონას დავტოვებდი მასთან შირაზში.

ქეთევანმა წინადადებაც კი მომცა, თუ კი თინათინი მასთან დარჩებოდა, მაშინ მას შიათხოვებდა თავის ახალგაზრდა ნათესავს, რაზედაც ამ ქალს (თინათინს) ბევრიც კი ელაპარაკა.

მე სრული ნება მივეცი ჩვენი ოჯახის აღზრდილს, როგორც მას უნდოდა, ისე მოქცეულიყო და კარგად ეფიქრა ამ საკითხზე. თინათინმა ბევრი იფიქრა და, აღბათ ჩვენი ოჯახის სიყვარულით, მიიხრა, რომ იგი არ დარჩება ურჯულოთა ქვეყანაში.

თინათინ ციხამ მადლობა გადაუხადა ქეთევან დედოფალს იმ პატივისცემისათვის, რომელსაც დედოფალი სთავაზობდა მას, თინათინმა მოახსენა: თქვენი ნებასთვით, განზრახვა მაქვს ამ კაცს წავეყვო იტალიაშიც.

ასეთ გადაწყვეტილებამდე ქართველი გოგონა მიიყვანა იმ გარემოებაში, რომ შორსაა თავის ქვეყნიდან — კახეთიდან, რომელსაც დღეს თუ ხელა აიხრება და დაპყრობა შოლის შაჰ-აბასისაგან. ყოველივე ეს მას იმედს უკარგავს ოდესმე დაბრუნდეს თავის სამშობლოში — ნათესავებთან. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ქრისტიანულ

ნულ ქვეყანაში წასულიყო, თუ უცხო ქვეყანაში ეწერა ცხოვრება. მისთვის მანუგეშებელი იქნებოდა ის, რომ ქრისტიანულ ქვეყანაშია — იტალიაში იცხოვრებდა, ვიდრე აღმოსავლეთურ-ქრისტიანოთა ქვეყანაში — სპარსეთში, თუმცა ჩემთვის დიდი სახელი და დიდება იქნებოდა, რომ დედოფლის გვერდით ვყოფილიყავი.

დედოფალი აღტაცებაში მოიყვანა თინათინის სატყვებმა და მსყელობამ. დედოფალმა თავისი ხელი ჩამაბარა თინათინი. იგი დიდად კმაყოფილი შეგვდა ამ ამბავს.

იტალიაში წასვლის წინ თინათინი კიდევ ერთხელ გაუგზავნე დედოფალს... მან მის უღიდებუტესობას წაუღო ძვირფასი საბუქარი — ხელოვნების უღიდე სიბრელი იქცა — ყელზე დასაყიდი ლეთისშობლის ხატი. დედოფალმა დიდი კმაყოფილებით მიიღო საბუქარი და შემოგვეფიცა, რომ იგი მას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უელზე დაკიდებულს ატარებდა.

1626 წლის მარტში ცოლ-ქმარი რომში ჩავიდა. სამშობლოში დედა-ვალზე დიდი თანამდებობა მიიღო და უზრუნველად ცხოვრობდა.

რომში თინათინ ციხას უკანასკნელი ცხოვრების შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ მას, 42 წლის ქალს, სამი შვილის დედას, 1652 წელს მეუღლე (მეეტრო დედა-ვალე) გარდაეცვალა და რამდენიმე ხნის შემდეგ, სამი შვილით, ქვრივი თინათინ ციხა ბრუნდება საქართველოში და შვილების აღსაზრდელად საჩივარი აღუბრავს იტალიის მთავრობასთან და სასამართლოს მეშვეობით ჯხოულობს ქმრის მეშვეობის ნაწილს. რა შედეგი მოყვა ამ საჩივარს ჩვენთვის უცნობია.

ასეთი დახლოებით საქართველოდან სპარსეთში ტყვედ წაყვანილი და ბოლოს რომში მცხოვრები ქართველი ქალის თინათინ ციხის ცხოვრების ზოგიერთი მონაცემით, ხოლო სამშობლოში დაბრუნებული ქვრივი ქალის შემდგომი ცხოვრების შესახებ ვერცერთი არაერთი დოკუმენტალური მასალა არაა აღმოჩენილი.



ძველი შუამდინარეთის პოეზია

დროის თელსაზრისით რაოდენ შორეულია ჩვენთვის ძველი შუამდინარეთი: ათასწლეულებშია ჩაწოლილი დღევანდელ ეპოქასა და ეპოქობობის ცივილიზაციის ამ აღრეულ ხანას შორის. მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ჩვენთვის ცნობილი საუკუნეთა სიღრმეში ჩაყარული, დავიწყების მტვერვადაფარებული უძველესი კულტურა შეამდინარეთისა, რომელიც ამ ხუთათასი წლის წინათ შექმნეს ტიგროსისა და ეფრატის დინებათა შორის დაეძვრულ ვაკეზე მცხოვრებმა შემეჩრებმა და სემიტებმა. საყოლო დაყოვნდა ლერს-მული დამწერლობის მაგიური ნიშნებით აქრელებული თიხის ფირფიტების ამეტყველება, რასაც არა ერთი და ორი ბრწყინვალე მეცნიერის ენერგია შეელა. თუ შედარებით ადრე შეიცნეს აქადური ენა და დამწერლობის სისტემა, სამავიეროდ შემერულმა თავისი დაფარული საიდუმლოება სრულიად გასცა მხოლოდ ჩვენი საუკუნის დასაწყისში. თვალწინ გადმოშალა შესანიშნავი ისტორიისა და თვითმყოფადი კულტურით მდიდარი ეპოქები, რომლებიც არსებობდნენ მთელი ოთხათასი წლის მანძილზე. ეს ეპოქები ხასიათდებიან აღმავლობა-რენესანსისა და დაცემა-დაქვეითების შიმე კატაკლიზმებით. მაგრამ ისტორიული ბედუქლმართობის მიუხედავად შემერება და სემიტებს არასოდეს შეუწყვეტიათ სულიერი შემოქმედების პროცესი; მათი ლიტერატურის არა ერთი ნიმუში დღესაც ინარჩუნებს განუმეორებლობის პრიორიტეტს. რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა შრომლიურ ენაზე გავიცნოთ შემერულ-აქადური პოეზიის ბრწყინვალე შედეგებს თარგმანების სახით, რომლებიც შესრულებულია შემეროლოგ ზურაბ კიკნაძის მიერ.

ამ შეიდიოდე წლის წინ გამოვიდა ძველი შუამდინარეთის ერთერთი ბრწყინვალე ნიმუშის გიგანტური ეპოსის ხ. კიკნაძისეული თარგმანი ვრცელი კომენტარებითურთ. ეს იყო ახალგაზრდა შემეროლოგის მიერ ძალუბის ერთგვარი მოსინჯვა და ნათელი დამტკიცება იმისა, რომ ჭერ კიდევ მ. წერეთლის მიერ დაწვებული საქმიანობა ძველადმოსავლერი

პოეზიის ნიმუშების ქართულად გადმოღებისა საიმედო ხელმა აღადგინა და გააგრძელა. ეს პირველი ვაშნიკი ამ დიდებული საქმიანობის მტკიცე საძირკველი გახდა. შედარებით მოკლე დროში ჩვენ მივიღეთ ამავე ავტორის მიერ შესრულებული შემერულ-აქადური პოეზიის ნიმუშების შესანიშნავი თარგმანები ახლადგამოსული კრებულის „თამუშის სიშარის“ სახელწოდებით. მით უფრო სათელი გახდება ამ კრებულის ღირსება თუ გავითვალისწინებთ იმ გარემობას, რომ მსგავსი რამ ჭერ კიდევ არ მოპოვებდა რუსულ ენაზე. კრებულის დიდ ღირსებად ისიც ჩათვლება, რომ მასში წარმოდგენილი თარგმანები შესრულებულია უშუალოდ ორიგინალიდან — შემერული და აქადური ენებიდან.

ვისაც ერთხელ მაინც გადაუხედავს ლერს-მული ფირფიტების ანახებულებისათვის ან საქმე ჰქონია შემერულ-აქადური ტექსტების ტრანსლიტერაციას-თარგმანებთან, მას მოეხსენება თუ რაოდენ წარმოუდგენლად შრომატყველია თუგინდ ერთი მატარა ეპიზოდის ლოკევილი აზრის დაჭერაც კი. დღეობით, ზოგჯერ თვეობით უნდა ებრძოლო ლიტერატურის ამ თუ იმ ნიმუშის ცალკეულ მონაკვეთებს, რომ მთელი ტექსტი შეინარსი შეიცნო. შეიძლება გადაუქარებულად ითქვას, რომ ვინც გასცნობია აქადურ და განსაკუთრებით შემერულ ტექსტებს და მას მინევე არ გაუნებებია თავი მათზე მუშაობისათვის, იგი თავისებურად გმირია და უდიდესი ნებისყოფის მქონე. ზურაბ კიკნაძემ დაამტკიცა, რომ მის მიერ სამავალითო შრომისმოყვარეობა შექმნილია თარგმანები შეუპოვრობის უტყუარი დასაბუთება.

შემერული პოეზიის ნიმუშები წარმოდგენილია კრებულის პირველ ნაწილში. აქ ყურადღებას იპრობს სილამაზისა და ყოფიერების ქალღმერთის ინანასა და მისი მიუღლის დემუშის ირველოვ შექმნილი ციკლი შეიებისა, რომლებშიც ამ დღეებების სახით პერსონაჟიკრებულია მუდამ ცვლობისა და განახლების პროცესში მყოფი ბუნება. მითების ამავე ციკლს განეკუთვნება ამ სიუჟეტის აქადური ვარიანტი „იშთარის ჩასვლა ქვესკნელად“, რომლის თარგმანი კრებულის მეორე ნაწილშია შესული.

შუამდინარეთში ერთობ გავრცელებულ სიუჟეტს წარმოადგენდა სამყაროს შექმნისა და

ადამიანის გაჩენის შოტივი. შემერებნისა და სემიტების გაგებით სამყაროს პირველსაწყისია უკიდურესი ოცენა, რომლის შედეგშია ამოჩნდელი ვორასავან წარმოიშვა ქვის ღმერთი ან და დედამიწის ქალღმერთი ქი; ამათი შევლევებით გაჩნდა ჰაერის ღვთაება ენლილი, ზოლო ამ უკანასკნელის ქალღმერთ ნინლილითან კავშირით სხვა დიდი და მცირე ღმერთები. სამყაროს განვინის მითის აქადური ვარიანტი შემოქმედ ღვთაებად წარმოდგენილია მარდუქი, რომელიც კრებულის მეორე ნაწილში შესული „შესაქმის მითის“ მთავარ მოქმედ გმირს წარმოადგენს.

არა ერთი და ორი პოემა შეიქმნა შემერულ ენაზე შემადინარეთის ცნობილი ეპოქა გმირის ვიღვამეშის საგმირი საქმეების შესახებ. დღემდე ცნობილი ამ ციკლის გვესი პოემიდან აღნიშნულ კრებულში ზ. კენადის წარმოადგინა მხოლოდ სამი პოემა, რომლებიც შედარებით უკეთაა შესწავლილი და გაანალიზებული. სათარგმნი მასალის შერჩევის ეს პრინციპი სავსებით გამართლებულია.

კრებულში სათანადო ადგილი აქვს დამოუბილი შემერულ სატრთილო პოეზიას, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა ცალკეული შეფუებისადმი საგალობელი პიწნების სახით. შემერული ღირიული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებად ითვლება კრებულში წარმოდგენილი „გოდება ურის დამკვეთის შესახებ“, რომელიც საკუთრივ გოდების ეანის განკუთვნიება.

კრებულის მეორე ნაწილი მთლიანად დამოუბილი აქვს აქადური პოეზიის ნიმუშებს. აქ შეხედებით ცალკეულ მითებს დთაებებისა თუ ზვეულებრივ მოკდავთა შესახებ. ყურადღებას იპყრობს რელიგიურ-ფილოსოფიური და ყოფითი პოეზიის ნიმუშები — „უბრალოდ ტანჯულის აღსარება“, „ზედუქლმართისა და ბრძენკაცის დიალოგი“ და „ბატონი და მონა“, რომლებშიც წარმოდგენილია რაგორც არსებული ურთიერთობისათვის დაშასაითებელი მხინჯი მხარეების კრიტიკა, ისე ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრებული ძველი პოეტიკონაზრავისის შეხედულება. კრებულს ერთვის ცალკეული ნიმუშების მოკლე ანოტაცია და მეტად საჭირო ლექსიკონი. აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ძალზე სასიამოვნოა, როცა ავტორი — მთარგმნელი ცალკეულ ნიმუშს ეპოვრაფის სახით უმძღვარებს დედნის დასაწყისი სტრიქონებს ქართულ ტრანსკრიპციას, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს წარმოდგენა იქონიოს შემერული და აქადური ლექსთწყობის შესახებ, მის კეთილმოვანებასა და მეტრიკაზე. ყოველი სახის უცხოური ტექსტის განსა-

კუთრებით კი ლიტერატურული ნიმუშის გაართულად თარგმნა, რაგორც ეს საერთოდ ცნობილია, მოითხოვს მშობლიური ენის შეღწიქვებით ცოდნას. ამ თვალსაზრისით ი. ბ. კენადის ენობრივი მასალა კარგად შეურჩეულია კარდასული ეპოქების სულიერი შემოქმედების ნიმუშების ასამუქვეულებლად. წარმოდგენილ თარგმანებში თქვენ იგრძნობთ ობთათვისა და ბიზილის უძველესი თარგმანების ენისათვის დაშასახსიათებულ თავისებურ სურნელებას; აქ შეხედებით მერჩულესა და ათონელების ლექსიკაცა და თანამედროვე მარდუიანი ქართლის მარგალიტებიც გაიღვებს. აიღეთ რომელიც გნებათ მითი და წააკითხეთ იგი შინაარსისაგან ყურადღებით მიუქცეულად. მხოლოდ ლექსიკის გამოკლებით და ადვილად დარწმუნდებით, რომ ზ. კენადის თარგმანების ენის ეს შეფასება სრულიადაც არაა გადაჭარბებული.

დასასრულს გვინდა „თამუზის სიზმარის“ რავითი მკითხველის ზოგიერთი სურვილი გამოთქვით შემდეგი სახით: ჩვენთვის დასანაინა, რომ კრებულში არაა წარმოდგენილი შემერული საგმირი ებოსის ერთერთი ცნობილი პოემა „ენმერქარი და არათის მმართველის“ სრული თარგმანი. ამ პოემიდან მოყვანილ მცირე ნაწყვეტს („სამოთხის მითი“), რა თქმაუნდა, სრულიადაც არ შეეძლია შექმნას მთელი ნაწარმოების შესახებ დაახლოებითი წარმოდგენა ე.

რაოდენ საინტერესო იქნებოდა ლენინგრის ელევგიების თარგმანები! შემერული ღირიული პოეზიის ამ შესანიშნავი ნიმუშების დედნები ჩვენთან, ა. პუშკინის საბ. მოსკოვის სახვითი ზღოვების მუზეუმშია დაცული.

კრებული, რა თქმაუნდა დიდად მოიკებათ თუ მასში შევიდოდა ლაგამის მეფის გუდვას (XXI ს. ძვ. წ.) ცილინდრების ტექსტების თარგმანები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კლასიკური შემერული ენის ამ შესანიშნავი ძეგლებისა და ამავე დროს ურთულესი ტექსტების თარგმნა ზ. კენადის უახლოეს გვემას წარმოადგენს.

საგანგებოდ გვინდა აღენიშნოთ, რომ რაც გაცეთებულია ზ. კენადის მიერ, გაცეთებულია საუცხოოდ. ეს გვიჩვენებს მთარგმნელის შემოქმედებით ძალას და შემერულ-აქადურენოვან ტექსტებზე მუშაობის დიდ გამოცდილებას, ცოდნასა და სამგალითო ნებისყოფის ნიმუშს, რაც მომავალში ძველ-აღმოსავლური ლიტერატურის არა ერთი ნიმუშის ქართულად ამუქვეულების საიმედო გარანტიას იძლევა.

ჯ. შარაშენიძე

შესტომის განსწავლა

ჩვენი ერთნალო მე-ნომერში ავტო შანიძის წერილის „ტანუტარი თუ ოსტაგანი“ 165-ე გვერდის მეორე სვეტის მეხუთე აბსაცის მეშვიდე სტრიქონი უნდა იყოთებოდეს ასე: „...რომ ბერძნულ ტექსტში არ იყოს ჩამატებული...“

ფან 80 333.

60/153
ИНДЕКС
76128
საბჭოთავი

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ